



სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარებისა და ტურიზმის
რეგიონული განვითარების სტრატეგიების

ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების
სტრატეგიული შეფასება

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი

2016 წლის მაისი

აბრევიატურა

GNTA	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EMP	გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა
RDS	რეგიონის განვითარების სტრატეგია
RTDS	ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგია
MDF	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MoA	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MoENRP	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MoCMP	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
MESD	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
NACHP	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
PIU	პროექტის განმახორციელებელი ერთეული
RDP	რეგიონული განვითარების პროექტი
SECHSA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება
WB	მსოფლიო ბანკი

შინაარსი

არატექნიკური რეზიუმე	5
1. შესავალი	22
1.1 რეგიონული განვითარების მესამე პროექტი (RDP III).....	22
1.2 რეგიონული და სექტორული კონტექსტი: სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების RDS და RTDS	24
1.3 საქართველოს სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარებისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიები	25
1.3.1. სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების სტრატეგიები.....	25
1.3.2 სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიები.....	26
1.4. ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების ამოცანები.....	29
2. სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების სოციალური გარემო, კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის განვითარების ტენდენციები.....	31
2.1 სამცხე-ჯავახეთი: სოციალური მახასიათებლები, კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის განვითარების ტენდენციები.....	31
2.1.1 სამცხე-ჯავახეთის სოციალური პროფილი	31
2.1.2 სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეობა.....	37
2.1.3 ტურიზმის განვითარების ტენდენციები სამცხე-ჯავახეთში.....	39
2.1.4 სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივი გარემო.....	40
2.2 მცხეთა-მთიანეთი: სოციალური მახასიათებლები, კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის განვითარების ტენდენციები	48
2.2.1 მცხეთა-მთიანეთის სოციალური პროფილი	48
2.2.2 მცხეთა-მთიანეთის კულტურული მემკვიდრეობა.....	57
2.2.3 ტურიზმის განვითარების ტენდენციები მცხეთა-მთიანეთში.....	59
2.2.4 მცხეთა - მთიანეთის რეგიონის ბუნებრივი გარემო	61
3. საქართველოს სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემა გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში.....	72

3.1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სივრცული დაგეგმვა.....	72
3.1.1. ადმინისტრაციული სისტემა.....	72
3.1.2. სამართლებრივი სისტემა.....	73
3.2. გარემოს დაცვა.....	77
3.2.1. ადმინისტრაციული სტრუქტურა.....	77
3.2.2. კანონმდებლობა.....	79
3.3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.....	82
4. სამიზნე რეგიონების ბუნებრივი გარემოს, სოციალური ფენებისა და ფიზიკური კულტურული რესურსების საფრთხეების შეფასება.....	85
4.1 რეგიონული განვითარების სტრატეგიების გავლენა	85
4.1.1. ბუნებრივი გარემოს საფრთხეების დადგენა.....	85
4.1.2 რეგიონალური განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებული საფრთხეების შეფასება სოციალური ფენების მიმართ.....	99
4.1.3 გავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე.....	106
4.2 რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებული გავლენები.....	107
4.2.1 პირველი რიგის მოქმედება.....	108
4.2.2 მეორე რიგის მოქმედებები.....	111
4.2.3 გავლენები ბიოფიზიკურ გარემოზე.....	114
4.2.4 რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებული სოციალური გავლენა.....	116
4.2.5 გავლენები კულტურულ მემკვიდრეობაზე.....	121
5. დაინტერესებული მხარეების ანალიზი.....	124
6. ალტერნატივების ანალიზი.....	133
6.1 შესავალი.....	133
6.2 რეგიონული განვითარების სტრატეგია სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონებისთვის და ალტერნატიული სცენარები.....	134

6.3 სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა მთიანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და ალტერნატიული სცენარები.....	135
6.4 რეგიონული განვითარების III პროექტის იმპლემენტაციის ალტერნატიული სქემები...	139
6.5 რეგიონული განვითარების III პროექტის ჩარჩოებში ქვე პროექტების სელექცია.....	143
7. RDP III პროექტი და SECHSA-ს ფარგლებში მისი განხორციელებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები.....	146
8. გავრცელება და კონსულტაცია.....	151
8.1 ჩატარებული კონსულტაციები.....	151

არატექნიკური რეზიუმე

სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების და ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება (SECHSA) მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონული განვითარების პროექტისათვის (RDP III) განხორციელდა. RDP III-ის ძირითადი მიზანია ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესება სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ტურისტული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის განხორციელება გაზრდის საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას, ხარისხსა და სანდობას; კერძო სექტორის ინვესტიციებს მოიზიდავს რეგიონებში; და გაზრდის კლიენტთა მომსახურების პუნქტების (ტურიზმის სფეროში მომუშავე კომპანიების) რაოდენობას განახლებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და ქალაქებში. RDP III-ი ხელს უწყობს სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების სტრატეგიების (RDSs) და ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების (RTDSs) ხორცშესხმას. SECHSA მიზნად ისახავს აღნიშნული სტრატეგიების ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენას, რათა RDS-ებისა და RTDS-ების მხარდაჭერის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილება იქნას მიღებული და შესაძლებელი იყოს RDP III-ის უკეთ მორგება სამიზნე რეგიონებში სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანებთან.

SECHSA-ს ფარგლებში ასევე შეფასებული იქნა RDS-ების, RTDS-ებისა და RDP III-ის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი კუმულატიური ზემოქმედება, ამას გარდა, აღნიშნული სტრატეგიების განხორციელების შედეგად და WB-ს მხარდაჭერით მომავალში მოსალოდნელი პროექტების ზემოქმედება. SECHSA ანგარიშში მოცემულია სამიზნე რეგიონებისთვის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის დასრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და აღწერილია, RDP III-ს ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციები როგორ გაზრდის აღნიშნული გეგმების დადებით ზემოქმედებას და როგორ შეამცირებს, ან მინიმუმამდე როგორ დაიყვანს მათთან დაკავშირებულ რისკებს.

1. მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოკლე მიმოხილვა

სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი 6413 კმ²-ზეა გადაჭიმული, ხოლო მისი მოსახლეობა 160 504 კაცს შეადგენს. რეგიონში შედის ექვსი მუნიციპალიტეტი და მისი ადმინისტრაციული ცენტრი ქ.ახალციხეა. რეგიონის ძირითადი ურბანული დასახლებებია: ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ვალე და ნინოწმინდა. მოსახლეობის 69% სოფლად ცხოვრობს. რეგიონში 1267 იძულებით გადაადგილებული პირია, რომელთა დიდმა ნაწილმა თავისი საცხოვრებელი ტერიტორია 1992-93 წლების კონფლიქტის დროს დატოვა. ეთნიკური შემადგენლობა სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ეთნიკური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 51.6%-ს შეადგენს (2014 წლის მოსახლეობის აღწერა), ამასთან მათი უმრავლესობა – 50,5% - სომეხი ეროვნებისაა. ეთნიკური უმცირესობების სოფლებში ბევრმა ქალმა არ იცის ქართული, რის გამოც მათთვის რთულია კომუნიკაცია თავიანთი ეთნიკური დასახლების გარეთ, ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, შეხვედრებში მონაწილეობა, ან შრომის ბაზარზე გასვლა.

სამცხე-ჯავახეთი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რეგიონია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობითაა დაკავებული. 2014 წელს სოფლის მეურნეობას 34%-იანი წილი ჰქონდა რეგიონში შექმნილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში, რაც რეგიონის სხვა ეკონომიკური დარგების იმავე მაჩვენებელს და, ასევე, საქართველოს სხვა რეგიონებს მაჩვენებელსაც აღემატება.

აგრარული სექტორი წარმოდგენილია როგორც საოჯახო მეურნეობებით, ასევე კომერციული ფერმერული მეურნეობებით. საოჯახო მეურნეობათა 73% სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს, ხოლო დანარჩენებისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის წყაროცაა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონებში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნახევარზე მეტი სათიბ-სამოვრებითაა წარმოდგენილი. დანარჩენი ფართობები სახნავ-სათესად გამოიყენება. როგორც მეცხოველეობის, ასევე მემცენარეობის დარგის პროდუქტიულობა საკმაოდ დაბალია. რეგიონში დიდი ინდუსტრიული საწარმოები არ არის. ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი დარგებია სამშენებლო მასალებისა და ხე-ტყის მოპოვება. რეგიონში ახლახან დასრულდა ახალი 500/400/200 კვ ქვესადგურის და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოდან ელექტროენერჯის ექსპორტს თურქეთში. 2006 წელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონი გადაკვეთა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა. იმავე სატრანსპორტო დერეფანშია მოწყობილი იმავე ადგილების დამაკავშირებელი გაზსადენიც.

სამცხე-ჯავახეთში წარმოდგენილი მრავალი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი და მიმზიდველი ბუნებრივი ლანდშაფტები. მათგან აღსანიშნავია: ახალციხისა და ბორჯომის ისტორიული მემკვიდრეობის უბნები, აბასთუმნის გამაჯანსაღებელი კურორტი მისთვის სახასიათო ხის არქიტექტურითა და ობსერვატორიით, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი და ვანის ქვაბები, რაბათის ციხე ახალციხეში, რომანოვების სასახლე ლიკანში, საფარის მონასტერი, ზარზმის მონასტერი, ხერთვისის ციხე, ფოკის მონასტერი, აწყურის ტაძრის ნანგრევები და ციხე. ბუნებრივი ლანდშაფტებით გამორჩეული ადგილებია: ბაკურიანის სამთო-სათხილამურო კურორტი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ჯავახეთის ეროვნული პარკი და დაცული ტერიტორიების ფარგლებში მოქცეული ექვსი ტბა, რომელიც მსოფლიოში ცნობილი ფრინველებზე დაკვირვების ადგილია: აქ კარგადაა შემონახული ბუნებრივი ლანდშაფტები და ბიომრავალფეროვნება.

მცხეთა-მთიანეთი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონს 6.785 კმ² ფართობი უჭირავს, ხოლო მისი მოსახლეობა 94 573 კაცია. რეგიონში შედის ოთხი დიდი მუნიციპალიტეტი და მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქ. მცხეთა. ძირითადი ურბანული დასახლებებია მცხეთა და დუშეთი. მოსახლეობის 75% სოფლად ცხოვრობს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკური ქართველებია. რეგიონში 9564 იძულებით გადაადგილებული პირია, რომელთა დიდმა ნაწილმა თავისი სახლი 2008 წლის კონფლიქტის დროს დატოვა.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მეძროხეობა და მეცხვარეობა. კულტურებიდან ძირითადად კარტოფილი მოჰყავთ. რეგიონში დიდი კომერციული საწარმოები არ არის. სოფლის მეურნეობა ძირითადად ნატურალური მეურნეობითაა წარმოდგენილი. მცხეთა-მთიანეთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფანია. რეგიონზე გამავალი საერთაშორისო საავტომობილო გზა სომხეთსა და საქართველოს რუსეთთან აკავშირებს და ამ გზის გამოყენებით

დიდი მოცულობის ტვირთები გადაიტვირთება. თუმცა, წელიწადში რამდენჯერმე გზა მეწყერებისა და თოვლზვავების გამო იკეტება. რეგიონზე ასევე გადის ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი, რომლის მეშვეობითაც საქართველო და სომხეთი მარაგდება ბუნებრივი აირით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილია, სადაც განთავსებულია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლი ქ. მცხეთა და ასევე, კულტურული მემკვიდრეობის სხვა მრავალი გამორჩეული ძეგლი, რომლებიც უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს მთელი წლის განმავლობაში იზიდავს. მათგან აღსანიშნავია: ისტორიული ქალაქები დუშეთი და ყაზბეგი, რომლებიც თავისებური არქიტექტურული სტილით გამოირჩევა; სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარი, ჯვრის მონასტერი, შიომღვიმის მონასტერი, ბაგინეთი-არმაზისა და სამთავრო-ძალისის არქეოლოგიური ძეგლები; ზედაზნის მონასტერი, ბოჭორმის ეკლესია, ანანურის ციხე, გერგეთის სამების ეკლესია; ისტორიული სოფლები შატილი და მუცო, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია; სნოს ციხესიმაგრე. ბუნებრივი ლანდშაფტებით გამორჩეულია გუდაურის სამთო-სათხილამურო კურორტი და თბილისის ეროვნული პარკი.

2. სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების სტრატეგიები (RDS)

სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის RDS-ები 2014-2021 წწ. პერიოდს მოიცავს და შემუშავებულია საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სტრატეგიისა და საქართველოს რეგიონული განვითარების 2015-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით. სამცხე-ჯავახეთის RDS დასრულდა და მიღებული იქნა 2013 წელს. მცხეთა მთიანეთის რეგიონის 2014-2017 წწ. განვითარების სტრატეგია რეგიონული განვითარების კომისიამ უკვე მიიღო და უახლოეს მომავალში დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

ორთავე სამიზნე რეგიონის RDS-ში განვითარებისთვის განსაზღვრულია მსგავსი პრიორიტეტები და მიზნები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ:

- **სოფლის მეურნეობა:** თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მცენარეთა ახალი ჯიშების შემოტანა პროდუქტიულობისა და ეფექტურობის გასაზრდელად; მეცხოველეობისა და მეფრინველეობის დარგების ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესება; მოყვანილი მოსავლის გადასატვირთი, სამაცივრო და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა.
- **ენერჯია:** მცირე და დიდი ჰიდროელექტროსადგურების (ჰესების) მშენებლობა ელექტროენერჯიის გენერაციის გასაზრდელად; ენერჯიის ალტერნატიული წყაროების, კერძოდ კი ქარისა და მზის ენერჯიის ათვისება.
- **ინფრასტრუქტურა:** რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაუმჯობესება; წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების განახლება და გაფართოება; ჩამდინარე წყლების გამწმენდი და მყარი ნარჩენების სათანადოდ მართვისთვის საჭირო ნაგებობების მოწყობა; ელექტრომომარაგებისა და გაზომომარაგების მოცვის ზონის გაფართოება; კომუნიკაციის საშუალებების გაუმჯობესება.
- **ბუნებრივი რესურსები:** მტკნარი და მინერალური წყლის რესურსების, მერქნისა და ტყის არამერქნული პროდუქტების, ასევე ინერტული სამშენებლო მასალების მოპოვება და მდგრადი გამოყენება; ასევე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ქვანახშირისა და ნავთობის მარაგების საძიებო სამუშაოების გაგრძელება.
- **მცირე და საშუალო საწარმოები:** ხელშემწყობი გარემოს შექმნა ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, საკვები პროდუქტების გადამამუშავების, სამშენებლო მასალების წარმოების,

ალტერნატიული ენერჯის, მშენებლობისა და მომსახურების სფეროების მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) განვითარებისათვის.

- **ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა:** საერთაშორისო ვაჭრობაში, ტურიზმში, ბუნების დაცვასა და ენერგორესურსების გაცვლასთან დაკავშირებულ ტრანსსასაზღვრო ინიციატივებში ჩართულობა.
- **გარემოს დაცვა:** ტყეებისა და დაცული ტერიტორიების გაუმჯობესებული მართვა; ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილებისა და მართვის სისტემის გაძლიერება; გარემოს მონიტორინგის რეგიონული სისტემის განვითარება. დღესდღეობით დაცული ტერიტორიები შექმნილია, თუმცა მათი მართვის გეგმები შესასწორებელი და დასამტკიცებელია. ამას გარდა, საჭიროა ახლახან შემუშავებული სატყეო პოლიტიკის განხორციელება.

3. სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების ტურიზმის განვითარების სტრატეგიები

სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის RTDS-ების საბოლოო სამუშაო ვერსია 2014 წლის ოქტომბერში დასრულდა, რასაც საფუძვლად ამ რეგიონების ტურისტული ადგილების კონკურენტუნარიანობის ანალიზი დაედო. ეს ანალიზი საწარმოო ღირებულებათა მიდგომით განხორციელდა. ორთავე სტრატეგია 2015 წლიდან 2020 წლამდე პერიოდს მოიცავს. ამ დოკუმენტების საბოლოო ვერსია დაამტკიცა WB-მა GNTA-მ. სტრატეგიული ხედვა, ტურისტული თავშეყრის ადგილები, მათი ღირებულება, მოსალოდნელი ცვლილებები და სამუშაო გეგმა ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განისაზღვრა. ისევე როგორც მთელს საქართველოში, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებშიც ტურიზმის განვითარების პოტენციალი დიდია. ქვეყანა და მათ შორის სამიზნე რეგიონები გახსნილია რეგიონისა და ევროპული ბაზრებისათვის. ამას გარდა, აქ არსებობს კარგი ინფრასტრუქტურა, ბიზნესზე მორგებული გარემო და კულტურული თუ ბუნების ძეგლების დიდი ნაირფეროვნება.

ორთავე რეგიონის RTDS-ში გათვალისწინებულია შემდეგი სამი კლასტერის ფასეულობის ამაღლება:

კურორტები:

სამცხე-ჯავახეთი: (ა) ტრადიციული მეღვინეობის და სამზარეულოს გამოვლენა, ღვინისა და საკვების სადეგუსტაციო ობიექტების, ასევე სავაჭრო ადგილების მოწყობა; (ბ) სათხილამურო ტრასებისათვის ახალი საბაგრო გზების მოწყობა, ხელოვნური თოვლის დანადგარების შექმნა და ზამთრის ახალი სათავგადასავლო სერვისების (ტურები ბურანით, სათხილამურო ტურები ბაკურიანში) შექმნა; (გ) რეკრეაციული ზონის განვითარება ბაკურიანში და ბორჯომის პარკის კეთილმოწყობა (სპა, დასვენების და გასართობი ობიექტები); (დ) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გარე აქტივობების შესაძლებლობის განვითარება და მომსახურების გაუმჯობესება; (ე) ზამთრისა და ზაფხულის ღონისძიებების მოწყობა, სადაც აქცენტი სპორტსა და USPs-ზე (სათავგადასავლო ტურიზმზე) გაკეთდება.

მცხეთა-მთიანეთი: (ა) სამთო გიდების ეროვნული სტანდარტების გამოყენება, რომლებიც შემუშავებულია პროფესიული სწავლების, წვრთნისა და სერტიფიცირების საერთაშორისო სტანდარტების (UIGM) შესაბამისად; (ბ) მთის ქოხების, თავშესაფრებისა და ბილიკების ქსელის შემდგომი განვითარება, რაც მნიშვნელოვანია მისადგომობის, უსაფრთხოებისა და ღამისთვის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად; (გ) დანიშნულების ადგილების ინტეგრირებული

მართვის შესაძლებლობის შეფასება გუდაურსა (ზამთარი) და ყაზბეგისათვის (ზაფხული); (დ) ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის, მუზეუმის სავაჭრო ობიექტების და საინფორმაციო ცენტრების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ტუალეტებითა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მარტივი ტიპის კაფეებით და საინფორმაციო დაფებით.

კულტურული მემკვიდრეობა:

სამცხე-ჯავახეთი: (ა) ინტეგრირებული მართვის უზრუნველყოფა, რომელიც დარეგულირდება "კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მართვის გეგმის" მეშვეობით (შემუშავებულია NACHP-ის მიერ და შეთანხმებულია საეკლესიო უფლებამოსილ ორგანოებთან (როდესაც ობიექტი საეკლესიო საკუთრებაა); (ბ) ინვესტიციების განხორციელება ტურისტული სერვისების, მათ შორის რესტორნების, ბარების, ღვინის სარდაფების, მუზეუმების, კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრების, სახელოსნოების, ბაზრების და დასაბინავებელი ადგილების შექმნა-განვითარების მიზნით; (გ) სასტუმრო მომსახურების, ენის, მარკეტინგსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვის სასწავლო კურსების უზრუნველყოფა ადგილობრივი სასწავლო დაწესებულებების მეშვეობითა და MoESD-სთან მჭიდრო თანამშრომლობით; (დ) ვიზიტორთა პროგრამებში მონასტრების ჩართულობის წახალისება მათთვის ვიზიტორთა მიღების გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო კონფლიქტების რისკის შემცირების მიზნით.

მცხეთა-მთიანეთი: (ა) ინვესტიციების განხორციელება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ახლომდებარე ტურისტული მომსახურების ობიექტებში, როგორცაა რესტორნები, ბარები, ღვინის სარდაფები, ღამის კლუბები, კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრები, სახელოსნოები, მაღაზიები, ბაზრები და დასაბინავებელი ადგილები; (ბ) სპეციალური სასწავლო პროგრამების შემუშავება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გიდებისთვის; (გ) საქმიანობისა და ღონისძიებების დაგეგმვისას მართლმადიდებელი ეკლესიის ჩართულობის უზრუნველყოფა და როლის განსაზღვრა.

ბუნება და თავგადასავალი:

სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი: (ა) ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებამდე მისასვლელი გზების გაუმჯობესება; (ბ) დაცულ ტერიტორიებთან, კერძოდ კი პარკის შესასვლელების მიმდებარედ ხარისხიანი დასაბინავებელი ადგილების უზრუნველყოფა; (გ) ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესება შეღავათების პოლიტიკის მეშვეობით, რომლის მიხედვით ხელისუფლება ააშენებს შენობა-ნაგებობებს და მათ იჯარით გადასცემს კერძო სექტორს, ან კერძო ინვესტორებს პარკის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის უფლებას მისცემს, რის სანაცვლოდ ისინი გადაიხდიან წლიურ მოსაკრებელსა და საქმიანობიდან მიღებული მოგების პროცენტს; (დ) აგრეთვე, თანამშრომლობის წახალისება დაცულ ტერიტორიებსა და იმ გიდებს/კომპანიებს შორის, რომლებიც სპეციალიზებული არიან სათავგადასავლო სპორტის სახეობებში (ალპინიზმი, კაიაკებით დაშვება, ჯომარდობა და სხვა). ამ საქმიანობაში სასურველია "სათავგადასავლო მოგზაურობის პროფესიული ასოციაციის" (Adventure Travel Trade Association) მსგავსი ორგანიზაციების ჩართულობა. (ე) სპეციალური ღონისძიებების, მაგ., საერთაშორისო სათხილამურო შეჯიბრებების, ან სათავგადასავლო რბოლების მოწყობა ეროვნული პარკების პოპულარიზაციის მიზნით; (ვ) სპეციალური სწავლებების მოწყობა საფეხმავლო გიდებისთვის, სამთო-სამაშველო სამსახურებისა და გამორჩეული სათავგადასავლო სპორტით (მთაზე ცოცვა, კაიაკით დაშვება, კანიონებში დაშვება, ჯომარდობა) დაკავებული პირებისათვის.

საექსკურსიო მარშრუტები და ბილიკები

სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის ფასეულობის გასაზრდელად რეკომენდირებულია თემატური საექსკურსიო მარშრუტებისა და ბილიკების შემუშავება (ღვინის მარშრუტები, კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ლანდშაფტები, ისტორიული გზები), ასევე რამდენიმე ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი) მომცველი ტურების, ბილიკების და მარშრუტების შემუშავება.

4. სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში RDS-ებისა და RTDS-ების განხორციელების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკები

RDS-ებში განსაზღვრულია გარკვეული რისკები, რომლებიც ამ სტრატეგიების ფარგლებში დასახული მიზნების განხორციელებას მოჰყვება. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდის მცდელობისას არსებობს *აგროქიმიკატების გადაჭარბებული მოხმარების საფრთხე*, რაც უარყოფითად აისახება წარმოებული პროდუქციის ხარისხზე და გარემოსაც დააზიანებებს. RDS-ებში გამოკვეთილია *სადოვრების არასათანადოდ მართვასთან* დაკავშირებული პრობლემები. მესაქონლეობის განვითარებამ შეიძლება კიდევ უფრო დააქვეითოს სადოვრების პროდუქტიულობა და გაამწვავოს ჭარბი მოვებით გამოწვეული ეროზიის პრობლემა. მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი ტყის რესურსებითაა მდიდარი, რის გამოც სტრატეგიულ მიზნებს შორის ამ რესურსიდან მიღებული შემოსავლების გაზრდაა; მეორეს მხრივ კი, *მერქნის არამდგრადი მოპოვებით* გამოწვეული რისკები მაღალია. RDS-ებში ასევე განხილულია *საწარმოო ობიექტებიდან წარმოქმნილი ემისიებისა და ნარჩენების საკითხები* და აღნიშნულია, რომ საწარმოს ზომა/სიმძლავრე ყოველთვის პროპორციული არაა მის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანისა, რადგანაც შედარებით დიდი ზომის წარმოებები მეტ ინვესტიციას დებენ მოწინავე ტექნოლოგიებში და მათ ზედამხედველობის სამსახურებიც უფრო მკაცრად აკონტროლებენ, ხოლო SME-ების ტექნოლოგიები ნაკლებად დახვეწილია და მათი ზედამხედველობაც ნაკლებად მკაცრად ხდება. ამგვარად, SME-ები დაბალი რისკის კატეგორიას არ განეკუთვნებიან და მათი კუმულატიური ზემოქმედება გარემოზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ბოლოს, RDS-ებში აღნიშნულია მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული გამოწვევები, რომლებიც ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გაიზრდება. *მიწის რესურსების გამოყენებას და სახეცვლილებას ისეთი საჭიროებებისათვის*, როგორცაა ჰესების, ელექტროგადამცემი ხაზების, ნავთობსადენების, გაზსადენებისა და სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე კომპლექსური ზემოქმედება აქვს. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა რეგიონული განვითარების საკვანძო ელემენტია; თუმცა, ზოგიერთ მოშორებულ ტერიტორიასთან მისადგომობის გამარტივებამ შესაძლოა ისეთი *ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების სახეცვლილება* გამოიწვიოს, რომლებიც ჯერ კიდევ არ განიცდის ანთროპოგენულ ზემოქმედებას.

RDS-ებში განხილული არაა სოციალური საკითხები, რომლებიც ხელს უშლის რეგიონულ განვითარებას, გარდა ერთისა. კერძოდ, მცხეთა-მთიანეთის RDS-ში მოხსენიებულია, რომ რეგიონისთვის პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის გადინება მოშორებული მთიანი ადგილებიდან და განხილულია ამ პრობლემის გადაჭრის გზები. მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული რისკები განსაზღვრული არაა. RTDS-ებში განხილული არაა ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული სენსიტიური გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები. RTDS-ებში ნათქვამია, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაცია კულტურული ტურიზმის განვითარების განუყოფელი ნაწილია; თუმცა,

აქვე აღნიშნულია, რომ საჭიროა მეგლების აღდგენა, თუმცა მათი ისტორიული ღირებულების შენარჩუნების მიზნით საჭიროა სათანადო მეთოდების გამოყენება. SECSHA-ს პროცესში დადასტურდა RDS-ებსა და RTDS-ებში აღწერილი რისკების რელევანტურობა და მათი სიღრმისეული ანალიზი; ამას გარდა, გამოვლენილი იქნა სხვა სენსიტიური საკითხებიც, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას სამიზნე რეგიონებში აღნიშნული სტრატეგიების განხორციელებისას.

A. გარემოს დაცვა

სოფლის მეურნეობის წერტილოვანი და არაწერტილოვანი დაბინძურების წყაროების მიერ

გარემოსთვის მიყენებული ზიანი

მესაქონლეობა და რძის წარმოება ორთავე სამიზნე რეგიონში სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგებია. ამას გარდა, სამცხე-ჯავახეთში მოჰყავთ კარტოფილი და სხვა ბოსტნეული, ასევე ყურძენიც. მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობის გაზრდა არა მხოლოდ საძოვრების შემდგომ დეგრადაციას გამოიწვევს, არამედ, გამოყოფილი საძოვრების გარეთ უკონტროლო ძოვების გამო, ტყეებსა და სხვა ღირებულ ლანდშაფტებზეც იქონიებს ზემოქმედებას. მეფრინველეობისა და მეცხოველეობის ფერმების მზარდი რაოდენობის შედეგად მოიმატებს ორგანული დაბინძურებაც, თუ ორგანული ნარჩენების მართვის დღეს არსებული არასწორი მეთოდები არ შეიცვლება. პესტიციდებისა და სასუქების არასწორი მოხმარება გამოიწვევს არა მხოლოდ ნიადაგის, ზედაპირული წყლებისა და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხსა და ადამიანის ჯანმრთელობაზეც აისახება. პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის გაზრდამ შესაძლოა საფრთე შეუქმნას საქართველოს აგრობიომრავალფეროვნებას, თუ კულტურების ადგილობრივი ჯიშები უცხო, ახალგამოყვანილი ჯიშებით იქნა ჩანაცვლებული.

ჰაბიტატების დაკარგვა, ლანდშაფტების სახეცვლილება და მათი რეკრეაციული ღირებულების დაკარგვა ჰესების მშენებლობის გამო

RDS-ები წაახალისებს მცირე და დიდი ჰესების მშენებლობას. საქართველოს ქვეყანაში ჰიდროელექტროენერჯის გენერაციის სიმძლავრის გაზრდის ამბიციური გეგმა აქვს. ენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული პოტენციური ჰესების სიიდან მტკვრის, თერგისა და არაგვის ხეობებში მონიშნული რამდენიმე ჰესი შეიძლება სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიებზე მოექცეს. ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული პოტენციური რისკებია: ხმელეთისა და წყლის ჰაბიტატების დაკარგვა, ასევე ცხოველთა განადგურება ჰესების, მისასვლელი გზებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობის გამო; ტერიტორიების დაკარგვა და მიწათსარგებლობის სახის შეცვლა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კაშხლებისა და წყალსაცავების მშენებლობის შემთხვევაში; ლანდშაფტების ესთეტიკური და რეკრეაციული ღირებულების დაკარგვა; მიკროკლიმატის შესაძლო ცვლილება. ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს წყალაღების შემთხვევაში მდინარის მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის საანგარიშო ოფიციალურად დადგენილი, გამართული მეთოდოლოგია. ამას გარდა, არც მდინარის აუზების ინტეგრირებული მართვაა ოფიციალურად დადგენილი და ცალკეულ პროექტებზე ნებართვების გაცემისას სხვადასხვა წყალმომხმარებლების კუმულატიური ზემოქმედება სათანადოდ გათვალისწინებული არაა. თუმცა, 2016 წელში მოსალოდნელია საქართველოს ენერგოსექტორის განვითარების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება ქვეყნის მთელი ტერიტორიისათვის (შეფასებას WB აფინანსებს), სადაც ასევე წარმოდგენილი იქნება რეგიონების დონეზე მისაღები გადაწყვეტილებებიც.

ბუნებრივი რესურსების არამდგრადი მოხმარება

ორთავე სამიზნე რეგიონი მდიდარია მინერალური და ტყის რესურსებით. RDS-ები მხარს უჭერს ქვის, თიხის, ქვიშისა და სხვა სამშენებლო მასალების, ასევე სამერქნე და საშენებლო მერქნის მოპოვებას. RDS-ების მიხედვით, საქართველოში მინერალური რესურსების და მერქნის უკანონო მოპოვება მნიშვნელოვნად შემცირდა; თუმცა, ამ დარგის მარეგულირებელი ჩარჩო და კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმები ისევ საკმაოდ სუსტია და საჭირო რაოდენობის საშენებლო მერქნის მდგრადი მოპოვება ჯერ ვერ ხერხდება. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას არ ექვემდებარება და ამ სახის ნებართვას არ საჭიროებს. ამ საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა მთავრობის დღის წესრიგში დგას, თუმცა ამჟამად იგი ჯერ კიდევ ძალაშია. შედეგად, ადგილი აქვს ისეთ პრეცედენტებს, როგორცაა უშუალოდ მდინარის კალაპოტიდან, ან სხვა სენსიტიური ადგილებიდან ინერტული მასალების მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიები. ლიცენზიების მფლობელებისათვის არ დგინდება იურიდიული ძალის მქონე პირობები, რომლებიც მათ სამუშაოების წარმოების პროცესში გარემოზე ზემოქმედების მართვას, ხოლო კარიერის დახურვის შემდეგ მის რეკულტივაციას დაავალდებულებდა. ამას გარდა, ერთ წყალშემკრებში, ან სხვა გეოგრაფიული ერთეულის ფარგლებში რამდენიმე კარიერის და საბადოს ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული კუმულატიური ზემოქმედების გათვალისწინება არ ხდება.

საქართველოს მიერ გადატანილი ეკონომიკური გაჭირვების წლებში, როდესაც სხვა პრობლემებთან ერთად ადგილი ჰქონდა ენერჯის დეფიციტს და კორუფციის დონეც მაღალი იყო, მთელს ქვეყანასა და მათ შორის ორთავე სამიზნე რეგიონში განადგურდა და დეგრადაცია განიცადა ტყეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. ტყის მართვისა და ტყეთსარგებლობის საკანონმდებლო და მარეგულირებელმა ჩარჩომ რამდენიმე რეფორმა გაიარა და ეს პროცესი ჯერ ისევ არაა დასრულებული. კერძო სექტორის როლი ტყის მართვასა და ეკონომიკურ გამოყენებაში, ასევე რეგიონისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციები ტყის მართვის საკითხებში მხოლოდ ბოლო ხანებში, კერძოდ კი 2015 წლის ბოლო მიღებული 'ტყის კოდექსით' განისაზღვრა. ამავდროულად, მნიშვნელოვან გამოწვევებს შორისაა ტყის მერქნული და არამერქნული პროდუქტების მოპოვებით მიღებული შემოსავლების გაზრდა იმგვარად, რომ ადგილი არ ჰქონდეს ტყის განადგურებად და დეგრადაციას.

ემისიები და ნარჩენები მცირე და საშუალო ბიზნესიდან

მცარი ნარჩენების მართვა ორთავე RDS-ში მნიშვნელოვან პრობლემადაა მოხსენიებული, ხოლო RDS-ების განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკად ნარჩენების მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ნაკლებობაა დასახელებული. ორი სამიზნე რეგიონიდან არცერთში არაა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ნაგავსაყრელი. თუმცა ცენტრალურმა ხელისუფლებამ წამოიწყო საქართველოში სანიტარული ნაგავსაყრელების მოწყობის ფართომასშტაბიანი პროგრამა, მრავალი წელი გავა, ვიდრე ამ პროგრამით ქვეყნის დიდი ნაწილის მოხერხდება. ამიტომაც, არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ტარდება შუალედური ღონისძიებები. ნარჩენების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება მრავალი წლის განმავლობაში ვერ ხერხდება და ისინი კანონპროექტებად რჩება. სახიფათო ნარჩენების მართვის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს. ამას გარდა, ქვეყნის ტერიტორიაზე არსადაა ბევრი სახის ტოქსიკური ნარჩენის გაუვნებელყოფა-განთავსებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

დაბალემისიანი, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაცხადებული პრიორიტეტია. სავარაუდოდ, მთლიანად ინდუსტრიულ სექტორს და კერძოდ კი

SME-ებს მალე მიეცემა სუფთა და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში ინვესტიციების განხორციელების სტიმული. ინდუსტრიული საწარმოებიდან გაფრქვევებისა და წყალჩაშვების კონტროლი მხოლოდ ახლა მკაცრდება, რადგანაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (MoENRP) გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახლახან შეიქმნა და მისი ინსტიტუციური გაძლიერება ახლავს ხდება.

B. კულტურული მემკვიდრეობა

ძეგლების ავთენტურობისა და ისტორიული ღირებულების დაკარგვა რეაბილიტაციის გამო
ორთავე სამიზნე რეგიონი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, რომელთაგან ბევრი რეაბილიტაციას და კონსერვაციას საჭიროებს. ბოლო ხანებში ქვეყანაში გამოვლინდა ამ უაღრესად სასურველ და მისასალმებელ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, რადგანაც ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციისათვის გამოყენებულმა კონცეფციამ და ტექნიკურმა გადაწყვეტილებებმა საწინააღმდეგო შედეგი მოიტანა. სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციისას სიფრთხილეა საჭირო.

ქვეყანაში და მათ შორის ამ ორ სამიზნე რეგიონში არსებული ბევრი ისტორიული ძეგლი რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც დღეს საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია განაგებს. ასეთ ძეგლებთან დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის, თავად ძეგლების რეაბილიტაციის და ტურისტული ნაკადის მართვის ღონისძიებებს დამაბულობის და კონფლიქტების გამოწვევაც კი შეუძლია, თუ აღნიშნული საქმიანობა განხილული და შეთანხმებული არ იქნა, ერთი მხრივ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის სააგენტოებთან, ხოლო მეორე მხრივ, ეკლესიასთან.

ტურისტების ჭარბი ნაკადის ნეგატიური ზემოქმედება ძეგლზე

RTDS-ების მიხედვით, მთავრობა დააფინანსებს ისტორიული დასახლებების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ბუნების ძეგლების ინფრასტრუქტურის განახლებისა და განვითარების საქმიანობას. RTDS-ებში დასმული უპირველესი ამოცანა ტურისტების ნაკადის გაზრდაა. თუმცა, როცა საქართველო ტურისტულ ქვეყანად ჩამოყალიბებისთვის იბრძვის და ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობას ცდილობს, ნაკლები ყურადღება ექცევა რეკლამირებული ადგილების გამტარუნარიანობას. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვის გეგმების მომზადება არ მოითხოვება და ეს დოკუმენტები არც გამოიყენება. ადრე თუ გვიან, კონკრეტული ძეგლების გამტარუნარიანობის მაქსიმუმი იქნება მიღწეული და ვიზიტორთა ნაკადის შემდგომი ზრდა შეიძლება უარყოფითად აისახოს როგორც თავად ტურისტის შთაბეჭდილებებზე, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობაზე.

კონფლიქტი ადგილობრივ ტრადიციებსა და ქვეყნის ნორმებთან

RTDS-ები მიზნად ისახავს იმ ისტორიული დასახლებების რეაბილიტაციას, სადაც ამჟამად ადგილობრივი მოსახლეობა ბინადრობს. ტურისტებისთვის რეკომენდირებული რელიგიური შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილი მოქმედია და შეიძლება ბერ-მონაზვნების საცხოვრებლად გამოიყენებოდეს. ასეთ ადგილებში ტურისტების ნაკადის არასათანადოდ მართვას შესაძლოა მოჰყვეს დამაბულობა, ერთის მხრივ, ვიზიტორებსა და ადგილობრივ მოსახლეობას, ხოლო მეორეს მხრივ, ვიზიტორებსა და ეკლესიის მსახურებს შორის. თუ შემოღებული და გატარებული არ იქნება სათანადო აკრძალვები, ისეთმა ქვეყანამ, როგორცაა შენობის შიდა სივრცეში ფოტოაპარატის ბლიცის გამოყენება, წარწერების დატოვება კედლებზე, შენობის ფრაგმენტების წაღება სამახსოვროდ და სხვა.

ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების წარმოების ავთენტურობის დაკარგვა კომერციალიზაციის გავლენით

ტურისტების მხრიდან ადგილობრივ სამზარეულოსა და ხელნაკეთ ნივთებზე გაზრდილმა მოთხოვნამ შეიძლება ამ პროდუქციის ხარისხის გაუარესება და საბოლოო ჯამში, მიწოდებული სერვისებისა და ნივთების ავთენტურობის დაკარგვა გამოიწვიოს.

C. სოციალური საკითხები

მოსახლეობის გადინება

სამიზნე რეგიონების ცალკეული ადგილების განვითარებაზე დახარჯულმა ინვესტიციებმა შესაძლოა გათვლილი რაოდენობის მოსახლეობას ვერ მოუტანოს სარგებელი, ან ვერ მოიტანოს სასურველი შედეგები, თუ, მიუხედავად შექმნილი შესაძლებლობებისა, მთის მოსახლეობის გადინება მაინც გაგრძელდება, რაც მოსალოდნელია ქვეყანაში მკვეთრად გამოხატული ურბანიზაციის ტენდენციის პირობებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის შემთხვევაში. ამ რეგიონის მთიანი სოფლებიდან მოსახლეობის გადინებას თავისი გეო-პოლიტიკური ასპექტები აქვს, რადგანაც ასეთი სოფლები რუსეთის საზღვრისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების მახლობლადაა განლაგებული.

სარგებლის არათანაბარი განაწილება

სამიზნე რეგიონებში სტრატეგიული მიზნების მიღწევა ვერ იქნება იმის გარანტია, რომ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების მარგინალიზაცია არ მოხდება და მიღებული სარგებელი თანაბრად და სამართლიანად განაწილდება. სამიზნე რეგიონების შიდა მრავალფეროვნების გამო, მეტი ინვესტიციები იმ ადგილებში ჩაიდება და ის ადგილები უფრო სწრაფად განვითარდება, სადაც მეტი ბუნების თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, ასევე სადაც მეტი გამოცდილი კადრი და/ან მეტი საწარმოო მუშახელია. ამას გარდა, სასოფლო-სამეურნეო მიწების გამსხვილება და კომერციალიზაცია, რისი ხელშეწყობაც ხდება და რაც სოფლის განვითარების კუთხით დადებით ტენდენციად მოიაზრება, შესაძლოა უარყოფითად აისახოს იმ მოსახლეობის საარსებო საშუალებებზე, ვინც გაყიდის თავის მცირე მიწის ნაკვეთს, თუმცა ვერ მოძებნის სამსახურს, ან შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს.

ეთნიკური დამაბულობა საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით

თუმცა RDS-ები და RTDS-ები გამორიცხავს დისკრიმინაციის ყველა სახეს, ხელისუფლების მიერ ცალკეულ ინვესტიციებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შესაძლოა ეთნიკური დამაბულობა მაინც მოჰყვეს. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის დაბალი დონის, ქართული ენის არცოდნის და სხვა მიზეზების გამო შესაძლოა არაქართველი მოსახლეობა გამოეთიშოს დაგეგმილ განვითარების შესაძლებლობებს, ან მოხდეს მისი მარგინალიზაცია, თუ სპეციალური ძალისხმევა არ იქნა მიმართული მათი ინფორმირებულობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ინფორმირებულობის დაბალი დონისა და არასაკმარისი კომუნიკაციის გამო, შესაძლოა რეგიონული სტრატეგიების განხორციელების გარკვეულ საკითხების არასწორ ინტერპრეტაციას და გაუგებრობას ჰქონდეს ადგილი.

5. RDS-ებისა და RTDS-ების განხორციელების შედეგად მოსალოდნელი დადებითი ზემოქმედება

A. სოციალური საკითხები

RDS-ებისა და RTDS-ების განხორციელება სავარაუდოდ დადებითად იმოქმედებს სიღარიბისა და სოციალური პრობლემების გადაჭრაზე. საქართველოში სიღარიბე ასოცირდება ოჯახის უფროსის უმუშევრობასთან. ტურიზმის მხარდაჭერას ახალი სამუშაო ადგილების შექმნა უნდა მოჰყვეს, რაც, სავარაუდოდ, სარგებლობას მოუტანს მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას, როგორ ქალებს, ასევე მამაკაცებს. მშენებლობის სფეროში შექმნილ სამუშაო ადგილებზე ძირითადად მამაკაცები დასაქმდებიან, რადგანაც მათ ამგვარი სამუშაოს მიმართ მეტი ინტერესი და მისი შესრულებისთვის საჭირო მეტი უნარ-ჩვევები აქვთ. ტურიზმის სფეროში კი დასაქმდებიან ქალებიცა და მამაკაცებიც. ტურისტულ ინდუსტრიაში ზოგი ტიპის სამუშაო ქალებისათვის უფრო მისაღები იქნება, ხოლო სხვა სამუშაოები მამაკაცებისთვის (მაგ., მძღოლობა).

დასაქმების შესაძლებლობების შექმნა სარგებელს სხვადასხვა შემოსავლების მქონე ადამიანებს მოუტანს. გაზრდილი შემოსავლების წყალობით, შედარებით დიდი საწარმოები სამუშაო ადგილებს შექმნის სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე ადამიანებისთვის. სავარაუდოდ, გაიზრდება მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის, ასევე ზოგიერთი მიკრო-ბიზნესის შემოსავლებიც და გაფართოვდება მათი საქმიანობა. ყველა კვალიფიკაციის პირებს შეეძლება დასაქმების მეტი შესაძლებლობა. RDS-ები მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ფართომასშტაბიან ინფრასტრუქტურულ განვითარებას უზრუნველყოფს. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა გაზრდის ინვესტიციებს სხვა სექტორებში, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები ინფრასტრუქტურის დარგში და საზოგადოდ, ამ რეგიონების მოსახლეობას გაუმჯობესებულ სერვისებზე მიუწვდება ხელი. წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის განვითარება ყველას მოუტანს სარგებელს. გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა და გამოცოცხლებული ქალაქები სარგებელს მოუტანს რეგიონების მთელ მოსახლეობას, მიუხედავად მათი სქესისა, ასაკისა და შემოსავლის დონისა.

B. გარემოს დაცვა

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა, RDS-ებისა და RTDS-ების განხორციელება დადებითად უნდა აისახოს გარემოს მდგომარეობაზე ამ რეგიონებში. დადებითი ცვლილებები მოსალოდნელია ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების გაუმჯობესებული მართვის, სტიქიური მოვლენებისა და მათი გამანადგურებელი შედეგების თავიდან აცილების ღონისძიებების განხორციელების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის სისტემის სრულყოფის შედეგად. აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიებები დაგეგმილია 1-ლი რიგის საქმიანობის ფარგლებში, რომელთა მიზანია ვიზიტორთა გამტარუნარიანობის გაზრდა საბჭოთა პერიოდის დონემდე, როდესაც ტურისტული ნაკადი დღევანდელს გაცილებით აღემატებოდა.

C. მატერიალური კულტურული რესურსები

RTDS-ებში კულტურული ტურიზმი მოხსენიებულია იმ სამ კლასტერში, რომელთა როლიც გადამწყვეტია ორ სამიზნე რეგიონის ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდაში. RTDS-ები მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისადმი წვდომის გაუმჯობესებას, მათ მიმდებარე ტერიტორიებზე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განახლებას და დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამაგრებითი/აღდგენითი სამუშაოების

განხორციელებას. შესაბამისი მეთოდოლოგიისა და მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ღონისძიებები სამიზნე რეგიონების ფიზიკურ კულტურულ რესურსებს სასურველ დადებით შედეგებს მოუტანს.

6. მოსალოდნელი კუმულატიური ზემოქმედება

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული RDP III პროექტი უზრუნველყოფს მთავრობის ცალკეული სტრატეგიული მიზნების შერჩევით მხარდაჭერას მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთს რეგიონებში. RDP III-ის განხორციელების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკები მერყეობს მცირედან საშუალომდე. გარემოს დაცვის კუთხით პროექტს მინიჭებული აქვს B კატეგორია. SECHSA-ს ფარგლებში მოხდა RDS-ების, RTDS-ებისა და RDP III-ის ჯამური რისკების შეფასება გრძელვადიანი პერიოდისათვის, ასევე იდენტიფიცირებული იქნა ის პოტენციური პროექტების, რომლებიც შეიძლება ინიცირებული იქნას შეფასებული სტრატეგიებისა და პროექტის განხორციელების შედეგად.

RDP III-ის 1.1 ქვე-კომპონენტის ფარგლებში განხორციელებულმა ინვესტიციებმა შესაძლოა გაზარდოს გარემოს დაბინძურება მყარი ნარჩენებითა და ჩამდინარე წყლებით, რომელებიც წარმოიქმნება RDP III-ის მიერ კულტურული მემკვიდრეობის უბნებზე მოწყობილი ახალი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის შედეგად. RDP III-ის 1.2 კომპონენტის ფარგლებში მოწყობილმა ახალმა საწარმოებმა და საზოგადოებრივმა ინფრასტრუქტურამ შესაძლოა გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება, ლანდშაფტის დეგრადაცია და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება. RDP-სა და RDP II-ის განხორციელების შედეგად მიღებულ გამოცდილებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სამიზნე დასახლებებსა და კულტურული მემკვიდრეობის უბნებთან ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოსაწყობად შესაძლოა საჭირო გახდეს მცირე ტერიტორიების ამორიცხვა სახელმწიფო ტყის ფონდიდან. მიუხედავად მცირე მასშტაბებისა, კუმულატიური ზემოქმედება ტყის ფართობებზე შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, თუ მაკომპენსირებელი ღონისძიებები არ გატარდება. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მისასვლელი გზების მოწესრიგებითა და სხვა ღონისძიებით RDP III ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას. აღნიშნულ სფეროში მთავრობის სხვა ინვესტიციებისა და პროექტის შედეგად ტურისტული ნაკადის ზრდა მომავალში შესაძლოა უარყოფით ზემოქმედებად გადაიქცეს, თუკი ვიზიტორთა ნაკადი გადააჭარბებს პოპულარული ადგილების გამტარუნარიანობას. RDP III პროექტი და მისი განხორციელების ღონისძიებები ითვალისწინებს მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც თავიდან იქნება აცილებული მოწყვლადი და არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების რეგიონული განვითარების შედეგად მოტანილი სარგებლის მიღმა დარჩენის რისკი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური პოლარიზაციის რისკი მათი არათანაზომიერი პერსპექტივების გამო. ეს მექანიზმები ნაწილობრივ აღწერილია RPF-ში. პროექტის ტექნიკურ დანმარების კომპონენტმა შესაძლოა გარკვეული წვლილი შეიტანოს მოწყვლადი ჯგუფების განათლებასა და სწავლებაში, რათა მათ უკეთ შესძლონ RDS-ების, RTDS-ებისა და RDP III-ის შედეგად შექმნილი შესაძლებლობების გამოყენება.

7. RDP III პროექტი და SECHSA-ს ფარგლებში მისი განხორციელებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები

RDP III შემუშავებული იქნა მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთს რეგიონების განვითარებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული საერთო მიზნების

ხელშეწყობის მიზნით, რისთვისაც იგი შერჩევით დააფინანსებს RDS-ებისა და RTDS-ების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას.

პროექტის მიზანია ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესება სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ტურისტული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის საქმიანობა სარგებელს მოუტანს სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების მოსახლეობას, ტურისტებსა და საწარმოებს. კერძოდ, გაიზრდება საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა და ხარისხი; მოიმატებს კერძო სექტორის ინვესტიციები სამიზნე რეგიონებში; და განახლებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და ქალაქებში მოიმატებს მცირე და მიკრო საწარმოების რიცხვი. ქვეყნის მთავრობა სარგებელს მიიღებს ტურიზმიდან შემოსული გაზრდილი შემოსავლების, ვიზიტორთა კმაყოფილების, ახალი სამუშაო ადგილების, სააგენტოების ინსტიტუციური გაძლიერებისა და აქტივების გაუმჯობესებული მართვის შესაძლებლობის სახით.

კომპონენტი 1: ინფრასტრუქტურული ინვესტიცია (53.25 მილიონი აშშ დოლარი)

კომპონენტი 1.1: ურბანული ცენტრების სარეაბილიტაციო სამუშაოები და ტურისტული მარშრუტის განვითარება (46.00 მილიონი აშშ დოლარი). მოცემული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება: ძველი ქალაქებისა და სოფლების რეაბილიტაცია, მათ შორის შენობათა ფასადების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, მუზეუმების, გზებისა და წყალმომარაგების სისტემების რემონტი, ასევე კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლებისა და მათთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია-მოწესრიგების სამუშაოები, ასევე მათი ცნობადობის კუთხით განხორციელებული საქმიანობა. პროექტი ფოკუსირებული იქნება იმ ტურისტულ მარშრუტზე, რომელიც აკავშირებს შერჩეულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ბუნების ძეგლებს და სათხილამურო ადგილებს. შერჩეული უბნები/ქვეპროექტები შეავსებს იმ ობიექტთა რიცხვს, რომლებიც მთავრობამ უკვე დააფინანსა. ეს საქმიანობა შეიძლება დაჯგუფდეს ორ კატეგორიად:

- სამი ურბანული ცენტრის, კერძოდ კი დუშეთის, სტეფანწმინდისა და აბასთუმნის რეაბილიტაცია. პროექტი იმუშავებს მთავრობის მიერ ადრე დაფინანსებული ურბანული პროექტების მიმართულებითაც და შესაძლოა დააფინანსოს მცირემასშტაბიანი საინვესტიციო პროექტები მცხეთაში, გუდაურში, ბაკურიანში, ბორჯომსა და ახალციხეში.
- შემდეგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვის გაუმჯობესება და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მისასვლელი გზების მოწყობა: საფარის მონასტერი, საროს დარბაზები, ზარზმის მონასტერი, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, ვანის ქვაბები, ხერთვისის ციხე, ახალქალაქის ციხე, თმოგვის ციხე, ჯვრის მონასტერი, მცხეთის არქეოლოგიური უბნები, ანანურის ციხე, გერგეტის სამების ეკლესია და დარიალის მონასტერი.

კომპონენტი 1.2: საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარება კერძო ინვესტიციების მოსაზიდად (7.25 მილიონი აშშ დოლარი). რეგიონში კერძო სექტორის ინვესტიციების წახალისების მიზნით, ეს კომპონენტი დაეხმარება პროექტის არეალში მოქმედი კერძო სექტორის იმ სუბიექტების წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობას, რომელთაც ტურიზმის ან აგრობიზნესის სფეროში ინვესტირების ინტერესი და უნარი გააჩნიათ. კერძოდ, ამ მიზნით დაფინანსდება ისეთი დამხმარე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც საჭიროა კერძო ინვესტიციების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (მაგ.,

ინვესტიციების სიახლოვეს არსებული საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები, გზები/ტროტუარები, წყალმომარაგების/საკანალიზაციო სისტემა, კომუნიკაციები, მაგისტრალურ გზებთან დამაკავშირებელი მონაკვეთები და სხვა). საინვესტიციო წინადადებებს გადაარჩევს სპეციალური შემრჩევი კომიტეტი, რომელიც დააკმაყოფილებს სათანადო პირობებს.

კომპონენტი 2: ინსტიტუციური განვითარება (6.60 მილიონი აშშ დოლარი).

მოცემული კომპონენტი ხელს შეუწყობს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP), ეროვნული მუზეუმის, პროექტების განმახორციელებელი ერთეულის (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, MDF), ასევე სხვა ადგილობრივი თუ რეგიონული უწყებების ინსტიტუციურ განვითარებასა და ფუნქციონირებას, რათა მათ შეეძლოთ შემდეგი საქმიანობის განხორციელება: მმართველობითი ერთეულის დაარსება თითოეულ რეგიონში; მარკეტინგი და რეკლამირება; პროექტით მოცული ყველა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის მდგრადი მართვის გეგმების მომზადება; კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული განვითარება; კულტურული მემკვიდრეობის მრჩეველთა სამსახურის შექმნა NACHP-თვის, რათა მან უკეთ შესძლოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის - მცხეთის ისტორიული ძეგლის დაცვა, მართვა და არ დაუშვას მისი ამოღება საშიშროების ქვეშ მყოფი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან; ტურიზმის სექტორში მომუშავე SME-ებისთვის საქმიანობის დაწყება-გაფართოებისთვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურება; საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება; ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის, საპროექტო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის განხორციელება.

RDP III-ის განხორციელების პროცესი

SECHSA-ს შედეგად გამოვლენილი იქნა, რომ RDS-ებისა და RTDS-ების შემუშავებისას ძირითადი ინსტიტუტები არაკოორდინირებულად მოქმედებდნენ. RDP III-ის განხორციელების პროცესში მსგავსი პრობლემის თავიდან ასაცილებლად, SECHSA-ს ფარგლებში შემუშავებული იქნა მენეჯმენტის სისტემის გაძლიერების რეკომენდაცია. RDP III-ით გათვალისწინებული ტექნიკური დახმარება არა მხოლოდ RDP III-ის განხორციელებაში ჩართული ცალკეული უწყებების ორგანიზაციულ განვითარებას უზრუნველყოფს, არამედ შესაძლოა RDP III-ისთვის უფრო ეფექტური, სექტორთაშორისი მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბებასაც შეუწყოს ხელი. პროექტის მრავალსექტორული ხასიათის გამო, SECHSA-ს შედეგად რეკომენდირებული იქნა არაფორმალური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა უწყება, მათ შორის: მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გუბერნატორის ადმინისტრაცია, ფინანსთა სამინისტრო და რეგიონული განვითარებისა & ინფრასტრუქტურის სამინისტრო. სამუშაო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს კოორდინაცია და სათანადო უწყებების ეფექტურად ჩართულობა. იგი პასუხისმგებელი უნდა იყოს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაზე.

მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF) პასუხისმგებელი იქნება RDP III პროექტის განხორციელებაზე. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორცაა ქვე-პროექტების შერჩევა, წამყვანი როლი სამუშაო ჯგუფს ექნება. ინფრასტრუქტურული ქვე-პროექტების შემუშავებაში, ასევე ინფრასტრუქტურული და კონსერვაცია-რეაბილიტაციის ქვე-პროექტების განხორციელებაში წამყვანი როლი აკისრია MDF-ს, რომელიც RDP III-ის განმახორციელებელ სააგენტოს წარმოადგენს. კონსერვაცია-რეაბილიტაციის ქვე-პროექტების შემუშავებისას წამყვანი

როლი ეკისრება NACHP-ს, როცა ეს ქვე-პროექტები დასაფინანსებლად RDP III-ში წარედგინება. განხორციელებული პროექტების ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობა იქნება. MDF-ი და ადგილობრივი თვითმმართველობები ხელს მოაწერენ ქვე-პროექტების დაფინანსების ხელშეკრულებას, სადაც ცხადად იქნება განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობა ყველა გადაცემული აქტივის ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაზე.

არანებაყოფლობითი ადგილმონაცვლეობა და გასაჩივრების მექანიზმი

RDP III-სთან დაკავშირებით მოქმედებს მსოფლიო ბანკის პოლიტიკა OP 4.12 "არანებაყოფლობითი ადგილმონაცვლეობა". ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებული ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ადგილსამყოფელის დროებით შეცვლასა და/ან შემოსავლის ან საწარმოო აქტივების დაკარგვასთან მშენებლობის პერიოდში. თუმცა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამუდამო ადგილმონაცვლეობის შემთხვევებსაც. პროექტისთვის მომზადდა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც პოლიტიკით გათვალისწინებული წესის მიხედვით გასაჯაროვდა. ამას გარდა, სამიზნე რეგიონებში განხორცილდა საბაზისო სოციალური კვლევა. აღნიშნული სოციალური კვლევის შედეგები სრულიად საკმარისია განსახლების საქმიანობისათვის. კერძოდ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან კონსულტაციები გაიმართება ადვილად მისადგომ ადგილებში, მათთვის გასაგებს ენაზე და შეხვედრების შედეგები გასაჯაროვდება. ინფორმაცია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების შესახებ იმგვარად შეგროვდება, რომ შესაძლებელი გახდეს იმ საკითხების გამოვლენა, რომელთა გამოც ეს პირები ან მათ ოჯახები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან პროექტის ზემოქმედების მიმართ და მასთან გამკლავება არ შეუძლიათ. მოწყვლადობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება გენდერი, შეზღუდული შესაძლებლობები, შემოსავალი, განათლება და ასაკი. მცხეთა-მთიანეთში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მთიანი დასახლებების მოსახლეობას.

ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებული საქმიანობა უნდა მოიცავდეს საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებებს. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირები შეძლებისდაგვარად ჩართულნი იქნებიან პროექტის ფარგლებში დაფინანსებული უნარ-ჩვევების განვითარების აქტივობებში. როცა ეს ვერ ხერხდება, პროექტი შეეცდება ეს პირები დააკავშიროს სახელმწიფოს ან დონორების მიერ დაფინანსებულ სხვა ღონისძიებებში, რომლებიც უნარ-ჩვევების განვითარებას, შემოსავლების გაზრდას, ან ფინანსური რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ემსახურება. თუკი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირებისათვის სათანადო აქტივობების მოძებნა ვერ მოხერხდა, RDP III ამ პირებს გამოუყოფს მცირე ბიზნესის დასაწყებად, უნარ-ჩვევების შესაძენად, ან სხვა საარსებო საშუალებების გასავითარებლად საჭირო თანხებს. RDP III განსაკუთრებულ ძალისხმევას მოახმარს საარსებო საშუალებების აღდგენის საქმიანობაში ქალების ან პენსიონერების ჩართვას, რადგანაც, სავარაუდოდ, ამ ორ ჯგუფს უფრო მეტად გაუჭირდება სხვა საარსებო საშუალების მოძიება.

ადგილმონაცვლეობისა და მიწის შესყიდვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება სისტემატურად უნდა განხორციელდეს. ადგილმონაცვლე პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე, ასევე საარსებო საშუალებათა აღდგენის ღონისძიებებში ჩართულ პირებზე ზემოქმედების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სპეციალურად შემუშავებული განსახლების სამოქმედო გეგმების განხორციელებისთანავე, ასევე ადგილმონაცვლეობიდან 6 და 12 თვის შემდეგ. თუ ადგილმონაცვლეობიდან 12 თვის შემდეგ დაფიქსირდება ისეთი უარყოფითი ზემოქმედება,

როგორცაა შემცირებული შემოსავალი, აუცილებელი იქნება ამგვარი პირებისთვის დამატებითი დახმარების აღმოჩენა.

ტექნიკური დახმარების გაერთიანება ტურიზმისა და აგრობიზნესის სფეროში მომუშავე SME-ების ეფექტიანობის ასამაღლებლად

RDP III-თი გათვალისწინებული ტექნიკური დახმარების შედეგები შეიძლება მაქსიმუმამდე გაიზარდოს WB-ს მიერ მხარდაჭერილი RDP, RDP II და RDP III პროექტების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების კოორდინირებით. SME-ს ხელშეწყობა ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში საჭიროა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, რადგანაც ეს სამინისტრო ახორციელებს SME-ს მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამას. შესწავლილი უნდა იქნას დონორთა მიერ SME-ს მხარდაჭერის მიზნით დაფინანსებულ პროექტებთან პარტნიორობის შესაძლებლობები. SME-ების ტექნიკური დახმარება უნდა მოიცავდეს ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებას არსებული მცირენარჩენიანი ტექნოლოგიებისა და ზოგადად, მწვანე ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე SME-ებისათვის ამ ტექნოლოგიების დანერგვის მასტიმულირებელი უნდა იყოს.

SME-ს განვითარების მხარდაჭერის მიზნით აღმოჩენილი ტექნიკურ დახმარების ფარგლებში ასევე საჭიროა SME-ზე პასუხისმგებელი სახელისუფლებო უწყებებისთვის კონსულტაციების აღმოჩენა SME-ს მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კუთხით არსებულ მაღალეფექტურ ტექნოლოგიებსა და მეთოდებთან დაკავშირებით. კერძოდ, საჭიროა 'ბიზნეს ინკუბატორების' კონცეფციის, ან სხვა ისეთი მიდგომების ხელშეწყობა, რომლებიც კომპლექსურად უდგება SME-ს განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა ძირეულ საკითხს. 'ბიზნეს ინკუბატორების' კონცეფცია მოიცავს შემდეგს: ა) ფინანსების უზრუნველყოფა ბიზნეს-საქმიანობის წამოსაწყებად; ბ) საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ფინანსების მართვისა და მარკეტინგის საკითხებზე; გ) საკონსულტაციო მომსახურების გაწევა თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით და ამ ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; დ) თანამედროვე მასალებზე, მანქანა-დანადგარებზე და ეფექტურ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ე) საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ახალი და პერსპექტიული ბაზრების დაპყრობასთან დაკავშირებით და ასეთ ბაზრებზე გასვლის ხელშეწყობა; ვ) ბიზნეს ინკუბატორები, როგორც მეწილეები (მუდმივი, ან დროებითი), პასუხისმგებლობას ინაწილებენ საწარმოს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოების ჩართვა ძეგლების შერჩევასა და ძეგლების შემოგარენში განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავებაში

RDP III-ის მე-2 კომპონენტი დააფინანსებს კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის მართვის საკითხებზე მომუშავე რამდენიმე დაწესებულების ორგანიზაციულ განვითარებას და თანამშრომლების ტრენინგებს. RDP და RDP II პროექტებიდან მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოების ჩართვა პროექტის ფარგლებში დაფინანსებული მატერიალური კულტურული რესურსების ქვე-პროექტების განხილვის, შემუშავებისა და განხორციელების ყველა ეტაპზე. ფაქტიურად, აღნიშნული წარმოადგენს OP 4.11-სა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნას; თუმცა, ასეთი კონსულტაციის პროცესი ყოველთვის ეფექტურად არ ხორციელდება. ამას გარდა, საჭიროა კონსულტაციები ეკლესიასთანაც, როცა RDP III საქმიანობას აფინანსებს ღვთისმსახურების ადგილების შემოგარენში. განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ინსტიტუტების (ICOMOS, UNESCO) რეკომენდაციების და მითითებების

გათვალისწინება. საქართველოს კულტურის სამინისტროს შეყვანა RDP III-ის განმახორციელებელი უწყების - MDF-ის სამეთვალყურეო საბჭოში უზრუნველყოფს პოლიტიკურ კონსენსუსს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კონსერვაციისა და მდგრადი სარგებლობის კუთხით პროექტის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს.

კულტურული მემკვიდრეობის უბნების შემოგარენში მოწყობილი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები

საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ობიექტები, რომლებიც RDP III-ს ფარგლებში მოეწყობა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე გაშენდება. მშენებლობის პერიოდში შესაძლოა საჭირო გახდეს მიწის ნაკვეთზე სარგებლობის უფლების MDF-ისთვის გადაცემა, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში იმ სუბიექტისთვის, ვინც ექსპლუატაციას გაუწევს მოწყობილ ინფრასტრუქტურას. ამ შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს მუნიციპალიტეტს, კერძო კომპანიას, ან ეკლესიას. მიწის საკუთრებასთან და სარგებლობასთან, ასევე ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დროულად უნდა დაიდოს. შესაძლოა საჭირო გახდეს ინფრასტრუქტურის ოპერატორი სუბიექტების ინსტრუქტაჟი და სწავლება მათ მიერ განსახორციელებელ გარკვეულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

8. ინფორმაციის გასაჯაროება და გავრცელება

SECHSA განხორციელდა სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის RDS-ებისა და RTDS-ების ანალიზის საფუძველზე. SECHSA ანგარიშის დასრულებამდე მოეწყო განხილვები ფოკუს-ჯგუფებთან, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობასთან, უმცირესობების წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ ჯგუფებთან. რეგიონული სტრატეგიების და RDP III-ის განხორციელების გამო ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების საკითხები განხილულ იქნა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ადმინისტრაციასა და მუნიციპალურ ხელისუფლებასთან ერთად კონსულტაციების ამ ადრეულ საფეხურზე გამოვლინდა, რომ RDP III-ის რესურსებზე მოთხოვნა გაცილებით აღემატება იმ ინვესტიციებს, რომლებიც მოცემულმა პროექტმა შეიძლება სამიზნე რეგიონებში განახორციელოს. ამდენად, საინვესტიციო წინადადებების მიღების, განხილვისა და დამტკიცების პროცესის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება უკიდურესად მნიშვნელოვანი იქნება პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე.

SECHSA-ს ანგარიშის წინამდებარე არატექნიკური რეზიუმეს ქართულ და ინგლისურენოვანი ვერსიები გასაჯაროვდა ცენტრალურ დონეზე და ორი სამიზნე რეგიონში; ამასთან, 2015 წლის თებერვალში რეგიონულ ცენტრებში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები. სამიზნე რეგიონებში დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული კომენტარების გარდა, შესწავლილი იქნება MoENRP-ის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, NACHP-ს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ქართული მართმადიდებლური ეკლესიისა და საქართველოში მოქმედი ძირითადი არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებები და ხედვა.

1. შესავალი

სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების და ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების წინამდებარე სტრატეგიული შეფასება (SECHSA) მომზადებული იქნა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონული განვითარების პროექტისათვის (RDP III), RDP III პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პარალელურ რეჟიმში. შესავალ ნაწილში აღწერილია კავშირი RDP III-სა და რეგიონული და ტურიზმის განვითარების სტრატეგიებს შორის, ასევე SECHSA ამოცანები და სტრუქტურა.

1.1 რეგიონული განვითარების მესამე პროექტი (RDP III)

საქართველოს მთავრობამ ბანკს მიმართა რეგიონული განვითარების მესამე პროექტისათვის (RDP III) 60 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის თხოვნით. პროექტი მოიცავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, რომელიც მდებარეობს იმერეთის რეგიონიდან სამხრეთით, გააჩნია მზარდი ეკონომიკა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი გამოუყენებელი პოტენციალი და ასევე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონს, რომელიც მდებარეობს დედაქალაქის მახლობლად, კახეთიდან დასავლეთით, განვითარების დაბალი დონით გამოირჩევა, თუმცა ამავედროულად აქ წარმოდგენილია შესანიშნავი ბუნება, სათხილამურო კურორტები და მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ქალაქი მცხეთა (საქართველოს ძველი დედაქალაქი). ამ რეგიონებში განხორციელებულ ინვესტიციებს შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს ტურისტული სერვისები და გაამდიდროს საქართველოს ტურისტული მარშრუტები, რისი წყალობითაც გაიზარდება ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და შეიქმნება სამუშაო ადგილები.

RDP III-ის ძირითადი მიზანია ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესება სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ტურისტული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა სარგებელს მოუტანს როგორც სამიზნე რეგიონების მოსახლეობას, ასევე მათ ტურისტებს. კერძოდ, პროექტის განხორციელება გაზარდის საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას, ხარისხსა და სანდობას; კერძო სექტორის ინვესტიციებს მოიზიდავს რეგიონებში; და გაზარდის კლიენტთა მომსახურების პუნქტების (ტურიზმის სფეროში მომუშავე კომპანიების) რაოდენობას განახლებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და ქალაქებში. ქვეყნის ხელისუფლება სარგებელს მიიღებს გარკვეული უწყებებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების სახით. საერთო ჯამში, პროექტის გაზარდის მოსახლეობის შემოსავლებსა და გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.

რეგიონული განვითარების III პროექტი მოიცავს 2 კომპონენტს:

კომპონენტი 1: ინფრასტრუქტურული ინვესტიცია (53.25 მილიონი აშშ დოლარი)

კომპონენტი 1.1: ურბანული ცენტრების სარეაბილიტაციო სამუშაოები და ტურისტული მარშრუტის განვითარება (46.00 მილიონი აშშ დოლარი). მოცემული კომპონენტის ფარგლებში

დაფინანსდება: ძველი ქალაქებისა და სოფლების რეაბილიტაცია, მათ შორის შენობათა ფასადების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, მუზეუმების, გზებისა და წყალმომარაგების სისტემების რემონტი, ასევე კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლებისა და მათთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია-მოწესრიგების სამუშაოები, ასევე მათი ცნობადობის კუთხით განხორციელებული საქმიანობა. პროდუქციის/სერვისების შექმნისა და მარკეტინგის პოტენციალის, ინფრასტრუქტურის საჭიროებისა და დასაქმების დონის გათვალისწინებით, პროექტი ფოკუსირებული იქნება იმ ტურისტულ მარშრუტზე, რომელიც აკავშირებს შერჩეულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ბუნების ძეგლებს და სათხილამურო ადგილებს. დასაფინანსებლად შერჩეული უბნები/ქვეპროექტები განხილული იქნა მთავრობასთან ერთად და ისინი შეავსებს იმ ობიექტთა რიცხვს, რომლებიც მთავრობამ უკვე დააფინანსა. ეს საქმიანობა შეიძლება დაჯგუფდეს ორ კატეგორიად:

- სამი ურბანული ცენტრის, კერძოდ კი: დუშეთის, სტეფანწმინდისა და აბასთუმნის რეაბილიტაცია. პროექტი იმუშავებს მთავრობის მიერ ადრე დაფინანსებული ურბანული პროექტების მიმართულებითაც და შესაძლოა დააფინანსოს მცირემასშტაბიანი საინვესტიციო პროექტები მცხეთაში, გუდაურში, ბაკურიანში, ბორჯომსა და ახალციხეში. დამატებითი ინვესტიციების განხორციელების საჭიროება ახალქალაქში, ნინოწმინდასა და ხერთვისში დეტალურად იქნება შეფასებული.
- შემდეგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვის გაუმჯობესება და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მისასვლელი გზების მოწყობა: საფარის მონასტერი, საროს დარბაზები, ზარზმის მონასტერი, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, ვანის ქვაბები, ხერთვისის ციხე, ახალქალაქის ციხე, თმოგვის ციხე, ჯვრის მონასტერი, მცხეთის არქეოლოგიური უბნები, ანანურის ციხე, გერგეტის სამების ეკლესია და დარიალის მონასტერი.

კომპონენტი 1.2: საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარება კერძო ინვესტიციების მოსაზიდად (7.25 მილიონი აშშ დოლარი). რეგიონში კერძო სექტორის ინვესტიციების წახალისების მიზნით, ეს კომპონენტი დაეხმარება პროექტის არეალში მოქმედი კერძო სექტორის იმ სუბიექტების წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობას, რომელთაც ტურიზმის ან აგრობიზნესის სფეროში ინვესტირების ინტერესი და უნარი გააჩნიათ. კერძოდ, ამ მიზნით დაფინანსდება ისეთი დამხმარე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც საჭიროა კერძო ინვესტიციების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (მაგ., ინვესტიციების სიახლოვეს არსებული საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები, გზები/ ტროტუარები, წყალმომარაგების/ საკანალიზაციო სისტემა, კომუნიკაციები, მაგისტრალურ გზებთან დამაკავშირებელი მონაკვეთები და სხვა). საინვესტიციო წინადადებებს გადაარჩევს სპეციალური შემრჩევი კომიტეტი, რომელიც დააკმაყოფილებს სათანადო პირობებს.

კომპონენტი 2: ინსტიტუციური განვითარება (6.60 მილიონი აშშ დოლარი).

მოცემული კომპონენტი ხელს შეუწყობს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP), ეროვნული მუზეუმის, პროექტების განმახორციელებელი ერთეულის (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, MDF), ასევე სხვა ადგილობრივი თუ რეგიონული უწყებების ინსტიტუციურ განვითარებასა და ფუნქციონირებას, რათა მათ შეეძლოთ შემდეგი საქმიანობის განხორციელება: მმართველობითი ერთეულის დაარსება თითოეულ რეგიონში; მარკეტინგი და რეკლამირება; პროექტით მოცული ყველა კულტურული მემკვიდრეობის

ძეგლისათვის მდგრადი მართვის გეგმების მომზადება; კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული განვითარება; კულტურული მემკვიდრეობის მრჩველთა სამსახურის შექმნა NACHP-თვის, რათა მან უკეთ შესძლოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის - მცხეთის ისტორიული ძეგლის დაცვა, მართვა და არ დაუშვას მისი ამოღება საშიშროების ქვეშ მყოფი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან; ტურიზმის სექტორში მომუშავე SME-ებისთვის საქმიანობის დაწყება-გაფართოებისთვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურება; საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება; ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის, საპროექტო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის განხორციელება.

რეგიონებში ტურისტული ნაკადების გასაზრდელად, ასევე ტურიზმთან დაკავშირებული ადგილობრივი და რეგიონული უწყებების ინსტიტუციური შესაძლებლობის განსავითარებლად და საქმიანობის გასაუმჯობესებლად პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ტურისტული ნაკადების რეგიონული მართვის ორგანიზაციების (DMO) ჩამოყალიბებას. ფაქტობრივად არ არსებობს ერთი უწყება, რომელიც იმუშავებდა ხელისუფლებასთან, დონორებთან, მოგზაურთა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაეხმარებოდა მათ პროდუქციის/სერვისების განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ასევე ტურისტული ადგილების მარკეტინგის საკითხებში. დაგეგმილი პროექტის ითვალისწინებს DMO-ს როლსა და მნიშვნელობას, ასევე ორგანიზაციის კუთხით დაგროვილ გამოცდილებას.

არსებითი საკითხია ტურიზმისა და აგრობიზნესის სექტორებში მომუშავე SME-ების განვითარება, ასევე მათთვის ბაზრებისა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MESD) გეგმავს მიკრო-ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ყველა რეგიონებში. ამასთან დაკავშირებით, მოცემული კომპონენტი ითვალისწინებს ტექნიკურ დახმარებას, რომელიც SME-ებს საკონსულტაციო მომსახურებას აღმოუჩენს ბიზნესის წამოწყება-გაფართოების საკითხებთან დაკავშირებით, რათა მათ მარტივად შესძლონ MESD-ს მიერ შეთავაზებულ მიკრო-საფინანსო პროგრამებში მონაწილეობა.

1.2 რეგიონული და სექტორული კონტექსტი: სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების RDS და RTDS

სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიები შემუშავებული იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების 2015-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისად. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 2014-2021 წლების RDS-ი მომზადდა და მიღებული იქნა 2013 წელს. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 2014-2021 წლების RDS-ის პირველი სამუშაო ვერსია წარდგენილია განსახილველად და, სავარაუდოდ, იგი დასრულდება და დამტკიცდება უახლოეს მომავალში. ამ დოკუმენტის დამტკიცებამდე ძალაშია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 2012-2017 წლების RDS-ი (მომზადებული იქნა 2012 წელს.) RDS-ის დოკუმენტები შეიმუშავეს რეგიონულმა ადმინისტრაციებმა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და მუნიციპალურ ხელისუფლებასთან, MRDI-სა და ადგილობრივი

მოსახლეობასთან ინტენსიური კონსულტაციების გზით. სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიულმა ეკონომიკურმა ანალიზმა¹ და რეგიონის განვითარების სტრატეგიებმა² გამოავლინა, რომ ამ რეგიონების ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალებია ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა.

ცალკეული რეგიონებისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიების შემუშავება დაიწყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: 2020-ის და საქართველოს რეგიონული განვითარების 2015-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგიის (SRDG) გათვალისწინებით. ორთავე სამიზნე რეგიონის ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგია (RTDS), საეთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის დახმარებით, 2014 წელს მომზადდა, რათა ამ რეგიონებისათვის განსაზღვრულიყო ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, ასევე მომხდარიყო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის დასაბუთება. თითოეული რეგიონის ტურისტული მარშრუტები ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით იქნა შემუშავებული. ორთავე რეგიონში მრავლადაა მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე პროდუქტები/სერვისები და ამისი გამოყენებისათვის საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ეკოსისტემების და ველური ბუნების დაცვა და რესტავრაცია, ასევე ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტების და ზაფხული სამთო-სათავგადასავლო საქმიანობის განვითარება. სამიზნე რეგიონების ტურისტული პოტენციალის ათვისების შედეგად სასტუმროებსა და SME სექტორში შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

სტრატეგიებში გამოყენებულია ტურიზმის სექტორის საწარმოო ღირებულებათა ანალიზი და ბაზრის შეფასების მეთოდოლოგია, რომელთა მეშვეობითაც განისაზღვრა სამიზნე რეგიონებში არსებული შესაძლებლობები, სირთულეები და ტურისტული სექტორის განვითარების საჭიროება. აღნიშნული რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და კერძო სექტორში ჩადებული ინვესტიციების გაზრდის შესაძლებლობას იძლევა, რაც, თავის მხრივ, გაზრდის პროდუქტიულობას და სამუშაო ადგილებს, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლების მიღების შესაძლებლობებს შექმნის.

1.3 საქართველოს სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარებისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიები

1.3.1. სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების სტრატეგიები

სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიები შემუშავებული იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლებისა სტრატეგიისა და საქართველოს რეგიონული განვითარების 2015-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისად. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 2014-2021 წლების RDS-ი მომზადდა და მიღებული იქნა 2013 წელს. მცხეთა მთიანეთის რეგიონის 2014-2017 წწ. განვითარების სტრატეგია რეგიონული განვითარების კომისიამ უკვე მიიღო და უახლოეს მომავალში დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას. RDS-ებში მოცემულია რეგიონების

¹ ტერიტორიულ-ეკონომიკური ანალიზი განხორციელებული იქნა პროექტის შემუშავების პროცესში, დაგეგმილი საქმიანობის დასაბუთების მიზნით და ამისთვის გამოყენებული იქნა ეკონომიკური გეოგრაფიის ანალიტიკური ჩარჩო WDR 2009.

² სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიები მომზადდა 2014 წელს, ევროკავშირის და GiZ-ის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

განვითარების ხედვა 2021 წლისათვის, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები.

ორთავე სამიზნე რეგიონის განვითარების სტრატეგიები ადგენს პრიორიტეტებს და მიზნად ისახავს შემდეგი სექტორების განვითარებას:

- **სოფლის მეურნეობა** (თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მცენარეთა ახალი სახეობების შემოტანა მოსავლიანობის გაზრდის მიზნით; ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა მეცხოველეობისა და მეფრინველეობის დარგებში; პროდუქციის სასაწყობო შენობა-ნაგებობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობა და სხვა)
- **ენერგეტიკის სექტორი** (მცირე და დიდი ჰესების მშენებლობა; რეგიონში არსებული ალტერნატიული ენერჯის წყაროების - ქარისა და მზის ენერჯის გამოყენება)
- **ინფრასტრუქტურა** (რეგიონალური და ადგილობრივი გზები; წყალმომარაგება და კანალიზაცია; ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები; ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა; ელექტროგადამცემი ხაზები და გაზომომარაგება; საკომუნიკაციო სისტემები და სხვა)
- **ბუნებრივი რესურსების მოხმარება და მდგრადი მართვა** (ორთავე სამიზნე რეგიონში შესაძლებელია შემდეგი ბუნებრივი რესურსების ათვისება: მტკნარი და მინერალური წყლის რესურსები; ტყის მერქნული და არამერქნული პროდუქტები; ინერტული სამშენებლო მასალები. ამას გარდა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებობს ქვანახშირის გარკვეული მარაგი და მიმდინარეობს ნავთობის მარაგების დამიება)
- **ტურიზმი** (ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურადაა განხილული RTDS-ებისადმი მიძღვნილ თავებში)
- **მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა** (ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, კვების პროდუქტების გადამამუშავების, სამშენებლო მასალების წარმოების, ალტერნატიული ენერჯის, მშენებლობის და მომსახურების სფეროებში)
- **საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება (ვაჭრობა, ტურიზმი, გარემოს დაცვა, ენერგოსექტორი)**
- **გარემოს დაცვის პროგრამები:**

1.3.2 სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიები

სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების (RTDS) მიზანია ამ რეგიონების ტურისტული ადგილების კონკურენტუნარიანობის ანალიზი, რაც საწარმოო ღირებულებათა მიდგომით განხორციელდა. აღნიშნული ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, Solimar International-ის დახმარებით, ძირითადად დაინტერესებულმა მხარეებმა ჩამოაყალიბეს რეგიონის ხედვა, მისი განვითარების წინადადებები, პროგნოზები და სამოქმედო დღის წესრიგი. ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი მოიცავდა კამერალურ კვლევას, შეხვედრებსა და ჯგუფურ დისკუსიებს სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან; ამას გარდა, განხორციელებული იქნა სავლელე გასვლები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

სამცხე-ჯავახეთის RTDS-ი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი 6413 კმ²-ზეა გადაჭიმული, ხოლო მისი მოსახლეობა 160 504 კაცს შეადგენს. მასში შედის 6 მუნიციპალიტეტი: ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი და ნინოწმინდა. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ახალციხე. კულტურული

მემკვიდრეობის და ბუნების ძირითადი ძეგლებია: რომანოვების სასახლე ლიკანში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რაბათის ციხე ახალციხეში, საფარის მონასტერი, აწყურის ტაძრის ნანგრევები და ციხე, აბასთუმნის კურორტი და ობსერვატორია, ზარზმის მონასტერი, ჭულევის მონასტერი და ზანავის ციხე, ოქროს ციხე, ხერთვისის ციხე, წუნდის ეკლესია და წუნდის ტბა, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი და ვანის ქვაბები, კუმურდოს ეკლესია, ფოკის მონასტერი. ბუნების ძირითადი ძეგლები წარმოდგენილია შემდეგით: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ჯავახეთის ეროვნული პარკი და დაცული ტერიტორიები, სადაც მოქცეულია ექვსი ტბა - ეს ადგილები მსოფლიოში ცნობილი ფრინველებზე დაკვირვების ადგილია, სადაც კარგადაა შემონახული ბუნებრივი ლანდშაფტები და ბიომრავალფეროვნება.

საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული ტურისტული პოტენციალი აუთვისებელია. ქვეყანა და მათ შორის სამიზნე რეგიონები გახსნილია რეგიონისა და ევროპული ბაზრებისათვის. ამას გარდა, აქ არსებობს კარგი ინფრასტრუქტურა, ბიზნესზე მორგებული გარემო და კულტურული თუ ბუნების ძეგლების დიდი ნაირფეროვნება. ქვემოთ მოცემულია ქვეყნის ვიზიტორების, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების, ტურიზმის სექტორში დასაქმების, ტურიზმის სექტორში მომუშავე SME-ების და სასტუმროს საწოლების პროგნოზი სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის. პროგნოზი შესრულებულია სამი სცენარისთვის, საქართველოს მიერ საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წლიური ზრდის ჯამური მაჩვენებლის (CARG) გათვალისწინებით. შეფასებისათვის გამოყენებული იქნა უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდა, რადგანაც იგი პირდაპირ კორელაციაშია ინდიკატორებთან; ამას გარდა, ეს ინდიკატორი ასახავს ტურიზმის ეკონომიკურ ზემოქმედებას და მისი განვითარების ტენდენციას. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2014-2020 წლების პერიოდში სამიზნე ზრდის სცენარისათვის მიღებული პროგნოზი შემდეგია:

- უცხოელი ტურისტების რაოდენობა 2014 წელს 210,328 კაცს შეადგენდა, რაც 2020 წლისთვის 415,700 კაცს, ანუ 97%-იან ზრდას მიაღწევს.
- საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2014 წელში 175,660,988 აშშ დოლარიდან 2020 წლისთვის 347,183,027 აშშ დოლარამდე გაიზრდება.
- სასტუმროების მიერ საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, ოთახების 20%-იანი დატვირთვის გათვალისწინებით, 2014 წელში არსებული 52,779,954 აშშ დოლარიდან 2020 წლისთვის 136,600,421 აშშ დოლარამდე გაიზრდება.
- ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა 2014 წელში არსებული 17,243 კაციდან 2020 წლისთვის 34,080 ათას კაცს მიაღწევს, ანუ სამუშაო ადგილების რაოდენობა 16,837 ერთეულით გაიზრდება.
- სასტუმროებში საწოლების რაოდენობა 6 წელიწადში გაიზრდება 6,137-იდან 14,152-მდე, ანუ თითქმის გაორმაგდება.
- ტურიზმში ჩართული SME-ების რაოდენობა 6 წლის განმავლობაში გაიზრდება 70-იდან 138-მდე, ანუ შეიქმნება 68 ახალი საწარმო.

დღეისათვის, RDP III-იდან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 30,05 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებაა რეკომენდირებული 2015-2020 წლებში. სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში PPP ინვესტიციებისთვის დაიხარჯება 7.25 მილიონი აშშ დოლარი. მნიშვნელოვანია ინსტიტუციური შესაძლებლობისა და უნარ-ჩვევების განვითარების საკითხით. ტურისტული მარშრუტების მართვის/ მარკეტინგის, ტურისტული ბილიკების მოსაწყობად და მარშრუტების დასაგეგმად რეკომენდირებულია 2.6 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა. RDP III პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იქნება MDF-ი. სიფრთხილის ზომის სახით, სასურველი იქნებოდა სამუშაო კომიტეტის ჩამოყალიბება, ან ამ პროცესში კვალიფიციური კონსულტანტების ჩართვა. ამას გარდა, რეგიონში ტურიზმის განვითარების

მიზნით განხორციელებული ინვესტიციებისა და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის პროცესში საჭიროა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, ასევე თანამშრომლობა GNTA-ს, სხვა სახელისუფლებო ორგანოებსა და კერძო სექტორთან.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის RTDS-ი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონს 6.785 კმ² ფართობი უჭირავს, ხოლო მისი მოსახლეობა 94 573 კაცია. რეგიონში შედის 4 მუნიციპალიტეტი, ხოლო მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქ. მცხეთა. ძირითადი ურბანული დასახლებებია მცხეთა და დუშეთი. 2013 წელს რეგიონი მოინახულა 715,155 უცხოელმა ტურისტმა. რეგიონში არის 83 ღამის გასათევი ადგილი, მათ შორის 57% საოჯახო სასტუმრო, 39% სასტუმრო და 2% პანსიონი. რეგიონში მრავლადაა მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე პროდუქტები/სერვისები და ამისი გამოყენებისათვის საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ეკოსისტემების და ველური ბუნების დაცვა და რესტავრაცია, ასევე ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტების და ზაფხული სამთო-სათავგადასავლო საქმიანობის განვითარება. ტურისტული პოტენციალის ათვისების შედეგად, რეგიონის მთიან ნაწილში შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები (კურორტები: გუდაური-ყაზბეგი; კულტურული მემკვიდრეობის სოფლები: შატილი-მუცო), ხელი შეეწყობა სოფლის მოსახლეობას და შემცირდება ბარისკენ მიგრაცია. ტურისტულ მარშრუტებში შეიძლება შეტანილი იქნას შემდეგი ძირითადი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ბუნებრივი ლანდშაფტები: სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარი, ჯვრის მონასტერი, შიომღვიმის მონასტერი, ბაგინეთი-არმაზისა და სამთავრო-ძალისის არქეოლოგიური ძეგლები; ზედაზნის მონასტერი, ბოჭორმის ეკლესია, ანანურის ციხე, გერგეთის სამების ეკლესია; ისტორიული სოფლები შატილი და მუცო; სნოს ციხესიმაგრე.

საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული ტურისტული პოტენციალი აუთვისებელია. ქვეყანა და მათ შორის სამიზნე რეგიონები გახსნილია რეგიონისა და ევროპული ბაზრებისათვის. ამას გარდა, აქ არსებობს კარგი ინფრასტრუქტურა, ბიზნესზე მორგებული გარემო და კულტურული თუ ბუნების ძეგლების დიდი ნაირფეროვნება. ქვემოთ მოცემულია ქვეყნის ვიზიტორების, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების, ტურიზმის სექტორში დასაქმების, ტურიზმის სექტორში მომუშავე SME-ების და სასტუმროს საწოლების პროგნოზი მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის. პროგნოზი შესრულებულია სამი სცენარისთვის, საქართველოს მიერ საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წლიური ზრდის ჯამური მაჩვენებლის (CARG) გათვალისწინებით. შეფასებისათვის გამოყენებული იქნა უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდა, რადგანაც იგი პირდაპირ კორელაციაშია ინდიკატორებთან; ამას გარდა, ეს ინდიკატორი ასახავს ტურიზმის ეკონომიკურ ზემოქმედებას და მისი განვითარების ტენდენციას. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2014-2020 წლების პერიოდში სამიზნე ზრდის სცენარისათვის მიღებული პროგნოზი შემდეგია:

- უცხოელი ტურისტების რაოდენობა 2014 წელს 834,386 კაცს შეადგენდა, რაც 2020 წლისთვის 1,649,111 კაცს, ანუ 97%-იან ზრდას მიაღწევს.
- საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2014 წელში 474,149,974 აშშ დოლარიდან 2020 წლისთვის 937,127,958 აშშ დოლარამდე გაიზრდება.
- სასტუმროების მიერ საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, ოთახების 30%-იანი დატვირთვის გათვალისწინებით, 2014 წელში არსებული 37,167,524 აშშ დოლარიდან 20120 წლისთვის 92,591,529 აშშ დოლარამდე გაიზრდება.

- ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა 2014 წელში არსებული 46,544 კაციდან 2020 წლისთვის 91,991 ათას კაცს მიაღწევს, ანუ სამუშაო ადგილების რაოდენობა 45,477 ერთეულით გაიზრდება.
- სასტუმროებში საწოლების რაოდენობა 6 წელიწადში გაიზრდება 3,213-იდან 6,351-მდე, ანუ თითქმის გაორმაგდება.
- ტურიზმში ჩართული SME-ების რაოდენობა 6 წლის განმავლობაში გაიზრდება 119-იდან 235-მდე, ანუ შეიქმნება 116 ახალი საწარმო.

2015-2020 წლებში მცხეთა-მთიანეთში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საერთო ღირებულება 25,15 მილიონი აშშ დოლარს შეადგენს.

მნიშვნელოვანია ინსტიტუციური შესაძლებლობისა და უნარ-ჩვევების განვითარების საკითხით. ტურისტული მარშრუტების მართვის/ მარკეტინგის, ტურისტული ბილიკების მოსაწყობად და მარშრუტების დასაგეგმად რეკომენდირებულია 2.6 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა.

RDP III პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იქნება MDF-ი. სიფრთხილის ზომის სახით, სასურველი იქნებოდა სამუშაო კომიტეტის ჩამოყალიბება, ან ამ პროცესში კვალიფიციური კონსულტანტების ჩართვა. ამას გარდა, რეგიონში ტურიზმის განვითარების მიზნით განხორციელებული ინვესტიციებისა და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის პროცესში საჭიროა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, ასევე თანამშრომლობა GNTA-ს, სხვა სახელისუფლებო ორგანოებსა და კერძო სექტორთან.

1.4. ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების ამოცანები

წინამდებარე SECHSA-ს მიზანია ორი სამიზნე რეგიონის RDS-ების, RTDS-ებისა და დაგეგმილი RDP III პროექტის განხორციელების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე მოსალოდნელი პირდაპირი, ირიბი და კუმულატიური ზემოქმედების ანალიზი. SECHSA ანგარიშში ასევე მოცემულია სამიზნე რეგიონებისთვის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის დასრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და აღწერილია, RDP III-ს ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციები როგორ გაზრდის აღნიშნული გეგმების დადებით ზემოქმედებას და როგორ შეამცირებს, ან მინიმუმამდე როგორ დაიყვანს მათთან დაკავშირებულ რისკებს. დოკუმენტის ამ ნაწილში წარმოდგენილია სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების სტრატეგიისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასებისთვის განხორციელებული საქმიანობის აღწერა. SECHA-ს ფარგლებში გადაჭრილი იქნა შემდეგი სტრატეგიული საკითხები:

- ორ სამიზნე რეგიონის განვითარების სტრატეგიის და ტურიზმის განვითარების სტრატეგიის სამუშაო ვერსიების ანალიზი და ამ რეგიონებში 2020 წლისთვის განხორციელებული პროექტების პირდაპირი, ირიბი და კუმულატიური ზემოქმედების შეფასება.
- ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ზემოაღნიშნული სტრატეგიების საბოლოო ვერსიაში
- რეგიონებში დაგეგმილი ინვესტიციების ანალიზი და ისეთი ინსტიტუციური და სიფრთხილის ზომების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ამ რეგიონებში ტურიზმის მდგრად განვითარებას.
- RDP-სა და RDPII-და მიღებული გამოცდილების, SECHSA-ს განხორციელების მასშტაბებისა და ძირითადი შეცდომების ანალიზი

- საკვანძო რეკომენდაციების შემუშავება კულტურული მემკვიდრეობის უზნებზე განსახორციელებელი ინვესტიციებისათვის
- საკონსულტაციო შეხვედრების მოწყობა რეგიონისა და ადგილობრივ დონეზე, ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ღარიბი მოსახლეობისა და მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებისა და მოლოდინების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

SECHSA ანგარიშში მოცემულია: (i) სამიზნე რეგიონების ბუნებრივი და სოციალური გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი აღწერა; (ii) სამიზნე რეგიონების RDS-ების, RTDS-ებისა და დაგეგმილი RDP III პროექტის განხორციელების შედეგად სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე მოსალოდნელი პირდაპირი, ირიბი და კუმულატიური ზემოქმედების ანალიზი. ყურადღება გამახვილებულია სტრატეგიულ საკითხებსა და გადაწყვეტილებებზე და არა კონკრეტული საინვესტიციო პროექტების ზემოქმედებაზე; (iii) სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც უკავშირდება პროექტის განხორციელებით გამოწვეული რისკების შერბილებას; (iv) პროექტის განხორციელების დროს გარემოს, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხების კოორდინაციისა და მართვისთვის საჭირო ინსტიტუციური მოწყობა, ასევე სათანადო პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესრულების საკითხები; (v) ზემოთ აღნიშნული არსებული სისტემების საკმარისობის შეფასება, ასევე მათი ნაკლოვანი და სუსტი მხარეების ანალიზი (vi) რეკომენდაციები პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინსტიტუციური მოწყობის შესახებ.

SECHSA-ში მოცემული სტრატეგიული ზემოქმედების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები მხოლოდ RDP III პროექტს არ ეხება. ეს საკითხები სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების უფრო ფართო კონტექსტში, ტურიზმის განვითარების საერთო კონცეფციასთან ერთად უნდა იქნას განხილული, რის შესახებაც ნათქვამია GNTA-ს მიერ სამიზნე რეგიონებისთვის შემუშავებულ ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში. ამავდროულად, SECHSA-ში მოცემულია რეკომენდაცია, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული ინვესტიციებისათვის განხორციელდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მომზადდეს ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებათა გეგმები. აღნიშნული რეკომენდაცია ასევე გათვალისწინებულია პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო-დოკუმენტში (ESMF). ESMF-ი წარმოადგენს დამოუკიდებელ დოკუმენტს, რომელიც SECHSA-ზე უფრო ადრე მომზადდა; თუმცა, ამ პროცესში უზრუნველყოფილი იყო კონსულტაციები SECHSA-ს განმახორციელებელ კონსულტანტთან. ESMF-ის ძირითადი რეკომენდაციების SECHSA-ში ასახვა იმ მიზანს ემსახურება, რომ ეს პრინციპები RDP III პროექტის ფარგლებს გასცდეს და RDS-ების/RTDS-ების ფარგლებში განხორციელებული სხვა ინვესტიციების შემთხვევაშიც საუკეთესო გამოცდილების სახით იქნას გამოყენებული. ESMF-ის რეკომენდაციებთან ერთად, SECHSA-ში ასევე მოცემული კერძო საინვესტიციო პროექტების შერჩევის კრიტერიუმები. თუმცა RDP III ასეთი პროექტების დაფინანსებას არ ითვალისწინებს, მათი განხორციელება მოსალოდნელია RDS-ებისა და RTDS-ების ფარგლებში, ქვეყნის ხელისუფლების დაფინანსებით.

სტრატეგიული შეფასება განხორციელდა თანამონაწილეობითი პრინციპის დაცვით. იგი მოიცავდა კონსულტაციებს სათანადო სექტორული მიმართულებებისა და ადმინისტრაციული ერთეულების სახელმწიფო უწყებებთან, ბენეფიციართა სხვადასხვა ჯგუფებთან, პროექტის დადებითი და უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ მოსახლეობასთან, აკადემიურ წრებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2. სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების სოციალური გარემო, კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის განვითარების ტენდენციები

2.1 სამცხე-ჯავახეთი: სოციალური მახასიათებლები, კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის განვითარების ტენდენციები

2.1.1 სამცხე-ჯავახეთის სოციალური პროფილი

ტერიტორია

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი მოიცავს სამ ისტორიული პროვინციას:

სამცხეს, ჯავახეთსა და თორს. რეგიონი ესაზღვრება აჭარას, გუიას, იმერეთს, შიდა ქართლს, ქვემო ქართლს, სომხეთსა და თურქეთს. მისი ფართობია 6,413 მ². მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 25 კაცს 1 კმ²-ზე. რეგიონში ექვსი მუნიციპალური ერთეულია: ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ნინოწმინდის და ახალქალაქის. რეგიონული ცენტრია ახალციხე, სადაც სამხარეო ადმინისტრაციაა განთავსებული. რეგიონში 353 დასახლებული პუნქტია, საიდანაც ხუთი ქალაქი (ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ვალე, ნინოწმინდა), შვიდი დაბა (ბაკურიანი, ბაკურიანის ანდეზიტი, წაღვერი, ახალდაბა, ადიგენი, აბასთუმანი, ასპინძა) და 254 სოფელია. რეგიონს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს. იგი ესაზღვრება თურქეთსა და სომხეთს, რაც ამ მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისათვის ხელსაყრელ პირობებსა ქმნის.

მოსახლეობა

მოსახლეობის 2014 წლის საერთო აღწერის შედეგების მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 160.5 ათასი კაცია, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 4,3%-ს შეადგენს. ბოლო ათწლეულში მოსახლეობის კლების ტენდენცია შეიმჩნევა. რეგიონის მოსახლეობის 34% (ანუ 54,6 ათასი კაცი) ქალაქებში ცხოვრობს, ხოლო 66% (105.8 ათასი კაცი) – სოფლად. მუნიციპალიტეტებიდან ყველაზე დიდი მოსახლეობა ახალქალაქსა (60 975) და ახალციხეშია (46 133) დარეგისტრირებული.

ეთნიკური უმცირესობები და მოწყვლადი ჯგუფები

ცხრილი 2.1 სამცხე-ჯავახეთის რეგიონში წარმოდგენილი ეთნიკური ჯგუფები (წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის აღწერა)

რეგიონი მუნიციპალი ტეტები	სულ მოსახლე ობა	მათ შორის							
		ქართველ ი	აფხაზ ი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაი ჯანელი	ბერძე ნი	უკრაი ნელი
სამცხე- ჯავახეთი	160 504	77 498	42	393	81089	712	89	420	142

იძულებით გადაადგილებული პირები: დღეის მდგომარეობით, რეგიონში 1 267 იძულებით გადაადგილებული პირია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბინადრობს. მათი სოციალური, ეკონომიკური ან სხვა პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია დღემდე გამოქვეყნებულ არცერთ ანგარიშში არაა ასახული.

პენსიონერები: 2015 წელში, პენსიას და სოციალურ დახმარებას 35 235 ათასი პირი იღებდა. ეს რიცხვი რეგიონის მოსახლეობის 22%-ს შეადგენს და საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით მაღალი არაა.

საარსებო შემწეობის მიმღები პირები: 2015 წელს საარსებო შემწეობას 2 843 ოჯახი იღებდა, რაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ოჯახების 12,5%-ს შეადგენს. ეს საქართველოს მასშტაბით ყველაზე დაბალია მაჩვენებელია. სოციალური დახმარების ოდენობა ოჯახის უფროსზე თვეში 60 ლარია.

სახელმწიფო პროგრამების გარდა, სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების მიერ სხვადასხვა ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა: სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის ერთჯერად დახმარება; სამედიცინო ოპერაციების თანადაფინანსება; იძულებით გადაადგილებული და შეზღუდული შესაძლებლობების პირების დახმარება; უფასო სადილები; უსახლკარო ბავშვების დახმარება, მუნიციპალიტეტების სხვა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ფარგლებში შემუშავებული ჯანდაცვისა და სოციალური დაზღვევის პროგრამები ძირითადად ერთი ტიპსაა და ერთმანეთისგან დიდად არ განსახვავდება.

სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები

შრომის ბაზარი. 2014 წელში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთისა და გურიაში უმუშევრობის დონე ერთობლივად 5.1%-ს შეადგენდა, რაც გაცილებით ნაკლებია ქვეყნის საერთო მაჩვენებელზე (12,4%). ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ რეგიონების მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. თუმცა, რეგიონში დასაქმებულ მუშახელს, ან სხვა სფეროში სამუშაოს მაძიებელს ხშირად პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება სჭირდება. 2012 წელს, რეგიონში საშუალოდ 9750 დროებით დასაქმებული პირი იყო, რომელთა დიდი ნაწილიც დასაქმებული იყო მშენებლობაში, კვების პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობაში და ავტომანქანებისა და საყოფაცხოვრებო საგნების რემონტის სფეროში.

ინვესტიციების მოზიდვა და SME-ს განვითარება რეგიონში ეკონომიკური განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია. 2011 წელში, რეგიონში 495 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია განხორციელდა, საიდანაც 397 მილიონ ლარზე მეტი კერძო სექტორში იქნა ჩადებული. ბოლო წლებში გადამამუშავებელი მრეწველობისა და ენერჯეტიკის დარგში დიდი უცხოური ინვესტიციები ჩაიდო. რეგიონში ბიზნესის განვითარებასა და დასაქმებაზე უარყოფითა აისახება: საფინანსო ინსტიტუტების სერვისების ნაკლებად ხელმისაწვდომობა;

ბიზნესის სფეროში განათლების დაბალი დონე; მუშახელის დაბალი კვალიფიკაცია; მარკეტინგის არაეფექტური სტრატეგიები; მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება; და მეწარმეობის მცირე შესაძლებლობები.

მრეწველობა. რეგიონში არსებული მინერალური და სხვა ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სამრეწველო სექტორი შეიძლება განვითარებულიყო შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: სამთო მრეწველობა, მინერალური წყლების წარმოება და ავეჯისა და სხვა ხის პროდუქციის წარმოება. შედარებით იაფი მუშახელის არსებობის, ელექტროენერჯის შედარებით დაბალი ღირებულებისა და რეგიონის სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით, აქ შესაძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაც. რაღა თქმა უნდა, აუცილებელია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება და გადამამუშავებელი მრეწველობის არსებული პოტენციალის ათვისება.

ენერგოსექტორი. სამცხე-ჯავახეთში ელექტროენერჯის გამომუშავების დიდი პოტენციალი არსებობს. ამას გარდა, რეგიონი სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის ენერჯის სატრანზიტო კვანძს წარმოადგენს. რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ენერგორესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით ინვესტიციების მოზიდვაა. საქართველოსთვის ყველაზე მიმზიდველი ენერგობაზარი მეზობელი თურქეთია, სადაც ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა სწრაფად იზრდება. რეგიონში ახლახან დასრულდა ახალი 500/400/200 კვ ქვესადგურის და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, რაც შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის (BSTN) მოწყობის პროექტის ფარგლებში განხორციელდა. ამ პროექტის შედეგად, საქართველო კავკასიაში პირველი ქვეყანაა, რომლის ცვლადი დენის მაღალი ძაბვის ენერგოსისტემას შეუძლია 500 კვ დენი 400 კვ-ად გარდაქმნას და შემდეგ თურქეთს მიაწოდოს. ეს ქვესადგური ქვეყნის ელექტროსისტემის მეზობელი ქვეყნების ელექტროსისტემებთან მიერთების საშუალებას იძლევა. თურქეთის ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის შემდეგ, საქართველოს შეეძლება საკუთარი ელექტროენერჯის ექსპორტი და მეზობელ ქვეყნებში წარმოებული ელექტროენერჯის რეექსპორტი თურქეთში და, თურქეთის გავლით, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში.

ამჟამად რეგიონში 115000 მგტსთ ელექტროენერჯია იწარმოება, რაც ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერჯის 1.13%-ს შეადგენს. თუმცა, უახლოეს პერიოდში 5 ახალი ჰესის მშენებლობის დასრულების შემდეგ, რეგიონში ელექტროენერჯის გამომუშავება რვაჯერ გაიზრდება. ამას გარდა, ენერგეტიკის სამინისტრომ კიდევ 6 ჰესის განთავსების შესაძლებლობა გამოავლინა. რაღა თქმა უნდა, ამ პროექტების განსახორციელებლად ინვესტორების მოზიდვაა საჭირო.

რეგიონის ენერგოსექტორის პრიორიტეტებს შორისაა ასევე ენერჯის ალტერნატიული წყაროების განახლებადი ენერჯის გამოყენება და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა.

ამჟამად სამცხე-ჯავახეთში ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებაც ხდება; თუმცა, მარაგები ჯერ არაა დაზუსტებული. შპს Strait Oil and Gas-მა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან დადო ხელშეკრულება ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაძიებასა და შემდგომ მოპოვებასთან დაკავშირებით. რეგიონში ასევე არსებობს ვალე-ახალციხის ქვანახშირის საბადო. ქვანახშირის მადაროები ამუშავდა 1931 წელს, საიდანაც წლიურად დაახლ. 150 ათასი ტონა მურა ქვანახშირი მოიპოვებოდა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე თბოელექტროსადგურისათვის. ვალე-

ახალციხის საბადოდან დაახლ. 71.3 მილიონ ტონა ქვანახშირის მოპოვებაა შესაძლებელი, თუმცა ამჟამად მდარო შეჩერებულია.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა. რეგიონის ადგილმდებარეობა ხელს უწყობს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას. დღეის მდგომარეობით, ძირითადად სავაჭრო ურთიერთობებია ჩამოყალიბებული.

სოფლის მეურნეობა. სამცხე-ჯავახეთის მკვეთრად გამოხატული სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, რადაც სოფლის მეურნეობას ყველაზე დიდი წილი (32%) აქვს რეგიონში შექმნილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობითაა დაკავებული. 2006-2011 წლებში სოფლის მეურნეობას 33%-იანი წილი ჰქონდა რეგიონში შექმნილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში, რაც რეგიონის სხვა ეკონომიკური დარგების იმავე მაჩვენებელს და, ასევე, საქართველოს სხვა რეგიონებს მაჩვენებელსაც აღემატება.

აგრარული სექტორი წარმოდგენილია როგორც საოჯახო მეურნეობებით, ასევე კომერციული ფერმერული მეურნეობებით. პროდუქციის 90%-ზე მეტი ოჯახური მეურნეობების მიერ იწარმოება. საოჯახო მეურნეობათა 73% სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს, ხოლო დანარჩენი 27%-ისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის წყაროცაა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე მთელი ქვეყნის მასშტაბით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნახევარზე მეტი სათიბ-საძოვრებითაა წარმოდგენილი. ფართობით ამას მოსდევს სახნავ-სათესები. არსებული პოტენციალის მხოლოდ ერთი მესამედის გამოყენება ხდება. სოფლის მეურნეობას ექსტენსიური ხასიათი აქვს და ადგილობრივი პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს იმპორტირებულს.

მემცენარეობა. რეგიონში ძირითადად მოჰყავთ კარტოფილი, მარცვლეული და ბოსტნეული. ქვეყანაში კარტოფილის წარმოება ძირითადად სამცხე-ჯავახეთშია კონცენტრირებული, სადაც წარმოდგენილია ქვეყნის კარტოფილის ნათესების 52% (2011წ.). რეგიონში თითქმის ყველა ოჯახს გააჩნია საკუთარი ბოსტანი, რომელსაც ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის ამუშავებს. ბოსტნეულის მხოლოდ მცირე ნაწილი გააქვთ ბაზარზე გასაყიდად. კომერციული მიზნით ბოსტნეული მოჰყავთ იმ ფერმერებს, რომელთა საკუთრებაშიც 1 ჰა-მდე მიწაა.

მარცვლეული. რეგიონის წილი ქერის წარმოებაში მნიშვნელოვანია - რეგიონის წილი ქვეყნის ქერის ნათესებში 35%-ია, ხოლო ქერის მოსავალში 42%.

მეცხოველეობა. შინაური პირუტყვის რაოდენობის ზრდას ადგილი აქვს ნინოწმინდაში, ახალციხეში და ადიგენში; თუმცა, ამ მაჩვენებლით ნინოწმინდა გამოირჩევა. ცხვრისა და თხის რაოდენობა ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში ნაკლებად იცვლება, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში საკმაოდ ცვალებადია. ახალციხის მუნიციპალიტეტში ღორის მეტი სულადობაა, ვიდრე სხვა მუნიციპალიტეტებში. მეფრინველეობა და მეფუტკრეობა ძირითადად ახალქალაქშია კონცენტრირებული. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მეცხოველეობის პროდუქციის წილი მთელი ქვეყნის მაჩვენებლის 8-17%-ს შეადგენს. ადგილობრივმა ფერმერები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ცხოველთა სხვადასხვა ჯიშების შესახებ. ხელოვნური განაყოფიერება ფართოდ არაა გავრცელებული და არ კონტროლდება. ეს ჯიშების გადაგვარებას იწვევს და პირუტყვის მწარმოებლურობაზე, ჯანმრთელობაზე, გამძლეობაზე და ზრდაზე უარყოფითად აისახება. ზამთარში საკვებად ძირითადად თივა გამოყენება. სილოსის გამოყენება

არ ხდება, ხოლო კომბინირებული საკვები იშვიათად გამოიყენება, რის გამოც შინაური პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია და პირუტყვი წონაშიც იკლებს. რეგიონში ვეტერინარული მომსახურება ცუდადაა განვითარებული. ვეტერინარი ბევრ სოფელს არ ჰყავს და ფერმერები იძულებულნი არიან, ამ მომსახურებისათვის მუნიციპალურ ცენტრებს ან მეზობელ სოფლებს მიმართონ.

მეთევზეობა. რეგიონში მეთევზეობა ვითარდება და ხელოვნური ტბორებისა და წყალსაცავების ფართობი იზრდება. კალმახი გამოჰყავთ სპეციალურ ხელოვნურ ტბორებში, ხოლო ქაშაპი, ორაგული და სხვა სახეობები - ბუნებრივ წყალსაცავებში. კალმახს ძირითადად მცირე საოჯახო მეურნეობები აწარმოებს. თითოეულ ოჯახს 5-8 სპეციალურად მოწყობილი ბეტონის ტბორი აქვს, სადაც 2-5 ტონა თევზს აწარმოებს.

რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორებია: სარწყავი სისტემის ცუდი მდგომარეობა, მექანიზაციის, მაღალი ხარისხის თესლისა და სათბურების ნაკლებობა.

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და სოციალური დაცვა

შემოსავალი და ხარჯები. 2011 წელში, რეგიონში შინამეურნეობის საშუალო თვიურმა შემოსავალმა 857 ლარს მიაღწია (2008 წლამდე ეს მაჩვენებელი 320 ლარის ტოლი იყო) და რეგიონი ამ მაჩვენებლით ქვეყანაში პირველ ადგილზე გავიდა. თუმცა, სამცხე-ჯავახეთში დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალის წილი საერთო შემოსავლებში ერთ-ერთი დაბალია (13%). საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან შემოსავლის წილი რეგიონში 22%-ს შეადგენს, რაც სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებელზე მაღალია. შემოსავლების ყველაზე დიდი წყარო ფულადი გზავნილები და პენსიებია. რეგიონის მოსახლეობის ხარჯები სწრაფად იზრდება: 2011 წელში ხარჯებმა 36.7 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 2008 წელს 11 მილიონ ლარს უტოლდებოდა. შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალიც იზრდება: 2001 წელს ეს მაჩვენებელი 830,8 ლარის ტოლი იყო, ხოლო 2008 წლისთვის 251,5 ლარს მიაღწია. შინამეურნეობების ხარჯების დიდი ნაწილი, კერძოდ კი ჯამური თვიური დანახარჯის 26,1% საკვები პროდუქტების შეძენაზე მოდის. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯი საქართველოს სხვა რეგიონების მაჩვენებელს აღემატება.

ჯანდაცვა. ბოლო წლებში ჯანდაცვის სექტორში განხორციელებული რეფორმებისა და რეორგანიზაციის შედეგად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო დაწესებულებები გაერთიანდა და გამსხვილდა, ან კერძო საკუთრებაში იქნა გადაცემული. დღეისათვის რეგიონში 6 საავადმყოფოა (1 სავადმყოფო ყოველ მუნიციპალიტეტში) და ერთიც სპეციალიზებული სანატორიუმი აბასთუმანში. რეგიონში 100,000 სულ მოსახლეზე 223,4 საავადმყოფო საწოლი მოდის, რაც ქვეყნის საერთო მაჩვენებელზე 26%-ით დაბალია. თუმცა რეგიონში სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია და საავადმყოფოების თანამედროვედ აღჭურვა მიმდინარეობს, ისინი ჯერ კიდევ ჩამორჩება თბილისისა და სქვა რამდენიმე რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებს. თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობის უქონლობისა და კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის სიმცირის გამო, რეგიონის მოსახლეობას დაბალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება მიეწოდება. ამიტომაც, პროფესიონალური სამედიცინო გამოკვლევის ჩასატარებლად, დიაგნოსტიკებისა და სამკურნალოც პაციენტებს ხშირად

უხდებათ თბილისის საავადმყოფოებისა და კლინიკების მონახულება, რის გამოც მათ დამატებითი ხარჯების გაწევა უხდებათ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირებისათვის ქვეყანაში მიმდინარე სამედიცინო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში 2012 წლის სექტემბრისათვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 17,700 პირი (6261 ოჯახი) იქნა დაზღვეული; ამას გარდა, 5,916 მასწავლებელმა მიიღო მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სპეციალური დაზღვევა. მთავრობის მიერ დაფინანსებული სადაზღვევო პროგრამა ძირითადად აფინანსებს სასწრაფო ქირურგიულ ოპერაციებს, გეგმიურ ოპერაციებს, კიბოს მკურნალობას, პრევენციულ სამედიცინო გამოკვლევებს და სხვა სერვისებს. 2012 წლის 1 სექტემბერს მთავრობამ დამატებით დააზღვია 35,000 პენსიონერი (ასაკით) და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები, ასევე 17,000 ბავშვი (6 წლამდე) და სტუდენტი.

განათლება. რეგიონში ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებას, მათ შორის 205 საჯარო სკოლა (2 მათგანი კერძო), 34 საბავშვო ბაღი, 4 პროფესიული სასწავლებელი და ერთი უმაღლესი განათლების დაწესებულება - არაკომერციული იურიდიული პირი *ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი*. ბოლო რამდენიმე წელში სკოლის მოსწავლეების რაოდენობა შემცირდა, რაც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა და მოსახლეობის შიდა/გარე მიგრაციის ბრალია.

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობა

უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში რეგიონის ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი ზოგიერთი ფონდის დახმარებით ხდება გზების, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების, ხიდების, საკანალიზაციო სისტემის, სკოლების და სკოლამდელი დაწესებულებების, სვერების და ბაღების რეაბილიტაცია; ასევე, ეწყობა ქუჩის განათება. 2013 წელში დაიწყო ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა ფარგლებშიც ხდება ქალაქებისა და სოფლების შიდა გზების, ასევე წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების განახლება. რეგიონის საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 1340 კმ-ია, საიდანაც 195 კმ საერთაშორისო მნიშვნელობის გზებია. ეს გზები ქვეყანას სომხეთსა და თურქეთთან აკავშირებს და სატრანზიტოდ გამოიყენება. ქვეყნის შიდა გზების სიგრძე 270 კმ-ია, ხოლო ადგილობრივი დანიშნულების გზების სიგრძე - 945 კმ. საერთაშორისო დანიშნულების გზები ასფალტ-ბეტონის საფარითაა დაფარული. ქვეყნის შიდა გზების მხოლოდ 77,8%-ს გააჩნია ასფალტის საფარი, ხოლო დანარჩენი მოხრეშილია. ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რეაბილიტირებული იქნა 245 კმ სიგრძის გზა, ხიდები და გზისპირა ნაგებობები.

სამცხე-ჯავახეთზე გადის საქართველოს რკინიგზის ხაშური-ახალციხე-ვალის მონაკვეთი (60 კმ), რომელიც ტვირთებისა და მგზავრების გადასატვირთად გამოიყენება. ამჟამად მიმდინარეობს რკინიგზის მარაბდა-ახალციხის ტოტის (178 კმ) რეაბილიტაცია. 2007 წელს დაწყებული იქნა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი, საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში. მისი მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის მარაბდა-ახალციხის ხაზის აღდგენა და ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე მიმავალი ახალი სარკინიგზო ხაზის მოწყობა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გაზგამანაწილებელი ქსელის საერთო სიგრძე 373 კმ-ია. თუმცა, რეგიონის გაზიფიკაციის სამუშაოების უკვე დაწყებულია, გაზმომარაგება ჯერ ისევ არ გააჩნია

ყველა ოჯახს. ამიტომაც, მოსახლეობის უმეტესობა (75,4%) ოჯახში თხევად აირს იყენებს. 2011 წლის მონაცემების მიხედვით, გაზომომარაგების კომპანიები შინამეურნეობების მხოლოდ 16,2%-ს აწოდებს ბუნებრივ აირს. რეგიონს კვეთს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ტრანსკასპიური გაზსადენი.

რეგიონში არსებული სარწყავი სისტემები სახნავ-სათესი მიწების დაახლ. 15%-ს ემსახურება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დიდი გამოწვევაა, რადგანაც მათი დიდი ნაწილი სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

სასმელ წყალზე ხელი მიუწვდება მოსახლეობის დიდ ნაწილს. მუნიციპალურ ცენტრებში და ზოგიერთ სოფელშიც წყალმომარაგება ცენტრალიზებულად ხდება. რეგიონში წყალმომარაგების ქსელის დაახლ. 70-80% დაზიანებულია, რის გამოც წყლის საკმაოდ დიდი რაოდენობა იკარგება. წყალმომარების აღრიცხვიანობა მხოლოდ რეგიონის ზოგიერთ ნაწილში ხდება. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არ არსებობს საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობები, რაც რეგიონის ზედაპირული წყლების (მდინარეების) დაბინძურებას იწვევს. ამას გარდა, ტყეები და ტბები ბინძურდება დიფუზიური წყაროებით.

ნარჩენების მართვა სამცხე-ჯავახეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემაა. ხუთი ოფიციალური ნაგავსაყრელიდან არცერთს გააჩნია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. მუნიციპალურ ცენტრებსა და ქალაქებში (ბაკურიანი, აბასთუმანი) საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება რეგულარულად ხდება კომუნალური სამსახურების მიერ. თუმცა, სოფლებში ამგვარი სერვისები არ არსებობს და მოსახლეობა ქაოტურად ყრის ნარჩენებს მიმდებარე ტერიტორიებზე, რის გამოც უკონტროლო ნაგავსაყრელები წარმოიქმნება. რეგიონში არ ხდება ნარჩენების სეპარაცია. ასევე არ ხდება ორგანული ნარჩენების კომპოსტირება. ნარჩენების განთავსებისა და გარემოს დაბინძურების პრობლემების მოსაგვარებლად ნინოწმინდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში დაგეგმილია ახალი სანიტარული ნაგავსაყრელების მოწყობა; თუმცა, დანარჩენ მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მდგრადი მართვა კვლავ სერიოზულ გამოწვევად დარჩება და რეგიონის განვითარებას შეაფერხებს.

2.1.2 სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეობა

სამცხე-ჯავახეთი სამხრეთ საქართველოში ყველაზე დიდი რეგიონია. დღეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შედის შემდეგი ისტორიული და გეოგრაფიული პროვინციები: თორი (ბორჯომის მუნიციპალიტეტი), სამცხე (ადიგენის, ახალციხისა და ნაწილობრივ ასპინძის მუნიციპალიტეტები), ჯავახეთი (ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები). ისტორიულმა რეალიებმა, ასევე გეოგრაფიული პირობებისა და თითოეული პროვინციის ადგილობრივი ტრადიციების მრავალფეროვნებამ რეგიონში სპეციფიური არქიტექტურის განვითარება განაპირობა. ქვემოთ მოცემულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხა მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

1. რველის ციხე (სამის ციხე), X-XIV საუკუნეები;
2. პეტრეს ციხე, ადრე და განვითარებული შუა საუკუნეები;
3. ჩითახევის მწვანე მონასტერი, VIII-IX საუკუნეები;
4. სოფ. ჭობისხევი, უწინდელი დასახლება 'გოგიჩაანთელე', VIII-X საუკუნეები,

5. ქვბისხევის სამნავიანი ბაზილიკა, წმ. მარიამის მიძინების ტაძარი, IX საუკუნე.
6. საკირის მონასტერი, VIII-IX საუკუნეები, სოფ. დვირიდან სამხრეთ-დასავლეთით.
7. ტაძრისის მონასტერი, X-XI საუკუნეები. განთავსებულია სოფ. ტაძრისის განაპირას.
8. საკირეს ციხე-დარბაზი, X-XIII საუკუნეები. მდებარეობს სოფ. საკირის სამხრეთ-აღმოსავლეთით.
9. საყდრივაკის მონასტერი, IX-X საუკუნეები. სოფ. საკირიდან დასავლეთით, 3-4 კმ-ში.
10. დაბის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, XIV საუკუნე;
11. ტიმოთესუბნის სამონასტრო კომპლექსი, XII-XIII საუკუნეები.
12. უზნარიანის ციხე, ადრე და განვითარებული შუა საუკუნეები;
13. თორის ნადარბაზევი, VIII-X საუკუნეები.
14. ტაბაწყურის წითელი ეკლესია, X საუკუნე.
15. ლიკანის რომანოვების სასახლე, XIX საუკუნე. განლაგებულია კურორტ ლიკანში.

ადიგენის მუნიციპალიტეტი

16. ზარზმის მონასტერი, XIII-XIV საუკუნეები.
17. ოქროს ციხე, შუასაუკუნეები.
18. იჯარეთის სამრეკლო, XIII საუკუნე.
19. აბასთუმნის ციხე (იგივე ოძრხის, ოცხის, თამარის ციხე) IX-X საუკუნეები.
20. ვალის ღვთისმშობლის ეკლესია, სამნავიანი ბაზილიკა, X-XVI საუკუნეები.
21. ჯაყისმანის მონასტერი, IX-XI, XIII-XIV საუკუნეები.
22. აბასთუმნის სახლები

ახალციხის მუნიციპალიტეტი

23. ქ. ახალციხე, რაბათის ციხე, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები.
24. საფარის სამონასტრო კომპლექსი, X-XIV საუკუნეები.
25. ბიეთის გუმბათოვანი ტაძარი, XII-XIV საუკუნეები.
26. ღვთისმშობლის სახელობის თისელის გუმბათოვანი ტაძარი, XIV-XV საუკუნეები.
27. ღვთისმშობლის სახელობის თისელის დარბაზოვანი ეკლესია, XIII საუკუნე.
28. ურავლის სამონასტრო კომპლექსი, X-XIV საუკუნეები.
29. აწყურის გუმბათოვანი ეკლესია, მიძინების, XI, XIV-XV საუკუნეები.
30. აწყურის ციხე, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები;

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

31. ჭიქიანის მენჭირი, წინაქრისტიანული პერიოდი.
32. ფარავნის ტბის დარბაზოვანი ეკლესია, X საუკუნე. ფარავნის ქარავანსარაი, XIV საუკუნე.
33. ფოკის წმ. ნინოს სახელობის დარბაზოვანი ეკლესია, XI საუკუნე.
34. შაორის ციკლოპური ციხე, წინაქრისტიანული პერიოდი.
35. აბულის ციკლოპური ციხე, წინაქრისტიანული პერიოდი.
36. საღამოს ტბის დიდი ეკლესია, X საუკუნე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

37. სამსარის კლდეში ნაკვეთი მონასტერი, X-XI საუკუნეები.
38. აზავრეთის დარბაზული ეკლესია, IX-X საუკუნეები.
39. კუმურდოს გუმბათოვანი ტაძარი, X საუკუნე.

ასპინძის მუნიციპალიტეტი

40. ხვილიაშის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, VIII-IX საუკუნეები.
41. ხერთვისის ციხე, ადრე, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები;
42. წუნდის დარბაზოვანი ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის სახელობის, XII-XIII საუკუნეები.
43. საროს მთავარანგელოზთა დარბაზოვანი ეკლესია, VII-VIII საუკუნეები.
44. ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი, XII-XIII საუკუნეები.
45. ვანის ქვაბები, იოანე ნათლისმცემლის სახელობის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი, VIII-XI საუკუნეები.
46. თმოგვის ციხე, IX-X საუკუნეები.
47. გაღმა ჩაჩქარის ნასახლარი, XI-XII საუკუნეები.
48. ტამალას დარბაზული ეკლესია (ჩრდილის მთავარანგელოზის), X საუკუნე.

2.1.3 ტურიზმის განვითარების ტენდენციები სამცხე-ჯავახეთში

ბოლო 5 წელიწადში რეგიონში არსებული სასტუმროებისა და სხვა ღამის გასათევი ადგილების რაოდენობა 40%-ით გაიზარდა; ასევე, გაიზარდა რეგიონის სტუმრების რაოდენობაც (დაახლ. 40-45%-ით). რეგიონში ამჟამად რეგისტრირებულია 138 სასტუმრო, საიდანაც 78 პანსიონატია. 2010 წელში რეგიონის სასტუმროებიდან მიღებულმა საერთო შემოსავალმა 7.3 მილიონი ლარი შეადგინა. უცხოელი ტურისტები ძირითადად სომხეთიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, ისრაელიდან და აშშ-დან ჩამოდიან. 2011 წელში სამცხე-ჯავახეთი 278500 ტურისტმა მოინახულა, საიდანაც 84150 უცხოელი იყო. რეგიონში ვითარდება კულტურული, რეკრეაციული და სათავგადასავლო ტურიზმი. სამცხე-ჯავახეთი მდიდარია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, რომელთაგანაც აღსანიშნავია ვარძიის ქვაში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი, თმოგვის, ხერთვისის და რაბათის ციხეები, ზარზმისა და საფარის მონასტრები. ამა გარდა, აქ არის რამდენიმე პოპულარული საკურორტო ზონა, ასევე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ჯავახეთის დაცული ტერიტორიები. თუმცა, ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის უფრო მაღალი დონის სასტუმროები და დამატებითი მცირე სასტუმროების მშენებლობაა საჭირო. ასევე მნიშვნელოვანია ვიზიტორებისათვის ტურისტული სერვისების თანამედროვე პაკეტებისა და უფრო მაღალი დონის მომსახურების შეთავაზება, მაღალი ხარისხის კვების ობიექტების გახსნა, რეგიონში არსებული ტემბების ტურისტული პოტენციალის გამოყენება, ისეთი ტურისტული შესაძლებლობების გამოყენება, როგორცაა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ჯავახეთის ტერიტორიები, ახალი გზამკვლევების მომზადება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ტურიზმის განვითარების შედეგად მოტანილ სარგებელზე. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ტურისტული სექტორის ზოგიერთი მაჩვენებელი (წყაროები: GNTA; CBA)

ვიზიტორების რაოდენობა 2014 წელში (წყარო: GNTA)	210,328
ტურისტების რაოდენობა (>1 ღამე) (წყარო: GNTA)	84,131
საწოლების რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში	6,137
ვიზიტორების ზრდის პროგნოზი 2015-2020 წლებისთვის	5%
ვიზიტორების ზრდის პროგნოზი 2017 წლის შემდეგ	2%
ღამისთევს დღეების საშუალო რაოდენობა, არსებული (წყარო: GNTA)	1.80
ღამისთევს დღეების საშუალო რაოდენობა პროექტის შემდეგ, 2017 წლიდან (წყარო: GNTA)	2.00
ღამისთევს დღეების საშუალო რაოდენობა პროექტის შემდეგ, 2020 წლიდან (წყარო: GNTA)	2.50
ერთი ტურისტის მიერ დღეში დახარჯული საშუალო თანხა, ლარი (წყარო: GNTA)	192.66

კვლევა) ³	
ადგილობრივი ვიზიტორების წილი ტურისტების მიერ გაწეულ ხარჯებში	85%
სასტუმროების დატვირთვის მაჩვენებელი	30%
მეორადი გაყიდვების კოეფიციენტი	1.50

2.1.4 სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივი გარემო

გეოგრაფიულად, სამცხე განლაგებულია ახალციხის ქვაბულში, რომლის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 800-1500 მ-ია. აქ წარმოდგენილი მთათა სისტემებია: მესხეთის, არსიანის, ერუშეთის, ყარსის, გუმბათისა და ვანის ქედები, ასევე თრიალეთის ქედების სამხრეთ-დასავლეთი კალთები (კლოპოტოვსკი, 1950, ნემანიშვილი, 1960, მარუაშვილი და სხვები. 1971). ამ ტერიტორიაზე უმაღლესი მწვერვალია კიუმბეთი (2964 მზდ). ძირითადი მდინარეებია: მტკვარი, ფოცხოვი, ქვაბლიანი, ურაველი, ოცხე და წინუბნისხევი. სამცხეში ტბებიდან წარმოდგენილია: ტბა სათახვე, ანუ კარაგელი (1940 მზდ) სოფ. ზარზმის მახლობლად, ტბა წუნდა (1340 მზდ) ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. წუნდას მახლობლად, ასევე სამი ხელოვნური ჯაჯის ტბა (2240 მზდ) და ტბა თრიალა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლ. ლელოვანის მახლობლად.

კლიმატი

კონკრეტულ მეტეოროლოგიურ მახასიათებლებს განსაზღვრავს რელიეფის თავისებურებები, სადაც მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა. სამიზნე არეალში გამოირჩევა სამი ძირითადი კლიმატური ზონა:

- ზომიერად მშრალი (სტეპების) სუბტროპიკული მთის კლიმატი, მცირეთოვლიანი მოკლე ზამთრით და გრძელი ზაფხულით, რომელიც ძირითადად 900-1800 მ სიმაღლის დიაპაზონშია გავრცელებული;
- ზომიერად მშრალი სუბტროპიკული მაღალმთის კლიმატი, ცივი ზამთრით - ძირითადად 2000 - 2700 მ სიმაღლის დიაპაზონშია გავრცელებული;
- ზომიერად ტენიანი მაღალმთის კლიმატი, ნამდვილი ზაფხულის გარეშე, ძირითადად 2700 მ-ზე ზემოთაა წარმოდგენილი.

გეომორფოლოგიური პირობები

საკვლევი ტერიტორია გამორჩეულია ზედაპირული წყლების (მდინარეები, ტბები, იშვიათად დაჭაობებული უბნები) სიუხვით. იგი განლაგებული სამი დიდი გეომორფოლოგიური ელემენტის ფარგლებში:

- ახალციხის ქვაბული;
- აჭარა-იმერეთისა (მესხეთის) და თრიალეთის ქედების სამხრეთი მთისწინეთი;
- ჯავახეთის მთები.

საქართველოს სამხრეთ მთიან რეგიონში რელიეფის ტრანსფორმაციასა და მისი ფორმების ჩამოყალიბებაში, ასევე ეგზოგენური პროცესების განვითარებასა და გააქტიურებაში, გეოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს კლიმატური პირობები,

³ კვლევით გამოვლენილი საშუალო მაჩვენებელი 288.99 ლარია. თუმცა, გუდაურში ეს მაჩვენებელი მაქსიმალურს უტოლდება, ხოლო სამცხე-ჯავახეთში დახარჯული თანხების შესაფასებლად გუდაურის მაჩვენებლის 2/3 ავიღეთ.

ზედაპირული წყლები, ასევე ნიადაგისა და მცენარეული საფარი თამაშობს. ვერტიკალური ზონალობა მკვეთრადაა გამოხატული.

სახიფათო გეოლოგიური პროცესები

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით (ე. გამყრელიძე, 2000), საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მცირე კავკასიონის მთების ნაოჭა სისტემის ცენტრალურ, სამხრეთის, ჯავახეთისა და გიოკტეპეს რაიონებში. საკვლევი ტერიტორია მაღალი სეისმურობით გამოირჩევა. ეს დასტურდება მრავალი მიწისძვრით, რომელთაგან ზოგი ძალიან ძლიერია და ბუნებრივ კატასტროფას იწვევს. ინსტრუმენტული გაზომვები აჩვენებს, რომ მიწისძვრის ეპიცენტრები ძირითადად თავმოყრილია აჭარა-თრიალეთის მთათა სისტემის სამხრეთი ნაწილის შედარებით დაბალ ზონაში. მიწისძვრის ეპიცენტრების უმეტესობა აზულ-სამსარის და კეჩუთის ვულკანური ქედების მერიდიანული მწკრივის გასწვრივაა თავმოყრილი. ქვემოთ მოცემულია მიწისძვრის ტალღების ჰორიზონტალური აჩქარების მახასიათებლები საკვლევი ტერიტორიის სხვადასხვა დასახლებებისთვის: ასპინძა - 0,17მ/წმ², საკუდებელი - 0,17მ/წმ², ორგორა - 0,17მ/წმ², ძველი - 0,18მ/წმ², ჭობარეთი - 0,18მ/წმ², მუსხი - 0,19მ/წმ², ანდრიაწმინდა - 0,20მ/წმ², ნინოწმინდა - 0,31 მ/წმ², ახალქალაქი - 0,21მ/წმ². საქართველოს მაკრო-სეისმური ზონირების მიხედვით, საკვლევი ტერიტორია 8-9 ბალიანი მიწისძვრის ზონაშია მოქცეული (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის N 1-1/2284 ბრძანება "სამშენებლო ნორმების და წესების - "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09) - დამტკიცების შესახებ, თბილისი).

საქართველოს სამხრეთის მთიან რეგიონში ფართოდაა გავრცელებული ისეთი ეგზოგენური პროცესები, როგორცაა მეწყერი, სელი, ეროზია, ქვათაცვენა, ქვაზვავი, წყალდიდობა, თოვლზვავი, გამოფიტვა და დაჭაობება. მათი ტიპები, ინტენსივობა, წარმოშობა და გააქტიურება სეისმურ-ტექტონიკურ, გეოლოგიურ-გეომორფოლოგიურ, მეტეოროლოგიურ, ჰიდროლოგიურ და ანთროპოგენულ ფაქტორებზეა დამოკიდებული. საკვლევ არეალში გეოდინამიკური დამაბულობა განსაკუთრებით მაღალია იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს ეს მთიანი ტერიტორია 8-9 ბალიანი მიწისძვრის ზონაშია განლაგებული. სხვა ფაქტორებთან ერთად, აღნიშნული მნიშვნელოვნად განაპირობებს ეგზოგენური პროცესების წარმოშობასა და გააქტიურებას. ანთროპოგენული ფაქტორებიდან, რომლებიც უარყოფითა აისახება გეოლოგიურ პირობებზე, აღსანიშნავია: უსისტემო, ინტენსიური ტყის ჭრა; ფერდობების გადატვირთვა მძიმე შენობა-ნაგებობებით; გაუმართავი წყალმომარაგების სისტემა დასახლებებში; უსისტემო და ჭარბი რწყვა; საინჟინრო შენობა-ნაგებობების მშენებლობისას ელემენტარული საინჟინრო-გეოლოგიური მოთხოვნების იგნორირება; საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონე სახიფათო ეგზოგენურ პროცესებთან დაკავშირებით. რეგიონში რეგისტრირებულია 155 ისტორიული და ახალი მეწყერული წარმონაქმნი, რომლებიც პერიოდულად აქტიურდება (აქედან 60 მეწყერული უბანი რეგისტრირებულია ბორჯომში, 50 ახალციხეში და 20 ადიგენში) და 119 სელური მდინარე. რეგიონის 270 დასახლებიდან 91 საფრთხის ქვეშაა. მდინარეთა ნაპირების წარეცხვა სხვადასხვა ხარისხით 50 უბანზე ფიქსირდება; წყალდიდობები და დატბორვა ძირითადად მდ. მტკვრის ხეობაში ხდება. დაჭაობებას ადგილი აქვს ჯავახეთის მთებში განლაგებული ტბების მიდამოებში. ჯავახეთში ასევე გავრცელებულია გამოფიტვა, სოლიფლუქციური პროცესები ('კრიოგენული მეწყრები'), წყალდიდობები და დატბორვა, ზედაპირული ეროზია, ქვათაცვენა, ქვაზვავები და თოვლზვავები. საკვლევი ტერიტორიის 100 დასახლებაზე მეტი ეგზოგენური პროცესების სხვადასხვა დონის რისკის ქვეშ ხვდება.

ნიადაგი

რეგიონის ნიადაგის საფარი მრავალფეროვანია. ტ. ურუმადის საქართველოს ნიადაგური დარაიონების მიხედვით (1999), აქ ნიადაგის 4 ძირითადი ტიპი გვხვდება:

- მთა-მდელოს ტორფიანი და შავმიწისებრი ნიადაგები;
- შავმიწა ნიადაგები;
- ყავისფერი ნიადაგები;
- რუხი ნიადაგები.

მცენარეული საფარით საკვლევი ტერიტორია მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონებისგან, რაც რელიეფური თავისებურებებისა და კლიმატური პირობების შედეგია. აქ გავრცელებულია როგორც წიწვოვანი (დომინანტი სახეობებია ფიჭვი და ნამვი), ასევე ფოთლოვანი (წიფელი, რცხილა, თხილი და სხვა) ტყეები. ბალახოვანი საფარიც ფართო გავრცელებას ჰპოვებს, განსაკუთრებით ჯავახეთის მთებში და ფერსათის ზეგანზე. მცენარეული საფარი ცუდადაა განვითარებული ვულკანთა კრატერებსა და მათ შემოგარენში, რომელთა ზედაპირიც ძირითადად მოშიშვლებული, ქვითა და ღორღით დაფარული ფერდობებითაა წარმოდგენილი.

ზედაპირული წყლები

სამცხე-ჯავახეთის ძირითადი მდინარეებია: მტკვარი, ფარავანი, ფოცხოვი, აგრიჩაი, ქვაბლიანი, მურჯახეთისწყალი, ბორჯომულა და გუჯაერთისწყალი. უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მდინარეთა კალაპოტები ძირითადად ვულკანურ ძირითად ქანებში გადის, რის გამოც მდინარეთა მეანდრებისა და გვერდითი ეროზიის განვითარებას ნაკლებად აქვს ადგილი. მდინარეთა კალაპოტების ზოგიერთ მონაკვეთზე ალუვიური ან დელუვიური ნატანი გროვდება. კალაპოტური პროცესების გააქტიურება, რაც ძირითადად სიღრმულ და არა გვერდითი ეროზიითაა გამოხატული, მოსალოდნელია კატასტროფული წყალდიდობებისას.

რეგიონში მრავალი ტბაა, რომელთაგან აღსანიშნავია: ფარავნის, საღამოს, ხანჩალისა და ტაბაწყურის ტბები. ტბები გამოიყენება მეთევზეობისათვის, ასევე რეკრეაციული და ეკოლოგიური მიზნით. სათევზე მეთურნობის განვითარება ზოგიერთ ადგილას უარყოფითად აისახა თევზის ბიომრავალფეროვნებაზე და ენდემურ სახეობებზე.

მდ. მტკვარი ინტენსიურად გამოიყენება სარწყავად, ჰესებისა და ინდუსტრიული წყალმომარაგებისთვის. რეგიონში გაშენებულია რუსთავისა და ჩითახევის ჰესები, რომლებიც საქართველოში მდ. მტკვარზე მოწყობილი ჰესების ქსელის ნაწილია. სოფ. ახალდაბასთან იწყება ტაშისკარის საირიგაციო სისტემა. მდ. ფარავანი გამოიყენება სარწყავად და ელექტროენერჯის გენერაციისთვის. მდინარეზე მოწყობილია რამდენიმე ლოკალური საირიგაციო არხი და ფარავნის ჰესი, რომელიც ბოლო პერიოდში გაშენდა და საქართველოს ენერგოსისტემაშია ჩართული. მდ. ქვაბლიანი გამოიყენება სარწყავად და ელექტროენერჯის გენერაციისთვის. ამ მდინარეზე მოწყობილია კახარეთის ჰესი. მდ. ფოცხოვი სარწყავად გამოიყენება. ამ მდინარეზე მოწყობილია რამდენიმე სარწყავი სისტემის სატუმბი სადგური. მდ. მურჯახეთი სარწყავად გამოიყენება. მურჯახეთის არხი სარწყავი წყლით 1245 ჰა სახნავ-სათეს მიწებს ამარაგებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. მდ. გუჯაერთისწყალს ადგილობრივი მოსახლეობა თავიანთი მიწის ნაკვეთების მოსარწყავად იყენებს.

ლანდშაფტები, ჰაბიტატები და ბიომრავალფეროვნება

რეგიონი განსაკუთრებით მდიდარია ფლორითა და ფაუნით, ასევე გამოირჩევა ლანდშაფტების/ჰაბიტატების მრავალფეროვნებით. გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ენდემური

ფორმებისა და სახეობების მრავალფეროვნება. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 15 ლანდშაფტური ტიპი გამოირჩევა (ნ. ბერუაშვილის კლასიფიკაციით, 1979, დ. ნიკოლაიშვილი, 2009). მათ შორისაა სხვადასხვა საკონსერვაციო ღირებულებით გამორჩეული ლანდშაფტებიც, რომლებიც იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობების ჰაბიტატებს წარმოადგენს. ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით (ნ. ბერუაშვილი, 1979, დ. ნიკოლაიშვილი, 2009), ლანდშაფტები დაჯგუფებულია შემდეგი სიმაღლისა და კლიმატური ზონების მიხედვით: დაბალი მთის ლანდშაფტები; საშუალო მთის ლანდშაფტები და მაღალი მთის ლანდშაფტები. დაბალი მთის ლანდშაფტები ძირითადად ტყის ჰაბიტატებით და ნაწილობრივ 'შიბლიაკიანი' სტეპებითაა წარმოდგენილი. საშუალო მთის ლანდშაფტები მოიცავს ტყის ჰაბიტატების, მდელოების და სტეპების ლანდშაფტებს. მაღალი მთის ლანდშაფტები აერთიანებს არყის, ფიჭვის და მუხის (*Quercus pontica*) სუბალპური ტყეების, მდელო-სტეპების, ალპური მდელოებისა და სუბნივალურ ლანდშაფტებს. ზოოგეოგრაფიული კუთხით და ზოგადი აღწერის მიზნით, მოსახერხებელია ლანდშაფტების დაჯგუფება არა კლიმატის/ ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით, არამედ ჰაბიტატების ტიპებით. წინამდებარე SECHSA-ში გამოყენებულია სწორედ ასეთი მიდგომა. აღნიშნული 15 სახის ლანდშაფტიდან და ჰაბიტატიდან ქვემოთ აღწერილია მხოლოდ სამი შედარებით დიდი ლანდშაფტური კომპლექსი, სადაც გაერთიანებულია ლანდშაფტების მეტ-ნაკლებად ერთნაირი ტიპები. ეს სამი ლანდშაფტური/ ჰაბიტატების კომპლექსია: ა) ტყეების კომპლექსი; ბ) მთის სტეპების კომპლექსი და გ) მაღალი მთის ლანდშაფტების კომპლექსი.

I. ტყის ლანდშაფტების/ჰაბიტატების კომპლექსი:

ეს კომპლექსი მოიცავს დაბალი და საშუალო მთის ტყეების ლანდშაფტებს [რცხილნარ-მუხნარი (*Quercus iberica*), მუხნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი (*Pinus caucasica*) ტყეები, ასევე ტყეების ჭრის შედეგად განვითარებული მდელოები და ბუჩქნარი; წიფლნარი-მუქწიწვოვანი და მუქწიწვოვანი ტყეები, სადაც ძირითადად მარადმწვანე ქვეტყეა განვითარებული] და მაღალი მთის ტყის ლანდშაფტები [არყნარი, ფიჭვნარი და მუხნარი (*Quercus pontica*) ტყეები; მაღალი მთის სუბალპური ლანდშაფტები მდელოებით, ბუჩქნარით, ჯუჯა ტყეებითა (არყისა და რცხილის) და მეჩხერი ტყეებით].

II. მთის სტეპების ლანდშაფტების კომპლექსი

ეს კომპლექსი მოიცავს საშუალო და მაღალი მთის სტეპების ლანდშაფტებს [საშუალო მთის შიბლიაკი და მეჩხერი ტყეები, ფრიგანა, მდელო-სტეპები; მთის ქვაბულები სტეპებით, მთის ნახევრად უდაბნოს ტიპის მცენარეულობა; მაღალი მთის სუბალპური ლანდშაფტები მდელოებით, მაღალბალახეულობით, ჯუჯა ტყეებითა და ბუჩქნარებით].

III. მაღალი მთის ლანდშაფტების კომპლექსი

ეს კომპლექსი მოიცავს ალპური მდელოების და სუბნივალურ ლანდშაფტებს [მაღალი მთის ალპური ლანდშაფტები ბალახეულობითა და დეკნარით; მაღალი მთის ვულკანური ალპური მდელოები; მაღალი მთის ვულკანური სუბნივალური ლანდშაფტები]

სამიზნე ტერიტორიის ფაუნა

ტყით დაფარული ტერიტორიები.

ტყის სახეობების კომპლექსი ახალციხის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ფართოდაა გავრცელებული მესხეთის მთათა სისტემის სამხრეთის ფერდობებსა და ქედებზე, თრიალეთის

მთათა სისტემის დასავლეთის განშტოებაზე, არსიანის მთათა სისტემის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეში და ერუშეთის ქედის აღმოსავლეთ განშტოებაზე. ეს ტერიტორია PA0408 “კავკასიონის შერეული ტყეები” ეკორეგიონის ნაწილია. ამ რეგიონის ფარგლებში დაცულ ტერიტორიებს მიეკუთვნება ადიგენის მუნიციპალიტეტის დასავლეთი ნაწილი, ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების ჩრდილოეთი ნაწილი და თითქმის მთელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. კარგად შემონახული ტყეები და სუბალპური მდელოები ძუძუმწოვრებისთვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია. რეგიონი ტყეებში ძუძუმწოვრების 60-ზე მეტი სახეობაა დაფიქსირებული. ამას გარდა, რეგიონში არსებული ჰაბიტატების გათვალისწინებით, აქ მოსალოდნელია კიდევ ოთხი სახეობის არსებობა. ძუძუმწოვრებიდან ათი სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი: ექვსი მოწყვლადის, ორი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფის და ორი უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფის სტატუსით. ტყეებში (დაწყებული დაბალი მთის ტყეებიდან მაღალი მთის ტყეებით დამთავრებული) 190-ზე მეტი ფრინველის სახეობაა აღრიცხული. მათგან 99 სახეობა მოზუდარია და მხოლოდ შვიდი სახეობაა მოზამთრე, ან ზამთრის ვიზიტორი. ფრინველების 18 სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი, მათგან ხუთი მოზუდარია. საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებიდან არცერთი არაა მოზამთრე. ფრინველთა 13 სახეობა მოწყვლადია, სამი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და ერთიც უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი. ტყეებში (დაწყებული დაბალი მთის ტყეებიდან, დამთავრებული მაღალი მთის ტყეებითა და სუბალპური მდელოებით) გავრცელებულია რეპტილიების 14-16 სახეობა (ექვსი გველის, რვა ხვლიკის და ერთი კუსი). მათგან ერთი სახეობა, ხმელთაშუაზღვეთის კუ (*Testudo graeca*) საქართველოს წითელ ნუსხაში მოწყვლადის სტატუსითაა შეტანილი. ტყეებში (დაწყებული დაბალი მთის ტყეებიდან, დამთავრებული მაღალი მთის ტყეებით) ამფიბიების რვა სახეობაა აღრიცხული. მათგან ერთი სახეობა, კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) საქართველოს წითელ ნუსხაში მოწყვლადის სტატუსითაა შეტანილი.

გაშლილი მდელოები რეგიონში ორი განსხვავებული ტიპითაა წარმოდგენილი: ქვაბულებში არსებულ ვაკობებსა და ზეგნებზე განვითარებული სტეპებითა და სუბალპური ლანდშაფტებით. რეგიონი ასეთ ადგილებში ძუძუმწოვრების 34-ზე მეტი სახეობაა დაფიქსირებული. ამას გარდა, რეგიონში არსებული ჰაბიტატების გათვალისწინებით, აქ მოსალოდნელია კიდევ შვიდი სახეობის არსებობა. გაშლილი ლანდშაფტების ძუძუმწოვრებიდან ხუთი სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი: ოთხი მოწყვლადის და ერთი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფის სტატუსით. ახალციხის ქვაბულსა და ჯავახეთის ზეგანზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ბუნებრივ ჰაბიტატებში, წლის სხვადასხვა დროს, ფრინველთა 266 სახეობაა აღრიცხული. მათგან 144 ადგილობრივი სახეობაა, 200 სახეობა ამ ადგილების გამოყენებით მიგრირებს, 40 სახეობა იშვიათი ვიზიტორია და მხოლოდ ოთხი რჩება გამოსაზამთრებლად აქ. აქედან, ფრინველების 23 სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, მათგან 9 ადგილობრივი, 13 უბრალოდ გადამფრენი, ხოლო ათი სახეობა ამ ტერიტორიაზე რეგულარულად შემოდის ზაფხულობით (7) და ზამთარში (3). კანონით დაცული ფრინველთა სახეობებიდან არცერთი არაა მოზამთრე. სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ბუნებრივ ჰაბიტატებში აღრიცხულია რეპტილიების 11 სახეობა (ოთხი გველი, ექვსი ხვლიკი და ერთი კუ). მათგან ერთი სახეობა, ხმელთაშუაზღვეთის კუ (*Testudo graeca*) საქართველოს წითელ ნუსხაში მოწყვლადის სტატუსითაა შეტანილი. ამფიბიებიდან გვხვდება ოთხი სახეობა. მათგან არცერთი არაა საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი.

მაღალი მთის ეკოსისტემები ფართოდაა წარმოდგენილი 2000-2100 მ სიმაღლეებზე მთებში, რომლებიც ვულკანურ ზეგნებზე გარს ერტყმის სტეპებს და მთის სტეპებს. საზოგადოდ,

სტეპებიდან სუბალპურ მდელოებზე გადასვლა თანდათანობით ხდება. სახეობრივი შემადგენლობაც ასევე თანდათანობით იცვლება. თრიალეთის ქედის სამხრეთის კალთები დაფარულია სუბალპური მდელოებით, ბუჩქნარითა და მეჩხერი ტყეებით. PA0408 “კავკასიონის შერეული ტყეების” და PA0805 “აღმოსავლეთ ანატოლიის მთის სტეპების” ეკორეგიონებს შორის გარდამავალი ზონა არსებობს. აქ წარმოდგენილ ცხოველთა კომპლექსებს ამდიდრებს სახეობები, რომლებიც ძირითადად ტყეებშია გავრცელებული. რეგიონი ასეთ ადგილებში ძუძუმწოვრების 14-ზე მეტი სახეობაა დაფიქსირებული. ამას გარდა, რეგიონში არსებული ჰაბიტატების გათვალისწინებით, აქ მოსალოდნელია კიდევ ხუთი სახეობის არსებობა. გაშლილი ლანდშაფტების ძუძუმწოვრებიდან ოთხი სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი: სამი მოწყვლადის და ერთი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფის სტატუსით. რეგიონის მაღალმთიანეთში ფრინველების 248 სახეობაა აღრიცხული. მათგან 80 ადგილობრივი სახეობაა, 185 სახეობა ამ ადგილების გამოყენებით მიგრირებს, 35 სახეობა იშვიათი ვიზიტორია, ხოლო გამოსაზამთრებლად არცერთი სახეობა არ რჩება. აქედან, ფრინველების 25 სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, მათგან 6 ადგილობრივი, 12 უბრალოდ გადამფრენი, ხოლო 13 სახეობა ამ ტერიტორიაზე რეგულარულად შემოდის ზაფხულობით (6) და ზამთარში (7). კანონით დაცული ფრინველთა სახეობებიდან არცერთი არაა მოზამთრე. რეპტილიებიდან გვხვდება შვიდი სახეობა (ორი გველი და ხუთი ხვლიკი). მათგან არცერთი არაა საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი. ამფიბიებიდან გვხვდება ორი სახეობა. არსებული ჰაბიტატების გათვალისწინებით, შესაძლოა კიდევ ერთი სახეობა ბინადრობდეს. ამფიბიებიდან არცერთი არაა საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი. მაღალი მთის ზონის ეკოსისტემები ანთროპოგენული ზემოქმედების მიმართ უაღრესად მოწყვლადია. ყველაზე მოწყვლადი და ფაქიზი ეკოსისტემები ალპური მდელოებია. ამავდროულად, ეს ლანდშაფტები მნიშვნელოვანია მთაში წარმოდგენილი ფაუნის კეთილდღეობისათვის.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დაცული ტერიტორიები

ჯავახეთის დაცული ტერიტორიები 2011 წელს დაარსდა. იგი მოიცავს: ჯავახეთის ეროვნული პარკს, კარწახისა და სულდას ჭარბტენიან ალკვეთილებს, ხანჩალის, ბულდამენის და მადატაფას ტბების ალკვეთილებს. ჯავახეთის დაცული ტერიტორიები ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებშია განლაგებული. ჯავახეთის ზეგანზე მრავალი ტბაა, მათ შორის საქართველოში ყველაზე დიდი, ფარავნის ტბა. საქართველო-თურქეთის საზღვრის მახლობლად, კერძოდ კი კარწახის ტბის მიდამოებში წარმოდგენილია ძალიან მაღალღირებული სუბალპური ტყეების ბუნებრივი ჰაბიტატები, სადაც ძირითადად არყი, კავკასიური ჭნავი, შინდი, ასკილი და მაცვლის ბუჩქნარი იზრდება.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი საქართველოს ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული, რომელიც მცირე კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს. მისი საერთო ფართობი 85,083 ჰა-ია. პარკი განლაგებულია ექვს ადმინისტრაციულ ერთეულში: ბორჯომის, ხარაგაულის, ახალციხის, ადიგენის, ხაშურის და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში. პარკის ადმინისტრაცია განაგებს დაცული ტერიტორიის ოთხ განსხვავებულ კატეგორიას: ბორჯომის ეროვნულ ნაკრძალს, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკს, ნემვის ალკვეთილს და გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლს. ეროვნული პარკი ვიზიტორებს სთავაზობს: საფეხმავლო ბილიკებს, საცხენოსნო ბილიკებს, საველოსიპედო ბილიკებს, თოვლის ბურანით გასეირნებას, კულტურულ და საგანმანათლებლო ტურებს.

ნემვის ალკვეთილი ბორჯომის მუნიციპალიტეტშია განლაგებული. მისი საერთო ფართობი 8 992 ჰა-ია. ნემვის ალკვეთილი დაარსებული იქნა კავკასიური სოჭის უნიკალური კორომების და ფოცხვრის დასაცავად. ნემვის ალკვეთილის ფუნქციონალური ზონებია: 1. ნაკრძალი (საერთო ფართობი 1 814 ჰა); 2. ტრადიციული გამოყენების ზონა (საერთო ფართობი 7 178 ჰა)

ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი

სამხრეთ საქართველოში განლაგებული ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი 1995 წელს იქნა დაარსებული ჯავახეთის ვულკანური ზეგნის მაღალი მთის უნიკალური ჭარბტენიანი ტერიტორიების დასაცავად. ალკვეთილის ტერიტორიაზე, კერძოდ კი სოფ. ნარიანსა და ტაბაწყურის ნაპირებზე წარმოდგენილია ჭარბტენიანი ტერიტორიების ფლორის დიდი მრავალფეროვნება. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი გამოირჩევა ფრინველების სიმრავლით და თევზის ადგილობრივი სახეობებით. ამ უკანასკნელთა შორისაა კარჩხანა, ევროპული ჭაფალა, გოჭა და სხვა. ჯავახეთის ზეგანზე გადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრინველთა სამიგრაციო დერეფანი. მიგრაციის პერიოდში ტაბაწყურის ტბაზე და მის შემოგარენში თავს იყრის მტაცებელი, წყლის და ჭაობის ფრინველების დიდი რაოდენობა. ძუძუმწოვრებიდან აქ მრავლადაა კურდღელი, მელა, მაჩვი, მგელი და მცირე მტაცებლები, როგორცაა: დედოფალა, კვერნა და ჭრელტყავა.

თეთრობის ალკვეთილი

თეთრობის ალკვეთილი ჯავახეთის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, თეთრობ-ჭობარეთის კირქვიან ქედზეა განთავსებული. აქ გზდება კავკასიური ფიჭვის ტყეები, სადაც წარმოდგენილია მშრალი ჰაბიტატების მცენარეულობა, მათ შორის: ვაციწვერიანი, წივანა, მხეყვავილა, წიწინაური და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯავახეთის ენდემური სახეობები: სილამაზით გამორჩეული კეცხოველის ფამფარულა (მას ოქროსფერი ყვავილები და ბუსუსით დაფარული ვერცხლისფერი ფოთლები და ღერო აქვს) და ჯავახური ფამფარულა; ბუჩქნარიდან უნდა აღინიშნოს ბერყენა, ღვია, მდგნალი და სხვა.

გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი

გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი წარმოადგენს პლიოცენის პერიოდის განამარხებული ფლორისა და ფაუნის უნიკალურ ადგილსამყოფელს, რომელიც წარმოდგენილია ძეგლის ფარგლებში 3 მონაკვეთზე, ზღვის დონიდან 1600-2100 მ სიმაღლეზე, ადიგენისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. მისი საერთო ფართობი 365 ჰა-ს შეადგენს. აქ გაშიშვლებული ნეოგენის ვულკანოგენურ წყებებში მოჩანს განამარხებული ტყის შემადგენელი ნაწილები, რომელიც შეიცავს ქვედაპლიოცენური ასაკის დიდძალ მცენარეულ ნაშთებს (პალმები, მაგნოლიები, დაფნები, მირიკასებრნი, საპინდასებრნი, მირტასებრნი ერთის მხრივ და ტირიფისებრნი, არყი, რცხილა, წიფლისებრნი - მეორე მხრივ). მცენარეული ნაშთები გამოსახულია ნაცრისფერ ვულკანურ ტუფში მოქცეული ხეების გაქვავებული და ნახევრად გაქვავებული ღეროებითა და ფოთლების ანაბეჭდებით.

ბუნებრივი რესურსები

რეგიონი ცნობილია სამკურნალო და რეკრიაციული კურორტებით. აქ არსებული კლიმატი ენერჯის ალტერნატიული წყაროების პოტენციალს ქმნის. კერძოდ, რეგიონში მაღალია მზის რადიაცია და არსებობს მზის ენერჯის გამოყენების პოტენციალი, რაც სათანადო ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს. გარდა ამისა, რეგიონისთვის სახასიათო ქარების მიმართულების, სიჩქარისა და ხანგრძლივობის მახასიათებლები ელექტროენერჯის გამომუშავების მიზნით ქარის ენერჯის ათვისების შესაძლებლობას იძლევა. ამჟამად

მიმდინარეობს ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის შესაძლებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. რეგიონი მდიდარია მინერალური რესურსებით, ძირითადად: მინერალური, თერმული და მტკნარი წყლებით, მოსაპირკეთებელი მასალებით, კირქვიანი ტუფებით, ბაზალტით, დიატომიტებით, პერლიტით, თიხით, ქვიშით, ვულკანური წილით, ქვანახშირით, ოქროთი და ანდეზიტით. დღეისათვის წიაღისეული რესურსების მოპოვებაზე გაცემულია 136 ლიცენზია. რესურსების არსებულ მარაგებს გააჩნია მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით – მდინარეებით და ტბებით. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, მცირეა თერმული წყლის რესურსი. რეგიონში არსებული წყლის რესურსები გამოიყენება: სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით (8%), ჰიდროენერგეტიკაში (80%), მრეწველობაში, სარწყავად და თევზის სატბორეებისათვის.

სამცხე-ჯავახეთი ბუნებრივი ტყით მდიდარი რეგიონია. უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ტყის ინვენტარიზაცია უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა, რის გამოც დღეისათვის არსებული ყველა ოფიციალური მონაცემი ტყეების მდგომარეობის, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას. დეგრადირებული და გამეჩხერებულია ყველა ადვილად მისადგომი კორომი. პრობლემას წარმოადგენს ტყეში არსებული მოთხრილ-მოტეხილი, ნაყარი ხე-ტყე, რომელიც მავნებელ-დაავადებების გავრცელების საფრთხეს ქმნის. უკონტროლო ჭრებმა, სამოვრების უმართავად გამოყენებამ, ტყის ხანძრებმა და მავნებელმა დაავადებებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ტყის ეკოსისტემას. სამცხე-ჯავახეთში მავნებელ-დაავადებათა შორის ყველაზე დიდი ზიანის მომტანად მიჩნეულია მბეჭდავი ქერქიჭამია. რეგიონის მოსახლეობა დამოკიდებულია ტყეზე და საწვავად აქტიურად მოიხმარს მერქნულ რესურსს, რადგანაც ალტერნატიული ენერგომატარებლები ძვირია. რეგიონის ტყეების დეგრადაციის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად და სამომავლო რისკ-ფაქტორად ბუნებრივი და ანთროპოგენული წარმოშობის ტყის ხანძრები და მავნებლის ინტენსიური გავრცელება შეიძლება ჩაითვალოს.

დაბინძურების მაჩვენებლები და დაბინძურების პოტენციური წყაროები

ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, სამცხე-ჯავახეთში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა დაბალია და შესაბამისად, მავნე ნივთიერებების ემისია ატმოსფერულ ჰაერში შედარებით მცირეა. რეგიონის წილი ქვეყანის მასშტაბით საწარმოებიდან ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევაში იზრდება და 2012 წელს 0.27% შეადგენდა, როდესაც 2011 წელს 0.17%-ს უტოლდებოდა. რეგიონში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენს დიფუზიური წყაროები, ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სტაციონალური წყაროები.

მდინარეთა დაბინძურების დონეზე საუბარი ძირითადად იმ წყლის ქიმიური ანალიზის საფუძველზე შეიძლება, რომლებიც საქართველოს მეტეოროლოგიურმა სადგურებმა ბოლო წლებში განახორციელა. სამწუხაროდ, რეგიონში წყლის ხარისხზე დაკვირვება მხოლოდ მდ. მტკვარზე მოხდა, ხოლო სხვა მდინარეების წყლის ხარისხი არ შეფასებულა.

მდინარის წყალში ქიმიური ნივთიერებების შემცველობის მაჩვენებელი მცირეწყლიანობის პერიოდისათვის, რომელიც დაბინძურების კუთხით ყველაზე სენსიტიური პერიოდია, მოცემულია ქვემო ცხრილში.

ცხრილი 2.2 მდ. მტკვრის წყლის ხარისხის მაჩვენებლები ჰიდროლოგიური სადგურების კვებებში ზამთრის წყალმარჩხოვის პერიოდში

ჰიდროლოგიური სადგური	pH	იონების შემცველობა, მგ/ლ								P მგ/ლ	Si მგ/ლ	Fe მგ/ლ
		Ca ²⁺	Mg ²⁺	Na+K	HCO ₃	SO ₄ ²⁻	CL	NO ₃	NO ₂			
ხერთვისი	7.61	25.0	9.2	15.8	132.4	12.6	6.1	2.50	0.017	0.034	5.6	0.06
მინაძე	7.61	18.6	8.1	18.8	114.7	13.8	4.7	3.00	—	0.015	7.0	0.06
ლიკანი	8.01	26.4	10.3	19.0	145.2	17.3	6.1	1.0	0.010	0.000	5.7	0.05

უნდა აღინიშნოს, რომ მდ. მტკვრის პოტენციურ დაბინძურებას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი ტრანსსასაზღვრო მდინარეა და დაბინძურება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელდება. საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მდ. მტკვარზე არ გვხვდება წყალსაცავები, რომელებიც შეაკავებდა დაბინძურებულ წყალს და გარკვეულწილად გაწმენდა მას.

2.2 მცხეთა-მთიანეთი: სოციალური მახასიათებლები, კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის განვითარების ტენდენციები

2.2.1 მცხეთა-მთიანეთის სოციალური პროფილი

ტერიტორია

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში. მისი ტერიტორიის საერთო ფართობია 5,8 ათასი კვ.კმ. (საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 8,3%), ხოლო მოსახლეობა 2014 წლის მონაცემებით 94 3701 კაცს შეადგენს (საქართველოს მოსახლეობის 2.53%); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 16,3 კაცია. რეგიონში შედის: დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები. რეგიონული ცენტრია ქ. მცხეთა, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან, ქ. თბილისიდან 24 კილომეტრითაა დაცილებული. მცხეთა-მთიანეთს დასავლეთიდან ესაზღვრება შიდა ქართლი, აღმოსავლეთიდან კახეთი, სამხრეთიდან ქ. თბილისი და ქვემო ქართლის რეგიონი, ხოლო ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია (ჩრდილოეთ ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი). რეგიონში ორი ქალაქი (მცხეთა, დუშეთი), ხუთი დაბა (ჟინვალი, ფასანაური, თიანეთი, სიონი, სტეფანწმინდა) და 483 სოფელია. რეგიონი გამოირჩევა მნიშვნელოვანი სტრატეგიული გამოირჩევა (დედაქალაქთან საერთო საზღვარი, საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან) და შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურით (საქართველოს სამხედრო გზა, ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი). როგორც ისტორიულ კონტექსტში, ასევე დღესაც იგი უაღრესად დიდ როლს თამაშობს.

მოსახლეობა

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა შეადგენს 94 370 კაცს. ხოლო მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებით, რეგიონის მოსახლეობა 125 400 კაცს შეადგენდა. რეგიონის შიგნით ყველაზე დიდი მოსახლეობა – 57 600 კაცი (რეგიონის მოსახლეობის 56%) – მცხეთის მუნიციპალიტეტშია, ხოლო ყველაზე მცირე - 4900 კაცი – ყაზბეგში (6%).

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2002 წლის შემდეგ მოსახლეობის კლების ტენდენციას აქვს ადგილი (-30 827), რაც სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული. ანალოგიური მაჩვენებლები პროცენტულად კიდევ უფრო მაღალია მთიან და მაღალმთიან ტერიტორიებისთვის, სადაც

მოსახლეობის გადინების პროცესს უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში შეუქცევადი ხასიათი აქვს. 2010 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 10 400 კაცით გაიზარდა, რაც გამოწვეულია 2008 წელში ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპაციით და იქ მცხოვრებთა ეთნიკურ ნიადაგზე დევნით. აღნიშნულის გამო რეგიონის ტერიტორიაზე იძულებით ადგილმონაცვლე პირთა კომპაქტური დასახლებები გაჩნდა (წეროვანი, ფრეხეთი, წინამძღვრიაანთკარი და სხვა).

რეგიონი გამოირჩევა მცირემოსახლიანი სოფლების სიმრავლით. მთელს რეგიონში მხოლოდ ერთი სოფელია 5 000 მოსახლით, ისიც მცხეთის მუნიციპალიტეტში. რეგიონის მასშტაბით 50 სოფელში ცხოვრობს 10-ზე ნაკლები კაცი, ხოლო 60-მდე სოფელი პრაქტიკულად მოსახლის გარეშეა დარჩენილი.

ეთნიკური უმცირესობები და მოწყვლადი ჯგუფები

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ძირითად მოსახლეობას ეთნიკურად ქართველები შეადგენენ. მცხეთის მუნიციპალიტეტის რიგ სოფლებში ეროვნული უმცირესობები (ოსები, რუსები, ასირიელები, სომხები) კომპაქტურადაა დასახლებული.

ცხრილი 2.3. ეთნიკური უმცირესობები მუნიციპალიტეტების მიხედვით (წყარო: მცხეთა-მთიანეთის რეგიონის RTDS-ი)

	მცხეთა	დუშეთი	თიანეთი	ყაზბეგი
ოსები	834	1577	196	60
აზერბაიჯანელები	587	12	18	1
სომხები	204	11		5
ასირიელები	1517	6	16	
რუსები	????	65	30	
ბერძნები		2	2	

იძულებით გადაადგილებული პირები. 2008 წლის ომის შემდეგ, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად (10 000 კაცით) გაიზარდა და რეგიონის მთელი მოსახლეობის 9%-ს შეადგენს. იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები დამაკმაყოფილებელია. თუმცა, მათი დასაქმების მაჩვენებელი მაღალი არ არის. საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, დევნილი მოსახლეობისთვის სოფ. წეროვანში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შენდება ახალგაზრდობის სახლი, ხოლო სოფ. წილკანში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში – საბავშვო ბაღი. ეს პროექტები ფინანსდება მთავრობის მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხებიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტში, ბაზალეთის სანატორიუმში ცხოვრობს 349 იძულებით გადაადგილებული პირი. მათგან 45 ოჯახი სოციალურად დაუცველია. გარდა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიღებული დახმარებებისა, ყველა დევნილის კომუნალურ ხარჯს ანაზღაურებს ადგილობრივი გამგეობა. შეძლებისდაგვარად ხდება მათი დასაქმება ადგილობრივ სტრუქტურებში, კერძოდ: 3 მასწავლებელი დასაქმებულია საჯარო სკოლებში, 2 იძულებით გადაადგილებული პირი - სოფლის მეურნეობაში, ხოლო 3 პირი - მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

თიანეთის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულია 15 ადგილმონაცვლე პირი. მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საშუალოა. მხოლოდ რამდენიმე მათგანია დასაქმებული სხვადასხვა სექტორში. ადგილობრივი ხელისუფლება მათ მათივე მოთხოვნის საფუძველზე და ადგილობრივი ბიუჯეტში არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. თიანეთის მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის მიგრაცია თითქმის არ ხდება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში იძულებით გადაადგილებული პირები არ ცხოვრობენ.

ეკომიგრანტები. რაც შეეხება ეკომიგრაციას, დუშეთის მუნიციპალიტეტში (სოფ. მლეთა, ვეძათხევი, შარახევი) ზოგი ოჯახი მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობს, რომელთაც სასწრაფოდ ესაჭიროებათ განსახლება.

პენსიონერები. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პენსიას 22 401 პირი იღებს.

საარსებო შემწეობის მიმღები პირები

საარსებო შემწეობას, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირებისთვისაა განკუთვნილი, 6 060 ოჯახი იღებს. სოციალური დახმარების ოდენობა ოჯახის უფროსზე თვეში 60 ლარია, ხოლო მთლიანად ოჯახის შემწეობა დამოკიდებულია ოჯახის წევრთა რაოდენობაზე.

გენდერული მაჩვენებლები. მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სექტორებში დასაქმებულია დაახლოებით 52,4% მამაკაცი და 47,6% ქალი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს გენდერულ თანასწორობას.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: გამგეობაში დასაქმებულია 43 მამაკაცი და 45 ქალი, ხოლო საკრებულოში - 4 ქალი და 29 მამაკაცი. ქალთა უმრავლესობა დაბალ თანამდებობრივ საფეხურზეა დასაქმებული. ზოგადად, ქალთა ჩართულობა მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საქმიანობაში იმ ფაქტითაა დადასტურებული, რომ გენდერული საკითხები უფრო სოციალურ საკითხად აღიქმება, ვიდრე ეკონომიკურად.

თიანეთის მუნიციპალიტეტში, კერძო სექტორში დასაქმებულია 215 ქალი და 44 მამაკაცი, ხოლო საჯარო სექტორში - 320 ქალი და 160 მამაკაცი. გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოსახლეობის პროფესიული გადამზადება, პროფესიული სასწავლებლებისა და სასწავლო ცენტრების დაარსებაა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 505 ქალი და 245 მამაკაცია დასაქმებული. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილი ქალებია. ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებით, ამისი ბრალი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და დაბალი ხელფასებია.

სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები

შრომის ბაზარი. დასაქმების პრობლემა აქტუალურ საკითხად რჩება როგორც საქართველოში, ასევე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ოფიციალურ ვებგვერდზე - www.geostat.ge - მოცემული ინფორმაციის მიხედვით, უმუშევრობის დონე საქართველოში 12,4%-ია, ხოლო მცხეთა-მთიანეთისთვის ეს მაჩვენებელი 6.1%-ს შეადგენს; ამასთან, 2010 წელთან შედარებით, რეგიონში უმუშევრების რაოდენობა 2100 პირით გაიზარდა. დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2010-2013 წლებში 4587-დან 6687 კაცამდე გაიზარდა; ხოლო მათი საშუალო თვიური ანაზღაურება იმავე პერიოდში 518,4-დან 775 ლარამდე გაიზარდა. უმუშევრობის დაბალი დონე მთლიანად საქართველოს საშუალო

მაჩვენებელთან შედარებით განპირობებულია იმით, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოსახლეობა ძირითადად თვითდასაქმებულია საკუთარ მეურნეობებში. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში მცხეთა-მთიანეთის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მაჩვენებლები ერთადაა მოცემული. ვინაიდან აღნიშნულ რეგიონებში მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა თითქმის იდენტურია, პროცენტული მაჩვენებლები შეიძლება განზოგადებული იქნას მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე,

ცხრილი 2.4 მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით 2006-2013 წწ-ებში (ათასი კაცი)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საქართველო								
უმუშევრობის დონე, (%)	13,6	13,3	16,5	16,9	16,3	15,1	15,0	14,6
აქტიურობის დონე, %	62,2	63,3	62,6	63,6	64,2	65,2	66,9	66,2
დასაქმების დონე, (%)	53,8	54,9	52,3	52,9	53,8	55,4	56,8	56,6
მცხეთა-მთიანეთი								
უმუშევრობის დონე, (%)	6,4	6,5	8,0	8,3	8,9	7,1	7,5	6,7
აქტიურობის დონე, %	73,4	75,0	72,8	73,0	71,5	70,6	72,9	72,5
დასაქმების დონე, (%)	68,7	70,1	67,0	67,0	65,1	65,6	67,4	67,7

ტრადიციულად, დასაქმებულებში მნიშვნელოვნად ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ მეურნეობაშია დაკავებული. დასაქმების დაბალი დონე სამუშაო ადგილების სიმცირეს უკავშირდება. უმუშევრობას ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. რეგიონში დღემდე არ არის პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები.

რეგიონის ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, მეწარმეობის განვითარება

რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების შექმნაში ძირითადად შემდეგი სფეროები მონაწილეობს: წარმოება, სახელმწიფო მმართველობა, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ოფიციალურ ვებგვერდზე - www.geostat.ge - მოცემული ინფორმაციის მიხედვით, პროდუქციის გამოშვება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2013 წელს 251,3 მლნ. ლარით აღემატებოდა 2010 წლის მონაცემებს. პროდუქციის გამოშვებამ შეადგინა 454.5 მილიონი ლარი, რაც ასახავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას. ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გამომუშავებული პროდუქციით ლიდერობს მრეწველობა, რომელსაც მოსდევს მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, კავშირგაბმულობა და სხვა. სამრეწველო საწარმოებიდან აღსანიშნავია: ლუდსახარში „ნატახტარი“, ლუდსახარში „ზედაზენი“, „აქვა გეო“, „შატო მუხრანი“, ქსნის მინის ქარხანა, „ბარამბო“, ქალაქის გადამამუშავებელი ქარხანა და სხვა. 2010 წლიდან მცხეთა-მთიანეთის რეგიონში აღინიშნება საწარმოთა ბრუნვის ზრდის ტენდენცია, რამაც ყველაზე მაღალ მაჩვენებელს - 327.3 მლნ. ლარი - 2013 წელს მიაღწია. ეს ის პერიოდია, როცა ბაზარზე აქტიურად გამოდიოდა „ბარამბო“ და „ნატახტარი“.

სოფლის მეურნეობა

მიწის ფონდი და მიწათსარგებლობა

რეგიონის ბუნებრივი პირობების თავისებურებები გავლენას ახდენს მიწის ფონდის სტრუქტურაზე. მიწის ფონდი მუდმივად იცვლება, რადგანაც მიწების ნაწილი არასასოფლო-სამეურნეოში გადადის გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და სხვა საქმიანობის გამო. მეორეს მხრივ კი, ხდება ყამირი მიწების ათვისება. ეს ძალზე რთული პროცესია (განსაკუთრებით, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით) და სერიოზულ კონტროლს მოითხოვს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიწის სხვა კატეგორიაში გადატანა საზოგადოებრივი (სოფელი, თემი) და რეგიონის ეკონომიკური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. რეგიონის მიწის რესურსის 2/3 შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს:

- a. სასოფლო-სამეურნეო ფართობის უთანაბრო სტრუქტურა, კერძოდ სახნავი მიწების სიმცირე და ბუნებრივი სათიბ-სამოვრების დიდი რაოდენობა (როგორც აბსოლუტური, ასევე ფარდობითი);
- b. მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობების სიმცირე და მათი შემცირების ტენდენცია;
- c. სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოუსადეგარი მიწების დიდი რაოდენობა.

მიწის სავარგულების სტრუქტურაში აღსანიშნავია მეორე უთანაბრობაც. პირუტყვის საკვები ბაზა წარმოდგენილია მხოლოდ საზაფხულო სათიბ-სამოვრებით და ზამთრის სამოვრების სიმწირე მეცხოველეობის განვითარებისთვის ერთ-ერთი ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორია. სოფლის მეურნეობისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ნიადაგის ნაყოფიერება და მოსავლიანობაა, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორცაა ხარისხიანი სათესლე მასალა, სამელიორაციო ღონისძიებები და აგროვადების დაცვა. კოლმეურნეობების დაშლის და ბოლო ათწლეულებში სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოშლის შემდგომ, სოფლის მეურნეობის ტრადიციული პროდუქტების წარმოება ძირითადად ოჯახურ მეურნეობებში ხდება, რომლებიც მეტწილად ნატურალური მეურნეობებს წარმოადგენს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის შემდეგ დარგებს აქვს განვითარების კარგი პერსპექტივა (მუნიციპალიტეტების მიხედვით):

	მცხეთა	დუშეთი	თიანეთი	ყაზბეგი
მარცვლეულის წარმოება	+	+	+	
მებოსტნეობა	+	+	+	+
მეხილეობა	+	+	+	+
მეკარტოფილეობა		+	+	+
მევენახეობა	მუხრანის ველი			
მეხილეობა				
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება				
წვრილფეხა პირუტყვის მოშენება			+	+
მეღორეობა				
მეფრინველეობა	+			
მეფუტკრეობა	+	+	+	+
მეთევზეობა	+	+	+	+

ტყის არამერქნული პროდუქტების მოპოვება	+	+		
---------------------------------------	---	---	--	--

ქვემოთ აღწერილია პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებას:

- **მარცვლეულის წარმოება:** სათანადო ტექნიკის, აგროტექნოლოგიების, ხარისხიანი თესლის, სარწყავი სისტემების და სხვა საჭირო მასალების გამო საშუალო მოსავლიანობა ძალიან დაბალია.
- **მეკარტოფილეობა:** სათანადო საკანონმდებლო ბაზის უქონლობა და სათესლე კარტოფილის მწარმოებელი ფერმის არარსებობა.
- **მეხილეობა:** ნერგების სიძვირე, სათანადო ტექნიკის არარსებობა, სოფლის მეურნეობის ეფექტურად გაძღოლის მეთოდების უცოდინრობა, ხილის დამზადების პუნქტებისა და მცირე გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობა ადგილზე.
- **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება:** სანაშენე ფერმების არარსებობა, საკვები ბაზის არასაკმარისობა, მოსახლეობაში ფულადი რესურსის არარსებობა. საჭიროა მაღალპროდუქტიული, მათ შორის ალპურ პირობებთან შეგუებული ჯიშების შემოყვანა-გამრავლება, რძის და ხორცის გადამამუშავებელი მცირე საწარმოების ამოქმედება და ახალი, ძვირადღირებული პროდუქტების შექმნა.
- **წვრილფეხა პირუტყვის მოშენება:** ზამთრის სამოვრების სიმწირე. საჭიროა ცხვრის ბილიკებზე არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია და ამუშავება.
- **მეფრინველეობა:** მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული კომერციული მეფრინველეობის ფერმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს დედაქალაქის კვერცხითა და ქათმით მომარაგებაში. დიდი მოთხოვნაა ე.წ. სოფლის კვერცხსა და ქათამზე. მეფრინველეობის ფერმების მცირე ზომების გამო, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ ნაწილობრივ ხდება.
- **მეფუტკრეობა:** საჭიროა მეფუტკრეობის პროდუქტების სათანადოდ დაფასოება, ეტიკეტირება და მარკეტინგული ღონისძიებების გატარება. სუფთა გარემოს, ალპური და ტყის მცენარეების სიმრავლე და მრავალფეროვნება, ასევე ქართული ჯიშის ფუტკრის თავისებურებები განაპირობებს ქართული თაფლის განსაკუთრებულ ხარისხს. ბუნებრივი პირობები თაფლის წარმოების რამდენჯერმე გაზრდის შესაძლებლობას იძლევა.
- **სათბურების სიმცირე:** სათბურების მოწყობა მნიშვნელოვანია, რეგიონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სიმწირის გათვალისწინებით.
- **კომერციალიზაციის დაბალი დონე:** დაბალი პროდუქტიულობის გარდა, რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების კომერციალიზაციის დონეც საკმაოდ დაბალია. ცალკე აღებულ მეწარმეებს არ ხელეწიფებათ თავიანთი პროდუქტის სათანადოდ შეფუთვა, რეკლამირება და გაყიდვა. აქ საჭიროა გარკვეული დახმარება სახელმწიფოს ხრიდან (რაც მეღვინეობის შემთხვევაში განხორციელდა). თიანეთური დამბალ-ხაჭო ტრადიციული პროდუქტის პოპულარიზაციის კარგი მაგალითია. მას არამატერიალური კულტურულ მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა. ამ პროდუქტზე მოთხოვნა და მისი ფასიც მკვეთრად გაიზარდა. ამით ადგილობრივ მწარმოებლებს სტიმული მიეცათ და ზოგიერთი ფერმერი მთლიანად მის წარმოებაზე გადავიდა.

რეგიონში კვების მრეწველობის განსავითარებლად საჭიროა მაღალმოსავლიანი კულტურების, მაღალპროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველის შეტანა. საჭიროა ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან ადაპტირებული მრავალწლიანი ბალახების, ძირხვენების და სხვა კულტურების

სელექცია. კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომელსაც ხელს უწყობს ხელისუფლება და სხვადასხვა დონორები, შესაძლოა ვერმერებს კოოპერატივების შექმნაში და თავიანთი საქმიანობის ეფექტურად ორგანიზებაში დაეხმაროს.

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და სოციალური დაცვა

2013 წელს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 6687 ადამიანს (რეგიონის მოსახლეობის 6,14%) შეადგენდა. ეს 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2100 კაციით აღემატება. აქედან, 3970 კაცი დასაქმებული იყო მსხვილ, 619 საშუალო, ხოლო 2097 კაცი - მცირე საწარმოში. დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 2013 წელს 775 ლარს შეადგენდა (722,8 ლარი ადგილობრივი კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, 1251,3 ლარი უცხოელი დამსაქმებლებისგან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან)). ეს 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე პირველ შემთხვევაში 226,2 ლარით, ხოლო მეორე შემთხვევაში 346 ლარით მეტია. 2013 წელს საშუალო თვიური ხელფასი მსხვილ საწარმოებში 1045,0 ლარს, საშუალო საწარმოებში 497,9 ლარს, ხოლო მცირე საწარმოებში 294,7 ლარს შეადგენდა. ეს საქართველოს ერთიან საშუალო მაჩვენებელთან ახლოსაა, ხოლო მსხვილი საწარმოების შემთხვევაში სჭარბობს კიდევ მას.

რეგიონში სიღარიბის დონე საკმაოდ მაღალია. 2014 წელს სოციალურად დაუცველი რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობამ 9933 შეადგინა. რეგიონში ირიცხება საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღები 18585 პირი, რაც მოსახლეობის 9,12%-ს შეადგენს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო პროცენტულ მაჩვენებელს (19,05%).

მძიმე სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, რეგიონში არაა სოციალური დახლები მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის (მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, ხანდაზმულები და განსაკუთრებული ფიზიკური საჭიროებების მქონე პირები). უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის ინფრასტრუქტურა არაა ადაპტირებული განსაკუთრებული ფიზიკური საჭიროებების მქონე პირებზე და ხელს უშლის მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ჯანდაცვა

რეგიონში მოქმედებს 4 საავადმყოფო, 27 ამბულატორია და 2 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი; ამას გარდა, რეგიონს ემსახურება 14 სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომლებიც უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მეორეს მხრივ, რთული რელიეფური პირობებისა და დასახლებების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აუცილებელია სამედიცინო ვერტმფრენით მომსახურების საკითხის მოგვარება. რადგანაც რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი ხანდაზმულია, სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია. მოსახლეობის შემოსავლები დაბალია და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემა მნიშვნელოვანია. საავადმყოფოები მუნიციპალურ ცენტრებშია განთავსებული და ზამთარში, ცუდი ამინდის პირობებში მოშორებული სოფლების მაცხოვრებლებს სამედიცინო მომსახურებაზე ხელი ძნელად მიუწვდებათ. რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების სერიოზული დეფიციტია. ამიტომაც, რეგიონის მოსახლეობა სამედიცინო მომსახურების მისაღებად ქვეყნის სხვა რეგიონებს მიმართავს. რეგიონში ცოტაა კერძო სამედიცინო დაზღვევის მქონე პირი. დაზღვევისა და წამლების ხელმისაწვდომობა სერიოზული პრობლემაა. მეორეს მხრივ, სახელმწიფოს საბაზო დაზღვევა მთელს ქვეყანას

მოიცავს. თუმცა, ეს დაზღვევა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას როდი ფარავს.

განათლება

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ფუნქციონირებს 86 საჯარო სკოლა და 2 კერძო სკოლა (მცხეთასა და სტეფანწმინდაში), რომლებშიც 11 525 მოსწავლე სწავლობს. 2012/13 სასწავლო წელთა შედარებით, 2014/15 სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობა 377-ით შემცირდა, რაც განპირობებულია დემოგრაფიული მდგომარეობით და მზარდი მიგრაციითა (განსაკუთრებით მთიანი და მაღალმთიანი დასახლებებიდან). რეგიონში 2141 პედაგოგია. ზოგიერთ მაღალმთიან სოფელში მხოლოდ დაწყებითი სკოლებია. უფროსი ასაკის ბავშვები კი სხვა სოფლებში არსებულ უახლოეს საჯარო სკოლაში დადიან. მუნიციპალურ ცენტრებთან ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ნაწილი მუნიციპალურ ცენტრში არსებულ სკოლაში სწავლას ამჯობინებს, რაც განპირობებულია უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ინფორმაციის მეტად ხელმისაწვდომობით, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სტუდია, სპორტული სექცია და სხვა) სიარულის სურვილით და სხვა. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეებს მუნიციპალურ ცენტრებში გადასაადგილებლად ემსახურება სასკოლო ავტობუსები. თუმცა, ზოგიერთი სოფლის ბავშვებს სკოლებამდე მისასვლელად რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევთ ფეხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთიან ადგილებში საჭიროა სკოლა-ინტერნატები (მაგ., ბარისახოს სკოლა-ინტერნატი, რომელსაც ბევრი პრობლემა აქვს, პრაქტიკულად ინარჩუნებს მოსახლეობას ამ ისტორიულ თემში).

უკანასკნელ წლებში თითქმის ყველა საჯარო სკოლაში განხორციელდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. მცხეთის მუნიციპალიტეტში აშენდა 2ახალი სკოლა. სკოლების დიდი ნაწილი აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და ჩაერთო ინტერნეტის ქსელში. თუმცა, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვლავაც სერიოზული ზრუნვის საგანი უნდა იყოს როგორც მუნიციპალიტეტების, ასევე სამინისტროს მხრიდან.

რეგიონში მუნიციპალურ დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს 59 საბავშვო ბაღი, სადაც 2743 ბავშვს ემსახურება 771 პედაგოგი და ტექნიკური პერსონალი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების უმრავლესობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არაადაამაკმაყოფილებელია.

რეგიონში არ მოქმედებს არცერთი საჯარო ან კერძო უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, რეგიონში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საჭირო არაა. თუმცა, აქტუალურია ისეთი პროფესიული განათლების ცენტრების/ მათი ფილიალების გახსნა, რომლებიც სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებს მოამზადებს დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში (დაგეგმილია წინამძღვრიაანთკარის კოლეჯის რეაბილიტაცია, რომელსაც დიდი ისტორია აქვს). ასევე აუცილებელია ტრენინგ-ცენტრების გახსნა, სადაც შესაძლებელი იქნება მოკლე ტრენინგების ჩატარება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობა

გზები და ტრანსპორტი

საავტომობილო გზების საერთო სიგრძე (დასახლებების შიდა გზების ჩათვლით) რეგიონში 476,6 კმ-ია, საიდანაც საერთაშორისო მნიშვნელობისაა 172,3 კმ, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა - 460,3 კმ, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის - 800 კმ-ზე მეტი. მუნიციპალურ

ცენტრებში არსებული მეორადი გზები და სოფლების დამაკავშირებელი ადგილობრივი გზები მოასფალტებული არაა. ტროტუარებს რეგულარულად აზიანებს მეწყრები და წყალმოვარდნები. მეორადი გზების დიდი ნაწილი გრუნტის გზებითაა წარმოდგენილი. ამიტომ, ზამთარში, დიდთოვლობისას მათზე გავლა შეუძლებელია. სოფლის გზების დიდი ნაწილი მწყობრიდანაა გამოსული. ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია ხევსურეთის, გუდამაყრისა და მთიულეთის სოფლების გზები. ამ გზებზე გადაადგილება ზაფხულშიც კი რთულია, ხოლო ზამთარში ისინი იკეტება. ამიტომაც, ასეთი სოფლები ზამთარში მოწყვეტილია მუნიციპალურ ცენტრებს.

საავტომობილო ტრანსპორტი რეგიონში გადაადგილების ერთადერთი საშუალებაა. რეგიონის ავტოპარკი წარმოდგენილია კერძო და მუნიციპალური ავტობუსებითა და მიკრო-ავტობუსებით. ძირითადი სატრანსპორტო ნაკადებია: თბილისისკენ - რეგიონის მუნიციპალიტეტები და მუნიციპალური ცენტრები - ადგილობრივი სოფლები. ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობა სეზონურ ხასიათს ატარებს და ზამთარში შესამჩნევად მცირდება. ტრანსპორტის მოძრაობა სოფლებიდან მუნიციპალური ცენტრებისკენ განსაკუთრებით აქტიური ბაზრის დღეებშია. უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების სოფლები მუნიციპალურ ცენტრებს მოწყვეტილია (მიკრო-ავტობუსები პირდაპირ თბილისში მიდის). მუნიციპალიტეტების ავტობუსებისა და მიკროავტობუსების სადგური არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ბოლო წლებში ქვეყნის მთავრობამ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ რამდენიმე პროექტი განახორციელა. ამჟამად მიმდინარეობს გზის ორი სტრატეგიული მონაკვეთის - თიანეთი-ჟინვალისა და რომკა-არხოტის - მშენებლობა. მათი დასრულების შემდეგ თიანეთისა და პირიქითა ხევსურეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდება.

მცხეთის მუნიციპალიტეტზე გამავალი რკინიგზის ხაზის სიგრძე 26 კმ-ია.

კომუნალური სერვისები

წყალმომარაგება და წყალარინება

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სასმელი წყალმომარაგების სისტემის ცუდი მდგომარეობის გამო ადგილი აქვს წყლის დიდ დანაკარგებს. დასახლებების დიდ ნაწილს საკანალიზაციო სისტემა არ გააჩნია. არსებული საკანალიზაციო სისტემები კი სასწრაფო რეაბილიტაციას და მოდერნიზაციას საჭიროებს. სისტემიდან ჟონავს საკანალიზაციო წყლების 60-70%, რის გამოც ნიადაგი ბინძურდება.

ბუნებრივი აირი და ელექტროენერჯია

ელექტროენერჯია. ელექტროენერჯია მცხეთა-მთიანეთის თითქმის ყველა დასახლებას მიეწოდება. რთული რელიეფური პირობების გამო, მცხეთის მუნიციპალიტეტის 2 მაღალმთიანი სოფელი და დუშეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი ელექტროენერჯის გარეშეა.

გაზიფიკაცია. დღეის მდგომარეობით, ბუნებრივი აირი მხოლოდ ყაზბეგის მუნიციპალიტეტს მიეწოდება. მცხეთის, დუშეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტების გაზიფიკაციის სამუშაოები კი მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობას, სკოლებსა და ბაღებს ბუნებრივი აირი ღირებულების დაფარვა ძალიან უჭირთ.

ნარჩენების მართვა

მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციული ცენტრების გამოკლებით, ნარჩენების შეგროვება სათანადოდ არ ხდება. მოუგვარებელია ნაგავსაყრელების პრობლემაც.

რეგიონის ოთხ მუნიციპალიტეტს გააჩნია ნაგავსაყრელი, თუმცა ისინი ცუდ მდგომარეობაშია. სანიტარული და სადუზინფექციო ღონისძიებები არ ხორციელდება. საკმარისი რაოდენობის ნაგავმზიდები და ნაგვის ბუნკერები არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ინდუსტრიული საწარმოების ზემოქმედება გარემოზე შედარებით დაბალია, რადგანაც ასეთ კომპანიებს თანამედროვე გამწმენდი ნაგებობების, ნარჩენების გადამუშავების და ხელმეორე გამოყენების შესაძლებლობა გააჩნია. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების და მოსახლეობის უარყოფითი ზემოქმედება კი გარემოზე გაცილებით დიდია, რადგანაც მათ ნარჩენების მართვისა და გაუვნებლობისთვის სათანადო თანხები არ გააჩნიათ.

რეგიონში საავადმყოფოებიდან წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა არ ხდება. ასევე, ყურადღება არ ექცევა სპეციფიური ნარჩენების გაუვნებლყოფას და მართვას (მაგ., მუხრანის მეფრინველეობის ფერმის ნარჩენები და სხვა). სოფლის მეურნეობიდან წარმოქმნილი ნარჩენების, პესტიციდების მართვის, მიტოვებული სასაწყობო შენობა-ნაგებობებისა და მათი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

კომუნიკაციები

რეგიონი დაფარულია ფიჭური კავშირით. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს მიუწვდება ხელი ინტერნეტზე (მხოლოდ თიანეთშია გარკვეული ტექნიკური პრობლემები). ინტერნეტის მიწოდება ფიჭური კავშირით (მოდემებით) და თანამგზავრული თეფშებით ხდება. ოთხ მუნიციპალიტეტში საქართველოს ფოსტის ფილიალებია წარმოდგენილი.

სახანძრო და სამაშველო სამსახურები

რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად დამაკმაყოფილებელია. ამჟამად მიმდინარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სამაშველო სამსახურის რეორგანიზაცია და გადაიარაღება.

2.2.2 მცხეთა-მთიანეთის კულტურული მემკვიდრეობა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მოიცავს საქართველოს შემდეგ ისტორიულ პროვინციებს: ფშავ-ხევსურეთი (დუშეთის მუნიციპალიტეტი), ერწო-მთიულეთი (თიანეთის მუნიციპალიტეტი), ხევი (სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტი), საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთასა და მის შემოგარენს. რეგიონში წარმოდგენილია მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მრავალი ძეგლი.

1874 წლიდან მოყოლებული, სხვადასხვა პერიოდებში მცხეთასა და მის მიდამოებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა სხვადასხვა ეპოქის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი (ნასახლარები, ნამარხები, სახელოსნოები და სხვა), რომლებიც მიეკუთვნება ჩ.წ.ა-მდე III-დან შუასაუკუნეების ჩათვლით პერიოდს. ცალკე უნდა აღინიშნოს ანტიკური ხანის სხვადასხვა თავდაცვითი და მუნიციპალური შენობების, სასახლეების, ტაძრების, აბანოების, მავზოლეუმის ტიპის სამარხებისა და სამარხების ნანგრევები. ამას გარდა, მცხეთაში და მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე განლაგებულია ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების მრავალი მნიშვნელოვანი ეკლესია და მონასტერი. 1973 წელს ისტორიული მცხეთა ქალაქ-მუზეუმად გამოცხადდა და როგორც მნიშვნელოვანი ძეგლი, 1996 წელს იგი შეტანილი იქნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

საერთო ჯამში, რეგიონში 1300-მდე არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლია რეგისტრირებული. ქვემოთ მოყვანილია იმ განსაკუთრებული არქიტექტურული ძეგლების ნუსხა, რომელიც შესაძლოა ვიზიტორებისთვის საინტერესო იყოს.

მცხეთის მუნიციპალიტეტი

1. სამარხი. განლაგებულია მცხეთის სარკინიგზო სადგურის სამხრეთით. თარიღდება ჩ.წ.ა-ით II საუკუნით.
2. ანტიოქიის ეკლესია, VII-VIII საუკუნეები.
3. არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია.
4. არმაზისხევის არქეოლოგიური კომპლექსი.
5. არმაზის ციხე. XIII-XV საუკუნეები.
6. არმაზისციხე-ბაგინეთის არქეოლოგიური კომპლექსი. ჩ.წ.ა-მდე IV საუკუნე – ჩ.წ.ა-ით VII საუკუნე.
7. ბებრისციხე, XII-XVI საუკუნეები.
8. სამთავროს კომპლექსი. XI საუკუნე.
9. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი.
10. მცხეთის ჯვრის გუმბათოვანი მონასტერი;
11. ახალსოფლის ბზიანი კომპლექსი;
12. ზედაზენის სამონასტრო კომპლექსი, VI საუკუნე.
13. მუხრანის სასახლე, XIX საუკუნე.
14. ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.
15. შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი
16. ქსნის ციხე. XVI საუკუნე,
17. ძალისის რომაული პერიოდის აბანო და ტაძარი. I-IV საუკუნეები.
18. წილკნის ღვთისმშობლის ტაძარი, VII საუკუნე,

დეშეთის მუნიციპალიტეტი

19. ჩილაშვილის ციხე-დარბაზი. XVII-XIX საუკუნეები,
20. ავენისის წმ. გიორგის ეკლესია. IX-X საუკუნეები,.
21. ანანურის კომპლექსი. XIV- XVII საუკუნეები.
22. ბოდორნას ღვთისმშობლის ეკლესია. XVIII საუკუნე.
23. მერეს ციხის კომპლექსი. განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეები.
24. გუდანის ჯვარი. XIX საუკუნე.
25. დავათის ღვთისმშობლის ეკლესია და კოშკი. VIII-IX საუკუნეები.
26. სოფ. კვისტანის ციხე (ციხე-კოშკები).
27. მუცო - ციხესიმაგრე სოფელი.
28. სეფეს წმ. მარინეს ეკლესია. XVI-XVIII საუკუნეები.
29. ფუძნარის ღვთისმშობლის გუმბათოვანი ეკლესია. XIII საუკუნე,
30. კოროღლოს ღვთისმშობლის დარბაზოვანი ეკლესია. X-XI საუკუნეები.
31. შატილი. გვიანი შუასაუკუნეები.
32. ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი. XIX საუკუნე.

თიანეთის მუნიციპალიტეტი

33. ბოჭორმის ციხე-დარბაზის კომპლექსი. X-XV საუკუნეები.

34. ნადოკრის არჩილის სამონასტრო კომპლექსი. VIII საუკუნე.
35. ჟებოტის ამაღლების ეკლესია და სამრეკლო, გვიანი შუა საუკუნეები.
36. ჟალეთის ბაზილიკა, IX-X საუკუნეები.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

37. ახალციხის სამნავიანი ბაზილიკა, IX-X საუკუნეები. .
38. ბურმასიგის საცხოვრებელი კომპლექსი, XVII-XVIII საუკუნეები.
39. ბარბანის წმ. გიორგის სახელობის დაბაზოვანი ეკლესია, IX-X საუკუნეები.
40. გერგეტის ბეთლემის კომპლექსი, X-XI საუკუნეები.
41. გერგეტის სამების ეკლესია. XIV-XVI საუკუნეები.
42. დარიალის ციხე (გველეთი).
43. ნაკიგორის ციხე-სოფელი, XIII-XIV საუკუნეები.
44. ხევის სიონის საეკლესიო კომპლექსი, IX-X საუკუნეები.
45. სნოს ციხესიმაგრე (ლუდუშაურის ციხე) XVI-XVII საუკუნეები,.
46. ფანშეტის გამოქვაბულების კომპლექსი - "ცოდვილთა ქოხები", განვითარებული შუა საუკუნეები.

2.2.3 ტურიზმის განვითარების ტენდენციები მცხეთა-მთიანეთში

ბუნებრივი რესურსების კუთხით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში წარმოდგენილი ძირითადი ფასეულობებია აქ არსებული ლამაზი ლანდშაფტები, ასევე მათი ესთეტიკური და რეკრეაციული ღირებულება. სწორად გამოყენების, კერძოდ კი ტურიზმისა და კურორტების განვითარების შემთხვევაში ეს არამატერიალური აქტივები შეიძლება ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გახდეს. მცხეთა-მთიანეთის მთებსა და მთისწინეთში ამისათვის კარგი პოტენციალი არსებობს.

სუფთა ჰაერის, ასევე მინერალური და სამკურნალო წყლების წყალობით მაღალმთიან ზონას ტურიზმისა და კურორტების კარგი პერსპექტივა გააჩნია. ამ რესურსების სწორი და კომპლექსური გამოყენება ხელს შეუწყობს არსებული ბალნეოთერაპიული და ბალნეოლოგიური კურორტების ამუშავებას და ახლების დაარსებას.

რეგიონში წარმოდგენილი არქიტექტურული, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლები მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისათვის. ამ აქტივების რაციონალური გამოყენება მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ტურისტულ, ალპინისტურ და ბალნეოლოგიური კურორტების ცენტრად გადაქცევის შესაძლებლობას მისცემს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ტურიზმის განვითარების მაღალი პოტენციალი გააჩნია. ოთხივე მუნიციპალიტეტსა და ქ. მცხეთას დიდი ხნის ისტორია, უძველესი ტრადიციები და ჩვეულებები აქვს. აქედან გამორჩეულია ქ. მცხეთა, რომელიც UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია. რეგიონის მთები ხელსაყრელია კულტურული, არქეოლოგიური, სათავგადასავლო, ექსტრემალური, ბიზნეს და აგრარული ტურიზმის განვითარებისთვის; ასევე, მომლოცველობისათვის, ალპინიზმისა და სათხილამუროდ.

ამჟამად ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მხოლოდ ქ. მცხეთაშია, სადაც ტურისტებს შეუძლიათ ინფორმაციის მიღება ოთხივე მუნიციპალიტეტში არსებული მარშრუტებისა და

მომსახურების შესახებ. თუმცა, ბეჭდური მასალების რაოდენობა არასაკმარისია და მათი ხარისხიც დაბალია. ჩვენი ხედვით, ტურისტული საინფორმაციო ცენტრების გახსნა ყველა მუნიციპალიტეტშია საჭირო.

ტურიზმის განვითარება განსაკუთრებით სწრაფად მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში ხდება. ეს ადგილები ყოველთვის იზიდავდა ტურისტებს და ამიტომაც, აქ განხორციელებულია რიგი სახელმწიფო და ადგილობრივი პროექტებისა. ქ. მცხეთასა და ქ. ყაზბეგში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაც ტურიზმის განვითარების, სამუშაო ადგილის შექმნას და ადგილობრივი შემოსავლების გაზრდას ემსახურება. ინფრასტრუქტურის განვითარებამ გაზარდა ტურისტების ნაკადი და ადგილობრივ მოსახლეობას საოჯახო სასტუმროებისა და ტურისტული მომსახურების ცენტრების სტიმული მისცა. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ტურისტული სექტორის ზოგიერთი მაჩვენებელი (წყაროები: GNTA; CBA)

ვიზიტორების რაოდენობა 2014 წელში (წყარო: GNTA)	433,985
ტურისტების რაოდენობა (>1 დამე) (წყარო: GNTA)	173,594
საწოლების რაოდენობა მცხეთა-მთიანეთში	2,754
ვიზიტორების ზრდის პროგნოზი 2015-2020 წლებისთვის	5%
ვიზიტორების ზრდის პროგნოზი 2020 წლის შემდეგ	2%
დამისთავის დღეების საშუალო რაოდენობა, არსებული (წყარო: GNTA)	1.80
დამისთავის დღეების საშუალო რაოდენობა პროექტის შემდეგ, 2017 წლიდან (წყარო: GNTA)	2.00
დამისთავის დღეების საშუალო რაოდენობა პროექტის შემდეგ, 2020 წლიდან (წყარო: GNTA)	2.50
ერთი ტურისტის მიერ დღეში დახარჯული საშუალო თანხა, ლარი (წყარო: GNTA, კვლევა)	192.66 ⁴
ადგილობრივი ვიზიტორების წილი ტურისტების მიერ გაწეულ ხარჯებში	85%
სასტუმროების დატვირთვის მაჩვენებელი	30%
მეორადი გაყიდვების კოეფიციენტი	1.50

⁴ კვლევით გამოვლენილი საშუალო მაჩვენებელი 288.99 ლარია. თუმცა, გუდაურში ეს მაჩვენებელი მაქსიმალურს უტოლდება, ხოლო მცხეთა-მთიანეთში დახარჯული თანხების შესაფასებლად გუდაურის მაჩვენებლის 2/3 ავიღეთ.

2.2.4 მცხეთა - მთიანეთის რეგიონის ბუნებრივი გარემო

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდებარეობს ჩრდილოეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. რეგიონის ფართობი შეადგენს 5,8 კმ². მცხეთა-მთიანეთს დასავლეთით ესაზღვრება შიდა ქართლი, აღმოსავლეთით- კახეთი, სამხრეთით ქ. თბილისი და ქვემო ქართლის რეგიონი, ხოლო ჩრდილოეთით – რუსეთის ფედერაცია (ჩრდ. ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი). მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ორი მესამედი წარმოდგენილია მთა-გორიანი რელიეფით, რომლის დიდი ნაწილი განლაგებულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდზე ხოლო დანარჩენი (ყაზბეგი, პირიქითა ხევსურეთი) მდებარეობს წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. აბსოლუტური სიმაღლეები მერყეობს 500 მ-დან - მცხეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში 5033 მ-მდე - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (მყინვარწვერი). მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მრავალფეროვანია ტოპოგრაფიული და რელიეფური, ასევე კლიმატის, ლანდშაფტისა და ჰიდროლოგიური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე რეგიონის მოკლე დახასიათება მოცემულია ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით.

კლიმატი

მცხეთა: მცხეთა მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულ კლიმატურ ზონას. ჰაერის საშუალო ტემპერატურა მერყეობს +10,8C⁰ - +12 C⁰ -მდე, იანვრის საშუალო ტემპერატურა შეადგენს -1,1C⁰, ივლისის - +22,1C⁰. ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრითა (აბსოლუტური მაქსიმუმი -29C⁰) და გრძელი ცხელი ზაფხულით (აბსოლუტური მაქსიმუმი +39C⁰). ნალექები - 590 მმ/წ. ზომიერად ნოტიო კლიმატი დაიკვირვება ასევე სხალთის, საგურამოსა და ქართლის ქედებზე.

დუშეთი: დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფორმირებულია ძირითადად სამი ტიპის კლიმატი:

1. ზომიერად ნოტიო კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთრითა და გრძელი თბილი ზაფხულით;
2. ნოტიო კლიმატი, ცივი ზამთრითა და მოკლე გრილი ზაფხულით;
3. მაღალმთიანი ნოტიო კლიმატი, მუდმივ თოვლის საფარითა და მყინვარებით.

ტერიტორია ხასიათდება კლიმატის სიმაღლებრივი ზონალურობით. ზღვის დონიდან 900 მ-ზე საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს 9,7 C⁰, იანვარში - 1,4 C⁰, ხოლო ივლისში 20,4 C⁰. ნალექების რაოდენობა 740 მმ/წელიწადში. მაღალმთის ზომიერად ნოტიო კლიმატი ნამდვილი ზაფხულის გარეშედა მკაცრი ზამთრით, ნალექების რაოდენობა 1200-1600 მმ/წელ. 3300-3400 მ-ზე ზემოთ ფორმირებულია მუდმივი თოვლის საფარი და მყინვარები (მთავარი წყალგამყოფი ქედის მწვერვალებზე).

მთიანეთი: მუნიციპალიტეტის დაბლობ ტერიტორიებზე გაბატონებულია ზომიერად ნოტიო კლიმატი, ცივი ზამთრითა და თბილი ზაფხულით. ზღვის დონიდან 1000-1100 მ-ზე კლიმატი ზომიერად ნოტიოა ცივი ზამთრითა და გრძელი გრილი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა შეადგენს -4,1C⁰ - 4,7 C⁰. ზაფხულში 18,3 C⁰-18,5 C⁰. ნალექების რაოდენობა

მერყეობს 790-დან 880 მმ-მდე წელიწადში. მაღალმთიან ტერიტორიაზე წარმოდგენილია ზომიერად ნოტიო მაღალი მთის კლიმატი, ნამდვილი ზაფხულის გარეშე. მდ. იორის აუზში გავრცელებულია მკვეთრად კონტინენტური ტიპის კლიმატი, რაც გამოარჩევს მას საქართველოს სხვა მდინარეების აუზებისგან.

ყაზბეგი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მკვეთრად გამოხატულია კლიმატის სიმაღლებრივი ზონალურობა, დაწყებული ზომიერად ნოტიო, დამთავრებული მაღალი მთის ნოტიო კლიმატითა და მუდმივი თოვლის საფარით, ზომიერად ნოტიო კლიმატით 1740 მ. ზ.დ.-ცივი ზამთრითა და გრძელი, გრილი ზაფხულით, სადაც ჰაერის წლიური ტემპერატურა შეადგენს 4,9C⁰, იანვრის -5,2 C⁰, ხოლო ივლისის 14,4 C⁰. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა შეადგენს-34C⁰. ნალექების წლიური რაოდენობა დაახლოებით 800 მმ-ია. 1970 მ ზემოთ წვიმიანი სეზონი იწყება მაისში (147 მმ), ხოლო ნალექების რაოდენობა ფიქსირდება იანვარში (50მმ). 2000 მ-ზე ზემოთ კლიმატი მოკლებულია ნამდვილ ზაფხულს. ზღვის დონიდან 3650 მ-ზე საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს -6,1 C⁰, იანვარში - 15C⁰, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი შეადგენს - 42 C⁰. თოვლის საფარის ხანგრძლივობა - 277 დღე.

ტოპოგრაფია და გეომორფოლოგია

მცხეთა: მცხეთის ჩრდილო-დასავლეთის დიდი ნაწილის ვრცელი ფართობი მუხრან-საგურამოს ვაკეს უკავია. სამხრეთნაწილშიწლევა-თხოთისადასახალთისქედებია, აღმოსავლეთითქართლისადასაგურამოსქედებისკალთებიეშვება. რელიეფიდაბალმთიანია.

დუშეთი: დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია განფენილია შიდა ქართლის ბარის ზოლის ჩრდილოეთ მონაკვეთსა და კავკასიონის წყალგამყოფი ქედის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე. სამხრეთით, ძირითადად არაგვის აუზსა და ასევე ლაფანანთკარისა და ნარეკვავის, ჩრდილოეთით კი - მდ. ასას, შატილსა და მიღმახევის ხეობებში.

მთიანეთი:თიანეთისმუნიციპალიტეტისტერიტორიასაშუალო-მაღალმთიანია.

ტერიტორიისდიდინაწილიმაღლობებსადამთისწინეთებსუკავია.თიანეთის მუნიციპალიტეტის რელიეფის უარყოფითი ფორმებიდან აღსანიშნავია თიანეთისა და ერწოს დეპრესიები.

ყაზბეგი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მაღალმთიანია. რელიეფი ძირითადად კლდოვანი და ძნელად მისასვლელია. განვითარებულია ეროზიული, ვულკანური და ძველ-მყინვარული რელიეფის ფორმები. სპორადულად გვხვდება კარსტიც.

ნიადაგები

მცხეთა: მუხრან-საგურამოს ვაკეზე მდელოს ალუვიური, კარბონატული და მდელოს ყავისფერი ნიადაგებია. მდელოს ყავისფერი ნიადაგია, აგრეთვე, მტკვრისპირა ვაკეზე და თრიალეთის ქედისჩრდ. კალთის მთისწინეთში. ფართოდ არის გავრცელებული ტყის ყავისფერი ნიადაგი ქართლის, სხალთის, საგურამოსა და თრიალეთის ქედებზე.

დუშეთი: ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია ყომრალსა და ტყის ყავისფერ ნიადაგებს. ტყის ყავისფერ ნიადაგს ვხვდებით დაბალ ადგილებში. ბაზალეთის პლატოზე მცირედ

გავრცელებულია შავმიწისებრი ტიპის ნიადაგი. შემადგენელ ადგილებში საშუალო და მცირე სისქის ტყის ყომრალი ნიადაგებია ჩამოყალიბებული. ალაგ-ალაგ არის ნემომპალა-კარბონატული ნიადაგიც. ტყის ზონის ნიადაგებს ზემოთ ცვლის კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგები.

მთიანეთი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება სხვადასხვა ტიპის ნიადაგები. მაღალადგილებში (ქედების კალთაზე) ჩამოყალიბებულია ტყის გაეწრებული და ყომრალი ნიადაგები, რომელსაც უფრო მაღლა კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგიცვლის. მუნიციპალიტეტის დაბალ ადგილებში გავრცელებულია ტყის ყავისფერი ნიადაგები. ერწოსა და თიანეთის ქვაბულებში გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები. სიონის ქვაბულის ფსკერზეც ალუვიური ნიადაგია.

ყაზბეგი: ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უკავია მთა-მდელოს კორდიან და პრიმიტიულ ნიადაგებს. ტყის ღია ყომრალი ნიადაგები გვხვდება მდინარე თერგისა და მის რამდენიმე შენაკადის ხეობაში. მდინარეთა ხეობების ძირებზე არის ასევე ალუვიური ნიადაგი. მაღალმთიან ადგილებში ნიადაგი ტყის საფარს მოკლებულია. მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგი ვრცელდება ზღვის დონიდან 1100 - 2600 მ-მდე.

ზედაპირული წყლები

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ძირითადი მდინარეებია: მტკვარი, არაგვი, შავი არაგვი, ნარეკვაკვი, იორი, კსანი, თერგი, სნო.

მცხეთა: მცხეთაში გამოიყოფა შემდეგი მთავარი მდინარეები მდინარეები - მტკვარი, არაგვი, ნარეკვაკვი, ქსანი და თეზამი.

დუშეთი: ჰიდროგრაფიული ქსელი მჭიდროა და წარმოდგენილია მდინარეებით, ტბებით, მყინვარებითა და მიწისქვეშა წყლებით. არის როგორც მთის, ისე მთისწინეთისა და ბარის მდინარეები. მიმოფანტულია საკმაოდ ბევრი ტბა, რომელთა უმეტესობა მცირე ფართობისაა. მთავარ სამდინარო ქსელს ქმნის ოთხი არაგვი (მთიულეთ-გუდამაყრისა და ფშავ-ხევსურეთის), რომელთაგან უმთავრესია მთიულეთის არაგვი. დუშეთის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია ასევე მთავარი ქედის ჩრდილო კალთის მდინარეები: არღუნი და ასა. დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ტბებიდან მთავარია ბაზალეთისა და აბუდელაურის ტბები. ჟინვალის წყალსაცავი აგებულია მდ. არაგვზე. მისი სარკის ფართობია 11,5 კმ², ხოლო მოცულობა 520 მლნ მ³. ასევე წარმოდგენილია მინერალური წყაროები, მათ შრის „ვაჟას წყარო“ და „ფასანაური“.

მთიანეთი: თიანეთის მუნიციპალიტეტის ჰიდროგრაფიული ქსელი ხშირია. მთავარ სამდინარო არტერის ქმნის მდინარე იორი და მისი მრავალრიცხოვანი შენაკადები. თიანეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ივრის შენაკადებიდან მნიშვნელოვანია: ქუსნო, ხაშრულა, ხატხეურა (მარჯვ.); საგამი. სამდინარო რესურსების მთლიანი სიგრძე შეადგენს 420 კმ-ს. ასევე აღსანიშნავია ხელოვნური წყალსაცავი დაბა სიონში.

ყაზბეგი: ჰიდროგრაფიული ქსელი ხშირია. მუნიციპალიტეტი მდიდარია მდინარეებით, ტბებით, მყინვარებითა და მინერალური წყაროებით. აქაური მდინარეები მოკლეა (თერგის გამოკლებით), თუმცა მათ სწრაფი დინება ახასიათებთ და

გამჭვირვალე წყლით გამოირჩევიან. ზოგიერთ მდინარეზე გვხვდება საკმაოდ მაღალი და ლამაზი ჩანჩქერები. ტბებს მყინვარული ან ვულკანური გენეზისიაქვთ, და ხასიათდებიან მცირე ფართობითა და ხშირად საყურადღებო სიღრმით.

მყინვარებს ახასიათებთ უკუსვლა, ფართობის შემცირება, გაპოზა და სხვ. ზოგიერთი მათგანი ხეობურიდან ცირკულ მყინვარად იქცა.

მდ. თერგისა და მდ. არაგვის შენაკადები ხასიათდება ღვარცოფული ხასიათით, რაც განაპირობებს მდინარის კალაპოტის მორფოლოგიურ ცვლილებების (ზოგიერთ ადგლას, ძირითადად შესართავებთან ახლოს, ღვარცოფული მასა აკუმულირდება, მდინარის კალაპოტი განიერდება, მისი დონეები იწევს მაღლა, მაშინ, როდესაც შესართავთან აკუმულირებული მყარი ნატანი ირეცხება და შესაბამისად წყლის დონეც იკლებს), მაგრამ არ არის დაფიქსირებული განსაკუთრებული ლატერალური ეროზია.

საშიში გეოლოგიური პროცესები

რეგიონი განსაკუთრებულად მოწყვლადია ბუნებრივი კატასტროფების მიმართ, როგორც არის მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, გვალვა.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მოიცავს როგორც ცენტრალური კავკასიონის ნაოჭა სისტემას ასევე ტირიფონ-მუხრანის ვაკეს. ცენტრალური კავკასიონის ფარგლებში რეგიონი მოიცავს შოვი-ფასანაურის, ყაზბეგი-ლაგოდეხისა და მესტია-თიანეთის ტექტონიკურ ზონებს, რომლებიც აგებულია ტერიგენული-მეტამორფული ფორმაციებით. მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ხვდება 8 ბალიან მაკროსეისმური ინტენსივობის ზონაში, მაშინ როდესაც მთიანეთისა და ყაზბეგის ტერიტორიები ექვევა 9 ბალიან სეისმური ინტენსივობის ზონაში.

ინტენსიური საინჟინრო-ეკონომიკური სამუშაოები (ტყის მასივების გაჩეხვა, ადგილობრივი გზების გაყვანა შესაბამისი გეოლოგიური კვლევების გარეშე, დასახლებების გაშენება სარისკო ადგილებში, მკვეთრად დახრილი ფერდობებზე მიწის კულტივაცია) და ტერიტორიის მგრძნობიარე გარემო პირობები (გეოლოგია, რელიეფი, ტექტონიკა) იწვევს ისეთი საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარებას, როგორც არის მეწყერი, ღვარცოფი, ქვათა ცვენა, მდინარისა და რეზერვუარების ნაპირების წარეცხვა, ზვავი და ა.შ. საშიში გეოლოგიური მოვლენების გამო მიმდინარე წელს სახეზეა მნიშვნელოვანი მატერიალური და რიგ შემთხვევაში ადამიანური დანაკარგი.

რეგიონის კლიმატური პირობები და მეტეოროლოგიური ელემენტების ინდიკატორების გადახრა მრავალწლიური რეჟიმიდან, გეოლოგიური პროცესების დროსა და სივრცეში განვითარების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, მეტიც, როდესაც საქმე გვაქვს დიდი ენერჯის მქონე რელიეფთან და გეოლოგიურად მგრძნობიარე კლდეებთან, როგორც არის მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, სადაც ეროზიულ-ღვარცოფული პროცესები, მეწყრები, ზვავები აქტიურია, ეს იწვევს მოსახლეობის მატერიალური ზარალს, ასევე აზიანებს საინჟინრო ობიექტებს და ხშირ შემთხვევაში კატასტროფული შედეგიც გარდაუვალია.

ჰიდროლოგიური პირობებისა და ძირითადი მიწისქვეშა წყლების დახასიათება

მუხრანის მიწისქვეშა წყლების წყალშემცველი აუზი მოიცავს საკვლევი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. ქვემოთ მოცემულია ზემოაღნიშნული აუზის სხვადასხვა წყალშემცველი ჰორიზონტებისა და კომპლექსების მიხედვით.

ალუვიური ნალექების თანამედროვე კალაპოტისა და ჭალის წყალშემცველი ჰორიზონტი. ადრემეოთხეული ნალექების ფენა მუხრანის ხეობაში შეიცავს წნევიან

წყალშემცველ ჰორიზონტებს და დაფარულია ჭალის ალუვიონით. უწნევო მიწისქვეშა წყლები დაკავშირებულია მდ. ქსანისა და მდ. არაგვის ჭალის ტერასებთან, რომლებიც აგებულია კლდოვანი ქანებით, ქვიშით, ხრეშით, ქვიშნარი და თიხნარი ნიადაგით სიღრმით 1,0-4,0 მ ქვევით მიწის დანიდან. დამატებით მინიმალური ცირკულაციის სიღრმე (1,0 მ) ტიპურია მდინარეების კალაპოტის მიმდებარე ზონებისთვის. ალუვიური ნალექების მიწისქვეშა წყლების კვების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფრაგმენტებში უწნევო ჰორიზონტებიდან წყლის გადმოდინებით გამოწვეული მდინარის ფილტრატები. მიწისქვეშა წყლები მნიშვნელოვანია თბილისის წყალ მომარაგებისთვის, ბულაჩაურის, ჭოპორტის, მისაქციელის, ნატახტარისა და საგურამოს წყალამღები სისტემის ფუნქციონირებისთვის.

ალუვიურ-პროლუვიური ნალექების არადიფერენცირებული ადრე-მეოთხეული წყალშემცველი კომპლექსი. ეს არის ადრე-მეოთხეული ალუვიური ნალექების სტრუქტურა, რომელიც პროფ. ი. ბუაჩიძის „საქართველოს ჰიდროგეოლოგიური ზონირების“ მიხედვით მიეკუთვნება ქართლის არტეზიული ზასეინის აღმოსავლეთ დაბოლოებას, ე.წ. მუხრანის მესამე რიგის არტეზიულ აუზს.

მუხრანის ტერიტორიაზე ეფექტური წყალადების წერტილებში გაბურღული ჭაბურღილებიდან მიღებული მონაცემების მიხედვით წყალშემცველი ჰორიზონტების საერთო სიმძლავრე აღმოჩნდა სხვადასხვა ინტერვალით 50-100 მ სიღრმეზე.

ლანდშაფტები, ჰაბიტატები და ბიომრავალფეროვნება

რეგიონი განსაკუთრებით მდიდარია ფლორისა და ფაუნის ასევე ლანდშაფტების/ჰაბიტატების თვალსაზრისით. აღსანიშნავია ენდემური სახეობების მრავალფეროვნება. მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილია 21 ლანდშაფტი (ნ. ბერუჩაშვილის კლასიფიკაციის მიხედვით, 1979 წ. დ. ნიკოლეიშვილი, 2009 წ.), მათ შორის სხვადასხვა კონსერვაციული ღირებულების ლანდშაფტები, რომლებიც მნიშვნელოვანია იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ფლორისა და ფაუნის ჰაბიტატების არსებობისთვის. შემოაღნიშნული 21 ლანდშაფტისა და ჰაბიტატიდან ქვემოთ მოცემულია სამი ყველაზე დიდი ზონის ლანდშაფტის მოკლე დახასიათება, რომლებიც მეტნაკლებად ჰომოგენური ტიპისაა, ესენია: 1. დაბალ მთიანი ლანდშაფტები და ჰაბიტატები; 2. დაბალი და საშუალომთიანი ლანდშაფტები და ჰაბიტატები და 3. მაღალმთიანი ლანდშაფტები და ჰაბიტატები;

1. დაბალი მთის ლანდშაფტი

აღნიშნული ზონის აბსოლუტური სიმაღლებრივი დიაპაზონი შეადგენს 400-900 მ-ს და მოიცავს ორ დიდ ლანდშაფტურ კატეგორიას:

- **კატეგორია B. სუბხმელტაშუაზღვიური-სემიჰუმიდური მთისწინეთის რცხილნარ-მუხნარი ტყეებითა და სტეპებით;** ღია არიდული მდელოები ბუჩქნარით მდ. მტკვრის დეპრესიაში წარმოდგენილია ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწებით და გარშემორტყმულია შიბლიაკითა და ფრიგანას დერევატებითა და უროიანი სტეპებით (*Bothriochloa* sp.). (ნ. ბერუჩაშვილის კლასიფიკაციით 1979წ): B3. სამხრეთაღმოსავლეთ კავკასიური სუბხმელტაშუაზღვიური (ზომიერად=თერმოფიტული სემიჰუმიდურისკენ გარდამავალი) მთისწინეთის ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი ტყეებით, ტყით დაფარული ტერიტორიებითა და უროიანი სტეპებით. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გავრცელებულია შემდეგი ლანდშაფტის ტიპები: ლანდშაფტი 18, ლანდშაფტი 19 და ლანდშაფტი 23.

- **კატეგორია J. ჰიდრომორფული და სუბჰიდრომორფული - ჭალის ჭარბტენიანი ტერიტორიები და ტყეები;**

ჭალის ჭარბტენიანი ტერიტორიები და ალვისა და მუხის ტყე (ტუგაის ტყე); (ნ. ბერუჩაშვილის კლასიფიკაცია 1979წ):ჰიდრომორფული და სუბჰიდრომორფული-ჭალის ჭარბტენიანი ტერიტორიები და ტყეები; J2დელტისა და ჭალის ლანდშაფტები ჭარბტენიანი ტერიტორიებით, ჭაობის ტყეებითა და მდელოებით და ასევე მარილიანი ჭაობებით; **ლანდშაფტი 51:** ჭალის ალვისა და მუხის ტყეები (ტუგაის ტყე) და მდელოებით);

II დაბალი და საშუალო მთის ლანდშაფტი

კატეგორია O-დაბალი და საშუალო მთის ტყეები და მეორადი მშრალი ბუჩქნარით;

აღმოსავლური ალვისა და მუხის, მუხისტყეები და მეორადი მშრალი მუჩქნარი (შიბლიაკი) წარმოდგენილია ამ ზონის დაბალ ნაწილში. საშუალო მთის წიფლის ტყე და ალვისა და მუხის ტყე ასევე მეორადიმდელოები წარმოდგენილია ზონის შუა ნაწილში, ხოლო ყველაზე ზემოთ ნაწილში მაღალი მთის მცირე უბანზე წარმოდგენილია არყისა და აღმოსავლური მუხის ტყეები. აღნიშნული ლანდშაფტური ზონის დიაპაზონია 900-1900 მ და მოიცავს ტყის ლანდშაფტის ორ დიდ კატეგორიას:

- ნ. ბერუჩაშვილის კლასიფიკაციის მიხედვით: O6. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიონის (სემიჰუმიდურისკენ გარდამავალი) დაბალი მთის ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარით, მუხნარითა და მეორადი მშრალი ბუჩქებით (ლანდშაფტი 81; ლანდშაფტი 82)
- ნ. ბერუჩაშვილის კლასიფიკაციის მიხედვით: O7.სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიონის საშუალო მთის ლანდშაფტი წიფლის ტყეებით, რცხილნარ-მუხნარის მონაცვლობით, ნაწილობრივ ფიჭვის ტყეებითა და მეორადი მუჩქებით (ლანდშაფტი 89).

კატეგორია III მაღალი მთის ლანდშაფტი

მაღალი მთის ლანდშაფტი სუბალპური მდელოების, ტანბრეცილი ტყეებისა და ბუჩქების მონაცვლობით. ბუნებრივი ჰაბიტატი საკმაოდ დეგრადირებულია. ტერიტორია გამოიყენება საქონლისა და ცხვრის საძოვრებად და თივის მოსამზადებლად. ლანდშაფტის აბსოლუტური დიაპაზონია 1900-5000 მ და და მოიცავს მთის ლანდშაფტის სამ დიდ კატეგორიას:კატეგორია W-მთის, ზომიერად ცივი, მაღალი მტის ტყეები;

W 2 კავკასიონის მაღალი მთის ლანდშაფტები ტანბრეცილი და ფიჭვის ტყეებით. ლანდშაფტი 130 მაღალი მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი ტანბრეცილი მუხის ტყეებით. ლანდშაფტი 133:

მაღალი მთის ეროზიულ-დენუდაციური, ნაწილობრივ გლაციოლოგიური ლანდშაფტით, ფიჭვის ტყეებით და ტანბრეცილი ტყეებით;

კატეგორია X -მაღალი მთის მდელოები

(X1. კავკასიური სუბალპური ლანდშაფტი მდელოების, მაღალი ბალახეულობის, ტანბრეცილი ტყეების მონაცვლობით, ლანდშაფტი 137; X3. კავკასიის ალპური ლანდშაფტი მდელოებითა და როდოდენდრონების ტევრებით.

ლანდშაფტი 147: X4. მაღალი მთის ლანდშაფტი მიკრო ფორმაციებით, ხავსებითა და ლიქენებით; მაღალი მთის ვულკანური სუბნივალური ლანდშაფტები - ლანდშაფტი 151)

კატეგორია Y -მცინვარები (ვივალური ლანდშაფტი)

(ნ. ბერუჩაშვილის კლასიფიკაციის მიხედვით: გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტები (ლანდშაფტი152).

ფაუნა

ზოოგეოგრაფიული თვალსაზრისით და ასევე ცხოველების კონსერვაციის მიზნით შეგვიძლია ლანდშაფტები გავაერთიანოთ სამ კომპლექსში: ღია არიდული მდელოები; ტყით დაფარული ტერიტორიები და მაღალი მთის ლანდშაფტები.

ღია არიდული მდელოები ბუჩქნარით მდ. მტკვრის დეპრესიაში წარმოდგენილია ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწებით, რომლებიც გაშემორტყმულია შიბლიაკითა და ფრიგანას დერევატებითა და უროიანი სტეპებით (*Bothriochloa* sp.). ბუნებრივი ჰაბიტატები ამ ტერიტორიაზე ძლიერ დეგრადირებულია (შეესაბამება I ლანდშაფტურ ზონას - დაბალი მთის ლანდშაფტებს).

კატეგორია B. ლანდშაფტი 18, ლანდშაფტი 19, ლანდშაფტი 23

სხვადასხვა სეზონზე მტკვრის დეპრესიაში სასოფლო სამეურნეო მიწებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების ფარგლებში წარმოდგენილია 67 სახეობის ფრინველი. მათ შორის 50 მრავლდება მოცემულ ტერიტორიაზე ხოლო 8 იზამთრებს. ოთხი მათგანი დაცულია საქართველოს წითელი ნუსხით, რომელთაგან ორი მრავლდება, ერთი იზამთრებს, ხოლო ერთი მხოლოდ მიგრირებს. ტყისა და მდელოს ბელურა დომინანტია იმ ჩიტებს შორის, რომლებიც ამ ტერიტორიაზე მრავლდებიან. 12 რეპტილია (რვა გველი, ოთხი ხვლიკი და ერთი კუ) ბინადრობს სასოფლო სამეურნეო მიწებსა და ბუნებრივ ჰაბიტატებზე. ერთი სახეობა დაცულია საქართველოს წითელი ნუსხით. ასევე წარმოდგენილია ოთხი ამფიბიის სახეობა, მათ შორის ერთი ირიცხება საქართველოს წითელ ნუსხაში.

ტყიანი ტერიტორია. აღმოსავლური მუხნარ-რცხლინარით, მუხის ტყეებითა და მეორადი მშრალი ბუჩქებით (შიბლიაკი) წარმოდგენილია ამ ზონის დაბალ ნაწილში. საშუალო მთის წიფლის ტყე და ალვისა და მუხის ტყე ასევე მეორადიმდელოები წარმოდგენილია ზონის შუა ნაწილში, ხოლო ყველაზე ზემოთ ნაწილში მაღალი მთის მცირე უბანზე წარმოდგენილია არყისა და აღმოსავლური მუხის ტყეები. (მოიცავს I. ლანდშაფტურ ზონას, კატეგორია J (ლანდშაფტი 51) და II. ლანდშაფტური ზონა, კატეგორია O (ლანდშაფტები 81,82,89).

კარგად დაცული ტყეები მნიშვნელოვანია მუშუმწოვრებისთვის, როგორც მათი საცხოვრებელი ასევე საკვები ტერიტორია. ტყით დაფარულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია 95-ზე მეტი სახეობის ფრინველი (დაბალი მთიდან მაღალი მთის ტყეებში). მათ შორის 85 მრავლდება აღნიშნულ ტერიტორიაზე, ხოლო მხოლოდ ექვსი მათგანი იზამთრებს, მათ შორის ოთხი დაცულია საქართველოს წითელი ნუსხით-სამი მრავლდება ხოლო ერთი იზამთრებს. ტყისა და მდელოს ბელურები დომინირებენ. 13-14-ზე მეტი რეპტილიის სახეობა (ექვსი გველი, შვიდი ხვლიკი და შესაძლოა ერთი კუ) ბინადრობს საკვლევ ტყიან ტერიტორიაზე (დაბალიდან მაღალი მთის ტყეებში). საქართველოს წითელ ნუსხაში არ ირიცხება არც ერთი მათგანი.

მაღალი მთის ლანდშაფტი სუბალპური მდელოების, ტანბრეცილი ტყეებისა და ბუჩქების კომბინაციით. ბუნებრივი ჰაბიტატი საკმაოდ დეგრადირებულია. ტერიტორია გამოიყენება საქონლისა და ცხვრის სამოვრად და თივის გასაკეთებლად (შეესაბამება კატეგორია X-მაღალი მთის მდელოები; ლანდშაფტი 137, 147).

ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტერიტორიები :

ა) მთების ზედა ნაწილი ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკების ფარგლებში ბინადრობს აღმოსავლეთ კავკასიური თხა, არჩვი და ბეზოარის თხა. ბ) კავკასიონის ქედის კალთების ზედა ნაწილები - წითელი ნუსხით დაცული მღრღნელის - პრომეტეს მემინდვრია (*Prometheomys schaposchnikowi*). გ) კლდეებისა და სუბალპინო მდელოების ზემო ნაწილები ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების ფარგლებში - მტაცებელი ფრინველების კვებისა და თავშესაფარის არეალი. მაღალი მთის ლანდშაფტი სუბალპური მდელოებით, ტანბრეცილი ტყეებითა და ბუჩქებით წარმოადგენს 30 სახეობის ფრინველის ბინადრობის არეალს, მათ შორის 28 სახეობა მრავლდება აქ რვა მათგანი დაცულია წითელი ნუსხით. ტერიტორიაზე ასევე წარმოდგენილია 7 რეპტილია (ორი გველი და ხუთი ხვლიკი), მათ შორის ერთი ირიცხება წითელ ნუსხაში - დინიკის გველგესლა (*Vipera dinniki*).

დაცული ტერიტორიები

თბილისის ეროვნული პარკი

თბილისის ეროვნული პარკი მდებარეობს საგურამო-იალნოს ქედისა და მისი განშტოებების ფერდობებზე და გადაჭიმულია განივად მდ. მტკვრიდან მდ. იორის მიმართულებით, ზღვის დონიდან 600-700 მ-ზე. მისი საერთო ფართობი შეადგენს 23218.28 ჰა და მოიცავს საგურამოს, მარტყოფის, ლულელებისა და გარდაბნის რაიონებს.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს ორ ისტორიულ და გეოგრაფიულ პროვინციას, დუშეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში, კონკრეტულად ხევსურეთისა და ფშავის ძირითად ნაწილს. საერთო ფართი შეადგენს 117447 ჰა, საიდანაც 27661 ჰა ტყიანი ტერიტორიაა. საპროექტო ტერიტორიის 21% შეადგენს ტყით დაფარულ ტერიტორიას. ტერიტორია უზრუნველყოფს აღმოსავლეთ კავკასიონის ტყეების ცენტრალური ნაწილის, სუბალპური ტყეებისა და მდელოების, ალპური მდელოების, ნივალური და სუბნივალური ლანდშაფტების პირველად ფორმასა და ბუნებრივ ეკოლოგიურ ბალანსს. დაცული ტერიტორიების დაარსება ხელს უწყობს აღმოსავლეთ კავკასიის, ყაზბეგისა და თუშეთის თანმიმდევრული სივრცის ორგანიზებას, რაც თავისმხრივ მნიშვნელოვანია ჩრდილოაღმოსავლეთის ეკოსისტემების მდგრადობის შენარჩუნებისთვის. ფშავ-ხევსურეთის საპროექტო ტერიტორია საკმაოდ მრავალფეროვანია ფაუნის წარმომადგენლებით. მცენარეებიდან წარმოდგენილია 1200 სახეობა, მათ შორის 5 გვიმრის სახეობა, შიშველესლოვანი მცენარეების 23 და 1172 ფარულთესლოვანი მცენარეების სახეობები. წარმოდგენილია ლანდშაფტების, ეკოსისტემებისა და ტემების სხვადასხვა ტიპები. ტყით დაფარული ტერიტორიების 55% შეადგენს არყი, 15%- წიფელი, 10% მუხა, 10%-ფიჭვი, 6%-რცხილ, ხოლო დანარჩენი სახეობები 4% (ვერხვი, მურყანი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, როდოდენდრონი და კაკალი).

ფაუნიდან წარმოდგენილია შემდეგი სახეობები: 103 სახეობის ფრინველი, 27 - ძუძუმწოვარი, 7-რეპტილია, 5 ამფიბია, 1 თევზი, 27 პეპელა (მწერების შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია).

ყაზბეგის ეროვნული პარკი

ყაზბეგის ეროვნული პარკი მდებარეობს კავასიონის მტავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ფერდებზე, ისტორიული ხევის ტერიტორიაზე. მთლიანი ფართობი შეადგენს 9,030 ჰა-ს. ტყით დაფარულია პარკის მხოლოდ 35%. დანარჩენი ტერიტორია უკავია ალპურ საძოვრებს, მორენებს, თოვლით დაფარულ მწვერვალებსა და მიუწვდომელ კლდეებს. ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორია წარმოადგენს მაღალმთიან რეგიონს და მისი უმდაბლესი ნიშნული ზღვის დონიდან არის 1400 მ. ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმწირის მიუხედავად ყაზბეგის ეროვნული პარკი დაცულ ტერიტორიებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია ვიზიტორებით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ასევე შემონახულია ბუნებრივი ძეგლები: სახიზარის კლდის ბუნების ძეგლი, აბანოს მინერალური ტბის ბუნების ძეგლი, თრუსოს ტრავერტინის ბუნების ძეგლი, ქეთერისის მინერალური ვოკლუზი, ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინის ბუნების ძეგლი, ბოდორნას კლდის სვეტების ბუნებრივი ძეგლი.

ბუნებრივი რესურსები

რეგიონის წყლის რესურსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი სოციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. წყლის რესურსები წარმოადგენილია ტბების, წყალსაცავების, მდინარეების, მყინვარებისა და მიწისქვეშა წყლების სახით. იმისათვის რომ მოხდეს მდინარის ჩამონადენის რეჟიმის რეგულირება (7244,3 მლნ მ³) რეგიონში აგებულია ჟინვალის, სიონის, ნარეკვავისა და ზაპსის წყალსაცავები, რომლებიც გამოყენება საირიგაციო, სასმელი და ინდუსტრიული დანიშნულებით.

სასმელი წყალი. წყლის რესურსებს შორის მტკნარი მიწისქვეშა წყლები მნიშვნელოვან როლს ტამაშობს. ისინი ყოველწლიურად განახლებადაა და გამოირცხვეს სისუფთავითა და პერმანენტული დინებით. აღნიშნულ წყლებს შესწევთ უნარი სრულად დააკმაყოფილონ სასმელი და ინდუსტრიული წყლის მოთხოვნილება და მეტიც. მცხეთის მუნიციპალიტეტი ხასიათდება წყლის რესურსების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით (112 მმ), მაშინ როდესაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ეს მაჩვენებელი აღწევს 730 მმ-ს. მიუხედავად ამისა მცხეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სასმელი წყლის წარმოება რომელსაც ახორციელებს GWP - თბილისის მტავარი მომმარაგებელი. კომპანიები „სნო“, „ნატახტარი“, „ზედაზენი“, „მატო მუხრანი“ და სხვა ფლობენ მუხრანის ხეობის ჭაბურღილებით სარგებლობის ლიცენზიებს. რეგიონის ფარგლებში სასმელი ბოთლის წყლის წარმოებას გააჩნია დიდი პოტენციალი დააკმაყოფილოს არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ბაზარიც.

მინერალური წყლები ხელმისაწვდომია რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში (დაახლოებით 115 წყარო). მინერალური წყლები გამოირჩევა ქიმიური შემადგენლობის მრავალფეროვნებით. მათი უმეტესობის გეოგრაფიული მდებარეობა იძლევა კურორტების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონების მშენებლობის საშუალებას და ასევე მათ ბაზაზე სხვადასხვა საწარმოო ბიზნესის შექმნის საშუალებას.

რეგიონის ტერიტორიაზე არსებული მდინარეები (მტკვარი, არაგვი, იორი, თერგი) წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყლისა და ენერჯის რესურსს. მდ. მტკვარი ინტენსიურად გამოიყენება სარწყავად, ენერჯის წარმოებისთვისა და ინდუსტრიული წყალ-მომარაგებისთვის. რეგიონში მდებარეობს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგული, რომელიც წარმოადგენს მდ. მტკვარზე გაშენებული საქართველოს ენერჯეტიკული ქსელის ნაწილს. 1985 წელს დაბა ჟინვალთან მდ. არაგვზე აშენდა 412 მ სიგრძისა და 95 მ სიმაღლის კომპლექსური ფუნქციონირების ჟინვალის წყალსაცავი. წყალსაცავი არეგულირებს მდ. არაგვის ჩამონადენს.

გარდა ჟინვალის წყალსაცავისა, წყლწი რეგულირდება მუხრანისა და საგურამოს საირიგაციო სისტემისა და ასევე თბილისის ზღვის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ქ. თბილისს სასმელი წყლით. აქედან გამომდინარე მდ. არაგვის წყალი გამოიყენება ენერგეტიკული, საირიგაციო და სასმელი დანიშნულებით. მდ. იორი გამოიყენება სარწყავად და ენერგეტიკული დანიშნულებით. 1962 წელს მდ. იორზე აშენდა კომპლექსური დანიშნულების სიონის წყალსაცავი, რომელიც გამოიყენება სარწყავი და ენერგეტიკული დანიშნულებით, რომელიც არეგულირებს მდინარის ჩამონადენს. მდ. იორის დარეგულირებული ჩამონადენი გამოიყენება ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის ზედა ძირითადი არხისთვის, თბილისის წყალსაცავისთვის (თბილისის ზღვა) და ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის ქვედა ძირითადი არხისთვის. სიონის წყალსაცავზე ფუნქციონირებს 9000 კვტ -იანი სიონის ჰიდროელექტროსადგური. ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის ზედა ძირითად არხზე არის სამი ჰესი: საცხენისი (14000კვტ), მარტყოფი (3800 კვტ) და თეთრიხევი (13600 კვტ). მდ. ტერგი გამოიყენება ენერგეტიკული დანიშნულებით. ფუნქციონირებს ლარსის ჰესი (35 მგვტ), ხოლო დარიალ ჰესი მშენებლობის პროცესშია. მდ. ნარეკვავის ჩამონადენი რეგულირდება ნარეკვავის წყალსაცავით, რომელიც გამოიყენება საირიგაციოდ. მდ. ქსანი გამოიყენება ასევე საირიგაციოდ და ენერჯის წარმოებისთვის. 1955 წლიდან ოპერირებს თექი-ოკამისა და თელოვანის სარწყავი სისტემები. თეზი-ოკამის სარწყავი სისტემა წყლით უზრუნველყოფს იგოეთსა და ოკამის ჰესს, რომელიც ახალი აშენებულია.

ტყის ფონდი. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ტყით დაფარული ტერიტორია შეადგენს 39%-ს, რაც ნიშნავს რომ ტყის საფარი შეადგენს 264,4 ათას ჰა-ს. ხე-მცენარეების ძირითადი ნაწილი განფენილია ციცაბო ფერდობებზე და ასრულებს ნიადაგის დამცავ, წყალშემკავებელ - მარეგულირებელ, სანიტარულ, რეკრეაციულ, ქარსაცავ და სხვა ფუნქციებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ტყეები უზრუნველყოფენ სუფთა ჰაერის არსებობას და ქმნიან სუფთა მიკროკლიმატს. ტყის რესურსების თვალსაზრისით აღსანიშნავია დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები. ყაზბეგის მინიციპალიტეტში ტყეები ძირითადად წარმოდგენილია ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ხოლო მცხეთაში არსებული ტყეების ნაწილი - თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.

ტყის რესურსების რაციონალური გამოყენება, მოითხოვს მათი როლის და შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ღირებულების შეფასებას, მათ შორის მდგრადი განვითარების საქმეში ქვეყნის წვლილის შეფასებას. 2011 წელს მოჭრილმა მერქნულმა რესურსმა შეადგინა 61884 მ³, 2012-წელს -45517მ³. მაჩვენებლის შემცირება გამოწვეული იყო არა ჭრების შემცირებით, არამედ ჭრების ლოკაციის ცვლილებით, რამაც თავისმხრივ გამოიწვია საშემე მასალაზე ფასების ზრდა.

სამშენებლო მასალები. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდიდარია სამშენებლო მასალებით. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი განთქმულია ქვის საბადოებით: სხვადასხვა ფერის გრანიტი, მწვანე და ყავისფერი დიაბაზი, ტუფის ქვები და სხვა. ყველა მუნიციპალიტეტს გააჩნია გარკვეული რაოდენობის ქვიშისა და ხრეშის რესურსი, რომლებიც მეტწილად მოიპოვება მდინარეებში არაგვი, ქსანი და იორი.

დაბინძურება და დაბინძურების პოტენციური წყაროები

რეგიონში მწვავედ დგას გარემოს დამაბინძურებლების პრობლემა, კერძოდ ნარჩენების მართვის საკითხი. კომუნალური სექტორი (საყოფაცხოვრებო ნარჩენები) წარმოადგენს ზედაპირული წყლების ძირითად დამაბინძურებელს. დღემდე არ არსებობს წყალგამწმენდი სისტემა ან

ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფდა ჩამდინარე წყლების გაწმენდას პროექტის ხარისხის შესაბამისად. ასევე არ არსებობს წყლის ბიოლოგიურად გამწმენდი სისტემა. მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობა ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ დამაბინძურებელს (მინერალური სასუქებისა და პესტიციდების მდინარეებში ჩაშვება, გრუნტის წყლებში გაჟონვა). სტანდარტებთან შეუსაბამო ნაგავსაყრელები წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას რეგიონში. არც ერთ დასახლებას არ აქვს არსებულ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისი ნაგავსაყრელი. ასევე არ არსებობს ნაგვის ჩამოსაცლელი ტერიტორიები, რის გამოც ნაგვის დაცლას აქვს სპონტანური ხასიათი და ძირითადად ეს ხდება ხევებსა და მდინარეებში. ნაგვის მანქანები და მუნკერები არ არის შესაბამისი. მსვლილი საწარმოებიდან დაბინძურება შედარებით ნაკლებია, რადგან მაღალი პროდუქტიულობა და შესაბამისი ინვესტიციები მათ საშუალებას აძლევს აღჭურვონ საწარმოები თანამედროვე გამწმენდი ტექნოლოგიებით, რაც გულისხმობს ნარჩენების გადამუშავებასა და რეუტილიზაციას. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ე.წ. სპეციალური/სპეციფიური ნარჩენი (მაგ. შინაური ფრინველის დამამუშავებელი საწარმოს ინდუსტრიული ნარჩენი) წარმოქმნის სერიოზულ პრობლემას, კერძოდ მენეჯმენტ და გაუვნებელყოფა და იმავდროულად გარემოს უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება ძალიან რთული პროცესია. უფრო მეტი საშიშროება მოდის მცირე და საშუალო ბისნესიდან და იმ მოსახლეობისგან, ვისაც არ აქვს საკმარისი ფინანსური საშუალება უზრუნველყოს ნარჩენების შესაბამისი მართვა და გაუვნებელყოფა.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება რეგიონში ძირითადად დაკავშირებულია ავტომობილებთან, სასოფლო-სამეურნეო სექტორისა და ყველაზე ნაკლებად ინდუსტრიულსაწარმოებთან და პროექტებთან. რეგიონის ტერიტორიას კვეთს მნიშვნელოვანი ავტომაგისტრალები (გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობით), როგორც აღმოსავლეთიდან დასავლეთის ასევე ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. ვინაიდან ავტობანები კვეთენ დასახლებულ პუნქტებს, კონკრეტულ მონაკვეთებზე დამატებითი უარყოფითი ეფექტი წარმოიქმნება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და შესაბამისად მათი ავადობის რისკიც მნიშვნელოვნად იზრდება.

ზედაპირული წყალი. მდინარეების ფონური დაბინძურება შეფასებულ იქნა ძირითადად მიმდინარე წელს მეტეოროლოგიური სადგურზე გაკეთებული წყლის ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით. სამწუხაროდ დაკვირვებები წყლის ხარისხზე ჩატარებულია მხოლოდ მდ. მტკვარსა და არაგვზე. სხვა მდინარეების წყლის ხარისხზე არ არსებობს მონაცემები. წყალში არსებული ქიმიური ინგრედიენტების შესახებ ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მდინარეებზე მიღებულია წყალმცირობის პერიოდში, ყველაზე სენსიტიური პერიოდები მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 2.5. ზამთრის წყალმცირობის პერიოდში წყლის ხარისხის ინდიკატორები

ჰიდროლოგიურ სადგური	pH	იონ შემც, მგ/ლ								P მგ/ლ	Si მგ/ლ	Fe მგ/ლ
		Ca ²⁺	Mg ²⁺	Na+K	HCO ₃	SO ₄ ²⁻	CL	NO ₃	NO ₂			
მტკვარი-ძეგვი	7.59	44.5	9.5	31.2	174.5	55.7	7.6	1.50	0.004	-	4.0	0.02
არაგვი-ჟინვალ	7.59	46.3	10.6	26.2	190.3	39.4	9.4	2.00	0.020	0.002	3.0	0.02

სოფ. მუხათგვერდში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, მცხეთის მუნიციპალიტეტი) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევითი ცენტრში (ე.წ. მცხეთის რეაქტორის ტერიტორია) მდებარეობს რადიოაქტიური ნარჩენების დროებითი საცავი.

3. საქართველოს სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემა გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

3.1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სივრცული დაგეგმვა

3.1.1. ადმინისტრაციული სისტემა

კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის, ასევე სივრცული დაგეგმვის საკითხები რეგულირდება საქართველოს მტავრობის მიერ, კერძოდ კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობების ასევე ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროებისა და დეპარტამენტების მიერ. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ცენტრალური და ადგილობრივი სამტავრობო სტრუქტურები ახორციელებენ მათ უფლებამოსილებას ეროვნული კანონმდებლობისა და „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად“ (მუხლი 7,8 და 9).

სივრცული დაგეგმარების სფეროში ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არის საქართველოს მტავრობა, რომელიც შეიმუშავებს და ამტკიცებს სივრცული დაგეგმვის სხვადასხვა დოკუმენტებს და გასცემს სამშენებლო ნებართვებს. კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სფეროში ადმინისტრაციული სისტემა უფრო ცენტრალიზებულია. მართვა ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ხოლო ადგილობრივი მტავრობის მონაწილეობა სემოიფარგლება მხოლოდ დახმარებით. მხარდაჭერით როდესაც ეს მოთხოვნილია ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

მინისტრთა კაბინეტი

მინისტრთა კაბინეტის კომპეტენცია შემოიფარგლება კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაყენებულ საკითხზე დაყრდნობით ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონების შემუშავებით.

კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

მინისტრი ზედამხედველობს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შეიმუშავებს და ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიცირებას, ინვენტარიზაციას, მართვასა და მონიტორინგ, ადგენს წესებსა და პროცედურებს აღნიშნული საქმიანობებისთვის, ზედამხედველობს მოძრავი და უძრავი ძეგლების, ასევე არქეოლოგიური მოედნების კონსერვაციასა და რეაბილიტაციას, განსაზღვრავს დაცულ ზონებს, აწესებს რეგულაციებს და წარუდგენს მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად. სამინისტროს ფარგლებში ფუნქციონირებს ორი სტრუქტურული ერთეული: 1. კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტი; 2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

წარმოადგენს სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტო პასუხისმგებელია ეროვნული ძეგლებისა და ქვეყანაში მსოფლიო მემკვიდრეობის

ადგილების მართვასა და მონიტორინგზე, ასევე აღნიშნული ძეგლების დაცვასა და რეაბილიტაციაზე ნებართვების გაცემაზე.

იუსტიციის სამინისტრო

იუსტიციის სამინისტროს ფუნქცია კულტურული ნტოსდა ბუნებრივი მემკვიდრეობის სფეროში შემოიფარგლება მისი სუბორდინაციის ქვეშ არსებული სსიპ აეოვნული არქივისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსტან საქმიანობით. ეროვნული არქივი განკარგავს დოკუმენტებს კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობის შესახებ, რომელიც შესაძლოა ასევე დარეგისტრირებული იყოს რეესტრის მიერ როგორც კულტურული მემკვიდრეობის საკუთრების ნუსხაში და უზრუნველყოფს მის აღწერას, იდენტიფიცირებასა და რეაბილიტაციას. საჯარო რეესტრის სააგენტო უფლებამოსილია დაარეგისტროს მფლობელობის ტიტული უძრავი ქონებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სხვა საკითხებთან ერთად სამინისტროახორციელებს სახელმწიფო ქონების გასხვისებას; სამშენებლო და ურბანიზაციული საქმიანობასა და ტურიზმის განვითარებას. ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი, პრივატიზაციის დეპარტამენტი და ეროვნული ტურიზმის სააგენტო წარმოადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულებს და პასუხისმგებელი არიან ზემოაღნიშნულ საკითხებზე. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიების გასხვისების, იჯარით გაცემის ან სარგებლობის უფლების გადაცემის შემთხვევაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სამინისტრო კონსულტაციებს გადის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან. ასევე ავითარებს კულტურული ტურიზმის სტრატეგიებსა ან ახორციელებს სხვა სტრატეგიულ საქმიანობებს, რომლებსაც შესაძლოა გავლენა იქონიონ კულტურულ მემკვიდრეობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობა

ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციები და თვითმმართველი ორგანოები მოქმედებენ ახორციელებენ მათ საქართველოს კანონმდებლობისა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ მატზე დელეგირებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად. უზრუნველყოფენ მათი ადმინისტრირების ფარგლებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიცირებას, აღწერასა და მართვას და ინფორმაციას აწვდიან კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

3.1.2.სამართლებრივი სისტემა

სივრცული დაგეგმვის, გარემოს დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხორციელდება ეროვნული საკანონმდებლო სისტემისა და საერთაშორისო კონვენციებისა და საქართველოს მიერ რატიფიცირებული ქარტიების შესაბამისად. კონსტიტუციაში, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის უზენაეს კანონს დეკლარირებულია, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით

კულტურული მემკვიდრეობისა, სივრცული დაგეგმვისა და განვითარების პროექტთან დაკავშირებული ძირითადი კანონებია:

- კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, 2007;
- სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ, 2005;
- მუზეუმების შესახებ, 2001;
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, 2008;
- ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ, 2011

სხვა მნიშვნელოვანი კანონები და რეგულაციები კულტურული მემკვიდრეობისა და სივრცითი დაგეგმვის შესახებ მოცემულია ცხრილში 3.1.

ცხრილი 3.1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საქართველოს კანონები

რეგულაციის სფერო	კანონი
მოდრავი კულტურული მემკვიდრეობა	<ul style="list-style-type: none"> ▪ საქართველოს კანონი. კულტურულფასეულობათა საქართველოდანგატანისადასაქართველოშიშემოტანისშესახებ2001 (ბოლო შესწორება 2007) ▪ კანონი მუზეუმების შესახებ, 2001 ((ბოლო შესწორება 2007) ▪ კანონი კულტურის შესახებ, 1997 ((ბოლო შესწორება 2007)
სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა	<ul style="list-style-type: none"> ▪ კონსტიტუციურიშეთანხმებასაქართველოსსახელმწიფოსადასაქართველოსსამოციქულოავტოკეფალურმართლმადიდებელეკლესიასშორის, 2002
ჯარიმები კულტურული მემკვიდრეობის კანონმდებლობის დარღვევისთვის	<ul style="list-style-type: none"> ▪ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი, 1994 (შესწორება კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, 2007. გამკაცრებული იქნა ჯარიმები დაცულ ტერიტორიებზე ძეგლთა დაცვის რეჟიმისა და რეგულაციების დარღვევისთვის. ▪ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 ((შესწორება კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, 2007.)
კულტურულ	<ul style="list-style-type: none"> ▪ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2004 (შესწორება კულტურულ

მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ფინანსური პოლიტიკა	<p>მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, 2007, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის, ეროვნული და რელიგიური ძეგლების დღე-სგან გათავისუფლების შესახებ)</p> <ul style="list-style-type: none"> საქართველოს კანონი ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ, 1998 ((შესწორება კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, 2007. კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის მოსაკრებელი განისაზღვრება მაქს 1.5 ლარი ერთი მ²-ზე მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული საჭიროებებისთვის)
---	--

საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა მნიშვნელოვან საერთაშორისო და ევროპლ შეთანხმებებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. იხ ცხრილი 3.2.

ცხრილი 3.2. საქართველოს მიერ რატიფიცირებული და დამტკიცებული საერთაშორისო შეთანხმებები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში

რატიფიკაცია /ხელმოწერა	კონვენციის სახელწოდება
A. კულტურული მემკვიდრეობა	
რატიფიცირებულია 1993წ.	მსოფლიო კულტურული ძეგლების დაცვის კონვენცია (მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის კონვენცია), პარიზი, 1972
რატიფიცირებულია 1993წ	შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ, ჰააგა, 1954
რატიფიცირებულია 1993წ	კონვენცია კულტურული ძეგლების დაცვაზე უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ, პარიზი, 1970
რატიფიცირებულია 2000წ	ევროპის კულტურული კონვენცია, პარიზი, 1954
რატიფიცირებულია 2000წ	ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია, გრანადა, 1985
რატიფიცირებულია 2000წ	ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია, ვალეტა, 1992
რატიფიცირებულია 2004წ	ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ტრასბურგი, 1985
დამტკიცებულია 2008წ	კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ, პარიზი, 2005
რატიფიცირებულია 2008წ	კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, პარიზი, 2003
ხელმოწერილია 2010წ	ევროპის ლანდშაფტების კონვენცია, ფლორენცია, 2000

საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ძალაშია 2007 წლიდან. ამ კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე. კანონი განსაზღვრავს პასუხისმგებლობების ცენტრალურ და ადგილობრივ

ხელისუფლებებისთვის კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და დაცვის სფეროში, ურთიერთობებს სახელმწიფოსა და ძეგლის მფლობელებს შორის, კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის, კლასიფიკაციისა და აღწერის საკითხებს, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების საკითხებს, უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონმდებლობის დარღვევისთვის მკაცრ საჯარო პოლიტიკას, ასევე ახორციელებს საჭირო პროცედურებს კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის სფეროში.

აღნიშნული კანონი მიღებული იქნა მხოლოდ რამდენიმე წლის წინ, შესაბამისად იგი მუდმივი შესწორების პროცესშია და მისი მოქმედების პრაქტიკული გამოცდილების სიმწირის გამო არ იძლევა მისი ავტორიტეტის განხილვის საშუალებას. თუმცა მიუხედავად ამისა კანონის შემდგომი დახვეწა აუცილებელია. აღნიშნული კანონი არეგულირებს სამართლებრივი საკითხების ფართო სპექტრს, რომლებიც მოითხოვენ სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღებას, რაც გათვალისწინებულია კანონის გარდამავალი დებულებებით. თუმცა მრავალი საკითხი, როგორც არის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში აკრედიტაცია და პროფესიული საქმიანობები და სხვა დღეისათვის რეგულირების გარეშეა.

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. დოკუმენტის მუხლები (7,8,9) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის მართვაზე. მე-7 და მე-8 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული, ასევე სახელმწიფო დახვაში (მუზეუმებსა და საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძო საკუთრებაში არსებულის გარდა). ეკლესიის საკუთრება გათავისუფლებულია გადასახადებისგან. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვასა და მოვლა-პატრონობისათვის.

სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს.

სივრცითი მოწყობის კანონმდებლობა

აღნიშნული სფეროს მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, 2005. 1. ეს კანონი ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი დაუსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოთი უზრუნველყოფის მიზნითარეგულირებს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის პროცესს, მათ შორის, განსახლების, დასახლებათა, ინფრასტრუქტურის განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და ადგენს ამ სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს. კანონი ადგენს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საგანს, პრინციპებს, პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და დაგეგმვის დოკუმენტების ფორმებსა და როლს საქართველოს ტერიტორიის განვითარებასა და განაშენიანებაში.

უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფორმები: საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორი მექანიზმი: 1. პირველადი (დროებითი) და 2. პერმანენტული დაცვა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭებით ან დაცულ ნუსხაში შეტანით. პირველადი დაცვა ხორციელდება მაშინ, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი აღმოჩენილ იქნება. პერმანენტული დაცვა ხორციელდება კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მიერ გამოცემლი ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის კომისიის რჩევის საფუძველზე. ძეგლის სტატუსი ასევე შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურად, ფუნქციურად, ისტორიულად ან ტერიტორიულად დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობას, რომელიც ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებადიერთეულია. ამ შემთხვევაში მის უძრავ და მოძრავ ნაწილებზე ვრცელდება ამ კანონით უძრავი და მოძრავი ძეგლების მიმართ დადგენილი შესაბამისი წესები.

კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში არსებული ქონების იერარქია და კლასიფიკაცია: კანონის მიხედვით ეროვნული მნიშვნელობის სტატუსი ობიექტს შესაძლებელია მიანიჭოს საქართველოს პრეზიდენტმა, თუ მას გააჩნია სპეციალური ისტორიული და კულტურული ღირებულება. ეროვნული მნიშვნელობის სტატუსის მქონე ძეგლი საქართველოს პრეზიდენტის მიერ შესაძლოა ნომინირებული იქნას მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შესატანად. შესაბამისად ნუსხაში შეტანილი ძეგლების იერარქიაში გამოიყოფა სამი ჯგუფი: 1. ნუსხაში შეტანილი ძეგლი/ქონება; 2. ნუსხაში შეტანილი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი; 3. ნუსხაში შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის ძეგლი.

კულტურული მემკვიდრეობის დაზვის ზონების რეგულირება: კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ როგორც ზოგად, ასევე დეტალურ დამცავ რეჟიმებს ზონების თითოეული ტიპისთვის. აღნიშნული რეჟიმები მომავალში შესაძლოა გადრეიქმნას ისტორიულ-კულტურული სფეროს ჩარჩო დოკუმენტად, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი საფუძველია დაცული ზონების ფარგლებში ქალაქთმშენებლობისთვის საჭირო დოკუმენტაციისთვის. ნებისმიერი ტიპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში აკრძალულია შენობების დანგრევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს შენობის ფიზიკური მდგომარეობის შეუქცევადი გაუარესებით გამოწვეული ნგრევის საშიშროება, ან იმ შემთხვევისა, როცა მიიჩნევა, რომ შენობის ამოღება აუცილებელია რადგან იგი აზიანებს ისტორიულ გარემოს. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონებში შესაძლებელია დაშვებული იყოს მხოლოდ დროებითი მშენებლობის ნებართვა, თუ ეს აუცილებელია ან სამეცნიერო კვლევებისთვის. არქეოლოგიური დაცვის ზონებში დაუშვებელია სამუშაოების წარმოება. ზემოაღნიშნული ზოგადი დებულებები დეტალურად არის გაშლილი კულტურული მემკვიდრეობის კანონის 36–44 მუხლებში, კერძოდ განხილულია გარე რეკლამის ნებართვების, შენობების გარე ფასადის ცვლილების, ქუჩების ქსელის, ლანდშაფტისა და პეიზაჟისა და სხვა საკითხები.

3.2. გარემოს დაცვა

3.2.1. ადმინისტრაციული სტრუქტურა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ძირითად უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი პოლიტიკის განვითარებასა და მუნიციპალიტეტის რესურსების მართვაზე და ასევე რადიაციულ უსაფრთხოებაზე. სამინისტრო შედგება მრავლა

სხვადასხვა დეპარტამენტისგან და სამმართველოსგან, რომლებიც მათი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებლები არიან სხვადასხვა საკითხზე.

დეპარტამენტები და მათი ფუნქციები

გარემოსდაცვითი ნებართვების დეპარტამენტი	<ul style="list-style-type: none"> - ატარებს ეკოლოგიურ ექსპერტიზას და გამოსცემს გარემოსდაცვით ნებართვებს - გარემოსდაცვით ნებართვასთან გზმ-ს შესაბამისობის მონიტორინგი
გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	<ul style="list-style-type: none"> - სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო გარემოსდაცვითი პროგრამის შემუშავება
ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახური	<ul style="list-style-type: none"> - ატმოსფერული ჰაერისა და წყლის დაცვის სტრატეგია; - „სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეული/ჩაშვებული მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაცია“ და „ემისიების ზღვრულად დასაშვები ნორმების“ ტექნიკური ანგარიშების შეთანხმება.
წყლის რესურსების მართვის სამსახური	<ul style="list-style-type: none"> - წყლის რესურსების დაცვის პოლიტიკა, მონიტორინგი; - „ზღვრულად დასაშვები ხარჯების“ ანგარიშების შეთანხმება - ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოდების ტექნიკური რეგლამენტი.
ნარჩენებისა და ქიმიკატების მართვის სამსახური	<ul style="list-style-type: none"> - ნარჩენების მართვა - სახიფათო ნარჩენების მართვა -
კლიმატის ცვლილების სამსახური	<ul style="list-style-type: none"> - ლიმატისცვლილებასთანადაპტაციისადაკლიმატისცვლილებისშერბილებისპოლიტიკა და სტრატეგიები; - სათბურის გაზების ინვენტარიზაცია
ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური	<ul style="list-style-type: none"> - ბიომრავალფეროვნების პოლიტიკა და სტრატეგიები; - წითელი ნუსხით დაცული სახეობები; - ეროვნული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა; - ნადირობისა და თევზაობის პოლიტიკა და მართვა.
იურიდიული დეპარტამენტი	<ul style="list-style-type: none"> - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	<p>გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე კონტროლი, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> - ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულაციებთან შესაბამისობის კონტროლი; - გარემოზე ზემოქმედების ნებართვებთან შესაბამისობის კონტროლი -
დაცული ტერიტორიების სააგენტო	<ul style="list-style-type: none"> - დაცული ტერიტორიების განვითარების პოლიტიკა და პროგრამები
გარემოს	<ul style="list-style-type: none"> - ჰიდრომეტეოროლოგია;

ეროვნული სააგენტო	<ul style="list-style-type: none"> - დაბინდურების მონიტორინგი; - სტიქიური გეოლოგიური მოვლენების მონიტორინგი; - მდინარეთა აუზების, წყალსაცავების, შავი ზღვის ტერიტორიული წყლების მონიტორინგი; - ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე ლიცენზიების გაცემა (გარდა ნავთობისა და გაზისა).
-------------------	--

3.2.2. კანონმდებლობა

3.2.2.1. ჩარჩო კანონმდებლობა

ძირითად საკანონმდებლო დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ძალაშია 1995 წლიდან. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით პირდაპირ არ არის დარეგულირებული გარემოსდაცვითი საკითხები, უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას. კონსტიტუციის 37-ე მუხლის, მე-3 პუნქტში დეკლარირებული, რომ „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით „ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“, და 41-ე მუხლის 1 პუნქტი – „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“

საქართველოს გარემოსდაცვითი სამართალი მოიცავს საკანონმდებლო ჩარჩოს ქვეყნის კონსტიტუციისა და გარემოსდაცვის შესახებ კანონის სახით, სპეციფიურ გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო კონვენციებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, მინისტრების ბრძანებებს, ინსტრუქციებს და სხვა.

კონსტიტუციით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები რეგულირდება საქართველოს ჩარჩო კანონით „გარემოს დაცვის შესახებ“ და მასზე დაფუძნებული მთელი რიგი სპეციფიური კანონების საშუალებით. ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის გარემოსდაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წყლების, საჰაეროსივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით. კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს გარემოსდაცვით სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევები, გარემოს მენეჯმენტის ასპექტები, ეკონომიკური ფაქტორის ზემოქმედება, ლიცენზირება, სტანდარტები, გზშ და მასთან დაკავშირებული საკითხები. კანონში დეკლარირებული მოთხოვნათა პაკეტის შესაბამისად მიღებული იქნა სხვადასხვა ნორმატიული აქტები და სამართლებრივი დოკუმენტაცია, რათა დარეგულირებული იქნას სპეციფიური გარემოსდაცვითი საკითხები საქართველოში.

3.2.2.2. გარემოსდაცვით ნებართვებთან დაკავშირებული კანონმდებლობა

დღესისათვის საქართველოში გარემოსდაცვითი ნებართვების პროცედურები გაწერილია სამ კანონში: 1. ლიცენზირებისა და ნებართვების კანონი (2005); 2. კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ; 3. კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007). გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები უფრო დეტალურად განსაზღვრულია 2013 წლის 15 მაისი დებულებით „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

საქართველოს კანონი ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ ძალაშია 2005 წლიდან. კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე რაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს.

კანონები გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ გამოქვეყნდა 2007 წელს, ხოლო ძალაშია 2008 წელს. აღნიშნულ კანონებში ინტეგრირებულია ყველა შესწორება, რომელიც შეტანილი იქნა სემდგომ წლებში.

კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა სრულ ნუსხას და მათ განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ნებართვის გაცემი სშესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს. იმ შემთხვევაში თუ საქმიანობა შეტანილია მუხლი 4-ის პუნქტი 1 მოცემულ ნუსხაში, მას ასევე მოეთხოვება მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ჩართულობას აღნიშნულ პროცედურაში. ასეთ შემთხვევებში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მასთან წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას კონკრეტული პროექტისთვის.

სამინისტრო ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივია დმინისტრაციული წარმოების წესით და „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 20 დღის ვადაში.

სამინისტრო, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ შესაბამის დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას, რის საფუძველზე დაცდება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ნებართვა გაიცემა მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში თუ საქმიანობა, რომელიც მოცემულია კანონის მე-4 მუხლის 1 პუნქტში არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე მისთვის გაიცემა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, რომელსაც თან ახლავს მინისტრის მიერ გამოცემული

შესაბამისი ბრძანება. ეკოლოგიური ექსპერტიზა ტარდება საქართველოს კანონის „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ შესაბამისად.
 კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის სამინისტროში წარდგენამდე ჩაატაროს მისი საჯარო განხილვა.

გარემოსდაცვით კანონმდებლობის დაგეგმილი გაუმჯობესება

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაციის ფარგლებში დაგეგმილია გარემოსდაცვითი ნებართვების სფეროში კანონმდებლობის გაუმჯობესება. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით დაწყებულია გზშ-ს პროცედურების ევროდირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა , მათ შორისაა სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურები და სხვა. აღნიშნული პროცესების ფარგლებში ასევე განხილულია სტრატეგიული გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხი. დღეისათვის შემუშავებულია და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია გარემოზე ზემოქმედების კოდექსის სამუშაო ვერსია. დაგეგმილია აღნიშნული დოკუმენტის საქართველოს პარლამენტში გატანა დასამტკიცებლად.

3.2.2.3.სხვა გარემოსდაცვითი კანონები

ქვემოთ მოცემულია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კანონების ნუსხა

1994	ნიადაგის დაცვის შესახებ
1996	დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ
1996	წილის შესახებ
1996	გარემოს დაცვის შესახებ
1997	ცხოველთა სამყაროს შესახებ
1997	ტურიზმისა და კურორტების შესახებ
1997	წყლის შესახებ
1997	საქართველოს ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ
1998	კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული და ცვის ზონების შესახებ
1998	საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ
1998	პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ
1999	ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ
1999	ტყის კოდექსი
2003	საქართველოს წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ
2005	ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ
2007	გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ
2007	ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ
2007	კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

3.2.2.4.საერთაშორისო ვალდებულებები

საქართველოში გარემოსადგვითი რეფორმების ეფექტურად გატარებისთვის საერთაშორისო თანამშრომლობას დიდი როლი ენიჭება. ქვემოთ მოცემულია საერთაშორისო კონვენციების მცირე ჩამონათვალი, რომლებიც რატიფიცირებული ან ხელმოწერილია საქართველოს მხრიდან.

N	სახელწოდება	რატიფიკაციის თარიღი
1	რამსარის კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ“.	1996
2	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია	1994
3	კიოტოს პროტოკოლი	1999
4	ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ	1999
5	ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ	1999
6	გაეროს კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ (UNCCD)	1999
7	ბიომრავალფეროვნების კონვენცია	1994
8	კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES)	1996
9	ოზონის შრის დაცვის ვენის კონვენცია	1995
10	მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ	1995
11	კონვენცია შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ	1999
12	სტოქჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ	2006
13	კონვენცია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ	2008
14	როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ	2006

3.3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რაც იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს არსებულ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში. ქვემოთ მოცემულია ახალი კოდექსის ის დებულებები, რომლებსაც პირდაპირი გავლენა აქვთ RDP III -ზე.

უზენაესი თვითმმართველი პირი

ძველი კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველობის უზენაესი თანამდებობის პირი იყო საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო რეფორმის შემდეგ უზენაესი თვითმმართველი პირი არის პირდაპირი წესით არჩეული გამგებელი.

სახელმწიფოს რწმუნებული-გუბერნატორი

სახელმწიფო რწმუნებულთან-გუბერნატორთან შეიქმნება მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანო „სამხარეო საკონსულტაციო საბჭო“, მისი უფლებამოსილება იქნება:

- სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის წარდგინებით შესაბამის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი პროექტების, პროგრამებისა და მათი ხარჯთაღრიცხვების განხილვა;
- რწმუნებულის გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა;
- სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შევლენ შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. საკონსულტაციო საბჭო შეიკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იქნება სარეკომენდაციო ხასიათის.

თვითმმართველობა სოფლებში

კოდექსის თავდაპირველი ვერსიით წარმოდგენილი იყო იდეა სოფლის დონეზე მოქალაქეობრივ საწყისეზზე შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც უნდა ეზრუნა თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ პირველადი საჭიროებების მართვაზე, თუმცა საბოლოოდ უარი ითქვა ამ იდეაზე და კოდექსის მიხედვით გამგებელი უფლებამოსილი იქნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს გამგებლის წარმომადგენელი იგივე „სოფლის რწმუნებული“, რომლის უფლებამოსილებაც განისაზღვრება მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით

ფისკალური დეცენტრალიზაცია

დღეს მოქმედი ორგანული კანონის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ქონების გადასახადი, ადგილობრივი მოსაკრებლები და გათანაბრებითი ტრანსფერი. დაგეგმილი რეფორმის მიხედვით კი ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური რესურსები გაიზრდება ე.წ. წილობრივი გადასახადის ხარჯზე. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაქმებული პირის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილი იმავე თვითმმართველ ერთეულს დარჩება. ამასთანავე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არა საკუთარი შემოსულობის სახით სპეციალურ და მიზნობრივ ტრანსფერებთან ერთად, დამატებით კაპიტალურ ტრანსფერს მიიღებს.

თვითმმართველი ერთეულის ქონება

თვითმმართველობის განხორციელებისათვის აუცილებელი ის ქონება, რომელიც კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს და წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებას, ან დაყადაღებულია ან ყოფილი კოლმეურნეობების ბალანსზეა, 2017 წლამდე გადავა შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, კოდექსის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2017 წლის 1 იანვრამდე შეიმუშავებს მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების გადაცემის ვადების ამსახველ შესაბამის გრაფიკსა და წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები

კოდექსის მე-16 მუხლით მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს.

რომელთაგან სიახლეს წარმოადგენს

- „თ“ ქვეპუნქტი - „წყალმომარაგებისა (მათ შორის ტექნიკური) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება“, რაც მოქმედით კანონმდებლობით ცენტრალური ხელისუფლების, კერძოდ „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს“ სსიპ „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, უფლებამოსილებას წარმოადგენს.
- „რ“ ქვეპუნქტი - შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- „უ“ ქვეპუნქტი - ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

4. სამიზნე რეგიონების ბუნებრივი გარემოს, სოციალური ფენებისა და ფიზიკური კულტურული რესურსების საფრთხეების შეფასება

4.1 რეგიონული განვითარების სტრატეგიების გავლენა

რეგიონული განვითარების სტრატეგიები ორივე სამიზნე რეგიონისთვის თავაზობს შემდეგი სექტორების განვითარებას:

- **სოფლის მეურნეობა** (თანამედროვე ტექნოლოგიები და მცენარეთა ახალი ჯიშები ეფექტური მოსავლიანობისათვის; ქმედითი ტექნოლოგიები მეცხოველეობისა და მეფრინვილეობისათვის; პროდუქტის შენახვა და საკვების გადამამუშავებელი დაწესებულებები და ა.შ.)
- **ენერგო სექტორი** (დიდი და პატარა ჰიდროელექტროსადგურების შემუშავება; რეგიონში არსებული ალტერნატიული ენერგო რესურსების გამოყენება - ქარის ფერმები, მზის ენერჯია)
- **ინფრასტრუქტურა** (რეგიონული და ადგილობრივი გზები; წყლის მიწოდება და კანალიზაცია; ნარჩენი წყლის გადამამუშავებელი დანადგარები; ნარჩენების მართვის საწარმოები, ელექტრო ენერჯია და გაზის მიწოდება; კომუნიკაციის სისტემები და ა.შ.)
- **ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და გამოკვლევა** (ორივე სამიზნე რეგიონისთვის გამოკვლევისთვის არსებული ბუნებრივი რესურსებია: მტკნარი და მინერალური წყლების რესურსი; ხე-ტყისგან ნაწარმი პროდუქცია; ინერტული სამშენებლო მასალები; ასევე სამცხე-ჯავახეთში არსებობს გარკვეული რაოდენობის ნახშირის რესურსი და მოლოდინშია მიმოხილვა პოტენციურ ნავთობის ველებთან დაკავშირებით.
- **ტურიზმი** (ტურიზმის განვითარების დეტალები იქნება გარჩეული შემდეგ ტურიზმის რეგიონალური განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებულ თავებში)
- **პატარა და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა** (ტურისტულ, სასოფლო სამეურნეო, საკვების გადამამუშავებელ, სამშენებლო მასალების დამამზადებელ, ალტერნატიული ენერჯიის, სამშენებლო და მომსახურებით უზრუნველყოფელ სექტორებში)
- **საზღვარგარეთული თანამშრომლობის განვითარება** (ვაჭრობა, ტურიზმი, გარემოს დაცვა, ენერგო სექტორი)
- **გარემოს დაცვითი პროგრამები**

4.1.1. ბუნებრივი გარემოს საფრთხეების დადგენა

ჩვენ წარმოგიდგინთ გავლენის ანალიზს სექტორების მიხედვით ზეგავლენის ქვეშ მყოფი გარემო რეცეპტორების მაგივრად, რადგან დამხმარე ღონისძიებებზე პასუხისმგებელი ორგანოები წარმოადგენენ კონკრეტულ სექტორებს.

გავლენა 1.: ფასეული მიწების/საცხოვრებლების დეგრადაციის საფრთხე და მრავალფეროვნების შემცირება სასოფლო სამეურნეო მიწის დამუშავების გაძლიერებით (ახალი მიწების ათვისება; საძოვრებისა და მდელოების გათელვა და ა.შ.)

მეცხოველეობის გაძლიერება და შინაური ცხოველების რაოდენობის გაზრდა შეზღუდული სასოფლო სამეურნეო და საძოვარი მიწების რეზერვების პირობებში იწვევს ძოვითი საქმიანობის გადასვლას ხელუხლებელ ბუნებრივ ლანდშაფტებზე, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის ფასეულ ალპურ და სუბალპურ მდელოებზე. ბუნებრივი ლანდშაფტების მსგავსი დეგრადაციის პირველი ნიშნები გამოწვეული ჭარბი ძოვით უკვე გამოხატულია ნათლად. ამგვარი ნიშნები შეიმჩნევა ნარიანი ველის უკიდურესად მგძნობიარე და ფასეულ მდელოებზე, რომლებიც ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის ნაწილებია და მათ მიმდებარე ბუნებრივ შემოგარენშია. იგივე შეიძლება ითქვას ღუმეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტების და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მგძნობიარე მდელოების შესახებ. ეს შემჩნეული ლანდშაფტის დეგრადაციის ტენდენცია გამოწვეულია ცხვრების მზარდი რაოდენობით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და ზოგადად საქონლის რაოდენობის ზრდით სამცხე-ჯავახეთში.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში:

რეგიონალური განვითარების სტრატეგიები ადასტურებს საძოვრების არასრულფასოვან მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს: რეგიონალური განვითარების სტრატეგიაში ნათქვამია, რომ „სასოფლო სამეურნეო მიწის დამუშავების ინტენსიურობა ზეგავლენას ახდენს მრავალფეროვნებაზე. ფართო სასოფლო სამეურნეო მიწები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საცხოვრებელს მრავალი ჯიშის ცხოველისა და მცენარისათვის (მაგ. მინდვრები, მდელოები, საძოვრები, მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ბაღები და ა.შ.). საძოვარი ტერიტორიების ჭარბმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის ეროზიის პროცესები.“ არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოება, ახლების განვითარება და ასევე თანამედროვე მართვის სისტემების შემუშავება აღქმულია როგორც შემამსუბუქებელი ღონისძიებები. “ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების და ინოვაციური მართვის სისტემების შექმნა“ აღწერილია როგორც ამოცანა, რომელიც აკმაყოფილებს დაგეგმილ გარემოსდაცვით მიზნებს. ასევე რეგიონალური განვითარების სტრატეგიის მიხედვით: „ეროვნული პარკის გაფართოება, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა მის მართვასა და ღონისძიებებში გააძლიერებს ძირითადი ეკოსისტემების დაცვას, მისი რესურსების რეგულარულ და დაგეგმილ გამოყენებას, ასევე განავითარებს ეკოტურიზმს ეკონომიკური გამყარების მხრივ“. სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური განვითარების სტრატეგია ნაკლებად სპეციფიურია ამ საკითხთან დაკავშირებით.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

- გარემოსდაცვითი მართვის, მეთვალყურეობის სისტემის და აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესება დაცულ ტერიტორიებსა და ტყის ფონდების მიწებისათვის.
აღმასურელებელი ორგანოები: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების

დაცვის სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოსდაცვითი საზედამხებდველო დეპარტამენტი, მინიციპალური ორგანოები.

- მიწათსარგებლობის ზონირების და დაგეგმარების სისტემების გაუმჯობესება. ინვენტარის უზრუნველყოფა და სარეზერვო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტური გამოყენება.
- მესაქონლეობისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანა (საკვების წამოება და მიწოდება; ადგილობრივ ტერიტორიაზე მიმართული საქონლის საკვები ფერმების განვითარება; სასაქონლე ფერმების განვითარების დაგეგმვა დაცული ტერიტორიებისგან შორს;) **აღმასრულებელი ორგანოები:** სოფლის მეურნეობის სამინისტრო; მუნიციპალური ორგანოები; ორგანოები პასუხისმგებლები თანამედროვე მესაქონლეობის ტექნოლოგიების ტრენინგსა და ცოდნის გადაცემაზე.
- საზღვარგარეთული თანამშრომლობა: მოლაპარაკება მოსაზღვრე რეგიონების აზერბაიჯანისა და თურქეთის მმართველ ორგანოებთან მათ ქვეყნებში არსებული თავისუფალი საძოვრების სავარაუდო გამოყენებაზე ერთობლივი მესაქონლეობის ღონისძიებებისთვის (ერთობლივი საწარმოები; აქციონერები და ა.შ.) **აღმასრულებელი ორგანოები:** მეურნეობის სამინისტრო; მუნიციპალური ორგანოები;

გავლენა 2.: პესტიციდებით და სასუქებით დაბინძურება;

სოფლის მეურნეობის სამუშაოების ინტენსიურობის გაზრდა გულისზმობს პესტიციდებისა და სასუქების გაზრდილ წარმოებასა და მომარაგებას. ეს თავისთავად ზრდის საფრთხეს ნიადაგის, ზედაპირისა და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისა, რაც შედეგად ახდენს ზეგავლენას ადამიანების ჯანმრთელობაზე. ამჟამად სოფლის მეურნეობა წარმოადგენს დაბინძურების წყაროს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში და სამცხე-ჯავახეთის უმეტეს მუნიციპალიტეტებში. (მინერალური სასუქებისა და პესტიციდების გადაყრა მდინარეებში, მიწისქვეშა წყლებში ჟონვა).

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში:

აგროქიმიკატების ჭარბი გამოყენების საფრთხე რომელმაც შეიძლება საზიანო გავლენა მოახდინოს პროდუქტის ხარისხზე, ასევე გარემოს დაბინძურება ნახსენებია MM რეგიონალური განვითარების სტრატეგიაში, მაგრამ არ არის აღიარებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური განვითარების სტრატეგიის მიერ. მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური განვითარების სტრატეგიის მიხედვით გათვალისწინებულია შემდგომი დამხმარე ღონისძიებები:

- წყლისა და ჰაერის ხასისხის კონტროლის სისტემის შემოტანა, რეგულარული კონტროლი და დაცვითი ზომების დაწესება ზედაპირულ წყლებსა და ატმოსფერულ ჰაერზე.
- სოფლის მეურნეობის წარმოების ეკოლოგიზაცია, ბიოლოგიური მეურნეობის წარმოების განვითარება ადგილობრივ და უცხო ბაზრებზე, ბიო პროდუქტების წარმოება; სრული ციკლის ბიოლოგიური მეურნეობის კომპლექსების დაარსება.

- გაფართოებისა და მომსახურების ცენტრების დაარსება და განვითარება, ექსპერიმენტალური და სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთების შედგენა, თანამედროვე ტექნოლოგიების წარდგენა და მოსახლეობის უკეთესი ინფორმირება.
- ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების განვითარება და ინოვაციური მართვის სისტემების დაარსება.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

- სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიების წარდგენა. სოფლის მეურნეობის ბიზნეს ინკუბატორების მოწყობა, სადაც ფერმერები და მცირე ან საშუალო საწარმოები მიიღებენ ინფორმაციას თანამედროვე ეფექტურ და ნაკლებად შხამიან სასუქებსა, პესტიციდებზე და თანამედროვე საწყობისა და ტრანსპორტაციის ქარხნებზე. ეს ბიზნეს ინკუბატორები ხელმისაწვდომს გახდის მსოფლიო ბაზრის საუკეთესო პროდუქტებს. მარცვლეულის პესტიციდების გარეშე წარმოებისა და ორგანულ სასუქზე ორიენტირებული ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემოტანა სადაც შესაძლებელია. **აღმასრულებელი ორგანოები:** სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;
- სასუქისა და პესტიციდების მიწოდების ცენტრალიზირებული სისტემის შემუშავება სათანადო ტრანსპორტით, საწყობებით და სწორი გარემოსდაცვის მართვით. **აღმასრულებელი ორგანოები:** სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;
- ზედაპირული წყლების ობიექტების გარემოსდაცვითი ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესება სამიზნე რეგიონებში. **აღმასრულებელი ორგანოები:** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;
- საშუალო ზომის ერთობლივი საწარმოების განვითარების ხელშეწყობა. ტრენინგის, ცოდნის გაზიარების და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ორგანიზება შესაძლებელია უფრო ეფექტურად ასეთი საწარმოებისთვის. **აღმასრულებელი ორგანოები:** სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;

გავლენა 3.: მეფრინველეობის, მესაქონლეობისა და საკვების გადამამუშავებელი ქარხნებთან დაკავშირებული დაბინძურება;

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაძლიერება დაკავშირებულია მზარდ ნარჩენების წარმოებასთან (მათ შორის სახიფათო ნარჩენები). ფრინველის გადამამუშავებელი ქარხნის ინდუსტრიული ნარჩენი უკვე წარმოადგენს საკმაოდ მძიმე პრობლემას მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის. ეს თავის მხრივ ზრდის გარემოს დაბინძურების საფრთხეს, განსაკუთრებით კი ადგილობრივი წყლის რესურსების დაბინძურებას (პატარა მდინარეები ხშირად

გამოიყენება რეცხვის მიზნით და ჩამდინარე წყალი ჩაედინება ამ მდინარეებში). საკვების გადამამუშავებელი ქარხნის მიერ წარმოებული ნარჩენი შესაძლოა საგრძნობლად დიდი წილი შეჰქონდეს გარემოს დაბინძურების საერთო ეფექტში.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში:

ეს საკითხი არ არის კონკრეტულად განხილული რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში, მაგრამ ირიბად ეხება კანალიზაციის სისტემის გაუმჯობესების საჭიროების, ჩამდინარე წყლის გადამამუშავებელი ქარხნებისა და მთლიანი წყლის დაბინძურების კონროლის სისტემების კონტექსტში. მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში ნარჩენების მართვის სისტემის დეფიციტის შესახებ ნახსენებია: „სპეციფიური ნარჩენების დეზინფექციისა და მართვის (მუხრანის მეფრინველეობის ქარხანა და ა.შ.) საკითხები უფულვებელყოფილია“.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის გაუმჯობესება ფერმებსა და საკვების გადამამუშავებელ ქარქნებზე, რათა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ტექნიკურ რეგულაციებთან და გამდინარე წყლის გამოყოფის სტანდარტებთან; **აღმასრულებელი ორგანოები:** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;
- შემოტანა მეცხოველეობისა და მეფრინველეობის თანამედროვე ტექნოლოგიების, ასევე თანამედროვე საკვების გადამამუშავებელი ქარხნების კანალიზაციის სისტემითა და ნარჩენების კომპოსტირების დაწესებულებით ორგანული სასუქის საწარმოებლად. სოფლის მეურნეობის ბიზნეს ინკუბატორების ორგანიზება, სადაც ფერმერები და მცირე და საშუალო ზომის სოფლის მეურნეობის საწარმოები მიიღებენ ინფორმაციას თანამედროვე სუფთა ტექნოლოგიებზე და მუშაობის სტანდარტებზე. საშუალო ზომის ერთობლივი ფერმების განვითარების ხელშეწყობა. ტრენინგის, ცოდნის გაზიარების და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ორგანიზება შესაძლებელია უფრო ეფექტურად ასეთი საწარმოებისთვის, ვიდრე ინდივიდუალური ფერმერებისთვის. **აღმასრულებელი ორგანოები:** სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;

გავლენა 4.: ციმბირული წყლულისა და სხვა სახიფათო დაავადებების გავრცელების საფრთხე, რომლებიც საზიანოა ადამიანებისა და შინაური ცხოველებისთვის (ზოოანთროპოგენული დაავადებები)

მესაქონლეობისა და საქონელის რეგიონებს შორის მიგრაციის ინტენსიურობის გაზრდა ასოცირდება ციმბირული წყლულისა და სხვა ზოოანთროპოგენული დაავადებების გავრცელებასთან. ამის საფრთხე საკმაოდ მაღალია ვეტერინარული კონტროლის სისტემის

დეფიციტის და სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში საქონლის ტრადიციული გადაადგილების მარშრუტზე არსებული უამრავი დარეგისტრირებული თუ დარეგისტრირებული სასაფლაო ადგილების და მავნებლის ხვრელის გათვალისწინებით.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში:

ეს საკითხი არ არის კონკრეტულად განხილული რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში, მაგრამ ირიბად: ვეტერინარული სერვისების უკმარისობა ნახსენებია როგორც ერთერთი მთავარი პრობლემა და ამ დეფიციტის შედეგი ხშირ შემთხვევაში არის ციმბირის წყლული და სხვა ცხოველური დაავადებები.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

- ვეტერინარული კონტროლისა და საზედამხედველო სისტემის გაუმჯობესება (ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე).
- სასაფლაო ადგილების და მავნებლის ხვრელები რეგისტრაციის განახლება. სადაც შესაძლებელია დეზინფექციის ჩატარება ან მავნებლის ხვრელების განცალკევება სტანდარტების მიხედვით. **აღმასრულებელი ორგანოები:** სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;

გავლენა 5.: თევზის ენდემური ჯიშების დაკარგვის საფრთხე უცხო ჯიშების შემოტანითა და გავრცელებით.

თევზის მეურნეობა ორივე სამიზნე რეგიონში ძირითადად ხორციელდება ხელოვნურ რეზერვუარებში, მაგრამ ასევე ბუნებრივ ტბებსა და ტბორებში. ხელოვნური რეზერვუარების გამოყენების შემთხვევაშიც არ ხდება საკმარისი იზოლაცია და არსებული ჯიშების გავრცელება ბუნებრივ გარემოში არც თუ ისე იშვიათია. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამცხე-ჯავახეთში მდებარე ტაბაწყურის უნიკალური ტბის ნაირსახეობებზე და ენდემურ ჯიშებზე უკვე საგრძნობლად იქონია ზეგავლენა ორივე სამიზნე რეგიონში. ენდემური კალმახის ჯიშები მთის მდინარეებში თანდათან ნაცვლდება უცხო კალმახის ჯიშებით გამოპარული ხელოვნური ტბორებიდან. შემდგომი თევზის მეურნეობის ზრდას შეიძლება მოყვეს საგრძნობელი და შესაძლო გამოუსწორებელი გავლენა.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში:

უცხო ჯიშების შემოტანასთან დაკავშირებული საფრთხე ნახსენებია ზოგადად როგორც ერთერთი გარემოსდაცვითი პრობლემა ამ რეგიონებში. არანაირი კავშირი კონკრეტულ საქმიანობებზე არ არის გაანალიზებული.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

- თევზის მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და დაწესებულებების დანერგვა, ეკოლოგიურად დაცული თევზის მეურნეობის ხელის შეწყობისთვის. ბიზნეს ინკუბატორების მოწყობა, სადაც ფერმერები და მცირე ან საშუალო საწარმოები მიიღებენ ინფორმაციას თანამედროვე სუფთა ტექნოლოგიებსა და მუშაობის სტანდარტებზე. საშუალო ზომის ერთობლივი ფერმების განვითარების ხელშეწყობა. ტრენინგის, ცოდნის გაზიარების და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ორგანიზება შესაძლებელია უფრო ეფექტურად ასეთი საწარმოებისთვის, ვიდრე ინდივიდუალური ფერმერებისთვის. **აღმასრულებელი ორგანოები:** სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის გაუმჯობესება თევზის მეურნეობაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური სისტემები თევზის უცხო ჯიშების ბუნებრივ გარემოში გაპარვის ასარიდებლად და შესაბამისობა ტექნიკურ წესებთან და ჩამდინარე წყლების გამოდენის სტანდარტებთან. **აღმასრულებელი ორგანოები:** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;

4.1.1.2 ენერგო სექტორი

გავლენა 6.: გარემოსდაცვითი საფრთხეები დაკავშირებული მცირე და დიდ ჰიდროელექტროსადგურების განვითარების გეგმებთან

ხშირად ნახსენები პოტენციური საფრთხეებია: ა) კლიმატის ცვლილება ადგილობრივ და რეგიონურ დონეზე (პირდაპირი და საერთო გავლენა რამოდენიმე ჰიდროელექტროსადგურის) შემდგომი არაპირდაპირი ზემოქმედებებით (ნალექისა და ეროზიის მატება; სინესტის ზრდა და შესაბამისი ცვლილება ფლორისტულ შემადგენლობაში; ბ) ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება და ჰიდროელექტროსადგურის პროექტების გავლენის ქვეშ მყოფი მდინარეებისა და ხეობების ჰიდრო-ეკოლოგიური მახასიათებლები. გ) რეკერვუარებისა და ჰიდროელექტროსადგურების მიერ დაკავებული ადგილებისა და მიწების შეუქცევადი ზიანი (ეკოლოგიური გავლენა შეიძლება იყოს მძიმე ურთიერთ დაკავშირებულ ეკოლოგიურ არეში მყოფ რამოდენიმე ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივი ეფექტით; კლიმატზე გავლენა ხშირ შემთხვევაში არის გამწვავებული, მაგრამ რამოდენიმე ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივი გავლენა ზედმიწევნით უნდა იქნას გაანალიზებული. სამწუხაროდ ზემოთ ნახსენები საფრთხეები განხილულია ცალკეული ჰიდროელექტროსადგურების ინდივიდუალური გარემოს ზემოქმედების შეფასებით. ერთობლივი და ირიბი გავლენა არ არის სათანადოდ გაანალიზებული.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში: ეს საკითხი არ არის კონკრეტულად გარჩეული რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

- სტრატეგიული გარემოს ზემოქმედების შეფასების შემუშავება ჰიდროელექტროსადგურების სისტემისთვის მთლიან რეგიონში ან მინიმუმ ერთ აუზში;

- კრიტერიუმების სისტემის შემუშავება გადაწყვეტილების მიმღებთათვის (მდინარეებისთვის ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური თვისებების შენარჩუნებისთვის საჭირო მინიმალური სანიტარული დინების შეფასების მეთოდოლოგია; მდინარეთა ეკოსისტემის ეკოლოგიური ღირებულება და დეგრადაციის სტატუსი; სადგრის სოციო-ეკონომიკური ღირებულება; ჰიდროელექტროსადგურის ღირებულება ენერგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით და ა.შ.) კრიტერიუმების სისტემა უნდა იყოს მისაღები შესაფერისი პროექტების არჩევისა და მათი პრიორიტეტის მინიჭებისთვის. ამის განვითარება შესაძლებელია ცალკეული ტბორის ან რეგიონის კონკრეტული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით ან მთლიანი ქვეყნისათვის საერთო სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით.
- ენერჯის ალტერნატიული წყაროების შესაძლებლობისა და უნარის შეფასება. **აღმასრულებელი ორგანოები:** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ენერჯეტიკის სამინისტრო;

გავლენა 7.: გარემოსდაცვითი საფრთხეები და ენერჯის ალტერნატიული წყაროების განვითარების გეგმასთან დაკავშირებული სარგებელი.

ქარისა და მზის ენერგო სადგურების პოტენციური უარყოფითი გავლენა დაკავშირებულია მიწის მნიშვნელოვანი ფართობების მუდმივ ათვისებასთან და ამით განპირობებული გავლენით ტერიტორიებსა და საცხოვრებელ ადგილებზე. სხვა ტიპის გარემო გავლენები დაკავშირებულია ჩიტებისა და ღამურების სიკვდილიანობაზე, რაც გამოწვეულია ნაგებობებთან დაჯახებით. ეს გარემო გავლენები არის ადგილობრივი მნიშვნელობის და შეიძლება მათი მართვა ადგილის შერჩევით და კონკრეტული პროექტის ფარგლებში არსებული გარემოსდაცვითი გავლენის შეფასების დამხმარე ღონისძიებებით. ალტერნატიული ენერჯის წყაროს გამოყენების სტრატეგიული გარემოსდაცვითი გავლენა გარემოზე სარგებლიანი არის (ტოქსიკური და სასათბურე გაზების გამოყოფის შემცირება; (სტრატეგიული სოციალური გავლენები ნახსენებია სოციალური გავლენის სექციაში).

4.1.1.3 რეგიონში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა ეფექტური მომსახურებებით პატარა და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად

გავლენა 8.: გარემოს დაბინძურების ერთობლივი შედეგები

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების მიხედვით რეგიონში მომუშავე დიდი საწარმოები ნაკლებ საზიანო გავლენას ახდენენ გარემოზე. მსხვილი წარმოება და ინვესტიციები შესაძლებლობას აძლევს აღჭურვონ საწარმო თანამედროვე წმენდის და გასუფთავების ტექნოლოგიებით, ასევე ნარჩენების გადამუშავების და მეორადი გამოყენების. გაცილებით დიდი ერთობლივი გავლენა აქვს ბევრ ცალკეულ მცირე და საშუალო საწარმოებს, რომელთა უმრავლესობა დაარსებულია შეზღუდული დაფინანსებით და დაბალი ხარისხის გარემოსდაცვითი მართვით. ეს საწარმოები არ არის სათანადოდ რეგულირებული ზედამხედველი ორგანოების მიერ. მცირე და საშუალო ბიზნესების ინტენსიურმა ხელშეწყობამ შესაძლოა კიდევ უფრო გაართულოს სიტუაცია. მცირე და საშუალო საწარმოების ერთობლივი

გავლენა უფრო მაღალია ვიდრე ემისიისგან გამოწვეული დაბინძურება, ჩამდინარე წყლების ჩადინება და არასათანადო ნარჩენების მართვა, უკონტროლო ხე-ტყის წარმოება და ა.შ.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში: როგორც უკვე ვახსენეთ ეს საკითხი წამოწეულია რეგიონალური განვითარებებით. მიუხედავად ამისა ერთადერთი დასკვნა იყო საზედამხედველო სისტემის საერთო გაუმჯობესების საჭიროება.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

- თანამედროვე ტექნოლოგიებისა და დაწესებულებების დანერგვა ეკოლოგიურად უსაფრთხო ბიზნესის ხელშეწყობისთვის. ბიზნეს ინკუბატორების შექმნა, სადაც მცირე და საშუალო საწარმოები არა მარტო ბიზნესის მართვის უნარებს აითვისებენ არამედ მიიღებენ ინფორმაციას თანამედროვე სუფთა ტექნოლოგიებზე და მუშაობის სტანდარტებზე. **აღმასრულებელი ორგანოები:** საქართველოს ტურიზმის ეროვნული ასოციაცია; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ეკონომიკის სამინისტრო; საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდი; მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის გაუმჯობესება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა ტექნიკურ წესებთან ასევე ემისიასა და ჩამდინარე წყლების ჩადინების სტანდარტებთან. **აღმასრულებელი ორგანოები:** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;
- მცირე და საშუალო საწარმოები ხელშეწყობისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ პროექტებს, რომლებიც სარგებლიანია გარემოსთვის ან აქვს ნაკლებად საზიანო გავლენა. გამოყენებულ უნდა იქნას პროექტის შერჩევის კრიტერიუმები რომლებიც მოყვანილია ამ კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიულ შეფასებაში ან უნდა შემუშავდეს მსგავსი კრიტერიუმები რომლებიც უკეთ მოერგება კონკრეტულ საინვესტიციო პაკეტს. **აღმასრულებელი ორგანოები:** მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები; მცირე ბიზნესის დაფინანსებში მონაწილე სხვა ორგანოები და ფონდები (მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი და ა.შ.)

4.1.1.4 ინფრასტრუქტურა: ადგილობრივი და რეგიონალური გზები, წყლის მიწოდება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების დამუშავების დაწესებულებები; ბუნებრივი აირის მიწოდება

გავლენა 9.: ახალი ადგილობრივი და რეგიონალური გზების გავლენა სუფთა გარემოზე

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა რეგიონალური განვითარების საწინდარია, მაგრამ შორეული ადგილების უკეთესმა მისადგომობამ შეიძლება გამოიწვიოს ანთროპოგენული გავლენიდან დღემდე შემორჩენილი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების ცვლილება. ახალი გზები ხშირად

ხელშეუხებელი ადგილების მისადგომობას ხდის ხელმისაწვდომს (ტყეები; ჭაობები; სხვა მგძნობიარე არეალები) და ხელს უწყობს უკონტროლო დროებითი საცხოვრებლების შექმნას ადრეულ დაცულ ტერიტორიებზე, ბრაკონიერობა და მზარდი ტურისტების ნაკადები რომელიც აჭარბებს ტერიტორიის მოცულობას. ამის გარდა არსებობს პარაზიტებისა და ტყის დაავადებების გაჩენის საფრთხე ტყის დეგრადირებული ნაწილებიდან პირვანდელ და ხელუხლებელი ნაწილებში. მცენარეთა უცხო სახეობების შემოტანა მანქანებით მორიგი საფრთხეა.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში: ეს საკითხი არის წამოწეული რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში. რეგიონალური განვითარების მიერ შემოთავაზებული დახმარება ითვალისწინებს საერთო გაუმჯობესებას მეტყვევების მართვის სისტემაში.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის გაუმჯობესება მგძნობიარე ტერიტორიებში, რომლებიც მიღწევადი ხდებიან ახალი გზების წყალობით, რათა მინიმუმამდე დავიდეს უკანონო ადგილობრივი საცხოვრებლები და ბრაკონიერობა. **აღმსრულებელი ორგანოები:** ეროვნული სატყეო სააგენტო; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;
- მეტყვევების მართვის პრაქტიკების გაუმჯობესება ხელუხლებელი ტყეების დასაცავად მცენარეული დაავადებების გავრცელებისგან. **აღმსრულებელი ორგანოები:** ეროვნული სატყეო სააგენტო; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;
- მცენარეთა დაცვის გაუმჯობესება და ფიტოსანიტარული კონტროლის მექანიზმების შექმნა დაავადებებისა და უცხო ჯიშის მცენარეების გავრცელებისგან. **აღმსრულებელი ორგანოები:** ეროვნული საკვების სააგენტოს ფიტოსანიტარიის დეპარტამენტი.

გავლენა 10.: ტრანსპორტულ ინფრასტრუქტურისა და მოძრაობის მატები გავლენა არსებული ჰაერის ხარისხზე

არსებული ჰაერი სამიზნე რეგიონებში ძირითადად ავტომობილებისგან ხოლო ნაკლებწილად ინდუსტრიული დაწესებულებისა და სოფლის მეურნეობის სექტორის პროექტებისგან არის დაბინძურებულია. მნიშვნელოვანი გზატკეცილები ინტენსიური და მზარდი მოძრაობით აღმოსავლეთ დასავლეთსა და ასევე ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეებში მთელ ტერიტორიაზე. ზემოთ ხსენებული თავისთავად მაღალი ღონის დაბინძურების საწინდარია, მაგრამ მანქანის დისფუნქცია და საწვავის ხარისხის პრობლემები სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს. რადგან გზატკეცილები ძირითადად

გადის დასახლებებში, უარყოფითი ეფექტი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარკვეულ ნაწილებში და შედეგად ავადმყოფობის საფრთხე საგრძნობლად მაღალია.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში: საკითხი წარმოდგენილია მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური განვითარების სტრატეგიაში. რეგიონალური განვითარების მიერ შემოთავაზებული დახმარება შეზღუდულია ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის საერთო გაუმჯობესებით.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე: საჭიროა სათანადო სამთავრობო პოლიტიკა, კერძოდ კი: ქვეყანაში არსებული ავტომობილების საშუალო ასაკი უნდა შემცირდეს, საწვავის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს და რეალურად შემუშავდეს პრაქტიკაში. **აღმსრულებელი ორგანოები:** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო;

გავლენა 11.: წყლის მიწოდების, კანალიზაციის სისტემების, ჩამდინარე წყლის გადამამუშავებელი საწარმოების, ბუნებრივი აირისა და ელექტრობის მიწოდების განვითარებასთან დაკავშირებული გავლენები

ზემოთ ხსენებული ინფრასტრუქტურის პროექტების მოსალოდნელი უარყოფითი გავლენები დაკავშირებულია მიწის სამუდამო ათვისებასა და მასთან ასოცირებულ გავლენასთან ლანდშაფტებსა და დასახლებების დანაწევრებასთან. სხვა გარემოს გავლენები არიან დაკავშირებული სამშენებლო საქმიანობებთან. ამ გარემოს გავლენებს აქვს ადგილობრივი მნიშვნელობა და შესაძლოა მათი მართვა ადგილის/გზის შერჩევითა და პროექტის სპეციფიური გარემოსდაცვითი ზეგავლენის შეფასებებზე დაფუძნებით შედგენილი გარემოსდაცვითი მართვის გეგმა. ზემოთ ხსენებული ინფრასტრუქტურის პროექტების ტიპების სტრატეგიული გარემოსდაცვითი გავლენა ბუნებრივ გარემოზე სარგებლიანია რადგან იგი წინ უძღვება ნარჩენების, ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებულ დაბინძურების, წიაღისეულ საწვავთან დაკავშირებული დაბინძურებისა და ხე-ტყის ენერგო წყაროდ გამოყენების კლებას. ზოგადად, ეს ხელს შეუწყობს სასათბურე გაზების ემისიის შემცირებას.

4.1.1.5 ინერტული მასალის გამოკვლევა

გავლენა 12.: ზემოქმედება ლანდშაფტებზე და მდინარის არხების ჰიდრო-ეკოლოგიური თვისებები

ორივე სამიზნე რეგიონი მდიდარია ნედლეული სამშენებლო მასალით. თითოეული საწარმოს ზემოქმედება ინერტული მასალის გამოსაკვლევადაც არის ადგილობრივი და შეიძლება მისი მართვა ინდივიდუალური ნებართვის გაცემისა და ლიცენზირების პროცედურებით. თუმცა მრავალი საწარმოს ერთობლივი ზეგავლენა შეიძლება იყოს უფრო რთული და ნაკლებად მართვადი.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში: რეგიონალური განვითარების სტრატეგიები არ ეხება სხვადასხვა კარიერებისა და მადაროების მოპოვების მასალების ერთობლივ ზეგავლენას;

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

რესურსების შეფასების ჩატარება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი გავლენის შეფასების საგამოკვლეო გენერალური გეგმის შემუშავება თითოეული სამიზნე რეგიონისთვის. განსაზღვრულ იქნას დასაშვები ტერიტორიები და თითოეული ადგილის გამოკვლევის ნაყოფიერება. მგძნობიარე ლანდშაფტებისა და ბუნებრივი ძეგლების სიახლოვეში მოპოვების აკრძალვა. **აღმასრულებელი ორგანოები:** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; გარემოსდაცვითი სააგენტო; მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;

გავლენა 13.: ნარჩენების სიუხვისკენ მიდრეკილი ტერიტორიებზე გავლენა

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების მიხედვით, ორივე სამიზნე ტერიტორიის ფარგლებში არის მრავალი მდინარე და ხეობა რომლებიც ქმნიან ნარჩენებით სავსე ტერიტორიებს და ინახავენ დიდძალი რაოდენობის ნარჩენებს (კლდის ნამსხვრევებს, ქვებს და ა.შ.). ეს აჩენს სერიოზულ საფრთხეს საცხოვრებელი რაიონებისთვის და მთლიანი დასახლებებისთვისაც კი. ნარჩენების სიუხვისკენ მიდრეკილი მდინარის არხების პერიოდული დასუფთავება არის ერთერთი ყველაზე პრიორიტეტული გარემოსდაცვითი პროგრამა რეგიონალური განვითარების სტრატეგიების ფარგლებში. მდინარის არხების პერიოდული დასუფთავება ერთის მხრივ სარგებლიანია და აუცილებელი ადგილობრივი მოსახლეობისა და სოფლის სამეურნეო მიწების დასაცავად ნარჩენებისა და ღვარცოფებისგან. მეორეს მხრივ, დაგროვილი ნარჩენების დიდი რაოდენობით გამოყენება შეამცირებს ინერტული მასალების მოპოვების აუცილებლობას სხვა წყაროებიდან. თუმცა, ნარჩენების დაგროვების ადგილებიდან მასალების მოპოვება და ტრანსპორტირება არის უფრო ძვირი ვიდრე მათი მოპოვება მდინარის კალაპოტის კარიერებიდან რომლებიც დასახლებულ პუნქტებთან და გზებთან ახლოს მდებარეობს. აქედან გამომდინარე, კერძოდ მომუშავე პირებს არა აქვთ არანაირი სურვილი დაასუფთავონ მდინარის არხები ნარჩენების მასებისგან, იქამდე სანამ ისინი იღებენ ფულს ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან, რომლებსაც ზოგადად ფინანსური რესურსების უკმარისობა აქვთ.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

ლიცენზიის გადასახადის გარეშე ნარჩენების დაგროვების ადგილებიდან მასალების მოპოვების დაშვების პოლიტიკის შემუშავება და წესების დადგენა. ასეთი მიდგომის შემთხვევაში, მდინარის კალაპოტის არხის დასუფთავების ხარჯები შემცირება არის შესაძლებელი მუნიციპალიტეტათვის ხელმისაწვდომობის დონემდე. **აღმასრულებელი ორგანოები:** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საჭირო წესების შემუშავებისა და დასტურისათვის; მომხრე მხარეები; გარემოსდაცვის სააგენტო; მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები; მთავრობის დასტური;

4.1.1.6 რეგიონალური განვითარების სტრატეგიების გარემოსდაცვითი ნაწილი

რეგიონალური განვითარების ორივე სტრატეგია მოიცავს ნაწილებს, რომლებიც კონკრეტულად მიმართულია გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებაზე. ქვემოთ წარმოდგენილი სტრატეგიის კონკრეტულ გარემოსდაცვითი ნაწილებს ნათლად აქვს სარგებლიანი ზეგავლენა სამიზნე რეგიონების ბუნებრივ გარემოზე.

ნარჩენების მართვა

წამოწეული საკითხები: გარემოს დამბინძურებლების პრობლემა, კერძოდ ნარჩენების მართვის საკითხი მწვავედ დგას სამიზნე რეგიონებში. კომუნალური სექტორი (კანალიზაციები დასახლებებში) წარმოადგენს მთავარ დამბინძურებელს ზედაპირული წყლების დღეისთვის

არც ერთ წყლის გადამამუშავებელ დაწესებულებას ან ნაგებობას არ შეუძლია ჩამდინარე წყლების გადამამუშავება პროექტის ხარისხის შესაბამისად. ასევე არ არსებობს არანაირი წყლის ბიოლოგიური წმენდა. ნაგავსაყრელებიც თავის მხრივ წარმოადგენენ მწვავე პრობლემას. არც ერთ დასახლებას არ გააჩნია ნაგავსაყრელი აშენებული დადგენილ ნორმებთან შეთანხმებით. სოფლებშიც არ არის ნაგვის გადასაყრელი ადგილი და ნაგვის გადაყრა თვითნებური ხასიათისაა, ძირითადად ხეობებსა და მდინარეებში; ნარჩენების შეგროვების მანქანები, მექანიზმები და ასევე ბუნკერები არის არასრულფასოვანი და არასაკმარისი.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების შემოთავაზებული მოქმედებები: რეგიონალური განვითარების ორივე სტრატეგია სხვა პრიორიტეტებთან ერთად ადგენს ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი ქარხნების, კანალიზაციის, რეგიონალური მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელებისა და სხვა ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნების აშენების აუცილებლობას.

ბუნებრივი კატასტროფების მართვა

წამოწეული საკითხები: სამიზნე რეგიონები ზედმეტად მგძნობიარენი არიან ბუნებრივი კატასტროფების მიმართ; ბუნებრივი კატაკლიზმები, როგორცაა მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, გვალვა ხშირია ამ ტერიტორიებზე. დემოგრაფიული ცვლილება დაუგეგმავი ურბანიზაცია, უსაფრთხოების ნორმების კონტროლის უკმარისობა, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, გარემოს დეგრადაცია და კლიმატის ცვლილება, ამ ყველაფრის გათვალისწინებით სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე აღმკვეთი ზომების დაგეგმარებისა და განხორციელების სისტემების დეფიციტი იწვევს კატასტროფების ინტენსიურობისა და სიხშირის ზრდას.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების შემოთავაზებული მოქმედებები: მოქმედების გეგმის შემუშავება ბუნებრივი კატაკლიზმებისა და შემთხვევების საფრთხეთა სამართავად, საზედამხედველო სისტემის წარდგენა განსაკუთრებით მგძნობიარე ტერიტორიებზე, და მათი თავიდან არიდება. სადაც შესაძლებელია დეგრადირებული ტყე უნდა აღდგენილ იქნას. პირდაპირი ეკოლოგიური სარგებლიანობის გარდა ეროზიის და მეწყერის საფრთხის შემცირების ირიბი ეფექტიც მნიშვნელოვანია. აუცილებელია შემუშავდეს გარემოებრივი გეგმა და პრევენციული ზომები რეგიონისათვის. რეგიონის ტერიტორიაზე სადაც სახიფათო გეოლოგიური პროცესების საფრთხე და ზიანის ფარდობა მაღალია, სასურველია სოფლის მოსახლეობის გადაადგილება როგორც პრევენციული ზომის მიღება.

წამოწეული საკითხები: ნიადაგის დაცვა ძალზედ მნიშვნელოვანი ამოცანაა ზოგადად საქართველოსთვის და კერძოდ მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისთვის. ნიადაგის დანაკარგები უზარმაზარია ეროზიის პროცესების გამო, მეორადი სისველე, ნიადაგის დამარილიანება, გადაჭარბებული ტყის ზრდა, ბუნებრივი აღმოცენება რაც გამოწვეულია სოფლის მეურნეობის არანაყოფიერი მართვით და ხალხის მიერ სოფლის მეურნეობის არასწორი სამუშაოებით.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების შემოთავაზებული მოქმედებები: აუცილებელია რეალურად შემუშავდეს კანონი ნიადაგის შენარჩუნებასა და მისი პროდუქტიულობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ასევე მიღებულ იქნას სათანადო ზომები.

მტკნარი წყლის გონივრული გამოყენება, მინერალური წყალი და ტყის რესურსები

წამოწეული საკითხები: რესურსების მართვასთან დაკავშირებული ერთობლივი გავლენა. წყლისა და ტყის მასალების შემსწავლელი ყველა ცალკეული საწარმოს გავლენა არის

ადგილობრივი და შეიძლება მისი მართვა ინდივიდუალური ნებართვის გაცემითა და ლიცენზირების პროცედურებით. თუმცა, რესურსების გამოყენების ერთობლივი გავლენა, შესრულებული ყოველგვარი კოორდინაციის გარეშე მრავალი საწარმოს მიერ, შეიძლება იყოს ბევრად უფრო მძიმე და ნაკლებად მართვადი. არასისტემატიური ხე-ტყის ჩეხვის საფუძველზე, საგრძნობელი ზიანი მიეყენა ტყეებს სამიზნე რეგიონებში გასული ათწლეულების განამგლობაში. შედეგად ამან გამოიწვია მეწყერთა, ღვარცოფთა და ნიადაგის ეროზიის მზარდი რაოდენობა.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების შემოთავაზებული მოქმედებები: გავლენა დადასტურებულია რეგიონალური განვითარების სტრატეგიების მიერ და თანამედროვე რესურსების მართვის სისტემა წამოყენებულია როგორც დამხმარე ზომა.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია გაუმჯობესების ღონისძიებებზე:

ტყის, მინერალური და წყლის რესურსების აღწერა; რესურსების გამოყენების გენერალური გეგმის ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი ზეგავლენის შეფასების შედეგნა თითოეული სამიზნე რეგიონისთვის. დასაშვები ადგილების დადგენა და თითოეული ადგილის რესურსის მოპოვების მოცულობა. აუცილებელია ტყის მდგრადი განვითარების მართვის სისტემის დანერგვა, რომელიც გულისხმობს ტყის ტერიტორიების მოვლასა და გამოყენებას იმ საშუალებებით, ინტენსიურობითა და მეთოდებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მრავალფეროვნების, ნაყოფიერების, თვითგანკურნების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს მის შემდგომ გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შესრულებას ამჟამად და მომავალშიც. ასევე არ იწვევს სხვა ეკოსისტემების ზიანს. ტყის მდგრადი განვითარების მართვა უზრუნველყოფს: შენარჩუნება და გაზრდა ტყეების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების, მათი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ეფექტური გამოყენება ტყეთა გარემოსდაცვითი ღირებულებების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ჩართულობა ტყის მართვის საკითხებში და თანაბარი გადანაწილება მიღებული სარგებელის; **ადმასრულებელი ორგანოები:** ეროვნული სატყეო სააგენტო; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; გარემოსდაცვითი სააგენტო; მუნიციპალური უფლებამოსილი ორგანოები;

წამოწეული საკითხები: უკანონო კომერციული საცხოვრებლები ერთერთი მთავარი პრობლემაა, თუმცა ლიცენზირებულ ოპერატორებიც კი არ არიან გონვრული სატყეო პრინციპების მიმდევრები. როგორც წესი, ყველა მოჭრილი ხიდან მხოლოდ საუკეთესო სავაჭრო ხარისხის (ხის მერქანი) ასორტიმენტი მიაქვთ და ხის რესურსის ნაწილს ტოვებენ ადგილზევე. როცა მოჭრილი ხე ეცემა ის ხშირ შემთხვევაში აზიანებს სხვა ხეებს რომლებიც არ არიან განკუთვნილი მოსაჭრელად, მათ შორის ის ჯიშები რომლებიც წითელ წიგნშია შეტანილი. ნარჩენები არ არის გატანილი ხე-ტყის ჭრის ადგილიდან. სიღარიბის მაღალი დონე სოფლებში აიძულებს ხალხს მოიპოვონ ტყის რესურსები უკანონოდ და გამოიყენონ არასათანადო მეთოდები.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების შემოთავაზებული მოქმედებები: ტყის მდგრადი განვითარების მართვა სოციალური პრობლემების გამოსავალი, სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგად კონტექსტში, უნდა იქნას გათვალისწინებული და განხილული. ტყის საკუთრების სტრუქტურისა (რეგიონალური/მუნიციპალური) და ასევე ტყის მართვის პასუხისმგებლობების შეცვლის ან გადანაწილების შემთხვევაში შესაძლებელია ტყის დაცვის

გაუმჯობესება და მართვის მდგრადი განვითარება იმ შემთხვევაში თუ მოსახლეობა და სათანადოდ მოტივირებული კერძო ორგანიზაციები ჩაერთვებიან ტყის მართვაში. ადგილობრივი მოსახლეობა უნდა იყოს ჩართული ადგილობრივ ტყის მართვაში, საზოგადოების სხვადასხვა ფენებისა (ახალგაზრდები, ქალები) და მათი საჭიროებებისა თუ მოთხოვნების გათვალისწინებით. მათ უნდა იგრძნონ თავი პასუხისმგებლად რესურსებზე, რომლებზეც მათი აწმყო და მომავალი არსებობა არის დამოკიდებული. აუცილებელია საცდელი პროექტების შემუშავება და განვითარება რომლებიც ხელს შეუწყობენ ტყის კომერციულ გამოყენებას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რათა შეიქმნდას ახალი სამსახურები და შემოსავლის წყაროები, ასევე სიღარიბის შემცირების მიზნით.

4.1.2 რეგიონალური განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებული საფრთხეების შეფასება სოციალური ფენების მიმართ

4.1.2.1 საზოგადოებრივი საფრთხეები და გავლენა დაკავშირებული რეგიონალური განვითარების სტრატეგიების შემუშავებასთან.

საკითხი 1 : რეგიონალური განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებული მიწათსარგებლობის გავლენა

მიწათსარგებლობის შედეგები. ფართომასშტაბიანი სამრეწველო და ინფრასტრუქტურული პროექტებში რომლებსაც ესაჭიროებათ მიწის სამუდამო დაკავება ნაგებობებისთვის, საკმაოდ ძლიერად ზემოქმედებენ მიწათსარგებლობაზე. განსაკუთრებით მწვავე გავლენები დაკავშირებულია ენერჯო სექტორთან (ჰიდროელექტროსადგურები და გადამცემი ხაზები; ბუნებრივი აირისა და ნავთობის მილსადენები) და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურასთან (საავტომობილო გზები და რკინიგზები; პორტები და აეროპორტები). ერთი და იგივე რეგიონში შემუშავებული რამოდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტის ერთობლივმა გავლენამ შეიძლება გააუარესოს შედეგი. რამდენადაც ორივე რეგიონალური განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ენერჯის და ინფრასტრუქტურის სექტორის ინტენსიურ განვითარებას, კერძო მიწის მფლობელებსა და მიწათსარგებლიანობაზე გავლენა უნდა იქნას აღქმული როგორც მთავარი უარყოფითი სოციალური გავლენა რეგიონალური განვითარების სტრატეგიების.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში: ეს საკითხი დადასტურებულია რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში, თუმცა არანაირი კონკრეტული პირობები ან მიდგომები არ არის შემოთავაზებული.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე: მთავრობამ უნდა გააუმჯობესოს კანონმდებლობა, არანებაყოფლობითი გადასახლების დამარეგულირებელი პროცედურები და წარადგინოს WB OP 4.12.-ის მსგავსი საწყისები. განსაკუთრებით მწვავე შემთხვევებში (მაგ. ჰიდროელექტროსადგურის პროექტები) როცა მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გადასახლდეს, აქცენტი უნდა გაკეთდეს ფულადი ანაზღაურებების მაგივრად გადაადგილების რთულ პროგრამაზე, საარსებო წყაროს აღდგენის და ადაპტაციის პროგრამებზე გადაადგილებული და მასპინძელი მოსახლეობისათვის. იმ მოსახლეობისათვის რომლებიც ჰიდროელექტროსადგურის პროექტების გავლენაში მოექცნენ ჩვენ ვთავაზობთ პრივილეგიების მიცემას, მაგალითად დაბალ ტარიფს ან უფასო ელექტროენერჯის მიწოდებას.

საკითხი 2: დასაქმების სარგებელი არ ხვდება წილად ადგილობრივ მოსახლეობებს

არსებობს იმის საფრთხე, რომ სამუშაო ადგილები შექმნილი რეგიონალური განვითარების სტრატეგიის ქვეპროექტების განხორციელებისას არ ხვდება წილად ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ მთავარი სარგებელი მიიღება სხვა რეგიონის და უცხო ქვეყნის მოსახლეობის მიერაც კი. ეს მართებულია დროებითი სამსახურების (სამშენებლო სამუშაოები) და ასევე გრძელვადიანი დასაქმების შესაძლებლობების მხრივ.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიაში: ეს საკითხი არ არის დადასტურებული რეგიონალურ განვითარების სტრატეგიაში.

დამხმარე ღონისძიებები: მნიშვნელოვანია ა) იმ წესების შემოტანა სადაც უპირატესობა ეძლევა ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმების მხრივ; ბ) პროფესიონალური საჭიროებების შეფასება და ადგილობრივი მოსახლეობის ტრენინგის უზრუნველყოფა, რათა განავითარონ მათი პროფესიონალური უნარები იმ სფეროებში, რომლებიც დადგენილია საჭიროებების შეფასებით როგორც ყველაზე მოთხოვნადი.

საკითხი 3: სარგებლის არათანაბარი განაწილება თითოეული რეგიონის სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებში

სტრატეგიული მიზნების მიღწევა სამიზნე რეგიონებში ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები არ იქნებიან ჩამოშორებული და მიიღებენ სარგებელს სამართლიანი და თანაბარი გზით. ნაირსახეობა რეგიონის შიგნით იწვევს მეტ ინვესტიციას და უფრო დიდ ზრდის ზონებს, რომლებიც არიან უფრო მდიდარი ბუნებრივი და კულტურული ქონებით.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიაში: ეს საკითხი არ არის დადასტურებული რეგიონალურ განვითარების სტრატეგიაში.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე:

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების ზოგადი ცნობების გარდაქმნისას რეალურ სამოქმედო გეგმად რომელიც აერთიანებს კონკრეტულ ქვეპროექტებს, მნიშვნელოვანია თითოეული მუნიციპალიტეტის ინტერესს თანაბრად მიექცეს ყურადღება. ქვეპროექტების და შეთავაზების მომზადების არჩევის კრიტერიუმები არ უნდა იყოს საშეღავათო რაიმე გარკვეული პრივილეგირებული ტერიტორიისთვის (მაგ. შეთავაზების მონახაზის მისაღებ ფორმატში შესადგენად საჭირო კონსულტანტები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი მუნიციპალიტეტისათვის)

საკითხი 4: სარგებელი არათანაბარი გადანაწილება ადგილობრივი მოსახლეობის

სხვადასხვა სეგმენტებზე და ნაკლები სარგებლიანობა შედარებით სუსტი ჯგუფებისა და/ან ქალებისათვის. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მიწის გაერთიანებამ და კომერციალიზაციამ, რასაც მხარს უჭერს რეგიონალური განვითარების სტრატეგიაები როგორც დადებით ტენდენციას სასოფლო-სამეურნეო განვითარების, შეიძლება გამოიწვიოს მათი საარსებო წყაროების გაუარესება ვინც თმობს მიწის მცირე წილებს, ვერ ახერხებს ახალი სამუშაოს და შემოსავლის ალტერნატიული წყაროების შოვნას. მოსალოდნელია, რომ რეგიონალური განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებული მთავარი პროგრამების წარმატებული განხორციელება გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სუსტი

საზოგადოებრივი ჯგუფები, როგორებიც არიან უნარშეზღუდულები და პენსიონერები ნახავენ იგივე სარგებელს ამ შესაძლებლობით.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში: ეს საკითხი არ არის დადასტურებული რეგიონალურ განვითარების სტრატეგიებში.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე: კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება გვიჩვენებს შესაძლებლობების განსაზღვრას პროგრამების განვითარებისათვის, რომლებიც მიმართულია პრივილეგირებული სამუშაო შესაძლებლობების მიწოდებაზე სუსტი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის (უნარშეზღუდული პირები და პენსიონერები, იძულებით გადაადგილებული პირები, ქალები). ამან შეიძლება მოიცვას პროფესიონალური ტრენინგი, საქონელის და მომსახურების მარკეტინგი რომელიც შეილება იყოს წარმოებული და მიწოდებული უნარშეზღუდული და იძულებით გადაადგილებული პირების მიერ; კონკრეტული საწარმოების დაარსება რომლებიც დაიქირავენ სუსტ მოსახლეობას; მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და კერძო ინვესტორების დამხმარე კანონების შექმნა რომელიც ხელს შეუწყობს სუსტი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდას; კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება ხელს შეუწყობს ერთობლივი სამუშაოების და სხვა ტიპის ფერმერული ასოციაციების შექმნას, რომლებიც მიმართული იქნება მათი მიწის ნაკვეთების გაერთიანებული დამუშავებისკენ და არა მიწის გაყიდვაზე კომერციული ნაგებობებისთვის.

საკითხი 5: სტრატეგიებმა შეიძლება გამოიწვიოს შიდა მიგრაცია, რაც შედეგად გამოიღებს სოციალურ დანაწევრებასა და დამაბულობას ახალ მოსულთა და ძველ მაცხოვრებლებს შორის. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის მიწების უკიდურესად დაბალი ფასებითა და მაღალი სიღარიბის დონის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ სოფლის მეურნეობის მიწების გაყიდვის მორატორიუმი შეჩერდება, უამრავი ინვესტორი სხვა რეგიონებიდან და ქვეყნის გარეთაც იყიდის ამ მიწას. ღარიბები ადვილად გაყიდიან თავიანთ მიწის ნაკვეთებს ჩამოსულ და საზღვარგარეთ მცხოვრები პირების სასარგებლოდ, რითიც მოკლევადიან სარგებელს ნახავენ, მაგრამ დაკარგავენ გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობას.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში: ეს საკითხი არ არის დადასტურებული რეგიონალურ განვითარების სტრატეგიებში.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე: კანონმდებლობა რომელიც ეხება მიწის გაყიდვასა და მიწის მინიმალური ფასის დადგენის კანონებს უნდა გაუმჯობესდეს. ეფექტური დაწესებულებებით (მაგ. ბიზნეს ინკუბატორები) უნდა მომარაგდეს ადგილობრივი მოსახლეობა, რათა მოხდეს შემდეგი საკითხებით უზრუნველყოფა: ა) ბიზნესის დაწყების დაფინანსების ხელმისაწვდომობა; ბ) ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემა; გ) პროფესიონალური ტრენინგი მომსახურე პერსონალისათვის; დ) მომზადება ფინანსურ მართვასა და მარკეტინგში; ე) გარე ბაზრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საკითხი 6: გამოწვეული განვითარება

გამოწვეული განვითარება შეიძლება მოხდეს უფრო განვითარებულ ტერიტორიებში მიგრაციის ჩათვლით. ნაკვეთების მოცემული შეზღუდული ფართობისა და კულტურული განსხვავების გამო მიგრაცია შეიძლება გახდეს პოტენციურად მნიშვნელოვანი პრობლემა. სუსტად კონტროლირებული მშენებლობის განვითარება ხშირი პრობლემაა. ზონირების წესების დეფიციტმა და იმ ფაქტმა რომ მიწა თითქმის ექსკლუზიურ კერძო საკუთრებაშია შეიძლება გამოიწვიოს სასაზღვრო აზროვნების ჩამოყალიბება და შედეგად მოხდეს დაუგეგმავი სამშენებლო სამუშაოები და არქიტექტურული შეუსაბამობები.

საკითხის ასახვა რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში: ეს საკითხი არ არის დადასტურებული რეგიონალურ განვითარების სტრატეგიებში.

დამხმარე ღონისძიებები: მთავრობა გეგმავს დარგობრივი სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების სტრატეგიების შემუშავებას. ასევე სტრატეგიული გეგმებისა და მითითებების შემუშავებასა და განხორციელებას სივრცითი მოწყობის გასაუმჯობესებლად და ერთიანი გენერალური გეგმის შესადგენად.

საკითხი 7: ბუნებრივი კატასტროფების მართვა.

ბუნებრივი კატასტროფების მართვა არის ორივე რეგიონალური განვითარების სტრატეგიის შემცველი ნაწილი. ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებული მოსახლეობის საფრთხეები და კატასტროფების მართვის აუცილებლობა ნახსენებია რეგიონალურ განვითარების სტრატეგიებში. თუმცა, ორივე სამიზნე რეგიონის რეგიონალური განვითარების სტრატეგიები ძირითადად მიმართულია გარემოსდაცვით აღმკვეთ ზომებზე, სათანადო საზედამხედველო სისტემების შემუშავების საჭიროებაზე და საზოგადოებრივი ელემენტების ნაკლებობაზე, რომლებიც პირველ რიგში უნდა იყოს მიმართული შეტყობინებისა და გადამრჩენელ ოპერაციებზე და მეორე რიგში დაზარალებული მოსახლეობის სოციო-ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე: ჩვენ გირჩევდით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სისტემისა და თითოეული რეგიონის დასახმარებელი სამუშაოების უნარიანობის გაზრდას. ასევე გაუთვალისწინებელი შემთხვევების გეგმებისა და სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავება, რაც დაფუძნებულია ბუნებრივი კატაკლიზმების სტატისტიკურ ანალიზსა და გავლენის პროგნოზირებაზე.

საკითხი 8: ეთნიკური დაძაბულობები საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე

იმის მიუხედავად, რომ რეგიონალური განვითარების სტრატეგიები და რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიები გამორიცხავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, მაინც არსებობს შანსი ეთნიკური დაძაბულობების დაწყების მთავრობის საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთში. განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე, რომ გავრცელდეს ინფორმაცია და შემცველი განვითარება ინტეგრაციის დეფიციტმა, ქართული ენის არასაკმარისად ცოდნამ და სხვა მიზეზებმა შეიძლება გამოიწვიოს არაქართული მოსახლეობის გამოკლება ან ჩამოშორება შეთავაზებული განვითარების შესაძლებლობებისგან. ინფორმირების დეფიციტი და სუსტი გავრცელების ზღვარი შეიძლება წინ უძღვოდეს

გაუგებრობასა და დეზინფორმაციას რეგიონალური სტრატეგიების განხორციელების კონკრეტულ მხარეებზე.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია დამხმარე ღონისძიებებზე: ადრეული განხილვები ადგილობრივ მოსახლეობასა და ეთნიკურ უმცირესობებთან, მათი ინტერესებისა და სოციალური მოთხოვნების გაერთიანება განვითარების პროექტში, სარგებლის სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფა და დემონსტრაცია არის წარმატების აუცილებელი წინაპირობა განვითარების მიზნების მისაღწევად.

4.1.2.2 საზოგადოებრივი საფრთხეები დაკავშირებული რეგიონალური განვითარების სტრატეგიის პროგრამების მარცხთან

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების მთავარი საზოგადო გავლენა არის დადებითი და მომგებიანი როგორც სამიზნე რეგიონების მოსახლეობისათვის ასევე მთლიანი ქვეყნისთვის, რადგან რეგიონალური განვითარების სტრატეგიების მიზანი არის ეფექტური და მდგრადი განვითარების ეკონომიკის შექმნა, ასევე სოციალური პირობებისა და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება ადგილობრივი მოსახლეობისათვის. შესაბამისად, მთავარი საზოგადოებრივი საფრთხე დაკავშირებული რეგიონალური განვითარების სტრატეგიებთან არის დაგეგმილი პროგრამების მარცხი და მიზნების მიუღწევლობა. კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასებამ განიხილა ამ პროგრამების გარკვეული ნაწილების მარცხის საფრთხე და მათი არაეფექტურობა მიქნის მიღწევის მხრივ და უზრუნველყო რჩევები საფრთხის შესამცირებლად:

საკითხი 9: რეგიონალური განვითარების სტრატეგიის მარცხის საფრთხეები მიმართული მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაზე

ორივე რეგიონალური განვითარების სტრატეგია ასახელებს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას სტრატეგიის მნიშვნელოვან კომპონენტად და ყველაზე ეფექტურ გზად სოციალური სარგებლის მისაღებად მოსახლეობის ფართო ჭრილისთვის. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება და მდგრადი განვითარების ოპერაციები ცალკე გამოკვეთილი ამოცანაა რეგიონალურ განვითარების სტრატეგიებში, რომელიც მნიშვნელოვანია ერთდროულად რამოდენიმე პრიორიტეტული სექტორისათვის გამოსახული რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში (სოფლის მეურნეობა და საკვების გადამამუშავება; ტურიზმი; სამშენებლო კომპანიები; ინერტული მასალების გამოკვლევა და სამშენებლო მასალების წარმოება; ალტერნატიული ენერჯო სექტორი). მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა ითვლება მნიშვნელოვან ფაქტორად სამუშაო ადგილების შექმნისა და სიღარიბის ღონის შემცირებაში. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიზნად ისახავს მცირე ბიზნესის ხელშეწყობას საქართველოს ყველა რეგიონში. III რეგიონალური განვითარების პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიური შეფასები უზრუნველყოფას მეორე ნაწილის მიხედვით, რათა მხარი დაუჭიროს მომავალ მცირე და საშუალო საწარმოს ბიზნესის დაწყება/გაფართოებასთან დაკავშირებული რჩევის მიცემით, იმისთვის რომ მათთვის გახდეს ხელმისაწვდომი

მიკროსაფინანსო პროგრამები შემოთავაზებული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. III რეგიონალური განვითარების პროგრამა მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესებზე, რომლებიც ჩართული არიან ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორში.

შემოთავაზებული დაწესებულებების უკმარისობა: მდგრადი მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის წარმატება დამოკიდებულია რამოდენიმე ფაქტორზე: ა) ფინანსური რესურსების არსებობა; ბ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ეფექტური თანამედროვე ტექნოლოგიები; გ) თანამედროვე მაღალი ხარისხის მასალების ხელმისაწვდომობა (მაგ. თესვები, ნერგები, ცხოველთა ჯიშები, სასუქები და პესტიციდები სოფლის მეურნეობის სექტორისთვის); დ) ბაზრების ხელმისაწვდომობა; ე) ბიზნესის დაწყების/გაფართოების საკონსულტაციო მომსახურება; წარსული გამოცდილებიდან გამოტანილი გაკვეთილი არის ის რომ დამხმარე პროგრამები და დაწესებულებები მიმართული ერთ ან რამოდენიმე ფაქტორზე ამ სიიდან არ არის საკმარისი. მიკროსაფინანსო დაწესებულებები საქართველოში დიდი ხნის წინ გაჩნდა, მაგრამ მიუხედავად გარკვეული წარმატებისა მოსალოდნელი შედეგები ვერ დაფიქსირდა. ახალი ჯიშის მცენარეების (მაგ. სიმინდი) და საქონლის შემოტანისკენ მიმართული კამპანიები არ იქნა მხარდაჭერილი წინასწარი სწავლებითა და მოსამზადებელ/საკონსულტაციო დაწესებულებებით რის გამოც განიცადეს კრაზი. ამის გარდა არის პასუხისმგებლობის ნაკლებობა: თითოეული ფაქტორის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული პროგრამები შესაძლოა საკმაოდ ძვირი იყოს, მაგრამ არავის იღებს პასუხისმგებლობას საბოლოო შედეგზე.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია სარგებლის მომატებაზე: ჩვენ ვთავაზობთ კომპლექსურ მიდგომას მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერი პროგრამებისთვის. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ეს იქნება მეტად სარგებლიანი ბიზნეს ინკუბატორების განსავითარებლად, რომელიც ეხება ყველა ზემოთხსენებულ ფაქტორს მნიშვნელოვანს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისთვის. ბიზნეს ინკუბატორებმა უნდა უზრუნველყოს: ა) საწყისი დაფინანსება; ბ) საკონსულტაციო მომსახურება ფინანსურ მართვასა და მარკეტინგში; გ) საკონსულტაციო მომსახურება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; დ) თანამედროვე მასალების, დანადგარებისა და ეფექტური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა; ე) საკონსულტაციო მომსახურება და ახალ ბაზრებზე შესვლის ხელშეწყობა; ვ) ბიზნეს ინკუბატორები, როგორც მეწილეები (მუდმივი ან დროებითი) იღებენ ნაწილ პასუხისმგებლობას მდგრადი საწარმოების განვითარებაზე. **ბიზნეს ინკუბატორის იდეის უფრო ღრმა ანალიზი და მისი ეფექტური გამოყენება მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად იმოქმედონ ტურიზმის სექტორში შეიძლება იყოს დართული III რეგიონალური განვითარების პროგრამის მეორე ნაწილში.**

სქესობრივი საკითხებისა და სუსტი სოციალური ჯგუფების საჭიროებების მიდგომის რეკომენდაცია: როცა ხდება ბიზნეს ინკუბატორების ან სხვა უფრო მარტივი დაწესებულებების ჩამოყალიბება, გათვალისწინებულ უნდა იქნას სპეციფიური დაწესებულებების საჭიროება, რომლებიც დაეხმარება პროფესიონალური უნარების ჩამოყალიბებასა ბიზნეს შესაძლებლობებში ქალებსა და სუსტ ჯგუფებს (მაგ. იძულებით გადაადგილებული პირები, შრომისუუნარო ან ასაკოვანი პირები). ეს დაწესებულებები შეიძლება დაარსდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საფუძველზე, მათი ჩვეული ღონისძიებებს დამატებული სატრენინგო პროგრამებით(მარკეტინგი, ტექნოლოგიის მარტივი გაცვლა, ფინანსური მართვა ინდივიდუალური მეწარმეებისთვის). ესეთი დაწესებულებები შესაძლოა დაეხმაროს იმ პირებს,

რომლებიც დაინტერესებულები არიან ხელით ნამუშევარი ნივთების, სუვენირების, შინაური საქმლის ნაწარმის, სპეციფიური ეროვნული ტანსაცმლის და ა.შ. წარმოებით.

საკითხი 10: რეგიონალური განვითარების სტრატეგიის მოქმედების გეგმის მარცხის საფრთხე გამოწვეული მოთხოვნების შეფასების უქონლობისა და ქვეპროექტების არასწორი შერჩევით

შედგენილია ორივე სამიზნე რეგიონის რეგიონალური განვითარების სტრატეგიები. სამცხე-ჯავახეთის უკვე დამტკიცებულია და მცხეთა-მთიანეთისაც იქნება ახლო მომავალში. შემდეგი საფეხური არის მოქმედების გეგმისა და კონკრეტული პროგრამების შემუშავება. მნიშვნელოვანია, რომ როგორც განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის ასევე დეტალური მოქმედების გეგმისა და პროგრამების შემუშავებისას, მოსახლეობის მოთხოვნების იდენტიფიცირება.

რეკომენდაცია: მოქმედების გეგმისა და განვითარების პროგრამების მომზადებისას უზრუნველყოფილ იქნას აზრიანი კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან თითოეულ მუნიციპალიტეტში. არასამთავრობო და ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაცია, ასევე სუსტი სოციალური ჯგუფებთან (იძულებით გადაადგილებული პირები, გაჭირვებული, უნარშეზღუდული; ეთნიკური უმცირესობები და ა.შ.) ეს დაეხმარება სამოქმედო გეგმებში იმ პროექტების ჩასმას, რომლებიც ნამდვილად აკმაყოფილებს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს.

საკითხი 11: მთიანი რეგიონის მოსახლეობის მიგრაციის თავიდან ასაცილებელი პროგრამების მარცხის საფრთხე.

მთიანი ტერიტორიების მოსახლეობის გარე მიგრაცია ხელს უწყობს მოსახლეობის არაპროპორციულ განაწილებას, რომელიც ორივე სამიზნე რეგიონის და ასევე მთლიანი ქვეყნის პრობლემაა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის, სადაც 60ზე მეტი მაღალმთიანი სოფელი არის მიტოვებული. ამას ასევე აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან გარე მიგრაციის ზონა ახლოს არის რუსეთის საზღვართან და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონასთან. პრობლემა ასახულია რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში და სამიზნე რეგიონების როგორც ცენტრალური მთავრობა ასევე ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოები არიან დაკავებული კონკრეტული კანონების მიღებათა და სოციო-ეკონომიკურ პროგრამების შექმნით, რათა შეჩერდეს მოსახლეობის გარე მიგრაცია.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია:

მთიანი რეგიონის კანონმდებლობის შექმნა და დამტკიცების ხელშეწყობა, პრივილეგიების სისტემის შემოღება მოსახლეობისა და ამ რეგიონში მომუშავე კომპანიებისთვის (დაბალი გადასახადები ან გადასახადებისგან გათავისუფლება; დაბალი ტარიფები ელექტროენერჯიასა და ბუნებრივ აირზე; დაბალი კორპორატიული გადასახადები კომპანიებისათვის; სპეციფიური სარგებლიანი კონდიციები საწყისი დაფინანსებისა და ბანკის კრედიტების მოსაპოვებლად). კონკრეტული ეკონომიკური რეჟიმის ზონის დაარსება. ინფრასტრუქტურისა და სოციალური მომსახურების გაუმჯობესება. ბიზნეს ინკუბატორების შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის მუშაობის მხარდასაჭერად მთიან რეგიონებში.

საკითხი 12. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ფართო ჯგუფების სუსტ ინტეგრაციასთან დაკავშირებული რეგიონალური განვითარების საფრთხეები ქვეყნის მთლიან სოციო-ეკონომიკურ სისტემაში.

ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის, სადაც მრავალ მუნიციპალიტეტებში სომხური მოსახლეობა ჭარბობს. იმ შემთხვევაში თუ საზოგადოების ეს ნაწილი არ იქნება სათანადოდ ინტეგრირებული ქვეყნის სისტემაში, ეს გახდება მრავალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემის წყარო, რაც შეაფერხებს ამ რეგიონის მდგრად განვითარებას. ეს პრობლემა კონკრეტულად არ არის გარჩეული სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ განვითარების სტრატეგიაში, თუმცა ექნება

მნიშვნელოვანი გავლენა სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ განვითარების სტრატეგიის განხორციელებაზე. ქართულის ენის არცოდნა არის ერთერთი ფაქტორი რაც აფერხებს სოციო-ეკონომიკურ ინტეგრაციას ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის საქართველოს სხვა რეგიონებთან. პროგრამები მიმართული ქართული ენის სწავლებაზე არ არიან ყოველთვის წარმატებულები, რადგან ეს მიიჩნევა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ როგორც არასაჭირო ან როგორც გარკვეული გამოხატვა წნეხის ეთნიკური უმრავლესობისგან.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეკომენდაცია: სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის გეგმების შედგენა ეთნიკური უმცირესობების მჭიდრო დასახლებებში. ამ გეგმებმა უნდა შექმნან სასურველი ეკონომიკური კონდიციები სამიზნე ადგილებში, ხელი შეუწყოს ინვესტიციის მოზიდვას საქართველოს სხვა რეგიონებიდან და ასევე შექმნას მდგრადი ეკონომიკური ჯაჭვები: ა) სამიზნე რეგიონებში წარმოებული პროდუქციის ხელმისაწვდომობა საქართველოს სხვა მხარეების ბაზრებზე; ბ) საქართველოს სხვა რეგიონებში წარმოებული მასალების ხელმისაწვდომობა; ქართულის ენის სწავლების პროგრამების დაკავშირება ცოდნის გაზიარების, მცირე და საშუალო საწარმოების ასევე ინდივიდუალური ფერმერთა ჯგუფების შესაძლებლობების განვითარების მოსამზადებელ პროგრამებთან.

4.1.3 გავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების მთავარი სტრატეგიული გავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე უნდა იყოს სარგებლიანი, რადგან ისინი მიმართულია საერთო სოციო-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე სამიზნე რეგიონებში. მდგრადი ეკონომიკური სისტემა არის აუცილებელი წინაპირობა კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების ნაწილები რომლებიც მიმართულია გარემოსა და სანიტარული პირობების გაუმჯობესებაზე, ძირითადად სარგებლიანია კულტურული მემკვიდრეობისათვის, როგორც დაბინძურებისა ან ეროზიის და გარემოს დეგრადაციის აღმკვეთი ასევე არაპირდაპირი გზით იცავს სამიზნე ტერიტორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

უფრო კონკრეტულად, რეგიონალური განვითარების სტრატეგიების სტრატეგიული გავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე დაკავშირებულია რეგიონალური განვითარების სტრატეგიების ტურიზმის განვითარების ნაწილებზე. ეს საკითხები გარჩეულია დეტალურად შემდეგ თავში რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის კონტექსტში.

მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების დაარსება დაკავშირებულია მიკროკლიმატის პოტენციურ ცვლილებებთან რეზერვუარის მომიჯნავე ზონებში. საკითხი ხშირად მწვავდება, თუმცა უნდა იქნას შესწავლული, კერძოდ ერთი და იგივე აუზში ან მიკრო რეგიონში არსებული რამოდენიმე ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივი ზეგავლენის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში თუ კლიმატის მოდელირება ადასტურებს კლიმატის ცვლილების მოსალოდნელობას, ამ ცვლილებების ირიბი ზეგავლენა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნდა იყოს გაანალიზებული და დამხმარე ღონისძიებები უნდა შემუშავდეს.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიების სხვა ნაწილები, კერძოდ ისინი, რომლებიც დაკავშირებულია ენერგო და ინფრასტრუქტურული სექტორების განვითარებაზე, უდავოდ კავშირშია პოტენციურ გავლენასთან კულტურულ მემკვიდრეობაზე. გასათვალისწინებელია, რომ ეს არ არის სტრატეგიული ტიპის გავლენა არამედ პირდაპირი და ადგილობრივი გავლენა ასოცირებული კონკრეტულ პროექტებთან. ესეთი გავლენები გაანალიზებულია და შეჩერებული/შემსუბუქებულია პროექტისთვის სპეციფიური გარემოსდაცვით გავლენის შეფასებისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის დონეზე.

სავარაუდო პირდაპირი გავლენები კულტურული მემკვიდრეობაზე დაკავშირებული ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებთან არის ნახსენები III რეგიონალური განვითარების პროგრამის ESMF-ში და მსგავსი მიდგომების გამოყენება შესაძლებელია რეგიონალური განვითარების სტრატეგიის ქვეპროექტებში.

4.2 რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებული გავლენები

შესავალი

რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიები სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებისთვის არ მოიცავს რაიმე განხილვას სავარაუდო გარემოს, სოციალურ, ან კულტურული მემკვიდრეობის გავლენებს დაკავშირებულს ტურიზმის განვითარებასთან. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი გავლენის ანალიზი აჯამებს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების აღმოჩენებს. კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება ადგენს რეკომენდაციებს გავლენის შესამსუბუქებლად, რომლებიც გასათვალისწინებელია რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის განხორციელებისას.

კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება ადგენს მიმოხილვას საშუალო და გრძელვადიან საფრთხეების, რომლებიც შეიძლება იქნენ გამოწვეული ტურიზმის განვითარებით პროექტის ადგილზე და რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის განხორციელებით ტურისტული დანიშნულები ადგილების ტევადობის გადაჭარბების შედეგად.

ბუნებრივი და სოციო-კულტურული გარემოს თვისებები, რომლებიც ტურიზმის მნიშვნელოვანი რესურსებია, იზიდავენ ხალხს ესთეტიური, გასართობი ან საგანმანათლებლო/სამეცნიერო ფასეულობებით. თუმცა, მრავალი ესეთი თვისება არის განსაკუთრებით ფაქიზი სახალხო ღონისძიებებით გამოწვეული დარღვევების მიმართ. უარყოფითი გავლენები წარმოშობილი არასწორად დაგეგმილი და უკონტროლო ტურიზმის განვითარებით ადვილად აზიანებს სწორედ იმ გარემოს, რომელზეც დამოკიდებულია პროექტის წარმატება. ამან თავის მხრივ შეიძლება საგრძნობლად შეამციროს პროექტის სარგებლიანობა. სხვა სიტყვებით, გულმოდინე ყურადღების გარეშე ტურისტული ღონისძიებების მოცულობის და სახეობის, ასევე მგძნობიარობისა და განვითარებული რესურსის ტევადობის ბალანსის მიმართ, ტურისტული პროექტები შეიძლება არა მხოლოდ გარემოსთვის საზიანო იყოს არამედ ეკონომიკურად თვით გამანადგურებელიც კი. შესაბამისად, ტურისტული გავლენის გასაანალიზებლად ჩვენ ვეცადეთ გარკვეული ცნებების გამოყენებას, როგორებიცაა ტევადობა ან დასაშვები ცვლილებების საზღვარი. ამავდროულად ჩვენ ვცნობთ, რომ ეს ცნებები არის გამოსადეგია დისკუსიის და მსჯელობის დონეზე, მაგრამ არაპრაქტიკულია სტუმრების ლიმიტის რიცხვობრივი გამოთვლებისას.

„ტურიზმის ტევადობა“ განმარტებულია მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის მიერ, როგორც „ხალხის მაქსიმალური რაოდენობა რაც შეიძლება ეწვიოს ტურისტულ დანიშნულების ადგილს ერთდროულად, ფიზიკური, ეკონომიკური, სოციო-კულტურული გარემოსთვის ზიანის მიყენების და სტუმრების კმაყოფილების ხარისხის მიუღებელ დონეზე შემცირების გარეშე“. ეს განმარტება მოიცავს მთავარ იდეას, რომ ტევადობა არის ის წერტილი სადაც დანიშნულების ადგილს ეწყება საზიანო გავლენა სტუმრების რაოდენობის შედეგად. ზოგადად ეს ცნება გამოსადეგია გარემო რეცეპტორების (დაცული ტერიტორიები, მგძნობიარე საცხოვრებელი ადგილები), კულტურული მემკვიდრეობის ადგილების (ისტორიული შენობები, ძეგლები) ან ადგილობრივი სოციალური გარემოსთვის დანიშნულების ადგილებში. ამ ცნების მიხედვით,

ტურისტების გავლენის შემსუბუქებაზე მიმართული მართვის მოქმედებები უნდა იყოს ან ადგილის ტევადობის გაზრდაზე ორიენტირებული ან თუ ეს მიჩნეულია წარმოუდგენლად, სტუმრების რაოდენობის გაკონტროლებაზე ზღვარის ქვემოთ.

ტურისტული დანიშნულების ადგილის ტევადობა დადგენილია შესაბამისი ტურისტული ღონისძიებების მიმართ მგრძობელობის კონკრეტული თვისებებით. მაგ. გამოქვაბულები არის განსაკუთრებით მგრძობიარე ტურისტების ნაკადებთან დაკავშირებული მიკროკლიმატურ ცვლილებების მიმართ. გამოქვაბულებში მცხოვრები ღამურების კოლონიები არიან მგრძობიარენი ხმაურის და შუქის მიმართ, ხოლო წყლის ფაუნა დაბინძურებასა და ჰიდროლოგიური რეჟიმის სავარაუდო ცვლილებების მიმართ. კულტურული მემკვიდრეობის ადგილების ტევადობა დადგენილია ნაგებობების ფიზიკურით სისუსტით (შენობები; ნახატები; ნარჩენები და ა.შ), ასევე ადგილის მგრძობიარობით არსებული რელიგიური და ტრადიციული წესების მიმართ, რომლებიც შეიძლება მოექცეს ტურისტების ნაკადების გავლენის ქვეშ.

ტევადობა არ არის უცვლელი. იგი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, ვითარდება დროსთან და ტურიზმის ზრდასთან ერთად. მასზე ზეგავლენის მოხდენა შეიძლება მართვის ტექნიკებით და კონტროლით. უხეშად რომ ვთქვათ ტევადობა შეიძლება იქნეს მიჩნეული როგორც ზღვრების რიგი. ყოველი ცალკეული დონე ამ რიგში დადგენილია ფაქტორების სპეციფიური კომბინაციით და შეესაბამება გარკვეულ განვითარების პერიოდს. სათანადო მართვის მოქმედებებმა შესაძლოა გაანეიტრალოს პირველი ეტაპის ზღვარის დამადგენელი ფაქტორები და გაზარდოს სისტემის ტევადობა. თუმცა ტურისტების ნაკადის ზრდასთან ერთად განვითარების შემდეგ ეტაპზე შესაძლოა ახალი შეზღუდვების გამოჩენა, რომლებიც დადგენილია სხვა ფაქტორების ჯგუფით. ესეთი ხედვა მრავალდონიანი მიდგომის გამოყენების საშუალებას აძლევს საშუალოვადიანი მოქმედებების და გრძელვადიანი გეგმების ან პროგრამების მართვის შეთანხმებებს და დაგეგმვას, საჭირო სასწრაფო ზომების დადგენით.

დაგეგმვა უნდა იყოს დაფუძნებული ყველაზე კრიტიკული ფაქტორების დადგენაზე, რომლებიც ამჟამინდელ სიტუაციაზე ახდენენ გავლენას და ტევადობის ყველაზე დაბალი ზღვარის დადგენაზე. სასწრაფო შეთანხმება უნდა იყოს მიმართული ამ კრიტიკული ფაქტორების შემსუბუქებაზე. საშუალო და გრძელვადიანი ზომების დაგეგმვა შესაძლებელია რათა მიმართონ იმ ფაქტორებს რომლებიც წესით ზღუდავენ ტევადობას განვითარების შემდეგ ეტაპზე (წლების შემდეგ, ტურიზმის განვითარების კონტექსტში). ზოგადად ამჟამინდელ სიტუაციაზე კრიტიკული გავლენის მქონე ფაქტორების დადგენა შესაძლებელია ეფექტური დამხმარე ღონისძიებების დაგეგმვის მხრივ, მაგრამ საშუალო და გრძელვადიან შემთხვევებში შესაძლოა ნაკლებად მკაფიო იყოს და ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი შესაძლოა იყოს სამომავლო სიღრმისეული შესწავლის დაგეგმვა, ვიდრე დეტალური დამხმარე ღონისძიებების შეთავაზება.

ზემოთ აღწერილი მიდგომაზე დაყრდნობით ჩვენ მოვმართეთ ჩვენი ძალები ტურიტული დანიშნულების ადგილების ტევადობის შემზღუდავი მთავარი ფაქტორების დასადგენად და წარვადგინეთ საჭირო შემამსუბუქებელი სტრატეგია. ტევადობის ცნების მიხედვით, ჩვენ შევთავაზეთ მრავალდონიანი მიდგომის გამოყენება მართვის შეთანხმებებისთვისა და დაგეგმვისთვის, საჭირო სასწრაფო ზომების დადგენით, საშუალოვადიანი მოქმედებები და გრძელვადიანი გეგმები ან პროგრამები.

4.2.1 პირველი რიგის მოქმედება

რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიები მიმართულია პასუხისმგებთან ტურიზმსა და ტურისტული პროდუქტების განვითარებაზე სამიზნე კლიენტურისთვის დაინტერესებულებს ისტორიით, კულტურით, ჯანდაცვით, კეთილდღეობით, ხარისხიანი ღვინით და სათავგადასავლო ბუნებრივი გარემოცვით, რომლებიც ქმნიან ნაკლებ სოციალურ წნეხს და მოაქვთ უფრო მეტი სარგებელი მასპინძელ ადგილებში. ამის გარდა ტურისტული

ლონისძიებები სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში დაკლებულია საბჭოთა დროის ღონესთან შედარებით და ისტორიულ რაოდენობაზე დაბრუნება არ გამოიწვევს ძირითადი ტევადობის გადამეტებას. ასე რომ მოკლევადიან პერსპექტივაში, მხოლოდ ის ფაქტორებია მნიშვნელოვანი, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ტევადობის ძირითადი ისტორიული ღონის დაწევა. სასწრაფო მოქმედებისთვის (პირველი რიგი) ჩვენ მივმართეთ ჩვენი ძალები ტურისტების დანიშნულების ადგილების ტევადობის შემზღულდავი ფაქტორების დასადგენად და შევიმუშავეთ დამხმარე სტრატეგია.

შემდეგი კრიტიკული ფაქტორები და დამხმარე სტრატეგიები იქნა დადგენილი როგორც პირველი რიგის მოქმედებები:

1. **ინფრასტრუქტურის შეზღუდვა:** ზოგადად ყველაზე კრიტიკული შესაძლო გავლენები დაკავშირებული ადგილების ტევადობის გადაჭარბებასთან არის:

- ცუდი სანიტარიით გამოწვეული დაბინძურება, ტუალეტების და კანალიზაციის სისტემების ნაკლებობა დანიშნულების ადგილებში
- არასწორი ნარჩენის შეგროვების სისტემით გამოწვეული დაბინძურება დანიშნულების ადგილებში და ნარჩენების შეგროვების დაწესებულებების უკმარისობა
- ნარჩენების არასწორი მართვით გამოწვეული დაბინძურება და ნარჩენების გადაყრის დაწესებულებების უკმარისობა რეგიონში
- ადგილობრივი გზების ცუდი ხარისხი და მგზავრობასთან დაკავშირებული საფრთხე, დისკომფორტი და მტკერი.
- ტერიტორიის ერთობლივი მართვის დეფიციტი (სანიაღვრე კანალიზაციის სისტემების გაფუჭება, ელექტროენერჯის უქონლობა რაც იწვევს გაუკონტოლებელ ტყის კაფვას) რაც იწვევს ეროზიის განვითარება და ადგილობრივ მეწყერებს

დამხმარე ღონისძიებები: საკითხი აშკარად აღიარებულია მთავრობის მიერ როგორც მთავარი პრობლემა. ამ უარყოფითი ფაქტორების დიდი ნაწილი ნახსენებია რეგიონალური განვითარების სტრატეგიასა და რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის პროგრამებში სამიზნე რეგიონებისთვის და ნაწილობრივ დართულია III რეგიონალური განვითარების პროგრამაში. ზემოთ ხსენებული გავლენები შემსუბუქდება სათანადო ტუალეტების, კანალიზაციების, წყლის მიწოდების სისტემების, ელექტროენერჯის, ნარჩენების შეგროვების დაწესებულებების შექმნითა და ეფექტური მართვის სისტემის დანერგვით. იგივე მიდგომა იქნება გამოყენებული ტურისტული მიმოქცევისა და რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიებში ნახსენები დაკავშირებული დანიშნულების ადგილების განვითარებით. გადაუდებელი საკითხი რომელიც გადასაწყვეტია არის რეგიონალური სანიტარული ნაგავსაყრელების აშენება ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოწვეული ნარჩენების საბოლოო გადაყრისთვის

2. **ტურისტების ნაკადების არათანაბარი განაწილება და ნაკადის ზღვარის დაწესება შეზღუდულ ადგილებში, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ტევადობის ადგილობრივი გადაჭარბება:** რეგიონალური ტურიზმის ინფრასტრუქტურის შეუთანხმებელმა განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს ტურისტების ნაკადების შეზღუდულ ადგილებში კონცენტრირება, ყველაზე განვითარებულ დანიშნულების ადგილებში.

დამხმარე ღონისძიებები: რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიები ითვალისწინებს ერთობლივ მართვასა და სხვადასხვა კერებისა და ტურისტების მიმოსვლის შეთანხმებულ განვითარების გეგმას დანიშნულების ადგილების დაბალანსებული განაწილებით სამიზნე რეგიონებში. ინფრასტრუქტურისა და ძველთა აღდგენა სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის სხვადასხვა მხარეებში შემოთავაზებულია ასევე III რეგიონალური განვითარების

პროგრამაში (სხვადასხვა მიმოქცევები და დანიშნულების ადგილები მოიცავს ბორჯომს, ახალციხესა და ახალქალაქის კერებს სამცხე-ჯავახეთში და მცხეთა, ხევსურეთი, და ყაზბეგის კერებს მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის). ეს ყველაფერი შესაძლებელს ხდის ტურისტების ნაკადების განაწილებას დანიშნულების ადგილების ტევადობის მიხედვით და მინიმუმამდე ამცირებს ადგილობრივი გადატვირთვის საფრთხეს. პატარა სასტუმროებს განლაგებულს ტურისტების მიმოქცევის ადგილებში ყოველთვის აქვთ ნაკლები კონცენტრირებული ემისია, გამონაყოფი, რესურსებზე კონკურენცია, ცხოვრების ტრადიციულ წესზე გავლენა და მოგების გადენის ნაკლები საფრთხე დიდი სასტუმროების განვითარების სქემასთან შედარებით.

4. ტურისტების ვიზიტების სწრაფი ზრდა ყველაზე სუსტ, სუფთა ადგილებში და ბუნებრივი მემკვიდრეობის ტერიტორიებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტევადობის ადგილობრივი გადაჭარბება.

სიდიდე და მაშტაბი ამ გავლენების დამოკიდებულია ტურიზმის განვითარების ზომასა და ნაირსახეობაზე, შემოთავაზებული გარემოს მემკვიდრეობის მიმართ. გასართობი ტურიზმი რომელიც მოიცავს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებას და დიდი სასტუმრო კომპლექსის ინფრასტრუქტურას აქვს დიდი პოტენციალი გააუარესოს სუსტი ეკოსისტემები ვიდრე პროექტები რომლებიც ცდილობენ მიიზიდონ ტურისტები მეცნიერული ან საგანმანათლებლო ინტერესებით როგორცაა ფრინველებზე დაკვირვება, ბუნების ფოტოგრაფია ან ეთნოგრაფია, ისტორიული ადგილები და არქეოლოგია.

დამხმარე ღონისძიებები:

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება გვიჩვენებს ტურიზმის სექტორისა და დაწესებულებების სივრცული განაწილების გაფართოებას: დიდი სასტუმროები, სპა და ჯანდაცვის დაწესებულებები იქნება განვითარებული ტრადიციული კურორტის ადგილებში, როგორცაა ბორჯომი, ბაკურიანი და ა.შ. ეს საკურორტო ადგილები იყო საკმაოდ პოპულარული საბჭოთა დროს და იძლეოდა საშუალებას დიდი რაოდენობის ტურისტების დატევის ყოველგვარი მიუღებელი ტვირთის გარეშე გარემოსთვის. ამ კურორტებმა შესაძლოა სწრაფად გაზარდონ თავიანთი მოცულობა და მიიღონ უფრო მეტი ტურისტი ვიდრე ეხლანდელ ნაკადშია. მემკვიდრეობის გარემო ადგილების დასაცავად, როგორცაა დაცული ტერიტორიები (ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორია, ეროვნული პარკის ჩათვლით, ყაზბეგის ეროვნული პარკი და ა.შ.), რეკომენდირებულია მხოლოდ პატარა სასტუმროების აშენება ამ მემკვიდრეობის ადგილების გასწვრივ, ხოლო ტურისტებს დასახლებულებს ქალაქში მდებარე დიდ სასტუმროებში (ბორჯომი, ახალციხე, მცხეთა, ყაზბეგი და ა.შ.) ექნებათ შანსი ექვიონ ამ გარემოს მიმართ მემკვიდრეობის დანიშნულების ადგილებს მოკლე დროით ტურისტული ღონისძიებებით. დადებითი მხრიდან ჩვენ რეკომენდაციას გავუწევდით ეკოტურიზმის პროექტებს, რომლებიც მოიცავენ ბუნებრივი და კულტურული ადგილების შენარჩუნებასა და ეკონომიკურ და რეკრეაციულ სარგებელს. მსოფლიოში აღიარებული პრაქტიკის შემოტანა რომელიც მოიცავს ტურისტების მიერ ხელის შეწყობას ეკოლოგიური ფონდების სასარგებლოდ შეიძლება ჩაითვალოს დამხმარე სტრატეგიად რომელიც მიმართულია რესურსების შექმნაზე დაცული ტერიტორიების უკეთესი დაგეგმვის და მართვისათვის

5. ტურისტების ვიზიტების სწრაფი ზრდა წმინდა ადგილებში, მოქმედ ეკლესიებსა და მონასტრებში.

მოქმედი ეკლესიებისა და მონასტრების ტევადობა არ არის დადგენილი მხოლოდ ძეგლებისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ფიზიკური მდგომარეობებითა და თვისებებით. ტურისტების რაოდენობა, მათი ნაკადების მოძრაობა და მათი საქმიანობები არ უნდა ახდენდენ გავლენას პარაკლისებზე, საეკლესიო პირთა ცხოვრებისეულ რეჟიმზე და მლოცველებზე. როგორც ნახსენებია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლების მიერ,

საკლესიო პირები არ უნდა ხდებოდენ უბრალო ექსკურსიის მძღოლები და/ან გართობის ნაწილები, არამედ უნდა მიეცეთ საშუალება ჩაატარონ პარაკლისები მშვიდად.

დამხმარე ღონისძიებები:

ეკლესიის ცენტრალურ და ადგილობრივ წარმომადგენლებთან კონსულტაციების აუცილებელი პროცედურა უნდა დადგინდეს, რათა უზრუნველყოს ტურისტული საქმიანობების შეთანხმება მონასტრების ჩვეულ ყოველდღიურ მოქმედებებთან. ტურისტების ყველაზე მაღალი მისაღები რაოდენობა, რომლებიც ეკლესიებსა და მონასტრებს ეწვევიან, ამ ვიზიტის დროები, ჩაცმულობა და მოქცევის წესები უნდა იქნას შეთანხმებული საეკლესიო პირებთან.

4.2.2 მეორე რიგის მოქმედებები

მიზნად ისახავს საშუალო და გრძელვადიან გავლენებს:

მრავალდონიანი მიდგომა საშუალო და გრძელვადიანი გავლენების გამოსასწორებლად არ გულისხმობს, რომ არანაირი დაუყოვნებლივი მოქმედება არ არის განხილული ამის მხრივ. მისი თავისებურება არის ის რომ მეორე რიგის დაუყოვნებლივი მოქმედებები მიმართულია შემდგომ სიღმისეულ დადგენაზე, შეფასებასა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენაზე, რომ მიმართოს საშუალო და გრძელვადიან გავლენებზე

1. ერთი ესეთი შემოთავაზებული დაუყოვნებლივი მოქმედება არის ტევადობის გაგების დეტალური დამუშავება და ამავდროულად მართვის გეგმების განახლებული ვერსიების შემუშავება დაცული ტერიტორიებისათვის სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. ძველი მართვის გეგმები ვადაგასულია ამ დროისთვის. ამჟამად დროებითი კანონები გამოყენებულ და დაცული ტერიტორიების სააგენტო გეგმავს მართვის გეგმების განახლებას. კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების შემოთავაზებაა გაანალიზდეს არსებული მართვის გეგმებით გავლენის სცენარები დაკავშირებული ვიზიტორების რაოდენობის გაზრდასთან და უზრუნველყოფილ იქნეს მართვის ზომები მიმართული ვიზიტორების რაოდენობის და მათ მარშრუტებზე გადანაწილების კონტროლზე. კერძოდ კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება სთავაზობს დაცული ტერიტორიების სააგენტოს რათა დაიწყოს სიღრმისეული შესწავლა ტურისტების ნაკადის გავლენებზე მაკროკლიმატზე, ჰაერის ხარისხზე, წყლის რესურსებზე, კარსტული მიწებისა და სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის გამოქვაბულების დამახასიათებელი ფაუნის სტაბილურობაზე. ასეთი შესწავლის შედეგები უნდა გამოყენებულ იქნას მისაღები ტურისტების რაოდენობის და გამოქვაბულების ტევადობის დასადგენად.
2. კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება სთავაზობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომ მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის სავარაუდო გავლენების ზომასა და სპექტრის მოსალოდნელი ცვლილების უფრო დეტალური შეფასება, დაკავშირებული ტურისტების ნაკადის მოსალოდნელ ზრდასთან გრძელვადიან პერსპექტივაში. შესატყვისი დამხმარე პროგრამა და კონკრეტული შეზღუდვების რიგი შესაძლებელია განიხილოს შემოთავაზებულ სიღრმისეულ შეფასებაზე დაყრდნობით. პრინციპები და მეთოდოლოგია ტევადობის გამოსათვლელად მსგავსია გამოკვლევაში ნახსენებთან სახელად „ტურიზმის მდგრადი განვითარება კახეთში კულტურული მემკვიდრეობის მეშვეობით, 2012“, რომელიც დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ. ეს პრინციპები და მეთოდოლოგია შეგვიძლია გამოვიყენოთ სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონშიც.
3. კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება სთავაზობს რეგიონალური ნარჩენების მარვის დაწვრილებითი გეგმების

წამოწყებას, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების მართვასთან სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. რეგიონალური ნარჩენების მართვის გეგმები უნდა მოიცავდეს ნარჩენების შეგროვების, განცალკევების, გადაადგილებისა და საბოლოო გადაყრის საკითხებს მთელს სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. გადასაყრელი დაწესებულებების ოპტიმალური რიცხვი და ადგილი უნდა იქნას დადგენილი. შეუსაბამო ძველი ნაგავსაყრელები უნდა დაიხუროს სათანადოდ და ადგილები აღდგეს. რეგიონალური ნარჩენების მართვის გეგმები უნდა შემუშავდეს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური განვითარების სტრატეგიების კონტექსტში და უნდა ეხებოდეს სათანადოდ ინდუსტრიულ, მუნიციპალურ და ტურიზმთან დაკავშირებულ ნარჩენების მართვის საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ ტურიზმის სექტორის მიერ გამოყოფილი ნარჩენებს, არამედ ინდუსტრიულ ნარჩენებსაც და დაბინძურებასაც აქვთ თავიანთი უარყოფითი გავლენა ტურიზმის განვითარებაზე. რეგიონალური ნარჩენების მართვის გეგმები და კონკრეტულად ნარჩენების შეგროვების სისტემის განვითარება ტურისტული დანიშნულების ადგილებში და გადასაყრელი დაწესებულებები რეგიონში აუცილებელია რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების მთლიანი წარმატებისათვის.

4. სტრატეგიული შეფასება და დაგეგმვა საჭიროა ასევე იმისთვის რომ გამოთვლილ იქნას კონკრეტული უსაფრთხოების რისკები ტურისტებისთვის (კერძოდ გარემო რისკები) და საჭიროა ასევე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და სამაშველო ოპერაციების დაგეგმვა. კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება გვიჩვენებს შემდეგი სპეციფიური საფრთხეების გაანალიზებას და მათ მიმართვას სტრატეგიულ შეფასებასა და მართვის გეგმებში:

- გეოლოგიური საფრთხეები ახასიათებს სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს. ბუნებრივი კატასტროფები და სახიფათო პროცესების (წყალდიდობა, ნამსხვრევების დინება და ღვარცოფი, მეწყერი, ზვავი ა.შ.) რისკები უნდა დადგინდეს. რისკების ზონირება, შეტყობინების სისტემა შეფერხების, რეაგირების გეგმები და სამაშველო ოპერაციები უნდა იქნას აღწერილი გეგმაში და საჭირო რეაგირების სისტემა უნდა შეიქმნას.
- ტყის ხანძრის საფრთხე: რეგიონალური სახანძრო დაცვის გეგმის განვითარება, ხანძარსაწინააღდეგო მითითებები, შეწყობინების სისტემა, რეაგირების გეგმები და სამაშველო ოპერაციები უნდა იქნას აღწერილი გეგმაში და საჭირო რეაგირების სისტემა უნდა შეიქმნას. ეს მნიშვნელოვანია ტყით დაფარული ადგილებისთვის რომლებიც ტურისტულ გზებთანაა ახლოს და ასევე ყველაზე ძვირფასი ტყისთვის ყველაზე შორეული ადგილებში.
- დაავადების გადატანის საფრთხე და ზოოანთროპოგენული შეფასება სახიფათო ადამიანისა და ცხოველური დაავადებების რისკები: არსებობს უამრავი დარეგისტრირებული და დაურეგისტრირებელი სასაფლაო ადგილები და მავნებლის ხვრელები ციმბირული წყლულის ორივე სამიზნე რეგიონში. ყველა სხვა განვითარება დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან და გათხრებთან მავნებლის ხვრელებთან ახლოს ასოცირებულია განმეორებით დაბინძურებასა და დაავადების გავრცელების საფრთხეებთან. წინასწარი უფრო დეტალური

საფრთხეების შეფასება სხვადასხვა არქივების სიღრმისეული ანალიზითა და მართვისა და საზედამხედველო გეგმის შემუშავება არის საჭირო. ამჟამინდელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნარიანობა არ არის საკმარისი რათა შესრულდეს საჭირო კვლევები. ზოონთროპოგენული დაავადებების საფრთხესთან დაკავშირებული ორი მხარე უნდა გამოიყოს i) მეორადი დაბინძურების ალბათობა ტურისტების საქმიანობების პირდაპირი გავლენის მეშვეობით არის დაბალი, მაგრამ შედეგები შესაძლოა იყოს მაღალი ii) ზოონთროპოგენული დაავადებების ალბათობა იზრდება საგრძნობლად ირიბი და ერთობლივი გავლენების გამო რომლებიც დაკავშირებულია ტურიზმის განვითარებასთან: მთავარი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის პროექტები, როგორცაა ახალქალაქი-კარწახის რკინიგზის მშენებლობა არის დაკავშირებული მსხვილ მიწის სამუშაოებთან და მაღალ რისკებთან მეორადი დაბინძურების ნიადაგის ინფექციებით.

- გარეულ ცხოველებთან უკონტროლო კონტაქტთან დაკავშირებული საფრთხეები: ბოლო წლების განმავლობაში დაფიქსირდა ბევრი შემთხვევა საქართველოში, კერძოდ კი სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში სახიფათო კონტაქტის შესახებ გარეულ ცხოველებთან: მგლებისა და ტურების თავდასხმები და ქვეწარმავლების მავნებლობები საცხოვრებელ რაიონებში. მგლებისა და სხვა მავნებელი ცხოველების გავრცელების ნიმუში უნდა იქნას შესწავლილი მათი გავრცელება უნდა იყოს გაკონტროლებული, თავდაცვის ზომების მთელი რიგი და შეტყობინების/სამაშველო სისტემების განხორციელება. მგლებთან კონტაქტი და გველის კბენა უფრო სავარაუდოა შორეულ ადგილებში, ეკოტურისტებისთვის. გველის ვაქცინური საცავები უნდა უზრუნველყოფილ იყოს.

7. ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი დადებითი გარე ფაქტორი არის მზარდი გარემოსდაცვითი ინფორმირება, ადგილობრივ მოსახლეობასა და მთავრობებში როგორც მუნიციპალურ ისევე ეროვნულ დონეზე. მთავარი მიზიდულობის ადგილები სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში არიან ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობაზე დაფუძნებული და თუ ბუნებრივი რესურსები იკლებს მაშინ ასევე დაიკლებს ტურისტების რაოდენობაც. შედეგად გარემო და კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი საკითხები დამუშავებულია დიდი ყურადღებით. შესაძლებელია ამ საშუალოვადიანი დადებითი გავლენების გაზრდა და კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რჩევაა ცნობიერების ამაღლების პროგრამების შემუშავება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ტურისტებისთვისა და ინვესტორებისთვის მიმართული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. ხალხის ინფორმირების პროგრამების კოორდინირება შესაძლებელია გარემოსდაცვითი სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ეროვნული ტურიზმის სააგენტოსა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ, მათი კომპეტენციის ჩარჩოებში.

4.2.3 გავლენები ბიოფიზიკურ გარემოზე

არსებობს მტკიცებულება რომ საერთო დონეზე ეკონომიკურმა განვითარებამ შეიძლება დააზიანოს გარემოს ტევადობა. ტურიზმი არ არის ერთაერთი პასუხისმგებელი, მაგრამ ტურიზმთან დაკავშირებული განვითარება შეიძლება იყოს ინტენსიური ბევრ მწვავე ზეწოლაში: სუსტი ეკოსისტემების დაზიანება, მტკნარი წყლის მიღება, აგრეგატები, მაღალი ხარისხის (დაბალი, თანაბარი, სტაბილური, ნაყოფიერი) მიწები და არაბიოდეგრადირებადი მყარი ნარჩენის წარმოება.

მთავარი შესაძლო გავლენები და დამხმარე ზომები ბიოფიზიკური გარემოსთვის შეიძლება მოიცავდეს:

- **გავლენა:** ეკოლოგიური რესურსების დაკარგვა და ნაირსახეობა ზედმეტად მკმნობიარე ადგილებში შორეული ადგილების უკეთესი მისადგომობით, გაზრდილი ტურისტების რიცხვი, უკონტროლო ტურისტების საქციელი, შემოტანილი უცხო ჯიშები, საცხოვრებელი ადგილების მყუდროების დარღვევა. ხანდახან ტურისტები ქმნიან ალტერნატიულ გზებს, ნიადაგის გამაგრებაში ხელშეწყობა, ეროზია და მცენარეთა დაზიანება. ყველაზე აგრესიული ტურისტული სექტორები როგორებიცაა ნადირობა, ველოსიპედის მართვა, უკანონო ბრაკონიერობა ან ტურისტების სხვა ცუდი ქცევები შეიძლება იყოს მიზეზი მრავალფეროვნების საგრძნობლად დაქვეითების.

დამხმარე ღონისძიებები: სათანადო ინსტრუქციები და მართვის გეგმები არის აუცილებელი ტურიზმის ოპერატორ კომპანიებში, როგორც მოკლევადიანი მოქმედების სისტემა, რათა მოხდეს ტურისტების საქციელის კონტროლი და გამოირიცხოს მაღალი გავლენა ტურისტული საქმიანობების მკმნობიარე ადგილებზე. გრძელვადიან პერსპექტივაში კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რჩევაა სიღრმისეული შეფასების ჩატარება ვიზიტორების რიცხვის ზრდასა და დასაშვები გავლენის ზღვარის ურთიერთქმედება. ამ სტრატეგიული შეფასების შედეგები უნდა იქნას გამოყენებული მართვის გეგმების შესადგენად საშუალო და გრძელვადიანი მართვის მიზნებისთვის. ინფორმირების პროგრამები ტურისტებისთვის ასევე ფიტოსანიტარული საკონტროლო ზომები იქნება ნაწილი ამ მართვის სქემების. ფიტოსანიტარული ზომები უნდა იქნას განხორციელებული მთელი ქვეყნის მასშტაბით. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების საჭიროება რათა უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური კონტროლი საჭიროა იყოს შეფასებული და ზომები რეკომენდირებული.

გავლენა: ტურისტების გაზრდილი ნაკადი და გამოწვეული განვითარება შესაძლოა იყოს დაკავშირებული ეკოლოგიური რესურსების და მრავალფეროვნების დაკარგვასთან ტურისტების მიმოსვლის ადგილების სიახლოვეში (იხილეთ მკმნობიარე ადგილები განმარტებული მეორე სექციაში) და ბუნებრივი რესურსებისთვის კონკურენციასთან. ჭალებთან მდებარე ან საშუალო და მაღალმთიანი ტყეების ნაწილები მდებარე პროექტის ტერიტორიასა და გზებთან არიან როგორც მთავარი რეცეპტორები ასევე ზედაპირული

წყლების რესურსები. გამოწვეული განვითარება მოსალოდნელია იმ ადგილებში რომლებიც ახლოსაა ტურისტების მიმოსვლის ტერიტორიებთან. უკანონო ხის ჭრა, ბრაკონიერობა, საძოვრების გათელვა და საერთო გარემოს გაუარესება შესაძლოა იყოს გამოწვეული უკონტროლო განვითარებითა და ტურისტების მზარდი ნაკადით. უამრავი ტურისტული საქმიანობების სეზონურობის გამო ველური ბუნება შეიძლება ხალხის ნაკადის დიდი შემოდინების გავლენის ქვეშ მოექცეს ისეთ კრიტიკულ პერიოდებში როგორცაა მიგრაცია, კვება, გამრავლება და ბუდეების დადება.

დამხმარე ღონისძიებები:

- დაუგეგმავი განვითარებისა და უკანონო მშენებლობის აკრძალვა საკანონმდებლო საფუძვლის გამოსწორებით და იძულებითი მექანიზმებით; მიწის დამუშავების რუქებისა და გაერთიანებული განვითარების გეგმების მომზადება განხილულ ტერიტორიებზე ტურისტები თავშეყრისა და მიმოსვლის ადგილებში სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში.
- ინფრასტრუქტურის აღდგენა და ენერჯის მიწოდება ასევე სადაც შესაძლებელია ბუნებრივი აირის მიწოდება შეშის გამოყენების თავიდან ასარიდებლად.
- ეფექტური სისტემის შედგენა ტყის ხანძრებთან საბრძოლველად ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე.
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ეფექტურობის გაზრდა. მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა ბრაკონიერობაზე, ტურისტულ აქტივობასთან დაკავშირებულ უკანონო ხის ჭრაზედა ასევე გამოწვეული განვითარება.
- ენერჯის ეკონომიის დაწესებულებების განხორციელების ხელშეწყობა და განახლებადი ენერჯის სქემების ტურიზმის დაწესებულებებსა და საცხოვრებელი ადგილებისათვის ასევე საინვესტიციო პროექტებისთვის. ენერჯის დაზოგვის და ენერჯო ეფექტური ტექნოლოგიების მიჩნევა ერთერთ სარგებლიან კრიტერიუმად არჩევის პროცესში. მომავლის დაგეგმვისას გარემო და კულტურული ფაქტორების შეფასების გარდა ეკოტურიზმის კიდევ დამატებითი არსებითი ნაწილია გადამუშავების ხელშეწყობა, ენერჯო ეფექტურობა, წყლის შენარჩუნება და ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

გავლენა: გამოწვეული განვითარება შეიძლება იყოს დაკავშირებული მიწისა და ვიზუალურ გავლენებთან რომლებიც გზის მშენებლობით, დაუგეგმავი განვითარებით უკანონო მშენებლობითა და უადგილო მყარი ნარჩენების შენახვითა და გადაყრით არის გამოწვეული.

დამხმარე ღონისძიებები: გენერალური გეგმის შემუშავება და მკაცრი კონტროლის დაწესება ქალაქისა და სოფლის დიზაინსა და მშენებლობაზე, რაც განხორციელებულია დაცული ტერიტორიების შემთხვევაში, უნდა იყოს გაფართოვებული ყველა მნიშვნელოვანი ტურისტული დანიშნულების ადგილზე, მხატვრული ლანდშაფტები,

საკურორტო ადგილები და სარეკრეაციო ზონები. დაუგეგმავი განვითარების და უკანონო მშენებლობის აკრძალვა საკანონმდებლო საფუძვლის გაუმჯობესებით და იძულებითი მექანიზმებით.

გავლენა: მიწის ზედაპირისა და ზედაპირული წყლების ხარისხის გაუარესება ჩამდინარე წყლების არასწორი გადამუშავების გამო და მყარი ნარჩენების გადაყრა ზედაპირულ წყლებში.

დამხმარე ღონისძიებები: მგძნობიარე ტბების აითროფიკაცია (მაგ. ბაზალეთის ტბა) შესაძლოა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ჩამდინარე წყლების გადამუშავების დაწესებულებები ეთანხმება საერთო ეროვნულ სტანდარტებს. ძვირფას ტბებში (ტაბაწყური, ბაზალეთი და ა.შ.) ჩამდინარე წყლების ხარისხის მოთხოვნები სპეციფიური და ნაზი ეკოსისტემებით უნდა იყოს უფრო მკაცრი ვიდრე ზოგადი სტანდარტები. ყველაზე მარტივი გამოსავალი არის სასტუმროების მშენებლობის აკრძალვა და ასევე ნებისმიერი საკვების გადამამუშავებელი ქარხნის 200 მეტრზე ახლო დისანციაზე ტბიდან ან ტბაში ჩამდინარე მდინარიდან. ჩამდინარე წყლების ჩადინების მოთხოვნებთან შესაბამისობის მკაცრი კონტროლი მართებული უნდა იყოს ამ დაწესებულებებისთვის.

4.2.4 რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებული სოციალური გავლენა

ტურიზმის ხშირად აღქმულია როგორც ეკონომიკური ზრდის ძრავი რომელსაც შეუძლია საგრძნობელი რაოდენობის უცხოური ვალუტის წარმოშობა მასპინძელი ქვეყნებისთვის. შედეგად უამრავი ღარიბი ქვეყანა ანიჭებს უმაღლეს უპირატესობას ამ ინდუსტრიის ხელშეწყობასა და განვითარებას მომავალი ეკონომიკური პერსპექტივებით. თუმცა ტურიზმის ეკონომიკური გავლენა, კერძოდ გარკვეული ტიპის ტურიზმები არის შორს გამოკვეთილისგან და მრავალი უარყოფითი შედეგები არის შემცირებული.

ირიბი კავშირები ტურიზმსა და ადგილობრივ კულტურებს, ბიზნესებს, მცხოვრებ მოსახლეობასა და სამუშაო ძალებს შორის არის პოტენციური პრობლემა. მათი ვერ ამოცნობა შეიძლება პროექტის სარგებლის შემცირების მიზეზი გახდეს, ისევე როგორც გამოიწვიოს საზიანო სოციო-ეკონომიკური გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და მომსახურება

გავლენა: ტურისტების გაზრდილი მოთხოვნები ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე, ტრანსპორტაციაზე, ენერჯისა და წყლის მიწოდებაზე, ჩამდინარე წყლების დაგროვება და გადამუშავებაზე, მყარი ნარჩენების გადაყრაზე, ჯანდაცვის დაწესებულებებზე და სხვადასხვა საჯარო სერვისებზე რომლებიც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მთავრობის პასუხისმგებლობაა. ხშირად ამ მოთხოვნებს აქვთ აღსანიშნავი სეზონური პიკები. ადგილობრივ მოსახლეობასთან კონკურენცია რესურსებსა და ინფრასტრუქტურაზე შეიძლება გახდეს სერიოზული საკითხი. კოორდინაციისა და დაგეგმარების გარეშე სერვისი მოთხოვნებმა შეიძლება გადააჭარბოს უნარიანობას რაც უარყოფითად აისახება მოსახლეობასა და ტურისტებზე.

სასმელი წყლის არსებობა, ჩამდინარე წყლების გადამუშავების უზრუნველყოფა შეთანხმებული ადგილობრივი წყლის ორგანოების უნარიანობასთან, რომ ათვისებულ იქნას დაბინძურების სიმძიმე და საჭირო დაწესებულებები მყარი ნარჩენების გადაყრისთვის ამ სექტორის კრიტიკული საკითხებია. თუ ეს სერვისები მიწოდებულია ადგილობრივი მთავრობის ან დამოუკიდებელი კომუნალურის მიერ, პროექტის სპონსორმა უნდა იზრუნოს ტურიზმის განვითარების დეტალური ინფორმაციის გადაცემაზე ამ სააგენტოებისთვის და იყოს მზად

იმისთვის რომ პროექტის მოთხოვნები დააკმაყოფილოს. თუ ადგილობრივი სააგენტოებიდან არ არის ეს მომსახურებები ხელმისაწვდომი, პროექტის გეგმა უნდა კარნახობდეს ნათლად როგორ უნდა შეთავაზოს მისი მიწოდება დამპროექტებელმა და ამ შეთავაზების გავლენები უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოსდაცვით შეფასებასა და სხვა გარემოსდაცვით ანალიზებში.

დამხმარე ღონისძიებები:

სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის III რეგიონალური განვითარების პროგრამის შემთხვევაში, მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც არის აღმასრულებელი სააგენტო, ბოლო წლების განმავლობაში განახორციელა სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ფართო მასშტაბიანი და ადგილობრივი მუნიციპალური პროექტები მიმართული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე (წყლის მიწოდებისა და ჩამდინარე წყლების სისტემები, ადგილობრივი გზები). მუნიციპალური განვითარების ფონდს გააჩნია უსაზღვრო ინფორმაცია არსებულ კომუნალურებზე და მათ ნაკლებობაზე რეგიონში. საინვესტიციო პროგრამა შემუშავებულია ისე რომ იგი მოიცავს წყლის მიწოდებისა და ჩამდინარე წყლების სისტემების გაუმჯობესებას პროექტის ყველა დანიშნულების ადგილას სადაც არის სისტემების დეფიციტი. ინფრასტრუქტურის აღდგენა ითვლება კერძო ინვესტიციების მხარდაჭერად ტურიზმისა და საკვების გადამამუშავების სექტორი. იგივე მიდგომა არის საჭირო მთლიანი ჩარჩოსთვის რომელიც განსაზღვრულია რეგიონალური ტურიზმის განვითარებით.

სოციო-ეკონომიკური გავლენა

გავლენა: ტურიზმის პროექტების შეფასება უნდა შეიცავდეს ანალიზს გამოთვლილი ხარჯების გადანაწილებასა და სარგებელზე. მაშინ როდესაც ტურიზმიდან გამომდინარე სარგებელი შეიძლება იქნას აღქმული როგორც ადგილობრივი მოსახლეობის წილხვედრი, მოსახლეობა უფრო ხშირად იღებს მეტ ხარჯებს და ნახულობს ნაკლებ სარგებელს ვიდრე ვიზიტორები, იმიგრანტი მუშები ან კომერციული შუამავლები. მაგალითად, თუ მაღალი ხარისხის სამუშაო შესაძლებლობა არის მოსალოდნელი, რამდენი სამუშაო ადგილი იქნება თავისუფალი ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის და რამდენი ხნით, მით უმეტეს თუ საჭიროა მათი მომზადება სამუშაო კვალიფიკაციის ასამაღლებლად? ეროვნული და რეგიონალური წესები და კანონები რომლებიც გარე პირების დასაქმებას ეხება მოიცავს საფუძველს სავარაუდო გავლენების შეფასების.

სხვა სოციო-ეკონომიკური გავლენა ხშირად დაკავშირებული ტურიზმთან არის გაჟონვა. გაჟონვა არის ტურისტული ხარჯის დაკარგვა საქონელის ან მომსახურების ტერიტორიის გარედან შემოტანით. ეს შეიძლება იყოს საკვების იმპორტი ან სხვა სასტუმრო მოთხოვნები, გარე მართვითი ექსპერტიზა, მოგების საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება მფლობელის მიერ, სხვა სახელმწიფოს მარკეტინგული ხარჯები, ტრანსპორტირება და სხვა მომსახურებები ტურისტების წარმომავლობის ქვეყნიდან. ბიზნესის დაკარგვა ადგილობრივი საწარმოების მიერ სრული პაკეტების შეთავაზებით დიდი სასტუმროებისა და საკურორტო კომპლექსების მიერ. UNEP-ის მიხედვით „დაახლოებით 80% მოგზაურების ხარჯების სრული პაკეტის ტურებზე ჟონავს ქვეყნის გარეთ. თითქმის მთლიანი ფული მიდის ავიახაზებში, სასტუმროებსა და სხვა საერთაშორისო კომპანიებში და არა ადგილობრივ ადგილებში სადაც მდებარეობს ტურისტებისთვის განკუთვნილი დაწესებულებები.“ (<http://www.unep.org/pc/tourism/sust-tourism/economic.htm>).

დროთა განმავლობაში ეკონომიკური გავლენის ანალიზი საჭიროა განახლდეს ფულის დახარჯვის ადგილების თვალსაზრისით. ესენი არის სავარაუდოდ სრული პაკეტის მქონე ვიზიტორისთვის ყველა სასურველი მოთხოვნის დამკმაყოფილებელი რომელიც ტოვებს ნაკლებ შესაძლებლობებს ადგილობრივი ბიზნესის აყვავებისთვის. მსხვილი სასტუმრო ქსელები განსაკუთრებულად მიდრეკილები არიან გაჟონვაზე. ეს ხდება იმიტომ რომ მათ აქვთ მიდრეკილება საერთო სტანდარტების მიწოდებისკენ ყველა მათ სასტუმროში. ქვეყნებში სადაც

პატარა შიდა ბაზარია რომელიც ვერ აწოდებს ან აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს გარკვეულ საქონელზე სასტუმროები ახდენენ მოწყობილობების, საკვების, სასმლისა და სხვა საქონელის იმპორტს. აქედან გამომდინარე ტურისტული დანახარჯების დიდი ნაწილი მიდი საზღვარგარეთ. ასევე არსებობს „ექსპორტის გაჟონვის“ მიდრეკილებები რომლებიც წარმოიშვება როცა უცხო ქვეყნის ინვესტორები ქვეყანაში აბრუნებენ მოგებას. ეს ყველაზე სავარაუდოა როცა საქმე ეხება საერთაშორისო სასტუმრო ქსელს. სადაც მცირე მამტაბიანი მოსახლეობაზე დაფუძნებული ტურიზმი დომინირებს იქ არის სრულყოფილთან მიახლოებული ნდობა ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე. მიუხედავად იმისა რომ სასტუმროს მფლობელებს არიან ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებულები იმპორტულ საქონელზე მხოლოდ ერთმა სასტუმროს გამოიყენა ეს მის სასარგებლოდ.

დამხმარე ღონისძიებები:

ტურიზმისა და დამხმარე ბიზნესების კერძო ინვესტიციების მარეგულირებელი ადმინისტრაციული სისტემა (საკვების გადამამუშავება და მომარაგება; ჯანდაცვის სერვისები ა.შ.) უნდა მოიცავდეს მექანიზმებს (იურიდიული, კონტრაქტული, არჩევის პრინციპები, მხარდაჭერის პირობები ა.შ.) რომლებიც ეხმარებიან კერძო ინვესტორების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ადგილობრივი წარმოებითა და მომარაგებით;

ადგილობრივ სამუშაო ძალას შესაძლოა დასჭირდეს მომზადება რომ კონკურენცია გააწიონ პროექტის მიერ შექმნილ სამუშაო ადგილებზე და ამგვარად მიიღონ მონაწილეობა მის სარგებლიანობაში. მცირე ბიზნესის მართვა, ტურიზმის მართვა და მსგავსი ტრენინგის მექანიზმები იქნება საჭირო

საინვესტიციო პროექტების კრიტერიუმებიდან, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება რეკომენდაციას უწევს საკვების გადამამუშავებელის შემოთავაზების მხარდაჭერას, რომელიც ითვალისწინებს ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების წარმოებას ადგილობრივი წყაროებიდან და ტრადიციული ტექნოლოგიებით. ეს უნდა იყოს მომგებიანი ტურისტებისთვის, მწარმოებლებისთვის და ასევე ემსახურება მოგების გაჟონვის შემცირებას.

მარკეტინგი და რეკლამირება მაღალი ხარისხისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის უნდა იქნას მხარდაჭერილი მთავრობის პოლიტიკით ასევე ხარისხის კონტროლის მექანიზმებით.

გავლენა:

როგორც არაპირდაპირი შედეგი დაგეგმილი ტურიზმის განვითარების, მნიშვნელოვანი სოციოეკონომიკური სარგებელი შეიძლება წარმოიშვას, კერძოდ სოფლის რაიონებში. ყველაზე დიდი ამოცანა არის ეკონომიკური სარგებელის თანაბრად განაწილების უზრუნველყოფა ადგილობრივ მოსახლეობაში.

დამხმარე ღონისძიებები: ყველა საოჯახო მეურნეობა, ბიზნესი და სხვა დაინტერესებული პირები მიიღებს თავიანთ სარგებელს თანაბრად და არანაირ გამორჩევას შერჩეული საოჯახო მეურნეობებისთვის არ ექნება ადგილი რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ჩარჩოებში განხორციელებულ პროექტებში. ეს მნიშვნელოვანია ბიზნესის არჩევითი პროცესისთვის კერძო ინვესტიციის წამახალისებელ პროგრამებში, კერძო აღსადგენი ნაგებობების არჩება, თანაბარი შესაძლებლობის მიწოდება დასაქმებისთვის ა.შ. არანაირი დისკრიმინაციული არჩევითი პროცესი იქნება დაშვებული.

სხვა სოციალური გავლენები:

სოციალური გავლენების სხვა მაგალითები შეჯამებულია ქვემოთ:

- **გავლენა:** დევლოპერები მოითხოვენ მთავრობისგან რომ გააუმჯობესონ ძირითადი ინფრასტრუქტურა სანამ შესახლდებიან. ეს გადაამისამართებს საჯარო ფულს რომლის მიზანია საჯარო სერვისები გაუმჯობესება და წაიღებს იქიდან სადაც ის ყველაზე საჭიროა.

დამხმარე ღონისძიებები: მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა უამრავი პროექტი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში და ეს პროგრამა დაფინანსებული სხვადასხვა დონორების მიერ კიდევ გრძელდება. დამატებითი დაფინანსება ინფრასტრუქტურისათვის ტურისტული დაწესებულებების განსავითარებლად არ იქონიებს შედეგს ძირითად მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენის პროგრამაზე.

- **გავლენა:** ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებების განხორციელების პროექტებმა შეიძლება გამოიწვიოს ტარიფების გაზრდა. წყლის, კანალიზაციისა და სხვა მომსახურებების ტარიფების განცალკევება საჭიროა რომ არიდებულ იქნას ადგილობრივი მომხმარებლების არასამართლიანი დატვირთვა.

დამხმარე ღონისძიებები: არანაირი დამატები ზრდა ტარიფებზე დაკავშირებული ტურიზმის ინფრასტრუქტურის კომპონენტზე არის გათვალისწინებული.

- **გავლენა:** დაგეგმილი ტურისტების დაწესებულების მშენებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს გადაადგილება და იძულებით გადასახლება. პროექტები რომლებიც განხორციელდება რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების მიხედვით შეიძლება გამოიწვიოს გადასახლების გავლენა.

დამხმარე ღონისძიებები: WB OP/BP 4.12 დაცვის პოლიტიკა იძულებით გადასახლებაზე იქნება გამოყენებული რათა უზრუნველყოს სრული კომპენსაცია დაკარგული ქონების შეცვლის საფასურად და დამატებითი აღდგენა სუსტი და სოციალური გავლენის ქვეშ მყოფი საოჯახო მეურნეების. იმისთვის რომ მოხდეს შეთანხმება საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შორის, მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეიმუშავა გადასახლების პოლიტიკის ჩარჩოები III რეგიონალური განვითარების პროგრამისთვის. გადასახლების პოლიტიკის ჩარჩოები ასევე მოიცავს კომპენსაციებს დროებითი გავლენისთვის. კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება ურჩევს საქართველოს მთავრობას გამოიყენონ გადასახლების პოლიტიკის ჩარჩოებში მიღებული მსგავსი პრინციპები განხორციელებისთვის გადასახლებასთან დაკავშირებული სხვა პროექტების რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების მიხედვით.

- **გავლენა:** უცხოელი ტურისტების დიდი რაოდენობით შემოსვლა ადგილობრივ კულტურაში და სავარაუდო კონფლიქტი კონტრასტული ცხოვრების სტილის რომელსაც შეიძლება ჰქონდეს გავლენა ადგილობრივ კულტურაზე; ტრადიციული ფასეულობების შეცვლისკენ მიყვანა. პროსტიტუციის სტიმულირება, ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელება, კრიმინალის ზრდა და გარდამავალი დაავადებები ხშირად ასოცირებულია ტურიზმის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებასთან.

დამხმარე ღონისძიებები: რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიები ფოკუსირებულია კულტურული მემკვიდრეობის, ღვინის, ჯანდაცვის, ეკო და აგრო ტურიზმის სექტორების განვითარებაზე რომლებისთვისაც ზემოთ ნახსენები გავლენები ნაკლებად მწვავეა. დიდი რაოდენობის ტურისტები იქნებიან კონცენტრირებული მხოლოდ ტრადიციულ საკურორტო ადგილებში, როგორცაა ბორჯომი და ბაკურიანი ან გუდაური და ყაზბეგი, რომლებიც დარეგულირებულია დიდი რაოდენობის ტურისტების განსათავსებლად და აქვთ ტრადიციები ჯანდაცვისა და სათხილამურო დაწესებულებების მართვის. სხვა ჯგუფებსა და ტურიზმის სექტორებში, ძირითადად მცირე ზომის სასტუმროები მართული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ იქნებიან სტიმულირებული და არა საერთაშორისო კომპანიების მფლობელობაში მყოფი მსხვილ მასშტაბიანი სასტუმროები. ეს მხარს უჭერს ადგილობრივ მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებს, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და ადგილობრივი ტრადიციებისა

და ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. მცირე სასტუმროებს და კულტურული ტურიზმს აქვთ ნაკლები გავლენა ტრადიციულ ღირებულებებზე მსხვილ საერთაშორისო სასტუმროებთან, კაზინოებთან, გართობაზე ორიენტირებულ დაწესებულებებთან შედარებით. საქართველო არის მრავალეთნიკური და შემწყნარებელი საზოგადოება და არანაირი რელიგიური კონფლიქტი არ არის მოსალოდნელი ტურისტების შემოსვლით. სპეციფიური მოქმედების წესები გარკვეულ რელიგიურ ან ტრადიციულ ადგილებში იქნება ახსნილი ტურისტებისთვის წინასწარი ინსტრუქციების მიცემით ტურისტების ოპერატორების მიერ.

გავლენა: სწრაფი კვების ინდუსტრიის განვითარებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადგილობრივ სამზარეულოსთან დაკავშირებულ პატარა ბიზნესებზე. ტრადიციული ცხოვრების წესის ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი სოციალური ეფექტები. მაგალითად შორეულ ადგილებში მცხოვრებმა ხალხმა შეიძლება აღმოაჩინოს რომ ისინი კარგავენ დამატებით შემოსავალს იმ წყაროებიდან როგორცაა ნადირობა, შემის გროვება, თევზაობა ა.შ. თუ ამ რესურსების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია ტურიზმის განსავითარებლად.

დამხმარე ღონისძიებები: რეგიონალური ტურიზმის განვითარების მიერ წარდგენილი სტრატეგია მიზნად ისახავს ტრადიციული საქმიანობებისა და ცხოვრების წესის აღდგენას ძველი კურორტების (ბორჯომი, ბაკურიანი, ლიკანი). ამის გარდა ITDS-ები ფოკუსირებულია კულტურული მემკვიდრეობაზე, ღვინოზე, ეროვნულ სამზარეულოსა და აგრო ტურიზმზე. მცირე მასშტაბის სასტუმროები და კომერციული ტრადიციული საქმლის გადამამუშავებელი დაწესებულებები მართული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, იქნება სტიმულირებული და არა საერთაშორისო კომპანიების მფლობელობაში მყოფი მსხვილ მასშტაბიანი სასტუმროები და ქარხნები. ეს მხარს უჭერს ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებს, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას (ძირითადად - ოჯახური ბიზნესი) და გაჟონვის მინიმუმადე დაყვანას, ადგილობრივი სამზარეულოს პოპულარიზაციას, ტრადიციებს. მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის განვითარება შეამცირებს შემის საჭიროებას. ეს პროექტი არ შექმნის ახალ შეზღუდულ ზონებს.

- **გავლენა:** გამოწვეული განვითარება შეიძლება მოხდეს ტურისტულ ადგილებში, მათ შორის მიგრაცია უკეთესად განვითარებულ მხარეებში. მოცემული ადგილების შეზღუდული ტევადობა შეიძლება გახდეს პოტენციურად მნიშვნელოვანი პრობლემა. არარეგულირებადი საოჯახო მეურნეობის განვითარება არის ხშირი პრობლემა ბევრ განვითარებად ქვეყნებში და არ არის შეზღუდული ტურიზმის განვითარებით. ეს უკანასკნელი ხშირად ამწვავებს პრობლემას დიდი და არაესთეტიური შენობებით. ზონირების კანონების უქონლობა და ის ფაქტი რომ მიწა არის თითქმის ექსკლუზიურ კერძო საკუთრებაში შეიძლება გამოიწვიოს სასაზღვრო მენტალიტეტის ჩამოყალიბება და შედეგად მოხდეს დაუგეგმავი სამშენებლო სამუშაოები და არქიტექტურული შეუსაბამობები. ეს არის პოტენციური პრობლემა სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში სადაც სამშენებლო დირექტივების დეფიციტმა შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს ქალაქის კოლონიური გარეგნობა საცხოვრებლების დამატებით მეტი ტურისტის მისაღებად.
- **დამხმარე ღონისძიებები:** მთავრობა გეგმავს სტრატეგიის შემუშავებას დარგობრივი სამინისტროების და ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის და გარკვეული სტრატეგიული გეგმები და მითითებები იქნება განხორციელებული სივრცითი მოწყობის გასაუმჯობესებლად და ერთობლივი გენერალური გეგმის წარსადგენად.

4.2.5 გავლენები კულტურულ მემკვიდრეობაზე

სოციო-კულტურული განხილვები არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მრავალ კომპონენტური რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის პროგრამების და ასევე III რეგიონალური განვითარების გეგმის გავლენის შეფასებისათვის. ეს ურთიერთობა კულტურულ საკუთრების საკითხებისა და პროექტის შორის შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი.

ყველაზე დამახასიათებელი პირდაპირი გავლენებიდან გამოკვეთილია შემდეგნაირად: ნებისმიერი პროექტი რომელიც მოიცავს გათხრებს, გასწორებას ან ავსებას მიწის როგორც მშენებლობის ან ოპერატიულ სამუშაოს არის პოტენციური საფრთხე არქეოლოგიური და ისტორიული ნარჩენებისთვის. მშენებლობასთან დაკავშირებულმა მტვერმა, ემისიებმა და ვიბრაციებმა შეიძლება დააზიანოს ძეგლები. ვიზუალური ისევე როგორც ფიზიკური გავლენა საცხოვრებლებისა და სხვა ნაგებობების რომლებიც აშენდება ტურისტებისთვის უნდა იქნას გათვალისწინებული. მშენებლობის შემსუბუქება და „ეფექტური“ დიზაინი უნდა იქნას რეგულირებული ჰარმონიის გასამყარებლად გარშემო ბუნებრივი გარემოს და სოციო-კულტურის კონტექსტში.

უფრო ზოგადად კულტურული მემკვიდრეობა ზეგავლენას ახდენს მემკვიდრეობაზე დაფუძნებულ ტურიზმზე, კერძოდ კი კულტურული იმერსიის ტურისტული საქმიანობები. კულტურულ ადგილებს შეუძლია მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ვიზიტორების მიღება, როგორც ბუნებრივ ადგილებს და ეს უნდა შეფასდეს პროექტის დიზაინში. ვიზიტორების რიცხვი და მისადგომი ადგილები უნდა იქნას გაკონტროლებული ტერიტორიების გაუარესების თავიდან ასაცილებლად რომელიც გამოწვეული ფიზიკური სიახლოვით (ვიზიტორი ეხებიან კედლებს, ნახატებს, ძეგლებს). ტევადობის ზღვრები ტურისტული ადგილების განხილულია 4.2.1. აბზაცში. სხვა კონკრეტული მხარეები პროექტის გავლენის კულტურული მემკვიდრეობის ადგილებზე განხილულია ქვემოთ.

გავლენა:

რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების მიხედვით და კერძოდ III რეგიონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში, მთავრობა გააკეთებს ინვესტიციას ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და განვითარებაში ისტორიული დასახლებების და ასევე კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ადგილების. რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიები ასევე ითვალისწინებს აღდგენით სამუშაოებს კულტურული მემკვიდრეობითი ნაგებობების ან მათი უშუალო სიახლოვის. ესეთი ჩარევები ქმნის დამატებით საფრთხეს ძეგლთა დაზიანების იმ შემთხვევაში თუ გამოყენებული დიზაინი და მეთოდოლოგიური მიდგომები არის გამოუსადეგარი ამ ადგილების ისტორიული და ესთეტიური ღირებულების შესანარჩუნებლად ან თუ ტურისტების ვიზიტები ამ ადგილებში, გაიზრდება პროექტში ჩარევების შედეგად, არ არის მართლი მდგრადი მეთოდით. ერთობლივი გავლენა ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ელემენტების განვითარების ისტორიულ დასახლებებში და დასახლებების გარშემო, რეკრეაციული და ესთეტიური ღირებულების ბუნებრივ ადგილებში და მათ გარშემო ასევე მატებს პოტენციურ საფრთხეს პროექტს.

დამხმარე ღონისძიებები:

პროექტის ყველა დიზაინი დაკავშირებული შენარჩუნება-აღდგენასთან ისტორიული ნაგებობების, ბლოკებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უნდა იქნას მართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ. საქმეები უნდა დალაგდეს ეროვნულ კანონდებლობასთან შეთანხმებით და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებით. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო მიიღებს მონაწილეობას დამთავრებული სამუშაოების ჩაბარებაში რომლებიც დაკავშირებულია შენარჩუნება-აღდგენასთან ისტორიული ნაგებობების. ინფრასტრუქტურული აღდგენის პროექტები

კონტროლირებული კულტურის სამინისტროს მიერ. საჯარო და დაინტერესებული პირები იქნებიან კონსულტირებულები პროექტის განვითარების ადრეულ ფაზაში.

გავლენა: ტურისტების შემოსვლამ შეიძლება ხელი შეუწყოს უკანონო ვაჭრობას მოძრავი არქეოლოგიური ნარჩენებით და სამუშაოებს ნარჩენების მოსაძებნად

დამხმარე ღონისძიებები: კონტროლის მექანიზმები უნდა გაიზარდოს

გავლენა: ტრადიციული ხელოსანთა ინდუსტრიის კომერციალიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს აუთენტურობის დაკარგვა უარყოფით შედეგებით ხელოსნებისთვის და შესაძლოა მყვიდველებისთვისაც.

დამხმარე ღონისძიებები: ეს საკითხი შეიძლება იყოს შემდგომი სიღრმისეული სწავლების საგანი და რეკომენდაციები მოპოვებასა და მართვაზე გარკვეული დონორი გრანტების და სამთავრობო სუბსიდიების ნამდვილად ტრადიციული სახელოსნო წარმოების მხარდასაჭერად (ინდივიდუალური და საოჯახო ბიზნესი).

გავლენა: სურათების გადაღებამ კედლის ნახატებისა შეიძლება დააზიანოს ისინი ფოტოქიმიური რეაქციებით გამოწვეული განათების დროს.

დამხმარე ღონისძიებები: სურათების გადაღება უნდა იყოს ლიმიტირებული მონასტრებში და განსაკუთრებით კედლის ნახატებთან.

ზეგავლენა:

ისეთი საქმიანობა, როგორცაა ადგილებზე არქეოლოგიური ტურების მოწყობა შეიძლება წინააღმდეგობაში იყოს ადგილობრივ ტრადიციებთან ან/და რელიგიურ რწმენებთან. კეთლმოწყობაში ინვესტირება იმ არეალზე, რომელიც ითვლება წმინდა ადგილებათ, მაგალითად სიწმინდეების და სალოცავების შემთხვევაში, ზეგავლენა კომპლექსურია. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ჩარევა ხდებოდეს მეცნიერულად დასაბუთებულად, და შეძლებისდაგვარად სრულყოფილად იყოს შესაბამისობაში არსებულ სოციალურ და კულტურულ სტრუქტურებთან. ტრადიციები უნდა იქნას გათვალისწინებული ტურისტულ ობიექტებზე საქმიანობისას.

დამხმარე ღონისძიებები:

ისტორიული ნაგებობების კონსერვაცია-რესტავრაციასა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენახვასთან დაკავშირებული პროექტის ფარგლებში დაკავშირებულ ყველა კომპონენტი იმართება კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიერ. პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო გაივლის კონსულტაციას ადგილობრივ თემთან პროექტის იმ მიმართულებებთან დაკავშირებით, როლებიც ეხება ობიექტების დაპროექტებასა და დაგეგმილ სამუშაოებს. იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ადგილობრივ ტრადიციებთან თუ რელიგიურ შეხედულებებთან დაკავშირებული სპეციფიური შეზღუდვები ეს საკითხები იქნება განხილული და ადეკვატურად გათვალისწინებული პროექტის შემუშავებისას რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიებში. პროექტზე მომუშავე პერსონალმა თანაბარი ყურადღებით უნდა უზრუნველყოს, როგორც არადომინანტური ასევე დომინანტური კულტურული მემკვიდრეობა. ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის, რომელიც მნიშვნელოვნად დასახლებულია სომხური მოსახლეობით. ასეთ შემთხვევებში რეკომენდირებულია, რომ სამუშაო ჯგუფი იმგვარად იქნას ჩამოყალიბებული, რომ შემუშავებულ იყოს დამხმარე ღონისძიებები. ჯგუფში უნდა შედიოდეს ხელოვნების ან არქიტექტურის ისტორიის ისეთი სპეციალისტი რომელსაც საკმარისი ცოდნა გააჩნიათ აღნიშნული კულტურული ტრადიციების სფეროში. ასევე ჯგუფში უნდა შედიოდეს არქიტექტორული ძეგლების კონსერვაციის სპეციალისტი, ანთროპოლოგი რომელსაც იცნობს ადგილობრივ მოსახლეობას და პირი რომელსაც შეუძლია ეფექტურად იმუშაოს სამთავრობო ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან და ადგილობრივი თემის ლიდერებთან. კონსულტაციები

კულტურული მემკვიდრეობის ოფიციალურ წარმომადგენლებთან (ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, ადგილობრივი თემები, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო).

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლების შემდეგი მოთხოვნები იქნება გათვალისწინებული:

საპატრიარქოს წარმომადგენლები ჩართულნი უნდა იყვნენ პროექტი დაწყებიდანვე. გარდა საპატრიარქოს დეპარტამენტებისა პროექტში ჩართული უნდა იქნას, იმ ეპარქიების, ეკლესიების და მონასტრების წარმომადგენლები რომლებსაც მოიცავს პროექტი. გეგმა უნდა იყოს ორგანიზებული შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- ეკლესიების, მონასტრების და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო გეგმა ერთობლივად უნდა იყოს შემუშავებული საპატრიარქის შესაბამისი დეპარტამენტისა და ეკლესია-მონასტრების პერსონალის მიერ.
- ტურისტული ინფრასტრუქტურა საკითხები შემუშავებული უნდა იყოს შესაბამისი სპეციალისტების მიერ.
- მხარეები აცნობებენ ერთმანეთს მიმდინარე სამუშაოების შესრულების და განიხილავენ დაგეგმილი სამუშაოების შესრულების შესაძლებლობებს.

ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიაზე, ვიზიტორებისთვის უნდა დაიგეგმოს ტურისტული ღონისძიებები და შეიქმნას ისეთი გარემო რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს საეკლესიო მსახურებისთვის მყუდრო გარემოს. ამისათვის, შემდეგი საკითხები უნდა იქნას განსაზღვრული ტურისტებისთვის:

- ჯგუფის წევრების რაოდენობა
- ტერიტორიაზე ვიზიტისთვის დასაშვები დრო
- მკაცრად და ნაწილობრივ შეზღუდული ტერიტორიები და ჩაცმისა და მოქცევის წესები.

ასევე მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული პროცესი კონტროლდებოდეს ეკლესიის მრევლის და ეკლესიის მსახურების მიერ.

მონასტრებში ჩაცმულობის წესები. შეზღუდვები განისაზღვრება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და მონასტრების ადმინისტრაციის მიერ.

ვიზიტორებისთვის შესაძლოა გასათვალისწინებელი იყოს შემდეგი შეზღუდვები:

- ქალებს ეთხოვოთ გადაიცვან კაბა შარვალზე. კაბები უფასოდ არის ხელმისაწვდომი ეკლესიის შესასვლელებთან.
- ქალებმა და კაცებმა არ უნდა ატარონ შორტები და ღია მაისურები.
- ქალებმა უნდა დაიხურონ თავსაბურავი, რომლებიც აგრეთვე უფასოდ არის ხელმისაწვდომი ყველა შესასვლელთან.
- კაცებმა არ უნდა ატარონ სპორტული კეპები.
- ხმაური და ყვირილი აკრძალულია მონასტრის ტერიტორიაზე.

ფოტოების გადაღება მონასტრებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე. ფოტოების გადაღება სიტყვიერი თანხმობის გარეშე ზოგი მონასტრის ტერიტორიაზე არ არის რეკომენდირებული. მონასტრებში ბერებისა და დედაოებისთვის სურათის გადაღება მათ თანხმობის გარეშე აკრძალულია. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც რომლებიც დაფუძნებულია მონასტრის ადმინისტრაციასთან ადრინდელ შეთანხმებებზე.

5. დაინტერესებული მხარეების ანალიზი

დაინტერესებული მხარე რომელიც აკვირდებოდა რეგიონალური განვითარების სტრატეგიების და რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიებს განვითარებას შეიძლება დაყოფილი იყო შემდეგ ქვეჯგუფებად

- პროექტის განვითარების და განხორციელების სააგენტოები
- მარეგულირებელი ორგანოები
- პროექტის ბენეფიციარები და სოციალური ჯგუფები (მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით). მთავარი ბენეფიციარი არის სამიზნე რეგიონის მოსახლეობა, ადგილობრივი ბიზნესი, მცირე და საშუალო საწარმოები, ტურისტები და ვიზიტორები.
- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
- ადგილობრივი ბიზნესი
- არასამთავრობო ორგანიზაციები და ცენტრალური სტატისტიკის ოფისები

III რეგიონალური განვითარების პროგრამა შექმნილია რათა ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის საერთო სტრატეგიული განვითარების მიზნების მიღწევას სამცხე-ჯავახეთსი და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, მიზნობრივი ინვესტიციების განხორციელებით იმ სფეროებში რომელიც დაეხმარება რეგიონალურ და რეგიონალური ტურიზმის განვითარებას. პროექტის მიზანია ინფრასტრუქტურული მომსახურების და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება, რათა გაიზარდოს ტურიზმის როლი მცხეთა-თიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ ეკონომიკაში. პროექტმა სარგებელი უნდა მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას, ტურისტებსა და საწარმოებს. ისენი მიიღებენ გაუმჯობესებულ საჯარო ინფრასტრუქტურას; კერძო სექტორში ინვესტიციების გაზრდილ მოცულობას; კულტურული მემკვიდრეობის განახლებულ ადგილებში მიკრო და მცირე საწარმოების გაზრდილ რაოდენობას. მთავრობა სარგებელს მიიღებს ტურიზმიდან მიღებული გაზრდილი შემოსავლებით, სამუშაო ადგილების შექმნით, სააგენტოების ინსტიტუციური და აქტივების მართვის გაუმჯობესებული შესაძლებლობებით.

პროექტის განვითარების და განხორციელების სააგენტოები

საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო არის მნიშვნელოვანი სამთავრობო უწყება რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროექტების სამოქმედო გეგმების განვითარებასა და განხორციელებაში. კერძოდ, სამინისტროს დავალებები გახლავთ:

- რეგიონალური განვითარების პოლიტიკის, კონცეფციების და ინფრასტრუქტურის განსავითარებელი სამთავრობო პროექტების განვითარება და დანერგვა
- სამთავრობო სისტემის დეცენტრალიზება და დეკონცენტრაცია. განცალკევება და გადანაწილება ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურების ხელმძღვანელების უფლებამოსილებების.
- ადგილობრივი და უცხოური დაფინანსების მქონე რეგიონალური პროგრამების და პროექტების კოორდინირება. ასევე მათი შესრულებული სამუშაოების შეფასება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
- საგზაო, მუნიციპალური ნარჩენების გადამუშავების და წყლის მიწოდების სისტემების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პროექტების განვითარება და განხორციელება.
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, სამუშაოების შექმნა, ინვესტიციების წამახალისებელი ნაბიჯების გადადგმა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი(მგფ)

რეგიონალური განვითარების პროექტი III განხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. მგფ იქნება პასუხისმგებელი პროექტის განხორციელებაზე, უზრუნველყოფაზე, უსაფრთხოებაზე, ფინანსურ მენეჯმენტზე და ხარჯებზე. 1997 წელს პრეზიდენტის ბრძანება #294-ის საფუძველზე დაფუძნებული, მგფ წარმოადგენს მყარ არა საბანკო ფინანსურ შუამავალს, რომელიც თამაშობს ცენტრალურ როლს რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაში და განვითარებაში. საქართველოს მთავრობა, რამოდენიმე საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია(ADB, EBRD, MCC, SIDA, KfW, და ასე შემდეგ.) და მგფ-ს შემოსავალი წარმოადგენს დაფინანსების მთავარ წყაროებს. სახელმწიფოს და დონორების მხირდან მგფ-ს მეშვეობით გატარებული ფინანსების მზარდი ოდენობა , ამ ორგანიზაციის პროექტების მაღალ დონეზე განხორციელების ნათელი დასტურია.

მგფ იმართება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რომელიც შედგება პრემიერ მინისტრის, სხვა მნიშვნელოვანი მინისტრების, პარლამენტარების და სამოქალაქო საზოგადოების წევრებისგან. საბჭოს ფუნქციები მოიცავს: პროექტის განცხორციელების საერთო ზედამხედველობა; სააგენტოებს შორის კოორდინაცია; და წლიური სამუშაო პროგრამების და ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება. სამეთვალყურეო საბჭო იკრიბება რამოდენიმეჯერ პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე და ამტკიცებენ პროექტის ღირებულებას, დიზაინს, განხორციელებას და უზრუნველყოფას.რეგულარულად იმართება შეხვედრები პრემიერ და ფინანსთა მინისტრებთან, რომელიც თავის მხრივ დონორებთან კოორდინაციის ხელმძღვანელი პირია.

პროექტი ასევე იხეირებს მგფ-ს ბოლო დროინფელი რეორგანიზაციით, რომელიც ორგანიზაციის სისუსტეების აღმოფხვრაზეა ორიენტირებული.რეორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს რომ მგფ არის ფინანსურად სიცოცხლის უნარიანი და ასევე რომ მგფ-ს აქვს ცენტრალური როლი ყველა იმ საქმიანობაში რომელსაც ახორციელებს. შესაბამისად შეიქმნა ახალი დანაყოფი რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებთან უფრო მყარ კავშირს. ასევე შეიქმნა კრედიტ მენეჯერის ოფიცრის და რისკის მენეჯმენტის ოფიცრის ადგილები, რათა გააძლიეროს მგფ-ის როგორც არა საბანკო ფინანსური შუამავლის საკრედიტო პასუხისმგებლობა.

მგფ წარმოადგენს რეგიონალური განვითარების პროექტ III-ის განმახორციელებ სააგენტოს და შესაბამისად პასუხისმგებელი იქნება ყოველდღიურ მენეჯმენტზე, რომელიც მოიცავს პროექტის თანხვედრაში ყოფნას ESMF-სთან.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო არის სამოქალაქო სამართლის ერთეული რომელიც ექვემდებარება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.სააგენტო დაარსდა მუზეუმის რეზერვის ბაზაზე და ევალება კულტურული მემკვიდრეობისდაცვა, მოვლა, აღრიცხვა, გამოკვლევა, შენახვა და რეაბილიტაცია. სააგენტო ვალდებულია ნაციონალური მონუმენტების და მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილების მენეჯმენტზე და მონიტორინგზე. გარდა ამისა სააგენტოს ევალება გასცეს ნებართვა მონუმენტების შენახვასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ინვენტარის დაცვა და მათი პოპულარიზაცია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ითანამშრომლებს მგფ-სთან რეგიონალური განვითარების პროექტ III-ზე .

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთეული რომელიც ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. მის ვალდებულებებში შედის სახელმწიფო პოლიტიკის და სტრატეგიული დაგეგმარების განვითარებას ტურიზმის სექტორში. ტურიზმის რეგიონალური განვითარების სტრატეგია სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის ყალიბდება ტურიზმის ეროვნული სააგენტოს და მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომლობით.

რეგიონალური და მუნიციპალური ხელმძღვანელი პირები ჩართულები არიან პროექტების მოსამზადებელ სამოქმედო გეგმებში, და აღნიშნული გეგმების განხორციელებაში. მუნიციპალიტეტები მართავენ ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ დაფინანსებულ პროექტებს და ასევე ჩართულები იქნებიან ცენტრალური ბიუჯეტით და სპეციალური თანხებით განხორციელებული პროექტების მართვაში.

მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების ინტერესს რეგიონალური განვითარების სტრატეგიის და რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის პროექტების მიმართ წარმოადგენს ტურიზმის მყარი განვითარების, სამუშაო ადგილების შექმნის, მცირე ბიზნესის დახმარების, კვების ბიზნესის განვითარების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები. ასევე სამთავრობო სააგენტოებსა და სამინისტროებს შორის უკეთესი თანამშრომლობა.

თვითმმართველი სოფლები

კოდი თანახმად გამგებელი იქნება უფლებამოსილი დანიშნოს გამგებელის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასში–„სოფლის რწმუნებული“რომლის უფლებამოსილება განსაზღვრული იქნება გამგეობის დებულებებით.

მარეგულირებელი ორგანოები

მარეგულირებელი ორგანოები წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურებს რომლებსაც შეუძლიათ გასცენ SPs განხორციელების ან მათზე ზედამხედველობის გაწევის უფლებას. მშენებლობის უფლება ძირითადად გაიცემა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ. მშენებლობის უფლებები დიდი მასშტაბის ინფრასტრუქტურებისთვის(აეროპორტი, გაზსადენები, ნავგაყვანის უბნები) გაიცემა ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. მშენებლობის უფლებისთვის ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დადებითი დასკვნა არის საჭირო იმ პროექტებზე რომლებიც ჩამოთვლილია კანონში გარემოზე ზემოქმედების შესახებ. ნებისმიერი სამშენებლო მოქმედება დაცული ტერიტორიების ან ბუფერული ზონების, ასევე ზოგადი ან კონტრეტული დაცული ზონების მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ რაც შესაბამისი თანხმობას მიიღებენ მარეგულირებელი სააგენტოებისგან: კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და APA. SP-ის ნებართვა შენახვა-აღდგენითი

სამუშაოების ჩატარებისთვის გაიცემა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ

პროექტის მოსამზადებელი პროცესის დროს ყველა სააგენტო ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე ჩართული იყვნენ პროექტის დიზაინის განვითარებაში.

საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვა. სამინისტრო განიხილავს გარემოზე გავლენის მოხდენის შესახებ მოხსენებებს რეგიონალური განვითარების პროექტ III-ის იმ შემთხვევებისთვის რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება დაჭირდეს ნებართვა სამუშაოების ჩატარებისთვის.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო განიხილავს SP-ს დოკუმენტაციას რომელსაც შეიძლება დაჭირდეს მშენებლობის უფლება და სამინისტროს აქვს უფლება გასცეს მსგავსი ნებართვა. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული გარემოს

ნებართვის ქონა სავალდებულოა სამშენებლო ნებართვის გაცემისათვის. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურას რომელსაც ეხება როგორც კულტურული ასევე ბუნებრივი მემკვიდრეობის მენეჯმენტი. სამინისტროს მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს ქვეყნის მდგრად განვითარებას. სხვა პრობლემებთან ერთად, სამინისტროს ეხება სახელმწიფოს კუთვნილების, მათ შორის ისტორიული მონუმენტების და დაცული ზონების გასხვისების საკითხები; ურბანიზაცია, სამშენებლო პრობლემები და ტურიზმის განვითარება. მშენებლობის და ურბანიზაციის დეპარტამენტი, პრივატიზაციის დეპარტამენტი და ეროვნული ტურიზმის სააგენტოები წარმოადგენენ სამინისტროზე სტრუქტურულად დაქვემდებარებულ ერთეულებს. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სამინისტროები ერთმანეთთან გადიან კონსულტაციებს, როცა ასხვისებენ, ანათხოვრებენ ან გამოყენების უფლებას აძლევენ სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი მონუმენტების და მემკვიდრეობის ადგილებს. ასევე ისენი ერთობლივად აწვდიან სტრატეგიებს კულტურული ტურიზმის მიმართულელებით ან ნებისმიერი სხვა სტრატეგიის შემუშავებისას რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კულტურულ მემკვიდრეობაზე.

საქართველოს კულტურის და მონუმენტების დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს მისი ოფიციალური თანხმობის სამშენებლო ნებართვასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში თუ SPs-ს მშენებლობა მოხდება ისტორიულ ადგილას ან კულტურული მემკვიდრეობის ზონაში. თუ სამშენებლო კომპანია იპოვნის ისტორიული მნიშვნელობის ნივთს, მუნიციპალური განვითარების ფონდმა უნდა შეატყობინოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მიიღოს მითითებები შემდგომი მოქმედებებისთვის. მუნიციპალური განვითარების ფონდმა არ შეიძლება გასცეს სამუშაოს გაგრძელების ნებართვა სანამ არ მიიღებს სამინისტროსგან თანხმობას იმის შესახებ რომ ყველა შესაბამისი ზომა იქნა მიღებული არქეოლოგიური მემკვიდრეობის კონსერვაციისთვის.

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ სამოციქულო აუტოკეფალურ ეკლესიას შორის (2002) არეგულირებს სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობას. ხელშეკრულების თანახმად ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა რელიგიური შენობა მის გარშემო არსებული მიწის ნაკვეთებით და მუზეუმსა და არქივებში დაცული ყველა საეკლესიო ნივთ საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს ეკლესიას.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უნდა შეთანხმდეს საქართველოს ეკლესიასთან დაცული ზონების გადაფორმების, წესების და მეთოდოლოგიების, დაგეგმარების და სარეაბილიტაციო პროექტების დამტკიცების და რელიგიურ მონუმენტებზე მეცნიერული გამოკვლევის ჩატარების შესახებ. სახელმწიფოსთან ერთად ეკლესია პასუხისმგებელია მის საკუთრებაში არსებული მონუმენტების შენახვაზე და მოვლაზე. ეკლესიის საკუთრება განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისგან.

შეთანხმების თანახმად ეკლესია არის მეპატრონე ქვეყანაში არსებული უძრავი ქონების უმრავლესობის. რომელთა დიდ ნაწილსაც აღუდგა რელიგიური ფუნქცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ბენეფიციარები და გავლენის ქვეშ მოქცეული სოციალური ჯგუფები და თემები რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობა გავლენის ქვეშ მყოფი თემები

პროექტით უმეტესად იხეირებს სამიზნე რეგიონებისა ადგილობრივი მოსახლეობა. უპირველეს ყოვლისა, RDS და RTDS-ის იმპლემენტაცია შექმნის სამუშაო ადგილებს და ბიზნესის შესაძლებლობებს, ასევე გაიზრდება შემოსავლები. სხვა RDS-ის სარგებლები მოიცავს შემდეგს:

- გარემოსა და სანიტარული პირობების გაუმჯობესება
- ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სერვისების გაუმჯობესება
- ხელმისაწვდომი გახდება უკეთესი სამედიცინო სერვისები და განათლება
- საერთო სიღარიბის შემცირება.

საზოგადოება რომელიც ასოცირებულია ამ პროექტთან, სარგებლის გარდა მიიღებს გარკვეულ უარყოფით შედეგებსაც: კერძო მიწის ნაკვეთების და მათთან ასოცირებული აქტივებისა და შემოსავლების დაკარგვა, გარემოზე ზემოქმედება და ფიზიკური ხელის შემშლელი ფაქტორები, კონკურენცია ადგილობრივ რესურსებზე და სარგებლებზე (პროექტის დეველოპერებთან ან გამოწვეული განვითარების შემთხვევაში სხვა შემოსულ პირებთან)

[მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის](#) მიხედვით, სამცხე-ჯავახეთში 160 504 ადამიანი ცხოვრობდა, რომელიც მთლიანი ქვეყნის მოსახლეობის 4.3 %-ს წარმოადგენდა. უკანასკნელი ათწლეული აჩვენებს მოსახლეობის რაოდენობის ვარდნას. 34 % რეგიონის მოსახლეობისა (54,663 ადამიანი) ცხოვრობს ქალაქებში, 66% (105,841 ადამიანი) კი სოფლებში. უმეტესობა რეზიდენტებისა დარეგისტრირებულია ახალქალაქისა (60,975) და ახალციხის (46,133) მუნიციპალიტეტებში.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა შეადგენს 94,573 ადამიანს [მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის](#) მიხედვით. 2002 წლის მონაცემებით ამავე რეგიონის მოსახლეობა შეადგენდა 125 400 ადამიანს. მათი უმეტესობა - 64,829 ადამიანი (68,5% მთელი მოსახლეობისა) დარეგისტრირებულია მცხეთის მუნიციპალიტეტში, ხოლო მცირე ნაწილი, 5,261 ადამიანი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (5,5%)

უმუშევრობის დონე მცხეთა მთიანეთში არის 6,7 %, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 7,5%. თუმცა, უმეტესობა ამ რეგიონებში დასაქმებული ხალხთაგან, არის თვითდასაქმებული, და მოყავს მოსავალი საკუთარ მიწაზე ოჯახის სარჩენად და არა კომერციული მიზნებისთვის.

რისკის ჯგუფები

დაინტერესებულ პირთა შორის, შეიძლება გარკვეული ჯგუფების გამოყოფა როგორც რისკის მატარებლების. ეს ჯგუფები შეიძლება მოიცავდეს: ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობებს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ხალხს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ხანში შესული პირებს, დევნილებსა და ეკომიგრანტებს.

სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური უმცირესობები (განსაკუთრებით სომხები) მნიშვნელოვან დაინტერესებულ პირთა ჯგუფებად ითვლებიან. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი უმეტესად დასახლებულია ეთნიკური ქართველებით. გარკვეული სოფლების რაოდენობა მცხეთის მუნიციპალიტეტში მჭიდროდ არის დასახლებული ეთნიკური უმცირესობებით (აზერბაიჯანელების, ოსების, რუსების, ასირიელებისა და სომხების მიერ)

რეგიონი	მთლიანი მოსახლეობა	საიდანაც							იეზიდი	ასირიელი
		ქართველი	აზერბაიჯანელი	სომხები	რუსი	ოსი	უკრაინელი	ბერძენი		
სამცხე-ჯავახეთი	160 504	77 498	89	81 089	712	393	142	420		
მცხეთა-მთიანეთი	94 573	89 343	2316	291	252	1327	80	44	61	709

სხვა დიდი ჯგუფები შედგებიან იძულებით გადაადგილებული პირებისგან. ქვეჯგუფები მოიცავს პენსიონერებს, ქალებს და გაჭირვებულ მოსახლეობას რომელიც იღებს საარსებო შემწეობებს.

იძულებით გადაადგილებული პირები

ამჟამინდელი მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ცხოვრობს 1267 იძულებით გადაადგილებული პირი. მათი აბსოლუტური უმეტესობა არის ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ამ მომენტში არ მოიძებნება მონაცემები მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, ან მათი საჭიროებების შესახებ.

2008 წლის ომის შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა იძულებით გადასახლებულ პირთა რაოდენობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (დაახლოებით 10,000 ადამიანამით), რომელიც წარმოადგენს მთლიანი რეგიონის მოსახლეობის 10%-ს.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციო-ეკონომიკური პირობები დამაკმაყოფილებელია, თუმცა მათი დასაქმების დონე დაბალია. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხალხის ამ ჯგუფისთვის შენდება კლუბი ახალგაზრდებისთვის წეროვნის დასახლებაში, და საბავშვო ბაღი წილკანის სოფელში. პროექტები ფინანსდება მთავრობის მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხებით.

დუშეთის მუნიციპალიტეტში, 349 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს ბაზალეთის სანატორიუმში. 45 იძულებით გადაადგილებული ოჯახი სოციალურად დაუცველია. საქართველოს მთავრობისგან ფინანსური მხარდაჭერის გარდა, მათი კომუნალური ხარჯებს მუნიციპალიტეტი ფარავს. იძულებით გადაადგილებული პირები შეძლებისდაგვარად დასაქმებულები არიან ადგილობრივ ორგანიზაციებში, კერძოდ: 3 ასეთი პირი მასწავლებელია საჯარო სკოლაში, 2 სოფლის მეურნეობაში და 3 მუნიციპალიტეტის საბჭოში.

15 იძულებით გადაადგილებული პირი დარეგისტრირებულია **თიანეთის მუნიციპალიტეტში**. მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა საშუალოა. მხოლოდ რამდენიმე პირია დასაქმებული. ადგილობრივი ხელისუფლება მათ აღმოუჩენს მათ დახმარებას მათი მოთხოვნებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში იძულებით გადაადგილებული პირები არ არიან.

ეკომიგრანტები

რამდენიმე ოჯახი დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (მლეთა, ვემათხევი, შარახევი), ცხოვრობს მეწყერის საშიშროების ზონებში და მათი გადასახლება აუცილებელია რაც შეიძლება მალე.

პენსიონერები

2015 წელს, სამცხე-ჯავახეთში 35,235-მა ადამიანმა მიიღო პენსია და სოციალური დახმარების პაკეტი. ეს რიცხვი შეადგენს მთელი მოსახლეობის 22%-ს და არც თუ ისე მაღალია ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით. მცხეთა-თიანეთის რეგიონში 22,401 ადამიანი იღებს პენსიასა და სოციალური დახმარების პაკეტს. ეს რიცხვი რეგიონის მოსახლეობის 24%-ს შეადგენს.

2015 წელს, 2843-მა ოჯახმა მიიღო საარსებო შემწეობა რომელიც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 12,5%-ს წარმოადგენს. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია საქართველოში. ეს ოჯახები იღებენ 60 ლარს თვეში ოჯახის უფროსისა და სხვა წევრებისთვის როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფნი.

სახელმწიფო პროგრამების გარდა, სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებს აქვთ სხვადასხვა ტიპის პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავენ ერთჯერადი დახმარების აღმოცენას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობისთვის: სამედიცინო ოპერაციების თანადაფინანსება, ფინანსური და პრაქტიკული დახმარება დევენილებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, უფასო კვება, დახმარება უსახლკარო ბავშვებისთვის და სხვა ხარჯების დაფარვა რომლებიც გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტების სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებში.

მცხეთა-მტიანეთის რეგიონში. 6060 ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას როგორც სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფნი. დახმარება წარმოადგენს 60 ლარს თვეში, ოჯახის უფროსისა და სხვა წევრებისთვის.

გენდერული მონაცემები

მცხეთის მუნიციპალიტეტში საჯარო და კერძო სექტორებში დასაქმებულთა 52,4 % მამაკაცი, ხოლო 47,6 % ქალია. ამ თვალსაზრისით ზემოთ ხსენებულ მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობა დაცულია.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საბჭოში დასაქმებულ ხალხთა სქესი შემდეგნაირად არის გადანაწილებული: 43 კაცი და 45 ქალი მუნიციპალიტეტის საბჭოში, 29 კაცი და 4 ქალი კი მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ქალების უმეტესობას დაბალი თანამდებობები უკავიათ. ზოგადად, ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტივობებში გამოწვეულია გენდერული საკითხებით რომლებიც ასოცირდება უფრო სოციალურ და არა ეკონომიკურ პრობლემებთან.

თიანეთის მუნიციპალიტეტში 215 ქალი და 44 კაცი არის დასაქმებული კერძო სექტორში, ხოლო 320 ქალი და 160 კაცი საჯარო სექტორში. ერთერთი უმთავრესი ფაქტორი რომელიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას არის მოსახლეობის პროფესიული სწავლება, პროფესიული სასწავლებლებისა და ტრენინგ ცენტრების დაარსება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 505 ქალი და 245 კაცია დასაქმებული. მონაცემების თანახმად უმეტესობა დასაქმებულთაგან ქალია. ამის მიზეზად ადგილობრივი მოსახლეობა კვალიფიცირებული სპეციალისტების ნაკლებობასა და დაბალ ხელფასებს ასახელებს.

იმისათვის რომ გენდერული ბალანსი არ დაირღვეს, მუდმივი მექანიზმი უნდა არსებობდეს ადგილობრივ ხელისფულებებში. მოქმედების გეგმა უნდა შემუშავდეს ქალების დასაქმებისათვის და გენდერული თანასწორობის გაზომვა უნდა ხორციელდებოდეს. გენდერულ თანასწორობაზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ქალთა პოლიტიკურ პარტიებში ჩართულობა და თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აუცილებელია ზემოთ ხსენებული მიზნების მისაღწევად.

გენდერული საკითხები უნდა გათვალისწინებულ იქნას მუნიციპალური ბიუჯეტის შექმნისას, იმისათვის რომ თანაბარი შესაძლებლობები არსებობდეს ორივე სქესისთვის. სტრატეგიული მოქმედების გეგმები უნდა მიმართავდეს გენდერულ საკითხებს ქალების აქტიური ჩართულობის მეშვეობით.

ადგილობრივი ბიზნესი

ბევრი მცირე და საშუალო ზომის ბიზნესია წარმოდგენილი სამიზნე რეგიონებში, განსაკუთრებით მეტია ისეთები რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია ტურიზმის სექტორთან: სასტუმროები, კაფეები და ტურიზმთან დაკავშირებული სერვისები. რეგიონებში მოქმედი კომპანიების ნუსხა წარმოდგენილია CBA-ში (2014) და შეიქმნა რეგიონული განვითარების პროგრამა III-თვის. დაახლოებით 197 მოქმედი სასტუმრო და ოჯახური სასტუმროა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, და დაახლოებით 101 მცხეთა-მთიანეთში.

5.6 რეგიონული განვითარების სტრატეგიის, რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიის, და რეგიონული განვითარების III პროექტის ქვე პროექტების პოტენციური მხარდამჭერები და ოპონენტები.

ლოგიკურად მოსალოდნელია რომ იმ დაინტერესებულ პირთა ჯგუფებიდან რომლებსაც სარგებელი ექნებათ დაგეგმილი პროექტიდან მხარს დაუჭერენ პროექტს. თუმცა, არასწორი მენეჯმენტისა და კონსულტაციების ნაკლებობის პირობებში, შეიძლება შეინიშნოს ინდიფერენტულობა და უარყოფითი დამოკიდებულება მათი მხრიდან. იმისათვის რომ გამოირიცხოს ეს უარყოფითი დამოკიდებულება, მნიშვნელოვანია რომ კარგად მოხდეს პროექტის დადებითი მხარეების შესახებ ინფორმაციის მიტანა მოსახლეობამდე, და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით ადგილობრივი ქვეპროექტების არჩევის ეტაპზე. უნდა მოხდეს საჭიროებების შეფასება და მოსახლეობის სურვილის ინტეგრაცია მოქმედების გეგმაში.

ხალხის მხრიდან შეიძლება წარმოიქმნას ჩივილები და წინააღმდეგობა პროექტის იმპლემენტაციისას. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ფიზიკურ ეფექტს ან დაგეგმილი მოქმედებების, ადგილობრივ ტრადიციებთან ან რელიგიასთან არათავსებადობას. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია როცა საკითხი ეხება ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობებს, ან კონკრეტულ „წმინდა“ ადგილებს. ქვემოთ ჩამოთვლილია შესაძლო მიზეზები რაც უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს.

უარყოფითი ფაქტორები

- მიწისა და მასთან დაკავშირებული აქტივების ან შემოსავლების დაკარგვა
- ფიზიკური ეფექტი მშენებლობის დროს (ხმაური, მტვერი, გამონახობა, მიუვალობა და ა.შ.)
- სარგებლის არათანაბარი გადანაწილება
- გამოწვეული განვითარება და მასთან დაკავშირებული კონკურენცია სამუშაო ადგილებზე, სერვისებზე და წვდომა ბუნების წიაღისეულზე
- სარგებლის არათანაბარი გადანაწილება გეორგრაფიული რეგიონების მიხედვით
- დაგეგმილი საქმიანობის არათავსებადობა ადგილობრივ ტრადიციებთან
- და სხვა.

მთავარი ინსტრუმენტი ამ რისკებთან გამკლავებისთვის არის აზრიანი და დროული კონსულტაციის პროცესი.

6. ალტერნატივების ანალიზი

6.1 შესავალი

ზოგადად, სტრატეგიულ გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ჩარჩოებში ალტერნატივების ანალიზი, მოიცავს ამა თუ იმ გადაწყვეტილების გარემოზე მქონი ზეგავლენის შედარებას, როდესაც ხდება სელექცია რამდენიმე განვითარების სცენარიდან რომლებსაც საბოლოოდ ერთი მიზნის განხორციელება აერთიანებთ. ადგილობრივი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისას, რამდენიმე სექტორის შედარება შეიძლება, იმისათვის რომ მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრა. მაგალითად, შეიძლება მოხდეს ტურიზმის განვითარების პლიუსებისა და მინუსების შედარება სხვა სექტორის განვითარებასთან როგორცაა, სოფლის მეურნეობა და ა. შ. სექტორული სგშ-ს შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა ტურიზმის ჯგუფების შედარება. ორივე შემთხვევაში, „რეალური“ ალტერნატივების ანალიზია შესაძლებელი თუკი გამოკვეთილი ვარიანტები კონკურენტ უნარიანია. იმ შემთხვევაში თუ შემოთავაზებული ალტერნატივები ურთიერთშემავსებელია და მათი ერთობლივი იმპლემენტაცია პრობლემას არ წარმოადგენს, ეს ანალიზი კარგავს ხასიათს და ემსგავსება ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას. თუმცა, სხვადასხვა სცენარების ურთიერთ დამოკიდებულება (იქნებიან ესენი კონკურენტული თუ ურთიერთშემავსებელი) შეფასების დროს არის გამოვლენილი, და ლოგიკურია რომ ასეთი შეფასების შედეგები წარმოდგენილ იქნას „ალტერნატივების ანალიზის“ თავში. ზოგადად ეს თავი მოიცავს განვითარების სცენარების ანალიზს, რომლებიც უმეტესად „კონკურენტუნარიანები“ არიან, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, ისინი შეიძლება ურთიერთშემავსებლებიც იყვნენ. მაგალითად: რეგიონული განვითარება ზღვის პირა ტურიზმისა (განვითარების სცენარი 1) და ნავთობის გადაზიდვის საშუალებების და ტერმინალების მშენებლობა (სცენარი 2) უმეტესწილად კონკურენტული სცენარებია, ურთიერთგამომრიცხავია და შემზღუდავია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში როდესაც სივრცითი გეგმა კარგად არის შესრულებული, ეს სექტორები შეიძლება განიხილო როგორც ურთიერთშემავსებელი. ასე რომ, სცენარების ანალიზი, რომლებიც შეიძლება იყვნენ კონკურენტული ერთმანეთის მიმართ, ერთერთი საკითხია რომელიც ამ თავშია განხილული.

ხელისუფლებამ ჩაატარა რამდენიმე სტრატეგიული კვლევა პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების გამოსააშკარავებლად სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია 2014-2021 შეიქმნა და დადასტურდა 2013 წელს. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია 2014-2021 დადასტურებულია რეგიონული განვითარების კომისიის მიერ და გამოქვეყნებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-საიტზე. რეგიონული განვითარების სტრატეგიის საბუთები შეიქმნა რეგიონული გუბერნატორების ოფისებში მათივე პასუხისმგებლობით, მუნიციპალურ ხელისუფლებასთან ხშირი კონსულტაციებით. რეგიონული ტურიზმის განვითარების გეგმა სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებისთვის მომზადდა 2014 წელს მსოფლიო ბანკის ფინანსური გვერდში მხარდაჭერით.

სტრატეგიული კვლევების კონტექსტში, ალტერნატივების ანალიზი კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიულ შეფასებაში მიზნად ისახავს სამიზნე რეგიონების ეკონომიკური სექტორების განვითარების პრიორიტეტების ანალიზს რეგიონული განვითარების სტრატეგიის ჩარჩოში, და ტურისტული მარშრუტების და

სექტორების ანალიზს რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ჩარჩოში. ხოლო თუ ვარიანტები ერთმანეთისადმი კონკურენტულია მაშინ ხდება გარემოს, სოციალურ და კულტურულ მემკვიდრეობებზე ზეგავლენის შედარება.

6.2 რეგიონული განვითარების სტრატეგია სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონებისთვის და ალტერნატიული სცენარები

რეგიონული განვითარების სტრატეგიები ორივე რეგიონისთვის განსაზღვრავენ პრიორიტეტებს და შემდეგი სექტორების განვითარებას ისახავენ:

- **სოფლის მეურნეობა** (თანამედროვე ტექნოლოგიები, და ახალი მცენარის ჯიშები მოსავლიანობის გაზრდისთვის; ეფექტური ტექნოლოგიები პირუტყვის შესაჯვარებლად; სასაწყობე და საკვების გადამამუშავებელი ობიექტები და ა.შ.)
- **ენერგეტიკის სექტორი** (მცირე და დიდი ჰიდროელექტრო სადგურების განვითარება, ალტერნატიული ენერგო რესურსების გამოყენება - ქარის წისქვილები და მზის ენერგია)
- **ინფრასტრუქტურა** (რეგიონული და ადგილობრივი გზები; წყლის მიწოდება და კანალიზაცია; ნარჩენების გადამამუშავებელი ობიექტები, ელექტრო ენერჯის და გაზის მიწოდება; კომუნიკაციის სისტემები და ა.შ.)
- **ბუნებრივი რესურსების ძიება და მისი მდგრადი მენეჯმენტი** (ორივე რეგიონის შემთხვევაში ბუნებრივი რესურსები რომლებიც შეიძლება მოძიებულ იქნას მოიცავს შემდეგს: სუფთა და მინერალური წყლის რესურსები, შენი და სხვა სატყეო პროდუქტები; ინერტული სამშენებლო მასალები. სამცხე-ჯავახეთში ასევე არის გარკვეული რაოდენობა ქვანახშირი, და ნავთობის საბადოების შესახებ კვლევა შექმნის პროცესშია)
- **ტურიზმი** - (უფრო დეტალური განხილვა ამ საკითხთან დაკავშირებით იქნება წარმოდგენილი თავებში RTDS-ის შესახებ)
- **საშუალო და მცირე ბიზნესების მხარდაჭერა** (ტურიზმის, სოფლისმეურნეობის, საკვების გადამამუშავების, სამშენებლო მასალების წარმოების, ალტერნატიული ენერჯის წარმოების, მშენებლობის და სხვა დაკავშირებული სერვისის სექტორებში)
- **საზღვრათშორისო თანამშრომლობის განვითარება** (ვაჭრობა, ტურიზმი, გარემოს დაცვა, ენერგეტიკის სექტორი)
- **გარემოს დაცვის პროგრამები**

ნაკარნახებია რომ ყველა ეს სექტორი შეიძლება განვითარდეს პარალელურ რეჟიმში როგორ ურთიერთსემდგომი კომპონენტები. სხვა არცერთი ალტერნატიული ვარიანტი არ ითვლება შესაძლებლად. პრიორიტეტების გადანაწილებისთვის გამოყენებული კრიტერიუმების შემუსრავებისას გათვალისწინებულია ადგილობრივი რესურსები, გარემოს და სოციალური მდგომარეობები, ტრადიციები, ბაზრის მოთხოვნა და სხვა ეკონომიკური ფაქტორები. ყველა ეს სექტორი შეიძლება განვითარდეს ეკოლოგიურად სუფთა გზით და არა არსებობს ამ სექტორების უარპყოფის საფუძვლიანი მიზეზი.

თვალსაჩინო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ განვითარება მოხდება უმეტესად კერძო ინვესტორების აქტიურობის საფუძველზე, და ბიზნეს სექტორის არჩევა მოხდება ინვესტორების მიერ, ხოლო ხელისუფლებამ უნდა თვალყური ადევნოს იმას რომ ეს პროექტები განხორციელდება გარემოს დაცვის, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მოთხოვნების თანახმად.

ხელისუფლება თავაზობს ყველა სექტორის მხარდაჭერას ზემოთ ხსენებულ რეგიონებში, რისი განვითარებაც ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით შესაძლებელია.

6.3 სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა მთიანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და ალტერნატიული სცენარები

სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ალტერნატივები

რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას, ალტერნატიული ღირებულებაზე წინადადებები შეიქმნა დაინტერესებულ პირებთან შეხვედრის და პერსონალის ანალიზების საფუძველზე და შემდეგ ციფრებშია გამოხატული. განსაზღვრულ იყო რომ სამიზნე ღირებულების წინადადება იქნებოდა საფუძველი ორივე სტრატეგიის ხედვისა. რეკომენდირებულია რომ, სამიზნე ღირებულებების წინადადება და მისი თანმდევი ხედვა უფრო დეტალურად იქნას განხილული რეგიონალური და ეროვნული დონის დაინტერესებულ პირთა მიერ.

ვერსიის არჩევანი მთლიანად იყო დაფუძნებული ეკონომიკურ კრიტერიუმებზე: ტურიზმის ბაზრის მოთხოვნები, არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობები და ტურიზმის სტრატეგიული პოზიციონირება. რეალურად ყველა ეს ალტერნატივა ისახავს გარემოსთვის უსაფრთხო ტურისტული სექტორის ჯგუფების განვითარებას მართვადი ზეგავლენით. ამ ზეგავლენის შესწავლა და ანალიზი უნდა მოხდეს და შესაბამისი შემამსუბუქებელი ზომები იქნას მიღებული (იხ. თავი მეოთხე). სოციალური ზეგავლენა, ისევე როგორც ზეგავლენა გარემოზე არ იყო მნიშვნელოვანი ფაქტორები მოცემული ალტერნატივებიდან სასურველი ვარიანტის ასარჩევად.

ტურიზმის სექტორის ჯგუფები და მარშრუტები წარმოდგენილი რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიებში თითო რეგიონისთვის წარმოდგენილია ქვევით:

სამცხე-ჯავახეთი

საკურორტო ჯგუფის ღირებულების გასაზრდელად შემდეგი მოქმედებებია რეკომენდირებული: ა. ტრადიციული მეღვინეობის და გასტრონომიის გამორჩევა, ღვინისა და საკვების დეგუსტაციისთვის დაწესებულებების დაარსება, ბაზრის შექმნა სადაც ადგილობრივებს შეეძლებათ ტრადიციული კერძებისა, ხილის, ღვინის და სპირტიანი სასმელების გაყიდვა; ბ. ახალი საბაგრო გზების გაყვანა, ხელოვნური თოვლის დანადგარები და ახალი ზამთრის სათავეგადასავლო პროდუქტების შექმნა - სათხილამურო და ბურანის ტურები ბაკურიანში; გ. ბაკურიანში საჭიროა ახალი სარეკრეაციო ზონის შექმნა და პარკების გაუმჯობესება, ბორჯომი იხეირებდა ახალი სპა კონცეფციით სადაც გაერთიანებული იქნებოდა რეკრეაცია და გართობა; დ. გარე აქტივობების გაფართოება ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნულ პარკში და შესასვლელებში სერვისის გაუმჯობესება: ლიკანი, ქვაბისხევი, ციმუბანი, აბასთუმანი; ე. საზაფხულო და ზამთრის ღონისძიებების განვითარება რომლებიც სპორტზეა ორიენტირებული.

ალტერნატიული ღირებულების წინადადება

<p>მაღალი ზრდა ძირითადად რეგიონალური/შიდა დანიშნულება, ღირსშესანიშნაობის ნაკლები გამოყენება</p>	<p>სამიზნე განვითარებადი საერთაშორისო და ზრდადი რეგიონალური დანიშნულება კულტურულსა და ბუნებასთან დაკავშირებული</p>	<p>მაღალი ზრდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო და ადგილობრივი დანიშნულება გამორჩეული პორტფოლიოთი კულტურის დაბუნების პროდუქტებით, მიმზიდველი წელიწადის ნებისმიერ დროს</p>
--	---	--


<p>ბაზრის სეგმენტები</p>	<p><i>მეგობრებისა და ნათესავების სტუმრობა</i> <i>პილიგრომობა</i> <i>ზამთრის სპორტი და თხილამურები</i> <i>ლაშქრობა და ცოცვა</i> <i>მუზეუმები და არქეოლოგია</i> <i>შეხვედრები და ღონისძიებები</i></p>	<p>კულტურა (მსოფლიო მემკვიდრეობა) პილიგრიმობა ზამთრის სპორტები და თხილამურები <i>მეგობრებისა და ნათესავების სტუმრობა</i> ღვინო და გასტრონომია ლაშქრობა და ცოცვა არამატერიალური მემკვიდრეობა ჯანმრთელობა შეხვედრები და ღონისძიებები</p>	<p>თავგადასავლები და ექსტრემალური სპორტი კულტურა (მსოფლიო მემკვიდრეობა) ღვინო და გასტრონომია პილიგრიმობა არამატერიალური მემკვიდრეობა ფრინველების დათვალიერება ჯანმრთელობა მუზეუმები და არქეოლოგია ველოსპორტი</p>
	<p>ლოგო</p>	<ul style="list-style-type: none"> მაღალი მოთხოვნა უსაფრთხო და დაცულ ადგილებზე თუ რეგიონალური კონფლიქტი იწვევს უფრო მაღალი ალბათობა განმეორებითი ვიზიტისა შიდა ვიზიტორისგან 	<ul style="list-style-type: none"> ახალი პარტნიორების შოვნის პოტენციალი მრავალდანიშნულებიანი მოგზაურობისთვის მაღალი თავსებადობა აღმოსავლური მართლმადიდებლობის საქართველოსა და რეგიონში

მცხეთა მთიანეთისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონული ტურისტული განვითარების სტრატეგიების ალტერნატივა

რეკომენდირებული აქტივობები კულტურული მემკვიდრეობის ჯგუფების ღირებულების გაზრდისთვის მოიცავს შემდეგს (ა.) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული და ადგილობრივ ეკლესიასთან შეთანხმებული „მემკვიდრეობის მართვის გეგმით“ რეგულირებადი ინტეგრირებული მენეჯმენტი; (ბ.) აუცილებელია ინვესტიციები ტურისტული სერვისებისთვის რომელიც მოიცავს, რესტორნებს, ბარებს, ღვინის მარნებს, მუზეუმებს, კულტურულ ღონისძიებებს, ხელოსნის მაღაზიებს, ბაზრებს, სასტუმროებსა და სხვა საცხოვრებლებს; (გ.) სტუმართმოყვარეობის საბაზისო ცოდნის გამომუშავება, ენის სწავლება, მემკვიდრეობის ადგილების მენეჯმენტის სწავლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ახლო თანამშრომლობით. (დ) მონასტრების ჩართულობის წახალისება ვიზიტორების გამოცდილების გასამდიდრებლად და მომავალი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. (ე) სპეციალური ღონისძიებები არის საჭირო იმისთვის რომ შეიქმნას მოთხოვნა რეგიონზე, განსაკუთრებით ზაფხულში და დასვენების სეზონის დროს.

რეკომენდირებული აქტივობები ბუნებისა და თავგადასავლების ჯგუფის ღირებულების გაუმჯობესებისთვის მოიცავს შემდეგს: (ა) ბორჯომი-ხარაგაულის და ჯავახეთის ეროვნულ პარკებამდე და დაცულ ტერიტორიებამდე მიმავალი გზების გაუმჯობესება. (ბ) დაცულ ტერიტორებთან აუცილებელია ხარისხიანი ღამის გასათევი ადგილები, განსაკუთრებით პარკის შესასვლელებთან (ლივანი, აწყური, წინუბანი); (გ) ვიზიტორებისათვის სერვისების გაუმჯობესება, პარკში შიგნით ობიექტების პრივატიზებით ყოველწლიური ანაზღაურების სანაცვლოდ; (დ) ხელი უნდა შეეწყოს თანამშრომლობას დაცულ ტერიტორიებსა და ტურ ოპერატორებს შორის, რომლებიც სპეციალიზირებულები არიან სათავგადასავლო სპორტებში (კლდეზე ცოცვა, ჯომარდობა)

სტრატეგიული პოზიციონირებს მეთოდოლოგია



ვარიანტის სელექციისთვის გათვალისწინებული ფაქტორები

ტურის მარშრუტები

რეკომენდირებული ღირებულების ზრდა მოიცავს შემდეგ აქტივობებს (ა) თემატური მარშრუტების განვითარება, მაგალითად : ძველებურ და თანამედროვე მეღვინეობაზე ფოკუსირებული ღვინის მარშრუტი (მტკვირს ხეობის ისტორიული ტერასის გამოყენებით) (ბ) მემკვიდრეობით გადმოცემული ლანდშაფტის განვითარება - ვარძიის ნაკრძალი. ხერთვისის ციხიდან, მტკვირს ზემო ხეობის გაგრძელებით, ვარძიის გამოქვაბულის დასახლებამდე. ასევე შეიძლება განვითარდეს არასამანქანო გზები ჯავახეთის მაღალი მთიანი რეგიონში

მოსახვედრად და შეიქმნას დამაკავშირებელი გზები დანიშნულებებს შორის როგორცაა ნიჩგორი, სარო, ვარდისციხე ან ბაკურიანს, თორის ნანგრევებს და თეთრობის დაცულ ტერიტორიებს შორის.

სამცხე-ჯავახეთი

ღირებულების ჯაჭვის შესწავლის მიზნით, შეგროვებულ იქნა ინფორმაცია ქართულ შიდა ტუროპერატორებისგან რადგან მათ პირდაპირი ურთიერთობა აქვთ ტურისტებთან და ხშირად უწევთ ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების მონახულება და სერვისების მიღება. კურორტების ჯგუფის ღირებულების გაზრდის რეკომენდაციები მოიცავს (ა) მთის გიდებისთვის ეროვნული სტანდარტების დანერგვას, საერთაშორისო (UIGM) სტანდარტების თანახმად პროფესიული სწავლების და სერტიფიკატებისთვის; (ბ) დამატებითი განვითარება მთაში ღამის გასათევი ადგილებისა და ფეხით სასიარულო გზების იმისათვის, რომ გამარტივდეს წვდომა, გაუმჯობესდეს უსაფრთხოება და გაიზარდოს სტუმრების მიერ ღამის გათევის პოტენციალი, რაც თავის მხრივ გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებს; (გ) შესწავლილ უნდა იქნას ინტეგრირებული დანიშნულების მართვა, რომელიც ფარავს გუდაურს(ზამთარში) და ყაზბეგს (ზაფხულში); (დ) კავკასიონზე ასული მთასვლელების შესახებ ფილმები და ისტორიები უნდა იქნას გამოყენებული რეგიონის პოპულარიზაციისთვის; (ე) ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო საპირფარეშოები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კაფეები, ვიზიტორების დახლი (არ არის აუცილებელი ცალკე ოფისის ქონა) გაერთიანებული სტუმრებისთვის განკუთვნილ ცენტრთან და საინფორმაციო ცენტრები.

კულტურული მემკვიდრეობის ჯგუფების ღირებულების გაზრდის მიზნით შემდეგი აქტივობებია რეკომენდირებული: (ა) კულტურული მემკვიდრეობის სიახლოვეში ტურისტული სერვისებში ინვესტიციები რაც მოიცავს რესტორნებს, ბარებს, ღვინის ბარებს, ღამის კლუბებს, ობიექტებს კულტურული ღონისძიების ჩასათარებლად, ხელოსნის მაღაზიებს, ბაზრებსა და ღამის გასათევი ადგილებს. (ბ) მემკვიდრეობის ადგილებისათვის გიდების სპეციფიური მომზადება (გ) სპეციალური ღონისძიებები რეგიონში ტურისტების მოსაზიდად განსაკუთრებით არა აქტიური სეზონების დროს. ნებისმიერი ღონისძიებისა და აქტივობის დაგეგმარების დროს უნდა გათვალისწინებული იქნას მართლმადიდებლური ეკლესიის როლი და მისი პროცესში ჩართულობა.

ბუნებისა და თავგადასავლის ჯგუფის ღირებულების გაზრდის მიზნით შემდეგი ნაბიჯებია რეკომენდირებული : (ა) ვიზიტორებისთვის დაცულ ტერიტორიებზე წვდომის გაუმჯობესება; (ბ) ვიზიტორების სერვისების გაუმჯობესება და ამისათვის საჭირო ობიექტების გამართვა. სახელმწიფოს შეუძლია თვითონვე ააშენოს ობიექტები და კერძო სექტორზე იჯარით გასცეს, ან კერძო სექტორს მიცეს აშენების და ოპერირების უფლება ყოველწლიური ანაზრაურების ან მოგებიდან წილის სანაცვლოდ; (გ) სპეციალური ღონისძიებები უნდა ჩატარდეს რომ მოხდეს ეროვნული პარკების პოპულარიზაცია, მაგალითად სათხილამურო შეჯიბი ან სათავგადასავლო რბოლა. (დ) სპეციალური მომზადება იქნება საჭირო გიდების, მაშველების და სათავგადასავლო სპორტებისთვის ზედამხედველი ჯგუფებისთვის (ცოცვა, ჯომარდობა და ა.შ.)

ტურის მარშრუტები

რეკომენდირებული ღირებულების გაუმჯობესება მოიცავს (ა) ღვინის გზის განვითარების საპილოტო პროექტის (ბ) თბილისის და თელავის დამაკავშირებელი „ოქროს გზის“

განვითარება, მცხეთიდან კახეთისკენ მიმავალი შემოვლითი გზის გამოყენებით რომელიც ჟინვალის და თიანეთის მუნიციპალიტეტებს გადის (არსებული გზა : ჟინვალი - სიონი - ტიანეთი - ახმეტ - ალავერდი); (გ) სამხრეთ კავკასიის ტურის განვითარება რომელიც მოიცავს მრავალქვეყნიან ტურს საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთის ჩათვლით.

როგორც ამ ჩამონათვლიდან ჩანს, საკმაოდ ფართო არჩევანია ტურისტული აქტივობების რომლის განვითარება სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში მოსალოდნელი და სასურველია. მხოლოდ ისეთი არალეგალური და სოციალურად მიუღებელი აქტივობებია უმეტესად არასასურველი, როგორცაა სექს-ტურიზმი, განძზე ნადირობა, ნარკო-ტურიზმი და მათნაირი ქვე-სექტორები რომლებიც არ ითვლება გარემოსათვის და საზოგადოებისთვის უსაფრთხოდ. ყველა მანამდე ჩამოთვლილი აქტივობა ითვლება მისაღებად, და ადექვატური გადაწყვეტილება გარემოსდაცვის მიზნით, იქნება სწორი შემამსუბუქებელი ზომების და გარემოს მართვის შემუშავება, და არა ამ აქტივობების უარყოფა. შემოთავაზებული ტურიზმის სექტორები განიხილება როგორც სხვადასხვა ადგილმდებარეობისთვის არსებულ ალტერნატივებად და სასურველი ვარიანტის სელექცია ხდება კონკრეტული რეგიონის გარემოს მდგომარეობის, არსებული ღირსშესანიშნაობების და სხვა მახასიათებლების საფუძველზე.

შემოთავაზებული ჯგუფებ და სექტორები არ არიან ერთმანეთისადმი კონკურენტულები ან არათავასებადები. რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიებში წარმოადგენილია სხვადასხვა ტურიზმის სექტორებისა და აქტივობების დაბალანსებული სივრცითი მოწყობა. უკანასკნელი მხარს არ უჭერს ისეთი სექტორების განვითარებას რომლებსაც მძიმე ზეგავლენა აქვთ გარემოზე. კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასება რეკომენდაციას უწევს მხოლოდ „რბილი“ ტურიზმის სექტორების განვითარებას.

6.4 რეგიონული განვითარების III პროექტის იმპლემენტაციის ალტერნატიული სქემები

რეგიონული განვითარების პროექტის რამდენიმე ალტერნატიული სტრატეგია შეიქმენა (რგპ I, რგპ II და რგპ III)

სცენარი 1 მოიცავს ინვესტიციების ვერტიკალურ უზრუნველყოფას და ინტეგრირებულ პროგრამას, რომელიც თავისთავად გულისხმობს ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტურისტული ობიექტების აშენებებსა და რეაბილიტაციას (საპარკინგე სივრცეები, მაღაზიები, კაფეები, საინფორმაციო ცენტრები და ა.შ.), კულტურული მემკვიდრეობების რესტავრაცია/შენახვას, კერძო სექტორის ინვესტორებისთვის მხარდაჭერას ტურიზმისა და საჭმლის გადამამუშავებაში. პროგრამა მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი ასპექტების პარალელურ განვითარებას

სცენარი 2 მოიცავს ინვესტიციების ჰორიზონტალურ მენეჯმენტს, როგორც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აკეთებდა მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებულ მუნიციპალური განვითარების პროგრამების შესრულებისას. სცენარი 2 ისახავს რამდენიმე რეგიონში ინვესტიციების ჰორიზონტალურ უზრუნველყოფას მუნიციპალური და ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის

სცენარი 3-ის თანახმად ხელისუფლების ჩარევის საჭიროება არ არსებობს და პროცესი არ უნდა კონტროლდებოდეს.

რეგიონული განვითარების ამ სამ პროექტს და მათი წინმსწრებ რეგიონული მუნიციპალური და ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტს შორის მთავარი განსხვავება ის არის რომ უკანასკნელი ვერტიკალურია, რაც მას განასხვავებს ჰორიზონტალურისგან (სექტორული პროექტები). ეს ვერტიკალურობა იძლევა გაძლიერებულ ზეგავლენას უკეთესი ბერკეტებისა და ძალისხმევის გეოგრაფიული კონცენტრაციის საფუძველზე. ეს მიდგომა კერძო სექტორის ინვესტიციების მოზიდვის გარემოს ქმნის.

ტურიზმის განვითარების სტრატეგიებში წარმოჩენილი რეგიონების განვითარების ხედვა მიზნად ისახავს ამ რეგიონებში ისეთი დანიშნულების ადგილის შექმნას რომელიც მიმზიდველი იქნება ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტებისთვის წლის ნებისმიერი მონაკვეთის დროს; კულტურული მემკვიდრეობაზე და ბუნებრივ მრავალფეროვნებაზე დაყრდნობას; და ფოკუსის არა ტურისტების რაოდენობაზე არამედ ხარისხზე (ტურისტების მიერ დახარჯული ფული) გაკეთებას. ტურიზმის წარმატება დამოკიდებული იქნება ინტეგრირებულ მიდგომაზე, გეოტურიზმის გამოყენებით და ღირსშესანიშნაობების მნიშვნელოვანი ცენტრების ამომწურავ ურბანულ ადგილებთან მცდელობისადმი ვერტიკალურად მიდგომით. ეს ყველაფერი მოიზიდავს კერძო ინვესტიციებს, გააცოცხლებს ადგილობრივ ბიზნესს აქტივობებს და განავითარებს სრულფასოვან რეგიონალურ ტურიზმის კერას და მარშრუტებს.

მოსალოდნელია რომ ეს სასარგებლო შედეგები გამოწვეული იქნება ინტეგრირებული განვითარების სქემით (სცენარი 1): სტრატეგიის ხედვის, ნაკარნახები კერისა და სექტორული ჯუფების განვითარება მოითხოვს როგორც მინიმუმ: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას რადგან მოზიდულ იქნას ინვესტიციები კერძო სექტორიდან; გაუმჯობესებული დაგეგმარება და ორგანიზებალ ინსტიტუციური და გამტარუნარიანობის გაძლიერება; ასოციაციების/ჯგუფების განვითარება; გეოტურიზმის რუკებზე დატანა და მარშრუტების შემუშავება; გაუმჯობესებული სერვისები, ნიშნულები და მარკეტინგული აქტივობები. შეუძლებელია ასეთი სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღება ასეთი ინტეგრირებული (ვერტიკალური) მენეჯმენტის არარსებობის შემთხვევაში, მაგალითად ინვესტიციები დეცენტრალიზებული ჰორიზონტალური მენეჯმენტით (სცენარი 2).

სოციალური ზეგავლენა

ინტეგრირებული მიდგომა ამარტივებს სოციალურ ზეგავლენის მართვას, რომელიც გამოწვეულია ტურისტების ნაკადის ზრდით. მაგალითად, გაზრდილი მოთხოვნა ინფრასტრუქტურაზე, სანიტარიაზე, ნარჩენების მართვაზე, წყლისა და ელექტროენერჯის მიწოდებაზე. ვერტიკალური სქემა შესაძლებელს ხდის ზოგადი და სპეციფიური ტურისტული ინფრასტრუქტურის პარალელურ რეჟიმში განვითარებას და სამეწარმეო კამპანიის დაგეგმვას. ჰორიზონტალური სქემის შემთხვევაში, მენეჯმენტი განიცდის კოორდინაციის ნაკლებობას ტურიზმისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ტურისტების ნაკადის ზრდას, და დამხმარე ინფრასტრუქტურის ნაკლებობის შემთხვევაში მივიღებთ გარემოს დაბინძურებას, ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების უკმაყოფილებას, და სამომავლო პერსპექტივაში ტურისტების ნაკადის შემცირებასა და მასთან ასოცირებული შემოსავლების კლებას.

ინტეგრირებული მენეჯმენტი და მკაფიო პოლიტიკა რომელიც მიზნად ისახავს რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი ბენეფიციარის ჩართულობას, შესაძლებელს ხდის შემოსავლების

დაკარგვის შანსის მინიმუმამდე დაყვანას. პარალელური ინვესტიციები ადგილობრივ საკვების გადამამუშავებელ ობიექტებში, ადგილობრივ სამხარეულოსა და ღვინის მარნებში, სასტუმროებში, მაღაზიებში, კაფეებში და სუვენირების მაღაზიებში შემოსავლების დაკარგვის თავიდან არიდების საშუალებას იძლევა.

დიდი რაოდენობით უცხოელების (ტურისტებისა და მიგრანტი მუშაკების) შემოდინებას ადგილობრივ კულტურაზე სერიოზული ზეგავლენის ქონა, და ტრადიციული ღირებულებების დაკარგვის გამოწვევა შეუძლია. გაზრდილი მაჩვენებლები პროსტიტუციაში, ნარკოტიკების გავრცელებაში, კრიმინალის დონესა და დაავადებების გადადებაში ხშირად არის დაკავშირებული ტურიზმის ინდუსტრიათა. ინტეგრირებული მენეჯმენტი რომელშიც ჩართულია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება, სოციალური დაცვის ორგანიზაციები, ეკლესია და სხვა დაინტერესებული პირები, ამ რისკებთან უკეთესად გამკლავების საშუალებას იძლევა. ჰორიზონტალური ინვესტიციების სქემა, და დიდი მასშტაბის საკურორტო კომპლექსები უფრო ნაკლებად მართვადაა ამ ასპექტში.

კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორი რაც ტურიზმის სექტორთან არის დაკავშირებული არის გამოწვეული განვითარება და დაუბალანსებელი მიგრაცია. რეგიონული და ადგილობრივი გენგემის და კოორდინირებული სივრცითი მოწყობის, ისევე როგორც სხვადასხვა ობიექტების მთავარ ტურისტულ მარშრუტებზე კონტროლირებული განლაგება გამოწვეული განვითარების დაბალანსების შესაძლებლობას ქმნის. ჰორიზონტალური სქემები არ იძლევა დამბალანსებელ მექანიზმებს და დიდი კომპლექსების მშენებლობა იწვევს განვითარებას მხოლოდ ამ დანიშნულებების გარშემო.

გარემოზე და კულტურულ მემკვიდრეობებზე ზეგავლენა

ბუნებრივია რომ კომპლექსური რეაბილიტაციის პროგრამის შესრულება და ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა გარკვეულ უარყოფით ზეგავლენას იქონიებს გარემოზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე. თუმცა, ურბანულ ზონებში შესრულებული პროექტების პირდაპირი ზეგავლენა შემოიფარგლება ტიპური გარემოს და სოციალური ზეგავლენებით, რაც უკავშირდება სამოქალაქო სამუშაოებსა და სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებას. მტვრის, ხმაურის, გამონახობისა და მოძრაობის შეფერხების გარდა, კულტურულ მემკვიდრეობებზე ზეგავლენა ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებლად გასათვალისწინებელია. სამშენებლო პროცესი ისტორიულ და კულტურულ ზონებში ყოველთვის ისტორიული მონუმენტების, შენობების ან არქეოლოგიური ადგილების დაზიანების რისკის მატარებელია. მიწის გათხრა ესეთი შენობების სიახლოვეს, მძიმე ტექნიკით გამოწვეული ვიბრაცია და სხვა ფაქტორები შეიძლება სტრუქტურული ზიანის მიზეზი გახდეს ისტორიულად მნიშვნელოვანი შენობებისა. გათხრებმა ასევე შეიძლება დააზიანონ არქეოლოგიური ნიმუშები.

ობიექტების ქალაგარეთ, ბუნების ლანდშაფტში მშენებლობის პირდაპირი ზეგავლენა უფრო მრავალფეროვანია და რამდენიმე მახასიათებელი ემატება:

- ბუნებრივ ლანდშაფტზე ნაკვალევი, სადაც ახალი ინფრასტრუქტურა შენდება
- ნიადაგის ან წყლის დაბინძურების რისკი არასწორი ნარჩენების და საშიში მასალების მართვის, არასწორი მანქანების მოვლის ან საწვავის გაჟონვის გამო
- ბუნებრივი ვეგეტაციის დაზიანება
- ფაუნასთვის შემაწუხებელი პირობები
- მუშების ბანაკებში ცუდი სანიტარიის გამო დაბინძურება

- კერძო მიწის დროებითი ან სამუდამო ჩამორთმევა, მიწის შეძენის აუცილებლობასთან დაკავშირებული გადასახლება (დაგეგმარების ამ ეტაპზე არ არის შეტყობინება გადასახლების ზეგავლენაზე, თუმცა ვინაიდან ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, აუცილებელია მისი მკაცრი კონტროლი)
- კულტურულ მემკვიდრეობებზე არაპირდაპირი ზეგავლენა დაკავშირებულია შემთხვევებთან, როდესაც შეუფერებელი ობიექტები შენდება და მუშაობს ისტორიულ მონუმენტებთან, რელიგიური მნიშვნელობის მქონე ადგილებთან ან სასაფლაოებთან სიახლოვეში. ტრადიციული რეკრეაციული და დასვენების ზონები ცვლიან მონუმენტის ან ადგილის „ატმოსფეროს“ აღქმას.

ისტორიული შენობების და მონუმენტების შენახვა-რესტავრირება განმარტებით მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის შენახვას. თუმცა, არასწორი დაგეგმვა და დიზაინი, დაუბალანსებლობა რესტავრაციის და შენახვის სტრატეგიებს შორის შეიძლება მიზეზი გახდეს მიუღებელი ცვლილებებისა რაც საბოლოო ჯამში დააზიანებს კულტურულ ღირებულებას ამა თუ იმ მონუმენტისა. შენახვისა და რესტავრაციის სამუშაოებში ყველა ჩართულობა უნდა აკმაყოფილებდეს ქართული კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, და დიზაინი უნდა დამოწმებულ იქნას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ. თუმცა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დამოწმების გარდა აუცილებელია საჯარო კონსულტაციები და კონსენსუსის მიღწევა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეკლესიასთან და აკადემიკოსებთან.

ყველა ეს რისკი არის მართვადი სწორი დიზაინის, მშენებლობის, დაგეგმარების და ოპერაციების პრაქტიკით.

ზემოთ ხსენებული პირდაპირი ზეგავლენა გარემოზე და კულტურულ მემკვიდრეობებზე რელევანტურია სამივე განხილული სცენარისთვის. თუმცა, ვერტიკალური მენეჯმენტის სქემის გამოყენება, კარგი დარგთაშორისი კოორდინაცია და მკაცრი კონტროლი შემამსუბუქებელი ზომების ეფექტურობას ზრდის კარგი სამშენებლო და გარემოსდაცვითი პრაქტიკების საფუძველზე. უფრო ეფექტური და მკაცრი პროცედურები სამშენებლო ადგილის შერჩევისას, დაცულ ტერიტორიებზე და მგრძობიარე არეალებზე ზეგავლენის თავიდან არიდებას ხდის შესაძლებელს.

ვერტიკალური მენეჯმენტის სქემით (სცენარი 1) დანახული ტურისტული ობიექტების და დამხმარე ინფრასტრუქტურის კოორდინირებული განვითარება გაზრდილი რაოდენობის ნარჩენების და ჩამდინარე წყლების პრობლემების მოგვარების და მათთან დაკავშირებული დაბინძურების თავიდან არიდების შესაძლებლობას იძლევა, დისბალანსი გაზრდილი ტურისტების ნაკადისა და ადგილობრივ სანიტარულ ინფრასტრუქტურის ნაკლებობას შორის, რაც რეალურად სახეზეა ამჟამად და დამახასიათებელია არაკოორდინირებული განვითარების სქემებისა (სცენარი 2 და 3) აუცილებლად გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას.

შემოთავაზებული ინტეგრირებული და კოორდინირებული განვითარების გეგმა ისახავს, ტურისტული დანიშნულებების პარალელურ რეჟიმში განვითარებას. შესაძლებელი იქნება უფრო თანაბარი გადანაწილება ტურისტების ნაკადისა და ადგილობრივი გადატვირთულობის თავიდან აცილება. დიდი ტურისტული კომპლექსები ძირითადად ტრადიციულ საკურორტო ზონებშია (ზორჯომი, ზაკურიანი და ა.შ.), რომლებსაც საკმარისი გამტარობა აქვთ იმისთვის რომ უმასპინძლონ ტურისტების დიდ რაოდენობას.

გენგემის და სივრცითი ზონირების ინტეგრირებული განვითარება დააბალანსებს გამოწვეულ განვითარებასა და მასთან დაკავშირებულ ეკოსისტემებზე და ბუნებრივ ლანდშაფტზე ზეგავლენას. გაუკონტროლებელი გამოწვეული განვითარება რომელიც 2 და 3 სცენარებთან ასოცირდება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ზეგავლენასთან ბუნებრივ, სოფლის და ურბანულ ლანდშაფტზე დაუგეგმავი მშენებლობის გამო.

ტურიზმზე, დაცულ ტერიტორიებზე და დაბინძურების კონტროლზე პასუხისმგებელ სააგენტოებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა თავიდან აირიდებს ბუნებრივი რესურსების და მდგომარეობის გაუარესებას. ინტეგრირებული სქემა შესაძლებელს ხდის მენეჯერების მეორე დონის მომზადებას საჭირო სტრატეგიული კვლევების საფუძველზე: რეგიონული ნარჩენების მართვის და დაბინძურების პრევენციის გეგმის შემუშავება, დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების განახლება, რეგიონული ტყის ხანძრისგან თავდაცვის გეგმა, ეპიზოტური რისკების შეფასება. ვენერიული დაავადების გარცელების პრევენციის დაგეგმვა და ა.შ. რომლებიც მნიშვნელოვანია გარემოს რისკების კონტექსტში და დაკავშირებულია ტურიზმის განვითარებასთან.

დასკვნა

გეოტურიზმი, ტურიზმის საუკეთესო ფორმაა რომელიც ინარჩუნებს, ან შეილება ამდიდრებს კიდეც ადგილის გოეგრაფიულ ხასიათს, როგორცაა მისი კულტურა, გარემო, მემკვიდრეობა და იქ მცხოვრები მოსახლეობა. პროექტის სცენარი რომელიც არჩეულ იქნა (სცენარი 1) მოიცავს გეოტურიზმის ინტეგრირებული განვითარების მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია მრავალდარგობრივ ინვესტიციებსა და ვერტიკალური ინვესტიციების ინტეგრირებულ მართვაზე, რაც მიზნად ისახავს კოორდინირებულ განვითარებას დანიშნულების მომხიბვლელობის, გამტარუნარიანობის ზრდას, ყველაზე ეფექტური ტურისტული ჯგუფების მხარდაჭერასა და ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

სცენარი 2 და 3ის მთავარი ზეგავლენა არის მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ადგილობრივი მოსახლეობისთვის შესაბამისი სარგებლის შემცირება.

6.5 რეგიონული განვითარების III პროექტის ჩარჩოებში ქვე პროექტების სელექცია

ამ ეტაპზე 33 ქვეპროექტია წამოწეული რეგიონული განვითარების III პროექტის ფარგლებში - 17 მცხეთა-მთიანეთში და 16 სამცხე-ჯავახეთში (იხილეთ ცხრილი). ეს ცხრილი ექვემდებარება გადახედვას და შეიძლება ქვეპროექტების დამატება.

მცხეთა მთიანეთის რეგიონი

1	სამთავროს მონასტერთან ტურიზმის ინფრასტრუქტურის მოწყობა;
2	ბაგინეთის ციხემდე მიმავალი გზების გაუმჯობესება
3	ძალისას არქეოლოგიური ძეგლის საკონვერსაციო სამუშაოები და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება
4	არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლის საკონვერსაციო სამუშაოები და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება
5	მცხეთის პარკის რეაბილიტიცია და გამდიდრება

6	ჯვრის მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
7	ძველი მცხეთის კინოთეატრის გადაკეთება არქეოლოგიურ მუზეუმად
8	დუშეთში ისტორიული ქუჩების ურბანული რეგენერაცია (ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია; ქუჩის განათება; შენობის ფასადების და სახურავების აღდგენითი სამუშაოები)
9	დუშეთის პარკის აღდგენა და ხელოსნების ბაზრის დაარსება
10	დუშეთი: არქეოლოგიური ბაზის რეაბილიტაცია, მიმავალი გზებს და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება (ჭილაშვილების ციხე-დარბაზი)
11	ტურიზმის ინფრასტრუქტურის მოწყობა ანანურის ციხესთან
12	შატილის სოფლის განვითარება
13	აღმოსავლეთ კავკასიაში სალაშქრო ბილიკების და მთაში ღამის გასათევი ქოხების მოწყობა ხევსურეთში
14	სტეფანწმინდის მუზეუმის რესტავრაცია
15	გერგეთის სოფლის და გერგეთის სამების ეკლესიის გზის აღდგენა
16	დარიალის მონასტერთან პარკინგის სივრცის მოწყობა და ბერების კელიებთან მიმავალი გზის აღდგენა
17	გუდაურში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

1	ბორჯომის ისტორიული მუზეუმის აღდგენა
2	ბაკურიანის პარკის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
3	ბაკურიანის ცენტრალური გზის მომზადება
4	საფარას მონასტერში მიმავალი გზის აღდგენა
5	საფარას მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართვა
6	ახალციხეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მომზადება ტოლერანტულობის ტურისტებისთვის
7	ზარზმის მონასტერში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა
8	ურბანული რეგენერაცია აბასთუმანში (ხის სახლების რესტავრაციის ჩათვლით)
9	აბასთუმნის ობსერვატორიის რეაბილიტაცია
10	სალაშქრო ბილიკების და ღამის გასათევი გოხების მოწყობა
11	სახლების აღდგენა საროში, მიმავალი გზის და ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართვა
12	ხერთვისის კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართვა
13	ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართვა ახალქალაქის ციხესიმაგრესთან და ციხესიმაგრის განათების მოწყობა
14	სარეაბილიტაციო და უსაფრთხოების ზომების მიღება გოგაშენის სოფლისკენ მიმავალ გზაზე
15	ვანის ქვაბებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და

	უსაფრთხოების ზომების მოგვარება
16	ვარძიის გამოქვაბულებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების თანახმად, ალტერნატივების არჩევისას უნდა გამოყენებულ იქნას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს ფილტრაციის პრინციპები (იხილეთ დანართი 1). საჯარო-კერძო ინფრასტრუქტურული ინვესტიციების უფლების ქონა უნდა დადგინდეს უფლებამოსილების კრიტერიუმებით რაც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოშია დადგენილი (იხილეთ დანართი 2)

სივრცითი მოწყობის გეგმა უნდა უარყოფილ იქნას თუ ცვლის ისტორიული ძეგლების ან დაცული ტერიტორიების ხასიათს. კომპლექსური მრავალფუნქციური ალტერნატივებიდან ამორჩევისას, ისეთ სივრცით გეგმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა რომელსაც ყველაზე ნაკლები გავლენა აქვს გარემოზე.

7. RDP III პროექტი და SECHSA-ს ფარგლებში მისი განხორციელებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები

RDP III შემუშავებული იქნა მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთს რეგიონების განვითარებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული საერთო მიზნების ხელშეწყობის მიზნით, რისთვისაც იგი შერჩევით დააფინანსებს RDS-ებისა და RTDS-ების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. პროექტის მიზანია ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესება სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ტურისტული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

კომპონენტი 1: ინფრასტრუქტურული ინვესტიცია (53.25 მილიონი აშშ დოლარი)

კომპონენტი 1.1: ურბანული ცენტრების სარეაბილიტაციო სამუშაოები და ტურისტული მარშრუტის განვითარება (46.00 მილიონი აშშ დოლარი). მოცემული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება: ძველი ქალაქებისა და სოფლების რეაბილიტაცია, მათ შორის შენობათა ფასადების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, მუზეუმების, გზებისა და წყალმომარაგების სისტემების რემონტი, ასევე კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლებისა და მათთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია-მოწესრიგების სამუშაოები, ასევე მათი ცნობადობის კუთხით განხორციელებული საქმიანობა. პროდუქციის/სერვისების შექმნისა და მარკეტინგის პოტენციალის, ინფრასტრუქტურის საჭიროებისა და დასაქმების დონის გათვალისწინებით, პროექტი ფოკუსირებული იქნება იმ ტურისტულ მარშრუტზე, რომელიც აკავშირებს შერჩეულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ბუნების ძეგლებს და სათხილამურო ადგილებს. დასაფინანსებლად შერჩეული უბნები/ქვეპროექტები განხილული იქნა მთავრობასთან ერთად და ისინი შეავსებს იმ ობიექტთა რიცხვს, რომლებიც მთავრობამ უკვე დააფინანსა. ეს საქმიანობა შეიძლება დაჯგუფდეს ორ კატეგორიად:

- სამი ურბანული ცენტრის, კერძოდ კი: დუშეთის, სტეფანწმინდისა და აბასთუმნის რეაბილიტაცია. პროექტი იმუშავებს მთავრობის მიერ ადრე დაფინანსებული ურბანული პროექტების მიმართულებითაც და შესაძლოა დააფინანსოს მცირემასშტაბიანი საინვესტიციო პროექტები მცხეთაში, გუდაურში, ბაკურიანში, ბორჯომსა და ახალციხეში. დამატებითი ინვესტიციების განხორციელების საჭიროება ახალქალაქში, ნინოწმინდასა და ხერთვისში დეტალურად იქნება შეფასებული.
- შემდეგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვის გაუმჯობესება და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მისასვლელი გზების მოწყობა: საფარის მონასტერი, საროს დარბაზები, ზარზმის მონასტერი, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, ვანის ქვაბები, ხერთვისის ციხე, ახალქალაქის ციხე, თმოგვის ციხე, ჯვრის მონასტერი, მცხეთის არქეოლოგიური უბნები, ანანურის ციხე, გერგეტის სამების ეკლესია და დარიალის მონასტერი.

კომპონენტი 1.2: საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარება კერძო ინვესტიციების მოსაზიდად (7.25 მილიონი აშშ დოლარი). რეგიონში კერძო სექტორის ინვესტიციების წახალისების მიზნით, ეს კომპონენტი დაეხმარება პროექტის არეალში მოქმედი კერძო სექტორის იმ სუბიექტების წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობას, რომელთაც ტურიზმის ან აგრობიზნესის სფეროში ინვესტირების ინტერესი და უნარი გააჩნიათ. კერძოდ, ამ მიზნით დაფინანსდება ისეთი დამხმარე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც საჭიროა კერძო ინვესტიციების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (მაგ., ინვესტიციების სიახლოვეს არსებული საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები, გზები/ტროტუარები, წყალმომარაგების/საკანალიზაციო სისტემა, კომუნიკაციები, მაგისტრალურ

გზებთან დამაკავშირებელი მონაკვეთები და სხვა). საინვესტიციო წინადადებებს გადაარჩევს სპეციალური შემრჩევი კომიტეტი, რომელიც დააკმაყოფილებს სათანადო პირობებს.

კომპონენტი 2: ინსტიტუციური განვითარება (6.60 მილიონი აშშ დოლარი). მოცემული კომპონენტი ხელს შეუწყობს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP), ეროვნული მუზეუმის, პროექტების განმახორციელებელი ერთეულის (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, MDF), ასევე სხვა ადგილობრივი თუ რეგიონული უწყებების ინსტიტუციურ განვითარებასა და ფუნქციონირებას, რათა მათ შეეძლოთ შემდეგი საქმიანობის განხორციელება: მმართველობითი ერთეულის დაარსება თითოეულ რეგიონში; მარკეტინგი და რეკლამირება; პროექტით მოცული ყველა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის მდგრადი მართვის გეგმების მომზადება; კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული განვითარება; კულტურული მემკვიდრეობის მრჩველთა სამსახურის შექმნა NACHP-თვის, რათა მან უკეთ შესძლოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის - მცხეთის ისტორიული ძეგლის დაცვა, მართვა და არ დაუშვას მისი ამოღება საშიშროების ქვეშ მყოფი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან; ტურიზმის სექტორში მომუშავე SME-ებისთვის საქმიანობის დაწყება-გაფართოებისთვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურება; საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება; ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის, საპროექტო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის განხორციელება.

RDP III-ის განხორციელების პროცესი

SECHSA-ს შედეგად გამოვლენილი იქნა, რომ RDS-ებისა და RTDS-ების შემუშავებისას ძირითადი ინსტიტუტები არაკოორდინირებულად მოქმედებდნენ. RDP III-ის განხორციელების პროცესში მსგავსი პრობლემის თავიდან ასაცილებლად, SECHSA-ს ფარგლებში შემუშავებული იქნა მენეჯმენტის სისტემის გაძლიერების რეკომენდაცია. RDP III-ით გათვალისწინებული ტექნიკური დახმარება არა მხოლოდ RDP III-ის განხორციელებაში ჩართული ცალკეული უწყებების ორგანიზაციულ განვითარებას უზრუნველყოფს, არამედ შესაძლოა RDP III-ისთვის უფრო ეფექტური, სექტორთაშორისი მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბებასაც შეუწყოს ხელი. პროექტის მრავალსექტორული ხასიათის გამო, SECHSA-ს შედეგად რეკომენდირებული იქნა არაფორმალური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა უწყება, მათ შორის: მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გუბერნატორის ადმინისტრაცია, ფინანსთა სამინისტრო და რეგიონული განვითარებისა & ინფრასტრუქტურის სამინისტრო. სამუშაო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს კოორდინაცია და სათანადო უწყებების ეფექტურად ჩართულობა. იგი პასუხისმგებელი უნდა იყოს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაზე.

MDF-ი პასუხისმგებელი იქნება RDP III პროექტის განხორციელებაზე. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორცაა ქვე-პროექტების შერჩევა, წამყვანი როლი სამუშაო ჯგუფს ექნება. ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავებაში, ასევე ინფრასტრუქტურული და კონსერვაცია-რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებაში წამყვანი როლი აკისრია MDF-ს, რომელიც RDP III-ის განმახორციელებელ სააგენტოს წარმოადგენს. კონსერვაცია-რეაბილიტაციის პროექტების შემუშავებისას წამყვანი როლი ეკისრება NACHP-ს, როცა ეს ქვე-პროექტები დასაფინანსებლად RDP III-ში წარედგინება. განხორციელებული პროექტების ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობა იქნება. MDF-ი და ადგილობრივი თვითმმართველობები ხელს მოაწერენ ქვე-პროექტების დაფინანსების ხელშეკრულებას,

სადაც ცხადად იქნება განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობა ყველა გადაცემული აქტივის ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაზე.

არანებაყოფლობითი ადგილმონაცვლეობა და გასაჩივრების მექანიზმი

RDP III-სთან დაკავშირებით მოქმედებს მსოფლიო ბანკის პოლიტიკა OP 4.12 "არანებაყოფლობითი ადგილმონაცვლეობა". ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებული ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ადგილსამყოფელის დროებით შეცვლასა და/ან შემოსავლის ან საწარმოო აქტივების დაკარგვასთან მშენებლობის პერიოდში. თუმცა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამუდამო ადგილმონაცვლეობის შემთხვევებსაც. პროექტისთვის მომზადდა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც პოლიტიკით გათვალისწინებული წესის მიხედვით გასაჯაროვდა. ამას გარდა, სამიზნე რეგიონებში განხორციელდა საბაზისო სოციალური კვლევა. აღნიშნული სოციალური კვლევის შედეგები სრულიად საკმარისია განსახლების საქმიანობისათვის. კერძოდ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან კონსულტაციები გაიმართება ადვილად მისადგომ ადგილებში, მათთვის გასაგებს ენაზე და შეხვედრების შედეგები გასაჯაროვდება. ინფორმაცია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების შესახებ იმგვარად შეგროვდება, რომ შესაძლებელი გახდეს იმ საკითხების გამოვლენა, რომელთა გამოც ეს პირები ან მათ ოჯახები განსკუთრებით მოწყვლადები არიან პროექტის ზემოქმედების მიმართ და მასთან გამკლავება არ შეუძლიათ. მოწყვლადობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება გენდერი, შეზღუდული შესაძლებლობები, შემოსავალი, განათლება და ასაკი. მცხეთა-მთიანეთში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მთიანი დასახლებების მოსახლეობას.

ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებული საქმიანობა უნდა მოიცავდეს საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებებს. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირები შეძლებისდაგვარად ჩართულნი იქნებიან პროექტის ფარგლებში დაფინანსებული უნარ-ჩვევების განვითარების აქტივობებში. როცა ეს ვერ ხერხდება, პროექტი შეეცდება ეს პირები დააკავშიროს სახელმწიფოს ან დონორების მიერ დაფინანსებულ სხვა ღონისძიებებში, რომლებიც უნარ-ჩვევების განვითარებას, შემოსავლების გაზრდას, ან ფინანსური რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ემსახურება. თუკი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირებისათვის სათანადო აქტივობების მოძებნა ვერ მოხერხდა, RDP III ამ პირებს გამოუყოფს მცირე ბიზნესის დასაწყებად, უნარ-ჩვევების შესაძენად, ან სხვა საარსებო საშუალებების გასავითარებლად საჭირო თანხებს. RDP III განსაკუთრებულ ძალისხმევას მოახმარს საარსებო საშუალებების აღდგენის საქმიანობაში ქალების ან პენსიონერების ჩართვას, რადგანაც, სავარაუდოდ, ამ ორ ჯგუფს უფრო მეტად გაუჭირდება სხვა საარსებო საშუალების მოძიება.

ადგილმონაცვლეობისა და მიწის შესყიდვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება სისტემატურად უნდა განხორციელდეს. ადგილმონაცვლე პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე, ასევე საარსებო საშუალებათა აღდგენის ღონისძიებებში ჩართულ პირებზე ზემოქმედების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სპეციალურად შემუშავებული განსახლების სამოქმედო გეგმების განხორციელებისთანავე, ასევე ადგილმონაცვლეობიდან 6 და 12 თვის შემდეგ. თუ ადგილმონაცვლეობიდან 12 თვის შემდეგ დაფიქსირდება ისეთი უარყოფითი ზემოქმედება, როგორცაა შემცირებული შემოსავალი, აუცილებელი იქნება ამგვარი პირებისთვის დამატებითი დახმარების აღმოჩენა.

ტექნიკური დახმარების გაერთიანება ტურიზმისა და აგრობიზნესის სფეროში მომუშავე SME-ების ეფექტიანობის ასამაღლებლად

RDP III-თი გათვალისწინებული ტექნიკური დახმარების შედეგები შეიძლება მაქსიმუმამდე გაიზარდოს WB-ს მიერ მხარდაჭერილი RDP, RDP II და RDP III პროექტების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების კოორდინირებით. SME-ს ხელშეწყობა ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში საჭიროა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, რადგანაც ეს სამინისტრო ახორციელებს SME-ს მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამას. შესწავლილი უნდა იქნას დონორთა მიერ SME-ს მხარდაჭერის მიზნით დაფინანსებულ პროექტებთან პარტნიორობის შესაძლებლობები. SME-ების ტექნიკური დახმარება უნდა მოიცავდეს ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებას არსებული მცირეწარმოების ტექნოლოგიებისა და ზოგადად, მწვანე ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე SME-ებისათვის ამ ტექნოლოგიების დანერგვის მასტიმულირებელი უნდა იყოს.

SME-ს განვითარების მხარდაჭერის მიზნით აღმოჩენილი ტექნიკურ დახმარების ფარგლებში ასევე საჭიროა SME-ზე პასუხისმგებელი სახელისუფლებო უწყებებისთვის კონსულტაციების აღმოჩენა SME-ს მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კუთხით არსებულ მაღალეფექტურ ტექნოლოგიებსა და მეთოდებთან დაკავშირებით. კერძოდ, საჭიროა 'ბიზნეს ინკუბატორების' კონცეფციის, ან სხვა ისეთი მიდგომების ხელშეწყობა, რომლებიც კომპლექსურად უდგება SME-ს განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა ძირულ საკითხს. 'ბიზნეს ინკუბატორების' კონცეფცია მოიცავს შემდეგს: ა) ფინანსების უზრუნველყოფა ბიზნეს-საქმიანობის წამოსაწყებად; ბ) საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ფინანსების მართვისა და მარკეტინგის საკითხებზე; გ) საკონსულტაციო მომსახურების გაწევა თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით და ამ ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; დ) თანამედროვე მასალებზე, მანქანა-დანადგარებზე და ეფექტურ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ე) საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ახალი და პერსპექტიული ბაზრების დაპყრობასთან დაკავშირებით და ასეთ ბაზრებზე გასვლის ხელშეწყობა; ვ) ბიზნეს ინკუბატორები, როგორც მეწილეები (მუდმივი, ან დროებითი), პასუხისმგებლობას ინაწილებენ საწარმოს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით.

ტექნიკური დახმარების გაერთიანება სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად
SME-ს ხელშეწყობის მიზნით ბიზნეს ინკუბატორების ან სხვა მსგავსი წარმონაქმნების განვითარებასთან ერთად, SECHSA-ს ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციაა ისეთი სპეციფიური წარმონაქმნების ჩამოყალიბებაც, რომლებიც ქალებსა და მოწყვლად ჯგუფების (მაგ., იძულებით გადაადგილებული პირები, უნარმეზღვეულები, ან ასაკით პენსიონერები) პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და ბიზნეს-საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობებს შეუქმნიდა. ასეთი წარმონაქმნები შეიძლება მიკრო-საფინანსო ინსტიტუტების ბაზაზე შეიქმნას და მათი ყოველდღიური საქმიანობა შეავსოს ტრენინგ-პროგრამებით (მარკეტინგი, მარტივი ტექნოლოგიები, ფინანსური მართვა), რაც ხელნაკეთი ნივთების, სუვენირების, შინაური საკვების, ეროვნული ტანსაცმლისა წარმოებით დაინტერესებულ ფიზიკური პირებისათვის მხარდაჭერა იქნება.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოების ჩართვა ძეგლების შერჩევასა და ძეგლების შემოგარენში განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავებაში

RDP III-ის მე-2 კომპონენტი დააფინანსებს კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის მართვის საკითხებზე მომუშავე რამდენიმე დაწესებულების ორგანიზაციულ განვითარებას და თანამშრომლების ტრენინგებს. RDP და RDP II პროექტებიდან მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოების ჩართვა პროექტის ფარგლებში დაფინანსებული მატერიალური კულტურული რესურსების ქვე-პროექტების განხილვის, შემუშავებისა და განხორციელების ყველა ეტაპზე.

ამას გარდა, საჭიროა კონსულტაციები ეკლესიასთანაც, როცა RDP III საქმიანობას აფინანსებს ღვთისმსახურების ადგილების შემოგარენში. განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ინსტიტუტების (ICOMOS, UNESCO) რეკომენდაციების და მითითებების გათვალისწინება. საქართველოს კულტურის სამინისტროს შეყვანა RDP III-ის განმახორციელებელი უწყების - MDF-ის სამეთვალყურეო საბჭოში უზრუნველყოფს პოლიტიკურ კონსენსუსს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კონსერვაციისა და მდგრადი სარგებლობის კუთხით პროექტის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს.

კულტურული მემკვიდრეობის უბნების შემოგარენში მოწყობილი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები

საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ობიექტები, რომლებიც RDP III-ს ფარგლებში მოეწყობა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე გაშენდება. მშენებლობის პერიოდში შესაძლოა საჭირო გახდეს მიწის ნაკვეთზე სარგებლობის უფლების MDF-ისთვის გადაცემა, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში იმ სუბიექტისთვის, ვინც ექსპლუატაციას გაუწევს მოწყობილ ინფრასტრუქტურას. ამ შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს მუნიციპალიტეტს, კერძო კომპანიას, ან ეკლესიას. მიწის საკუთრებასთან და სარგებლობასთან, ასევე ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დროულად უნდა დაიდოს. შესაძლოა საჭირო გახდეს ინფრასტრუქტურის ოპერატორი სუბიექტების ინსტრუქტაჟი და სწავლება მათ მიერ განსახორციელებელ გარკვეულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

8. გავრცელება და კონსულტაცია

8.1 ჩატარებული კონსულტაციები

8.1.1 საკონსულტაციო პროცესი კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეზიუმეს გავრცელებამდე

შეხვედრები სამიზნე რეგიონებში

მუნიციპალური განვითარების ფონდმა და მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორებმა ჩატარეს პრეზენტაციები და საკონსულტაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლება ჩატარეს პრეზენტაცია რეგიონული განვითარების III პროექტის შესახებ. ზოგადი კონტექსტი და მთავარი პრინციპები იქნა ახსნილი, ამ პროექტის ჩარჩოებში არსებული ქვეპროექტების სია იქნა ზედაპირულად განხილული და 2015 წლისთვის არჩეული პროექტების დეტალური გარჩევა მოხდა.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების ძირითადი მიზნები, მისი მიდგომები, კავშირი რეგიონული განვითარების და რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიებთან და სტრატეგიული ზეგავლენის საკითხის მნიშვნელობა განიხილა მისმა კონსულტანტმა.

მცხეთა-მთიანეთში მთავარი საკითხი რაც იქნა ხალხის მიერ წამოყენებული კარგად მოწყობილი კონსულტაციის პროცესი იყო. ხსენებულ იქნა, რომ მაგალითად მოსახლეობა არ არის ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის წინააღმდეგი, რომელიც მცხეთა-თიანეთის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტია. თუმცა, დეტალური საჯარო კონსულტაციებია საჭირო ისეთ საკითხებზე როგორც თემის უსაფრთხოება და სარგებელია. სამოქმედო გეგმას რაც შეეხება, საჯარო კონსულტაციები ტარდება ქვეპროექტების არჩევის ეტაპზე რომელიც ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტითა და საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდით.

კონსულტაციები მეცნიერებისა და ექსპერტების ჯგუფებთან

ვრცელი კონსულტაციები ჩატარდა უნივერსიტეტებთან, აკადემიკოსებთან და გარემოს ექსპერტებთან კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეპორტის მომზადების დროს. კონსულტაცია მოხდა შემდეგ მეცნიერებთან და ექსპერტებთან:

- ა. კანდაუროვი (ეკოლოგია, ფაუნა, დაცული ტერიტორიები);
- გ. სოფაძე (ნიადაგი და ლანდშაფტი),
- მ. გაფრინდაშვილი (გეოლოგია, გეოსაფრთხის რისკები),
- ბ. უკლება (ჰიდროლოგია),
- ი. კავილაძე (ნარჩენების მართვა)
- მ. ქიმერიძე (ეკოლოგია, ფლორა),
- ლ. ახალაია (კულტურული მემკვიდრეობა)

კონსულტაციები ჩატარდა გარემოს საკითხებთან დაკავშირებით რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან:

- Orchis
- Campester
- Ecovision

- WEG etc.
- Information Center for Social Reforms
- ISR

ეს კონსულტაციები ფოკუსირებას ახდენენ ადგილობრივი ეკოლოგიურ და სოციალურ მდგომარეობის აღწერაზე და შესწავლაზე, და მათზე შესაძლო გავლენის ანალიზზე. ამ კონსულტაციების შედეგები აღწერილია კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეპორტის 7, 8 და 9 თავებში.

8.1.2 კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეზიუმეს გავრცელება

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების რეზიუმე გავრცელდა მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-საიტზე 2015 წლის თებერვალში.

8.1.3 ჩატერებული კონსულტაციები რეზიუმეს გავრცელების შემდეგ

რეზიუმეს შემუშავების დროს, შემდეგი ორგანოებთან მოხდა კონსულტაციები:

2015 წლის თებერვალში შეხვედრები შედგა

- მუნიციპალური განვითარების ფონდი (პროექტის შემსრულებელი სააგენტო)
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- საქართველოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
- საქართველოს ეროვნული ტურისტული სააგენტო
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
- ეროვნული სატყეო სააგენტო

26 თებერვალი, 2015; თბილისი, მუნიციპალური განვითარების ფონდი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. რუსუდან მირზიკაშვილი, საქართველოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;
2. ანი გვენეტაძე, საქართველოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;
3. დავით ტყეშელაშვილი, საქართველოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;
4. ბესიკ მაცაბერიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
5. თამარ მანუჩაძე, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია
6. მედეა ჯანიაშვილი, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია;
7. დავით ტაბიძე, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
8. ანა რუხაძე, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
9. მედგარ ჭელიძე, კონსულტანტი.

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების (კმზსგსშ) კონსულტანტმა წარუდგინა შეხვედრის მონაწილეებს კმზსგსშ-ს ჩართულობა რეგიონული განვითარების და რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიებში სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში, და წარუდგინა

პირველადი აღმოჩენები. კმბსგსმ-ს კონსულტანტმა თხოვა მონაწილეებს თავიანთი აზრის მოხსენება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით რაც უკავშირდება რგს-ს და რტგს-ს. ასევე შეიტყო მათი მოსაზრება რგს-ის, რტგს-ის, რგპ III-ის დაგეგმარების და მართვის შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი

კომენტარები ადმინისტრაციულ სისტემაზე: დადასტურდა რომ შემოღებულ სამართლებრივ ცვლილებებთან ერთად, რომელიც პასუხისმგებლობას ყოფს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს შორის, ინფრასტრუქტურული პროექტების იმპლემენტაციის და შენახვა/აღდგენითი სამუშაოების დროს, პასუხისმგებელი პირი უფლებების გაცემაზე და მონიტორინგზე არის ეკმდ.

რგს და რტგს: ორივე ზემოთ ხსენებული ერთეული რაღაც დონემდე ჩართული იყო რგს-ს და რტგს-ს განვითარების პროცესში, და მუშაობდნენ შესაფერის ნაწილებზე. ეკმდ-ს ჩართულობა რტგს-ს განვითარებაში შემოიფარგლებოდა სემინარში მონაწილეობით, სადაც ნახსენები სტრატეგია იყო წარდგენილი

რგპ III-თან მიმართებაში: სამუშაო ჯგუფის დაფუძნება პროექტის ეფექტურად მართვის მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნება და კოორდინირებული იმპლემენტაციის პოპულარიზაციას მოემსახურება

ქვეპროექტების სია რომლის იმპლემენტაცია რგპ III-ის ჩარჩოებში მოხდა, ეკმდ-ს აზრით ცვლილებებს საჭიროებს. სესხის ხელშეკრულება ასეთ ცვლილებების საშუალებას უნდა იძლეოდეს. იმის მაგივრად რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მოხდეს მონასტრების სიახლოვეს, სააგენტო თვლის რომ ჯობია ურბანული აღდგენით პროექტებსა და მუზეუმების რეაბილიტაციაზე მოხდეს აქცენტის გაკეთება. სააგენტო არ თვლის თანხების დიდი ოდენობით მონასტრების და ეკლესიის სიახლოვეს ტურისტულ ინფრასტრუქტურის განვითარებაში დახარჯვას მიზანშეწონილად.

პროექტის მოთხოვები უნდა ჩამოყალიბდეს ყველა ჩართული მხარის აქტიური მონაწილეობით, ეკლესიის ჩათვლით. საპატრიარქოს საბჭოსთან, ეპარქიებთან და მონასტრის მთავრებთან პროექტის დიზაინის შეთანხმება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ მათი ჩართულობა ადრეულ ეტაპებზე ძალიან მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევაში თუ შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება ეკლესიის წარმომადგენლებთან, ქვეპროექტისთვის გამოყოფილი თანხების გამოყენება სხვა მიზნებისთვის უნდა იყოს შესაძლებელი.

პროექტის იმპლემენტაცია უნდა ჩატარდეს პროფესიონალი რესტავრატორების (და არა

მხოლოდ არქიტექტორების) მიერ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აბასთუმნის ურბანული რეაბილიტაციის შემთხვევაში, სადაც უმეტესობა სახლების კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ტენდერის აუცილებელი პირობა უნდა იყოს საქმის დიზაინის შესრულება კვალიფიციური რესტავრატორის მიერ.

ტენდერის დამატებითი მოთხოვნა უნდა იყოს რესტავრირების გარკვეული გამოცდილების ქონა. ხანდახან, ტენდერის ერთი პუნქტი რამდენიმე ტიპის სამუშაოს მოიცავს. თუ კი ესეთი პუნქტი რესტავრაციასაც მოიცავს, მაშინ გამარჯვებულ კომპანიას აუცილებლად უნდა ქონდეს შესაბამისი გამოცდილება.

არქეოლოგის მუდმივი ზედამხედველობა აუცილებელია ბაგინეთის გზის რეაბილიტაციის შემთხვევაში. ტურიზმის სააგენტო მიზანშეწონილად თვლის რეგიონული განვითარების პროექტი 3-ის რესურსების საჯარო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად მიმართვას, რაც თავის მხრივ მოიზიდავს კერძო ინვესტიციებს და საბოლოო ჯამში განვითარდება ადგილობრივი ტურიზმი.



27 თებერვალი, 2015; თბილისი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

შეხვედრას ესწრებოდა:

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია
1	გიზო ჭელიძე	გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	მობ. 599069912 g.chelidze@moe.gov.ge
2	მაია ჯავახიშვილი	გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	მობ. 595119751 m.javakhishvili@moe.gov.ge
3	მარინა სუჯაშვილი	ეროვნული სატყეო სააგენტო, ტუის მოვლის და რესტავრაციის ხელმძღვანელის მოადგილე	მობ. 595300992

4	დავით ტაბიძე	მუნიციპალური განვითარების ფონდი
5	ანა რუხაძე	მუნიციპალური განვითარების ფონდი
6	მედგარ ჭელიძე	კმზსგსშ-ს კონსულტანტი

კმზსგსშ-ს კონსულტანტმა წარუდგინა შეხვედრის მონაწილეებს კმზსგსშ-ს ჩართულობა რეგიონული განვითარების და რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიებში სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში, და წარუდგინა პირველადი აღმოჩენები. კმზსგსშ-ს კონსულტანტმა თხოვა მონაწილეებს თავიანთი აზრის მოხსენება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით რაც უკავშირდება რგს-ს და რტგს-ს. ასევე შეიტყო მათი მოსაზრება რგს-ის, რტგს-ის, რგპ III-ის დაგეგმარების და მართვის შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

რგს-ები: საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ დაადასტურა მისი ჩართულობა რგს-ების განვითარებაში, უფრო კონკრეტულად იგი იყო სამუშაო ჯგუფის წევრი რომელიც ჩართული იყო ამ პროცესში. სამინისტრო ასევე ჩართულია ამ პროგრამების რეალიზაციაში, რომლის ერთერთი მიმართულებაც ასოცირდება გარემოს დაცვასთან. დაცული ტერიტორიების სააგენტო და ეროვნული სატყეო სააგენტო აქტიურად იყვნენ ჩართულები რგს-ების განვითარებაში, კერძოდ ტყეების რაციონალური მართვის სისტემის შემუშავებაში. სატყეო სტრატეგია შემუშავებულია. ტყის პარაზიტებისგან დაცვის პროგრამები შესრულებულია ორივე რეგიონში და ძალიან ეფექტურია. ეროვნულმა სატყეო სააგენტომ დაარსა 5 სანერგე-ბაღი. ასევე მიმდინარეობს ტყის აღდგენითი სამუშაოები სამცხე-ჯავახეთში რომელიც 2008 წელს განადგურდა. სატყეო სააგენტოს ინიციატივით ასევე მიმდინარეობს სანერგე-ბაღების სკოლის პროექტიც. სააგენტო ასევე მუშაობს წითელ სიაში დატანილი მცენარეების სართიჭალას სანერგე-ბაღში გაზრდაზე. ეს მცენარეები მოახდენენ კომპენსაციას წითელ სიაში დატანილი ხეების მოჭრის შემთხვევაში პროექტის იმპლემენტაციის დროს. გარკვეული აქტივობები იგეგმება კატასტროფის რისკის შესამცირებლად სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში.

რტგს-ები: გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არ იყო ჩართული რტგს განვითარებაში ანდ რეგიონული განვითარების III პროექტის დაგეგმარებაში.



რამდენიმე საჯარო კონსულტაციების შეხვედრა ჩატარდა 2015 წლის თებერვალში, კმბსგსმ-ს რეზიუმესთან და რეგიონული განვითარების პროექტის გარემოსა და სოციალურ ჩარჩოებთან დაკავშირებით

18 თებერვალი, 2015

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის ოფისი; რუსთაველის ქ. 27, დუშეთი ესწრებოდნენ

1. ბექა ღარიბაშვილი, “დუშეთის მუნიციპალიტეტი – გუბერნატორის პირველი მოადგილე”
2. ნიკო დუდაური, “დუშეთის მუნიციპალიტეტი - არქიტექტურის დეპარტამენტის უფროსი”
3. ემზარ სინძარაძე, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი - არქიტექტურის სპეციალისტი ”
4. ზურა ხაჩური, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი - ქონების მართვის და ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი”
5. ამირან ძაღერიშვილი “ დუშეთის მუნიციპალიტეტი - ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დეპარტამენტის ხელმძღვანელი”
6. ქეთევან წიკლაური, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი – განათლების, სპორტის, კულტურისა და ძეგლების დაცვის დეპარტამენტის”
7. დოდო ჩოხელი, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი – ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსი”
8. რაზთენ დუდაური, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი - ურბანული განვითარების და სივრცითი მოწყობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი”
9. შადი ხადად, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი – კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი”
10. პაატა მიდდისელი, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი – შიდა აუდიტის ხელმძღვანელი”
11. მიხეილ კარიაული, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი - კოორდინირების ერთეულის ხელმძღვანელი”
12. ზიზი პაპიაშვილი, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი - საზოგადოებასთან ურთიერთობა”
13. ტარიელ ჩხუტიაშვილი, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი
14. თინათინ ცოცხალაშვილი, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი - გუბერნატორის ასისტენტი”
15. გიორგი ლაპანაშვილი, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი – კომისიის თავმჯდომარე”
16. ვაჟა ჩინჩარაული, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი – სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე”
17. მერი პოლადაშვილი, “ დუშეთის მუნიციპალიტეტი”
18. ზურაბ რევაზიშვილი, “ეკო-სპექტრ ”

19. ბერიკ ხუციშვილი, “ ერთობა მთა და ბარი ”
20. ოთარ დუდაური, “ ერთობა მთა და ბარი ”
21. ვანო კურტანიძე,
22. ნიკა საბაშვილი- “ორგანიზაცია მოქალაქე”- პროექტი “სტუდენტური თვითმართველობა“
23. რობი ნადირაძე, “ორგანიზაცია მოქალაქე”- პროექტი “სტუდენტური თვითმართველობა“
24. ნინო პატარაშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
25. მიხეილ წერეთელი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;;
26. ელგუჯა კვანჭილაშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;

ნინო პატარაშვილმა გახსნა შეხვედრა, მიესალმა მონაწილეებს და განიხილა შეხვედრის მიზნები. მოკლედ მოახსენა დამსწრე საზოგადოებას რეგიონული განვითარების III პროექტის შესახებ, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით იქნება ჩატარებული. პატარაშვილმა აღნიშნა რომ პროექტის მიზანი არის ინფრასტრუქტურის სერვისების და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება რადგან ხელი შეეწყოს ტურიზმის ბიზნესის და კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტების განვითარებას სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. მან აღნიშნა რომ ეს პროექტი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება და მისი წინამორბედების რგპ I-ის და რგპ II-ის მსგავსია რომლებიც კახეთსა და იმერეთში ტარდება. პატარაშვილმა ისაუბრა პროექტის დაფინანსებაზე და ახსენა რომ სავარაუდო ბიუჯეტი მოიცავს მსოფლიო ბანკის სესხს 60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, და საქართველოს მთავრობის წვლილს - 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. მთლიანი პროექტის ღირებულება 75 მილიონი აშშ დოლარია. პროექტი ფარავს სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს, და შესრულებულ იქნება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. პატარაშვილმა მოკლედ განიხილა მსოფლიო ბანკის გარემოს და სოციალური დაცვის პოლისის მოთხოვნების შესახებ რომელიც რგპ III-ის და მის ქვეპროექტების შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ირაკლი კავილაძე მიესალმა საზოგადოებას და წარადგინა გარემოს და სოციალური მართვის ჩარჩოს დრაფტი. მან აღნიშნა რომ რგპ III კატეგორია B-ს განეკუთვნება, ამიტომ მხოლოდ B და C კატეგორიის ქვეპროექტები იქნება დაშვებული ამ ჩარჩოში. მან მოკლედ განიხილა მსოფლიო ბანკის დაცვითი პოლიტიკა; მან ასევე განიხილა სტრუქტურა და შიგთავსი გარემო და სოციალური დოკუმენტაციისა რისი შექმნაც იქნება საჭირო ყველა ქვეპროექტისთვის. კავილაძემ ასევე ისაუბრა პროექტის იმპლემენტაციაში ჩართული მხარეების გარემო და სოციალურ ვალდებულებებზე, ინფორმაციის წარდგენის პროცესზე და საჯარო კონსულტაციებზე რომლებიც ჩასატარებელი იქნება გარემოს მართვის გეგმებთან დაკავშირებით. მან ასევე განიხილა გარემოსდაცვითი პროცედურები, რომლებსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი ატარებს ქვეპროექტის იდენტიფიკაციის, შეფასების და იმპლემენტაციის ეტაპებზე.

კავილაძემ განაგრძო განსახლების პოლიტიკის ჩარჩოებზე პრეზენტაციით. მან აღნიშნა რომ დოკუმენტი აღწერს პრინციპებსა და პროცედურებს ყველა ტიპის განსახლების შემთხვევისთვის რაც შეიძლება რგპ III-ის ფარგლებში მოხდეს. მან ასევე განიხილა კატეგორიები და უფლებები იმ ადამიანებისა ვისაც განსახლება შეეხო, და ანალიტიკური სამუშაოები და დოკუმენტები რისი მომზადებაც აუცილებელია განსახლების მოქმედების გეგმის იმპლემენტაციის დაწყებამდე, პროცესში და დასრულების შემდგომ. მან ასევე

განიხილა მსოფლიო ბანკის მთავარი პრინციპები და მოქმედების პოლიტიკა იძულებით გადასახლების შემთხვევაში. მან აღწერა საჯარო კონსულტაციების შედეგები როგორ ჩაითვლებოდა განსახლების მოქმედების გეგმის განვითარებაში და როგორ იმუშავებს ჩივილების მექანიზმი.

საბოლოოდ, კავილამებ ისაუბრა გარემოს, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის შეფასების შესახებ რომელიც მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ჩატარდა რგპ III-ის შექმნისა და იმპლემენტაციისთვის. მან წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას კმბსგშ-ს რეზიუმე და აუხსნა მათ როგორ მოხდებოდა რეგიონში არსებული დაინტერესებულ პირებთან კონსულტაცია რეზიუმეს დასრულებამდე.

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ, მონაწილეებს საშუალება მიეცათ კომენტარების გასაკეთებლად და კითხვების დასასმელად. უმეტესობა დასმული კითხვებისა უკავშირდებოდა ქვეპროექტების სელექციის და დაფინანსების პროცედურებსა და პრიორიტეტებს. განსახლების საკითხთან დაკავშირებით, ინტერესი გაჩნდა ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებით.

დასმული კითხვები და გაკეთებული კომენტარები:

კითხვა:	კომენტარი:
<p>როგორ განისაზღვრება პრიორიტეტები ქვეპროექტების დაფინანსებისას? რა არის ქვეპროექტის ციკლი: რა ეტაპების გავლა უწევს დასაწყისიდან დასასრულამდე, არის თუ არა რამე შეზღუდვები?</p>	<p>ქვეპროექტების შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტების მოთხოვნებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. არარის შეზღუდვები ან დროის ჩარჩო სელექციის პროცესში. უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ინდივიდუალური მოქმედებების რეტროაქტიულად დაფინანსება იმის გათვალისწინებით რომ სტანდარტებს აკმაყოფილებსა.</p>
<p>როგორ ხდება პროექტის და დიზაინის შემქმნელი კომპანიების არჩევა?</p>	<p>ქვეკონტრაქტორები (ორივე შემთხვევაში) ტენდერის საშუალებით ვლინდება. თუ მუნიციპალიტეტს უკვე გააჩნია დიზაინი, მაშინ არ არის საჭიროება ამ სერვისის სატენდეროდ გატანის. მზა დიზაინი გადაეცემა მუნიციპალური განვითარების ფონდს შემდგომი დამუშავებისთვის.</p> <p>თუ მუნიციპალიტეტი ვერ ახერხებს ადეკვატური დიზაინის მქონე ქვეპროექტის შექმნა, მაშინ მუნიციპალური განვითარების ფონდი ერთვება პროცესში და თვითონ ამზადებს მუნიციპალიტეტის მოთხოვნებზე მორგებულ ქვეპროექტს.</p>
<p>უკეთესი იქნებოდა კონკურსის მოწყობა პროექტის დიზაინისთვის და არა ტენდერის გამოცხადება</p>	<p>მსოფლიო ბანკის შესყიდვების გაიდლაინები არ მოიცავს კონკურსის გამოცხადებისთვის შესაბამის პროცედურებს</p>
<p>რა არის პროექტის მთავარი მიზანი და რა ცვლილებებს შეიტანს იგი?</p>	<p>პროექტის მთავარი მიზანია ინფრასტრუქტურული სერვისების და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება რადგან მოხდეს ამ რეგიონებში ტურიზმის ბაზრის განვითარება და კულტურული მემკვიდრეობების მდგრადი გამოყენება. მთავრობის მიერ ახლად წამოწყებული ინიციატივები არჩეულ რეგიონებში ეკონომიკური ზრდის დიდი სურათის ნაწილია. ტურიზმის განვითარება</p>

კითხვა:	კომენტარი:
	<p>ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ნაწილად არის აღიარებული.</p> <p>პროექტი მიზნად ისახავს რეგიონების დამატებითი ღირებულების შექმნას იმისთვის რომ ტურისტები ქალაქებიდან პროვინციების მიმართულებით გადაამისამართონ.</p> <p>ტურისტების ნაკადის ზრდა იქნება სარგებლიანი მუნიციპალიტეტებისთვის გაზრდილი შემოსავლების გამო.</p>
<p>წყლის მიწოდების და კანალიზაციის სისტემა დუშეთში არ აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს. განიხილავთ თუ არა პროექტი ამ სისტემების რეაბილიტაციას?</p>	<p>წყლის და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია რგპ III-ის ნაწილი არ არის, რადგან ამ სისტემების მართვა გაერთიანებული წყლის მომარაგების კომპანიის კომპეტენციაში შედის. ევროპული საინვესტიციო ბანკი აფინანსებს პროგრამას რომელიც მოიცავს ამ სისტემების განახლებას.</p>
<p>ვინ არის ქვეპროექტების გარემოს შეფასებასა და გარემოს მართვის გეგმაზე პასუხისმგებელი?</p>	<p>ქვეპროექტები რომელზეც კატეგორია B-ს განეკუთვნება მაგრამ სიციალური და გარემოს მაღალი რისკების მატარებელია დაექვემდებარება გარემოსა და სოციალურ გადახედვას, გარემოს მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით. უფრო დაბალი რისკების მატარებელი B კატეგორიის ქვეპროექტებისთვის, მარტივი გარემოს მართვის გეგმა საკმარისი იქნება. ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში როდესაც გარემოს დამცველი ორგანოებისგან ნებართვაა საჭირო, სრულფასოვანი გარემოზე ზეგავლენის შეფასება იქნება საჭირო. ყველა სამოქალაქო სამუშაოს შემთხვევაში, გარემოს მართვის გეგმა იქნება ტენდერის პაკეტის ნაწილი და იქნება კონტრაქტში ჩათვლილი.</p>
<p>არიან თუ არა მუნიციპალიტეტები სათანადოდ ინფორმირებული მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ქვეპროექტების შესახებ დგპ III-ის ქვეპროექტების შესახებ, და აქვთ თუ არა</p>	<p>ბევრი შეხვედრა იქნა ჩატარებული მუნიციპალიტეტებთან სადაც განხილული იყო პროექტის დაფინანსების საკითხები</p>

კითხვა:	კომენტარი:
მათ საკმარისი ინფორმაცია პროექტის დაფინანსების შესახებ?	
რა არის განსახლების პრინციპები და როგორ ფასდება ხალხის აქტივები?	<p>განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დამზადებულია მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკაზე და ქართული კანონზე დაფუძნებით. კომპენსაცია ეკუთვნის ყველა ადამიანს ვიზეც პროექტის იმპლემენტაციას პირდაპირი ზეგავლენა აქვს. კომპენსაციას მიიღებს გაფორმებული მიწის პატრონიც და არაფორმალურად მიწის გამომყენებელიც, მაგრამ კომპენსაცია იქნება სხვადასხვა.</p> <p>მიწის საფასურს მიიღებს მხოლოდ მიწის მფლობელი. სხვა შემთხვევებში ასოცირებული ხალხი კომპენსაციას მიიღებს მოსავლის ან არსებული ეკონომიკური აქტოვობის სახით.</p> <p>აქტივების შეფასება ხდება მათი საბაზრო ფასით ან შეცვლის ტარიფებით. მაგალითად: მიწის ნაკვეთი ფასდება საბაზრო ფასით, ხოლო მცენარეები კომპენსირდება შეცვლის ტარიფებით.</p>
არის თუ არა შესაძლებელი შეფასების შედეგების გაპროტესტება?	რა თქმა უნდა შესაძლებელია. ადგილობრივი ჩივილების მექანიზმი და სასამართლო ამისათვის არის გამიზნული.

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა და სხვა მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს მუნიციპალური განვითარების ფონდის, ტერიტორიების ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობას. შეხვედრის მიწურულს, ნ. პატარაშვილმა შეაჯამა შეხვედრაზე განხილული საკითხები და კომენტარები და განაცხადა რომ გარემოს და სოციალური მართვის ჩარჩოს და განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს საბოლოო ვერსიები მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-საიტზე განთავსდება. კმბსგსმ-ს ფინალური რეპორტი ასევე ფონდის საიტზე დაიდება. საბოლოო ვერსიის მთლიანი რეპორტის დრაფტი მომზადდება ორივე რეგიონში დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, და იგივე ვებ-საიტზე დაიდება. საჯარო კონსულტაციები ჩატარდება დოკუმენტის ამ ვერსიაზე, რის მერეც შეიქმნება ფინალური ვერსია და თავიდან გამოქვეყნდება.



18 თებერვალი, 2015

ახალციხის მუნიციპალიტეტის ოფისი, შალვა ახალციხელის ქ. 27, ახალციხე
Akhaltsikhe Municipality Administration Office 27, Shalva Akhaltsikhe street, Akhaltsikhe

ესწრებიან:

1. ნოდარ ბალახაშვილი, ახალციხის გამგეობა, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (
2. ალისა გიმიშიან, World Vision International, სამცხე-ჯავახეთის განვითარების პროგრამა - ბავშვთა კეთილდღობისთვის
3. დავით ლომიძე, ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარე;
4. ალექს ღამბაშიძე, სოციალური და ჯანდაცვის კომისიის ხელმძღვანელი (ახალციხის საკრებულო)
5. თეიმურაზ ბარძიმაძე, ფინანსური, ეკონომიკის და ქონების კომისიის თავმჯდომარე, ახალციხის საკრებულო
6. ბესიკ გოქსაძე, ბუნებისა და სოფლის მეურნეობის კომისია, ახალციხის საკრებულო
7. ზვიად ჯანაშვილი, გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტი, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სამცხე-ჯავახეთის განყოფილება
8. ფრიდონ ტაბატაძე, გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტი, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სამცხე-ჯავახეთის განყოფილება
9. გიორგი დიასამიძე, ახალციხის გამგეობა
10. როინი ნებაძე, სოფელი გრელი, ახალციხის მუნიციპალიტეტი;
11. როინი სუდაძე, სოფელი გრელი, ახალციხის მუნიციპალიტეტი;
12. თამაზ ზედგენიძე, სოფელი გრელი, ახალციხის მუნიციპალიტეტი;
13. ემზარ გვირგვინი, სოფელი გრელი, ახალციხის მუნიციპალიტეტი
14. ბექა იაძე, სოფელი გრელი, ახალციხის მუნიციპალიტეტი;
15. გიორგი ნებაძე, სოფელი გრელი, ახალციხის მუნიციპალიტეტი;
16. თეიმურაზ ლომიძე, სოფელი გრელი, ახალციხის მუნიციპალიტეტი;
17. ნიაზ დიასამიძე, სოფელი გრელი, ახალციხის მუნიციპალიტეტი;
18. მარინა გაჩეჩილაძე, გუბერნატორის ადმინისტრაცია;
19. იორდანე ჩაგიაშვილი, გუბერნატორის ადმინისტრაცია;;
20. გურამ მელვაძე, ახალციხის გამგეობის ხელმძღვანელის მოადგილე;
21. მერაბ ბერიძე, ახალციხის უნივერსიტეტის რექტორი;
22. ბესარიონ მელვაძე, ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის დეპარტამენტი, გუბერნატორის ადმინისტრაცია
23. ქეთევან ინასარიძე, შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, ახალციხის გამგეობა
24. ნოდარ ტალახაძე, ეკონომიკის და ქონების განყოფილების უფროსი, ახალციხის მუნიციპალიტეტი

25. ვასის სისვაძე, კულტურული განვითარების დეპარტამენტი, ახალციხის მუნიციპალიტეტი
26. ალექს ზედგენიძე, ახალციხის გამგეობა;
27. გიორგი კოპაძე, ახალციხის მერი;
28. ზაზა მელვაძე, ახალციხის გამგეობის ხელმძღვანელი;
29. გიგა გველესიანი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
30. ეკატერინე დადიანი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;;
31. ანა თავდგირიძე, მუნიციპალური განვითარების ფონდი;,,
32. თამარ ქარდავა, მუნიციპალური განვითარების ფონდი;;
33. დავით ტაბიძე, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
34. ანა რუხაძე, მუნიციპალური განვითარების ფონდი;

აკაკი მაჭუტაძემ (გუბერნატორი) გახსნა შეხვედრა და მიესალმა მონაწილეებს. მან მოკლედ მოუთხრო საზოგადოებას რგპ III-ის შესახებ, რომელიც ჩატარდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს რომ ქვეპროექტები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დადგინდა რამდენიმე დისკუსიით მსოფლიო ბანკსა და მუნიციპალური განვითარების ფონდთან (მგფ).

დავით ტაბიძემ, მოკლედ განიხილა რგპ III, რომლის მიზანი არის ინფრასტრუქტურის სერვისების და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება რადგან ხელი შეეწყოს ტურიზმის ბიზნესის და კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტების განვითარებას სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. მან ისაუბრა პროექტის დაფინანსებაზე და ახსენა რომ სავარაუდო ბიუჯეტი მოიცავს მსოფლიო ბანკის სესხს 60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, და საქართველოს მთავრობის წვლილს - 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. მან მოკლედ განიხილა არჩეული ქვეპროექტები და აღნიშნა რომ შეხვედრის მთავარი მიზანი საზოგადოებასთან კონსულტაცია არის ისეთ საკითხებზე როგორცაა გარემოს და სოციალური მართვის ჩარჩო და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო, რომლებიც მომზადდა რგპ III-ისთვის.

ანა რუხაძემ, გააკეთა პრეზენტაცია გარემოს და სოციალური მართვის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩოებზე. მან აღნიშნა რომ რგპ III B კატეგორიაში გადის და ამიტომ მხოლოდ B და C კატეგორიების ქვეპროექტები იქნება დაშვებული ამ ჩარჩოში. მან მოკლედ მიმოიხილა მსოფლიო ბანკის და ადგილობრივი კანონმდებლობის უსაფრთხოების რეგულაციები რაც რგპ III-ს შეეხება. მან ასევე წარადგინა გარემოსა და სოციალური გადახედვის რეპორტების სტრუქტურა, გარემოს მართვის გეგმის ჩათვლით, და გამარტივებული გარემოს მართვის გეგმის მოსანიშნი სია რომელიც განკუთვნილია პატარა მშენებლობებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის. მან განიხილა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების პროცედურები რასაც მუნიციპალური განვითარების ფონდი იყენებს ქვეპროექტის იდენტიფიკაციის, შეფასების და იმპლემენტაციის ეტაპებზე. ის ასევე შეეხო გარემოს მონიტორინგის და ჩივილების მექანიზმის საკითხებს.

ზემოთ ნახსენები საკითხების განხილვის შემდეგ, მონაწილეებმა დასვეს შეკითხვები. კითხვების უმეტესობა ეხებოდა პროექტის სელექციის მეთოდებსა და პრიორიტეტებს. განსახლებასთან მიმართებაში, ინტერესი გამოიწვია კომპენსაციის მექანიზმმა.

შეკითხვები	კომენტარები
შესაძლებელია თუ არა წარმოდგენილი საბუთებში გაუმჯობესებების შეტანა	არაერთხელ ითქვა რომ ესეთი სახის საკონსულტაციო შეხვედრები ამ დოკუმენტების დრაფტების განხილვას ემსახურება. უკან დაბრუნდებული ფიდბეკი დატანილ იქნება საბუთების ფინალურ ვერსიებში
ქვეპროექტების იმპლემენტაცია დაგეგმილია კულტურული მემკვიდრეობის ადგილების სიახლოვეს. შესაბამისად არსებობს მაღალი შანსები იმისა რომ გათხრითი სამუშაოების დროს არქეოლოგიური მნიშვნელობის ნივთების პოვნისა. ტურიზმის ინფრასტრუქტურის ასეთ ადგილების სიახლოვეს აშენება არ უნდა იწვევდეს არქეოლოგიური ღირებულებების დაკარგვას. სამოქალაქო სამუშაოები სარო დარბაზის სახლების, თმოგვის ციხის და საფარის მონასტრის სიახლოვეს ამ თვალსაზრისით კითხვებს აჩენს. როგორი ზომების მიღება არის შესაძლებელი ასეთი ღირებულებების დასაცავად?	<p>მკაფიოდ იყო განმარტებული რომ თუკი მშენებელი ქვეკონტრაქტორი გადააწყდება არქეოლოგიური მნიშვნელობის ნივთს, მუნიციპალური განვითარების ფონდი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამინისტროს ამის შესახებ და მისგან მიიღოს ინსტრუქცია. ფონდს არ აქვს უფლება სამუშაოების გაგრძელებაზე განკარგულების გაცემის სანამ არ მიიღებს სამინისტროსგან დასტურს რომ ყველა საჭირო ზომა იქნა მიღებული არქეოლოგიური მემკვიდრეობის შენახვისთვის.</p> <p>ახალციხის გამგეობის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ საფარის მონასტრისკენ მიმავალი გზის შეკეთება ხდება თითქმის ყოველ წელს. აქამდე ასეთი ნივთის პოვნა არ დაფიქსირებულა, თუ კი სამომავლოდ ასეთი შემთხვევა მოხდება, გაწერილი პროცედურის თანახმად მოხდება ყველაფერი</p>
რამდენიმე სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს ან არის დაგეგმილი ახალციხის ქალაქში. ასევე მიმდინარეობს წყლის მიწოდების და კანალიზაციის სისტემების სამოქალაქო სარეაბილიტაციო. უკეთესი კოორდინაცია არის საჭირო რომ არ მოხდეს გადაფარვა.	გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ახსნა რომ სამწლიანი მოქმედების გეგმა არის დამტკიცებული. ეს გეგმა შესაძლებელს ხდის ბევრი პროექტის პარალელურ რეჟიმში იმპლემენტაციას ისე რომ არ მოხდეს გადაფარვა

შეკითხვები	კომენტარები
<p>ეპისკოპოსმა ვერ შეძლო ამ შეხვედრაზე დასწრება, მაგრამ მოითხოვა რომ მართლმადიდებლური მონასტრების წარმომადგენლებს კონსულტაციები გაეარათ. მათ გააჩნიათ შეხედულებები ტურისტული ინფრასტრუქტურის ეკლესიის სიახლოვის განლაგებასთან დაკავშირებით. ეკლესიის ჩართულობა მნიშვნელოვანია.</p>	<p>ყველა რგპ IIIის ქვეპროექტი განხილულ იქნება ყველა დაინტერესებულ პირთან. ყველას ინტერესები ადექვატურად იქნება გათვალისწინებული ქვეპროექტების მომზადების პროცესში.</p>
<p>რა არის განსახლების პრინციპები და როგორ ფასდება ხალხის აქტივები?</p>	<p>განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დამზადებულია მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკაზე და ქართული კანონზე დაფუძნებით. კომპენსაცია ეკუთვნის ყველა ადამიანს ვიზეც პროექტის იმპლემენტაციას პირდაპირი ზეგავლენა აქვს.</p>
<p>შეიძლება თუ არა ადამიანმა აპელირება მოახდინოს თუ კომპენსაცია არ იქნა საკმარისი?</p>	<p>რა თქმა უნდა შესაძლებელია. ჩივილების მექანიზმი შექმნილია ქვეპროექტების გარემოს და სოციალურ პრობლემებთან გასამკლავებლად. ყველა გამგეობაში შეიქმნება საჩივრების განხილვის კომიტეტი. საჩივარი ჯერ განხილული იქნება ამ კომიტეტის მიერ რომელიც ყველანაირად ეცდება ამ საკითხს უპრობლემოდ გადაჭრის.</p> <p>თუ კი მომჩივარი უკმაყოფილო იქნება კომიტეტის გადაწყვეტილებით, შემდგომი ნაბიჯი იქნება ჩივილის მუნიციპალური განვითარების ფონდთან გადამისამართება. ფონდი განიხილავს ჩივილს ადმინისტრაციული კოდექსში წარმოდგენილი პროცედურების მიხედვით.</p> <p>თუ ფონდმა ვერ მოახერხა მომჩივარის დაკმაყოფილება, მათ შეუძლიათ საქმის სასამართლოში გადატანა.</p>

გარემოს და სოციალური მართვის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩოებზე საუბრის შემდგომ, ანა რუხაძე მოკლედ შეეხო კმბსგშ-ს რეზიუმეს, რეგიონული განვითარების და ტურიზმის განვითარების სტრატეგიების შესახებ. მან აღნიშნა შეფასების მიზანი და განიხილა რეზიუმეში წამოჭრილი საკითხები. ასევე იყო განხილული დაინტერესებულ პირთა კონსულტაციის მეთოდოლოგია და რეზიუმეს საბოლოო ვერსიის ადგილობრივ მოსახლეობასთან განხილვის გეგმა. შეხვედრის მონაწილეები ინფორმირებული იქნენ იმის შესახებ რომ ამ რეზიუმეს ესკიზი გამოქვეყნებული იქნებოდა მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე. რეპორტის ბეჭდვითი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება ფონდის ოფისში თბილისში და მცხეთისა და ახალციხის მუნიციპალურ ოფისებში. დაიგეგმა საკონსულტაციო შეხვედრები თბილისში, ახალციხესა და მცხეთაში კმბსგშ-ს რეპორტის გამოქვეყნების შემდგომ ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით რომელიც მოიცავს: გავლენის ქვეშ მყოფი თემებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახელმწიფო ორგანოებს, ქართული მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მუნიციპალური ხელისუფლებებს. ამ შეხვედრებზე მიღებული ფიდბეკი აისახება კმბსგშ-ს საბოლოო რეპორტში და თავიდან გამოქვეყნდება.

ტერიტორიის ადმინისტრაციის და გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლება გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება და მხარდაჭერა გამოუცხადეს რგპ III-ს და ასევე აღნიშნეს რომ პროექტი დიდი მნიშვნელობის მატარებელია რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის.

შეხვედრის ბოლოს, დავით ტაბიძემ თავი მოუკრა განხილულ საკითხებს და განაცხადა რომ დოკუმენტების შესწორებული ვერსიები მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდზე განთავსდება.



8.2 კმბსგშ-ს გამოქვეყნება და სამომავლო დაგეგმილი კონსულტაციები

კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების დრაფტი გამოქვეყნდება და საკონსულტაციო პროცესი გაგრძელდება, რადგან მსოფლო ბანკმა თანხმობა განაცხადა. ქვემოთ წარმოგიდგენთ სამომავლო კონსულტაციების სავარაუდო გეგმას.

კმბსგშ-ს გამოქვეყნება და დაგეგმილი საკონსულტაციო შეხვედრები

საბუთების გამოქვეყნება		საჯარო კონსულტაციები		
გამოსაქვეყნებელ დოკუმენტები; გამოქვეყნების თარიღები;	გამოქვეყნების საშუალება	გავლენის ქვეშ მყოფი თემები	არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება	სახელმწიფო ორგანოები; ქართულ მართლმადიდებლური ეკლესია; მუნიციპალური ხელისუფლებები;
კმბსგშ რეპორტი გამოქვეყნების თარიღი: მარტი 2015	ელექტრონული ვერსიები: მგფ ვებგვერდი; მსოფლიო ბანკის ვებგვერდი ბეჭდვითი ვერსია: მგფ-ს ოფისი თბილისში, მცხეთის და ახალციხის მუნიციპალური ოფისები	საბუთები ხელმისაწვდომია მუნიციპალურ ოფისებში საკონსულტაციო შეხვედრები: თბილისში, მცხეთაში, ახალციხეში სავარაუდო პერიოდი: მაისი-ივნისი, 2016	საბუთები ხელმისაწვდომია: კმბსგშ-ს ელექტრონული ვერსიები: მგფ ვებგვერდი; მსოფლიო ბანკის ვებგვერდი კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი; ბეჭდვითი ვერსია: მგფ-ს ოფისი თბილისში, რეგიონული მუნიციპალური ოფისები საკონსულტაციო შეხვედრები თბილისში, ახალციხესა და მცხეთაში ჩატარდება კმბსგშ-ს გამოქვეყნების შემდგომ მარტი-აპრილი 2015	შეხვედრები: ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა მტიანეთის რეგიონული მუნიციპალური ოფისები მაისი-ივნისი, 2015